

სისხლის სამართლი

ქარპონ ნაცილები

კრებულშიგამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:
http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2017, №7-9

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2017, №7-9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2017, №7-9

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2017, №7-9

გადაწყვეტილების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი რუსულან ჭარფურიძე

ტექნიკური რედაქტორი გარივა გაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით

განაჩენი

№52აპ-17

15 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ა. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ოზურგეთის რაიონული პროკურორის მოადგილე
მალხაზ სირაძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სა-
სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის
18 ნოემბრის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ. ტ-ს ბრა-
ლი დაედო განზრახ მკვლელობის მცდელობაში, რაც გამოიხა-
ტა შემდეგში:

2015 წლის 14 ნოემბერს, დაახლოებით 00.15 საათზე, ქ.,
.....ქუჩის მეორე შესახვევის №.....-ში მდებარე გ. მ-ს საცხოვრე-
ბელ სახლში, სუფრასთან ყოფნის დროს, ნასვამ გ. ტ-ს შელაპა-
რაკება მოუხდა სუფრის წევრებთან – ი. ხ-სა და გ. თ-თან, რა
დროსაც ქალბატონების დამტკიცებით გ. ტ-ი გაიყვანეს სუფრი-
დან და აიყვანეს საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე, სა-
დაც იგი კვლავ აგრძელებდა გინებას და შეურაცხყოფას ი. ხ-ს
მიმართ. ცოტა ხნის შემდეგ გ. ტ-ი ჩამოვიდა სახლის მეორე სარ-
თულიდან, შევიდა სამზარეულო ოთახში და ი. ხ-ს მიმართ ანგა-
რიშსწორების მიზნით, აიღო დანა და გამოვიდა სამზარეულო-
დან, რა დროსაც მას წინ გადაუდგა გ. თ-ი და შემდეგ – გ. თ-ი,
რომლებიც არ აძლევდნენ გარეთ გასვლის საშუალებას, რაზეც
განაწყენდა ნასვამი გ. ტ-ი და გ. თ-ს თავიდან მოსამორებლად
ხელთ არსებული დანა, განზრახ მოკვლის მიზნით, გულმკერ-
დის არეში დაარტყა მას. გ. თ-ს განუვითარდა სიცოცხლისათ-
ვის სახიფათო, გულმკერდის – მახვილისებრი მორჩის არეში ნაკ-
ვეთი, სწორკიდებიანი ჭრილობა, ზემოთ 2.5X1 სმ-ზე, შემავა-
ლი გულმკერდის ღრუში, პლევრის ღრუს, გულის პერანგის, გუ-

ლის წინა კედლის დაზიანებით. გ. თ-ი გადაიყვანეს საავადმყოფოში და დროულად განეული სამედიცინო დახმარების შედეგად შესაძლებელი გახდა მისი გადარჩენა.

2. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 ივლისის განაჩენით გ. ტ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლიდან გადაეკალიფიცირდა სსკ-ის 124-ე მუხლზე.

გ. ტ-ი, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლობის არქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლით და მიესაჯა ჯარიმა – 6000 ლარი. გ. ტ-ს, პატიმრობაში ყოფნის ვადის (2015 წლის 14 ნოემბრიდან – 2016 წლის 25 ივლისამდე) გათვალისწინებით, იმავე კოდექსის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გაუქმდა გ. ტ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ოზურგეთის რაიონული პროკურორის მოადგილე მალხაზ სირაძემ, რომელმაც საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გ. ტ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განაჩენით ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ოზურგეთის რაიონული პროკურორის მოადგილე მალხაზ სირაძემ. კასატორი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და გ. ტ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 19, 108-ე მუხლით, შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ მსჯავრდებულის ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა, რადგან არ გაითვალისწინა ბრალდების მხარის მიერწარდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებება, რომელიც უტყუარდ დასტურდება, რომ გ. ტ-ს ჰქონდა დაზარალებულ გ. თ-ს მოკვლის განზრახვა, რაც დასტურდება მოწმეების – ი. გ-ს, გ. თ-სა და მ. თ-ს ერთნაირი და თანმიმდევრული ჩვენებებით; ასევე საგულისსხმოა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და ექიმ ლ. თ-ს ჩვენება, რომელიც თაც დადგენილია, რომ ჭრილობის არხის მიმართულება იყო წინა

მხრიდან, მახვილისებრი მორჩიდან ზემოთ და უკანა მიმართულებით (გულის მიმართულებით), ხოლო ქრილობის არხის სიგრძე იყო 15 სმ და დაზიანება იწყება მუცლის არიდან. ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ გ. ო-ს ტანსაცმელს აღნიშნება ირიპად მდებარე, ნაპრალისებური გამჭოლი დაზიანება. ზემოაღნიშნული კი იმზე მიუთითებს, რომ დაზარალებული ამ სახის დაზიანებას ვერ მიიღებდა იმ ვითარებაში, რომელიც მსჯავრდებულმა გ. ტ-მ აღნერა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ ოზურგეთის რაიონული პროკურორის მოადგილე მალხაზ სირაძის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მსჯავრდებულმა გ. ტ-მ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ შემთხვევის დღეს იმყოფებოდა ოჯახის ნათესავის – გ. მ-ს დაბადების დღეზე. დაახლოებით 20 ადამიანი საღამოს 7 საათისათვის დაჯდა სუფრასთან. სახლში მყოფი პირებიდან იცნობდა მხოლოდ: ა. მ-ს, ა. მ-ს, გ. მ-ს და მეზობელ კ-ს, დანარჩენები მისთვის უცნობები იყვნენ. სუფრას თვითონ თამადობდა. ი. ხ-მ ერთ-ერთ სადღეგრძელოზე შენიშვნა მისცა. მუსიკის ჩართვა როდესაც გადაწყვიტა, ი. ხ-მ კვლავ შენიშვნა მისცა და უთხრა, რომ დალევა სურდა. აღნიშნულზე შელაპარაკდნენ და გავიდნენ ოთახიდან. გარეთ სიტყვიერად კამათობდნენ თვითონ, ი. ხ-ი, ი-ს ძმა და ვ. პ-ი. ფიზიკურად არ შეხებიან ერთმანეთს. საუბრის შემდგომ დაბრუნდნენ სუფრასთან და გააგრძელეს ქეიფი. როდესაც ცეკვა დაიწყო, ი. ხ-მ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც კვლავ დაიწყეს კამათი. ი. ხ-ს სუფრის ყველა წევრი მიეხმარა და დაუწყეს ცემა. ცემის დროს დავარდა ძირს, მიუხედავად ამისა, არ გაჩერდნენ და კვლავ ძლიერად ურტყამდნენ. ცემის შედეგად სხვადასხვა დაზიანება მიიღო და სდიოდა სისხლი. ჩხუბის დასრულების შემდეგ, დამ – ლ. ტ-მ და ა. მ-მ აიყვანეს სახლის მეორე სართულზე. დაახლოებით 20 წუთში ი. ხ-მ, ი-ს ძმამ და ორმა პირმა ზემოთ აკითხეს და პირდაპირ საწოლში დაუწყეს სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება და ცემა. აღნიშნულის გამო გამოიქცა სამზარეულოში დანის ასაღებად და მათ შესაძინებლად, რომ ამ გზით მანც დაენებებინათ თავი. როდესაც შევიდა „...“ ოთახში, იქ იმყოფებოდნენ გ. თ-ი, მისი მეუღლე და გ. თ-ი. შევიდა სამზარეულოში, აიღო დანა და დაბრუნდა „...“ ოთახში,

რადგან გარეთ გასვლა უნდოდა. მარჯვენა ხელში ეჭირა დანა, პირით – ქვემოთ. ოთახიდან აივანზე გასასვლელი კარი მიხურული იყო. მივიდა კართან, მარცხენა ხელით გააღო და ვიდრე კარში გავიდოდა, გ. თ-მ უკნიდან დაიჭირა, წელზე ხელი შემოხვია და არ უშვებდა. მის წინ და გვერდით, ასევე კართან ახლოს არავინ იდგა. გ-მ ასწია ცოტა ზევით, ისე, რომ მიწას ააცილა, რადგან მისი შიგნით შეყვანა უნდოდა. თვითონ კი ყვიროდა, რომ გაეშვა ხელი და იქნევდა ხელებს. ამ დროს უკნიდან ბიძგი იგრძნო, გ-მ უცაბედად ხელი გაუშვა, გათავისუფლდა და გავიდა გარეთ. ამ დროს არ დაუნახავს გ. თ-ი. გზა რომ გააგრძელა ეზოში და 5-6 მეტრი გაიარა, ატყდა ყვირილი, მოტრიალდა და მაშინ დაინახა კარის ზღურბლზე ნაქცეული გ. თ-ი, რომელსაც სისხლი სდიოდა. დანას გაუშვა ხელი, დააგდო და გ-სთან მიერთა. ამშვიდებდა, წყალი გამოიტანა, თავისი ტელეფონით სასწავლოში არაერთხელ დარეკა, რადგან იგვიანებდა სასწრაფო დახმარება და მომხდარს განიცდიდა. მისივე განმარტებით, გ. თ-ი სუფრასთან დაახლოებით ნახევარი საათი იჯდა. შემდგომ კი თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, სხვა ოთახში იმყოფებოდა. გ. თ-ი არც ერთ ჩეუბბი არ მონაწილეობდა და მათ შორის დაპირისპირება არ არსებობდა.

3. საქმეზე მოწმის სახით დაკითხული დაზარალებულის – გ. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 13 ნოემბერს, გ. მ-ს დაბადების დღეზე, იმყოფებიდა მშობლებთან: ი. გ-სა და გ. თ-თან, ასევე დებთან: მ. და ვ. თ-თან ერთად. როდესაც სტუმრად მივიდნენ, სახლში დახვდნენ ა. მ-ა, გ. მ-ა, მ. და მეზობლის ბიჭები. აქ გაიცნო გ. ტ-ი. სუფრასთან როდესაც დასხდნენ, გ. ტ-ს აუშარდნენ იქ მყოფი ახალგაზრდები. დაზარალებულის განმარტებით, იგი დიდხანს არ გაჩერებულა სუფრასთან, მალე ადგა და მამამისთან – გ. თ-თან ერთად გავიდა ე.წ. „...“ ოთახში, სადაც იმყოფებოდა თვითონ, დედამისი და ოჯახის უფროსი – მ.. გ. ტ-ს სუფრასთან სცემეს, შემდეგ იგი აიყვანეს მეორე სართულზე დასაწოლად, სადაც კვლავ აკაითხეს ბიჭებმა და იქაც სცემეს. აღნიშნულზე გ. ტ-ი გამწარდა, ჩამოირბინა კიბე, შევიდა ე.წ. „...“ ოთახში, საიდანც შევიდა სამზარეულოში და აიღო დანა. სამზარეულოდან გამოსულ გ. ტ-ს სურდა გარეთ გასვლა და კარისკენ ნავიდა. ამ დროს უკნიდან მივიდა გ. თ-ი და ხელების შემოხვევით დაკავა იგი. გ. ტ-ი ეუბნებოდა გ-ს, რომ გაეშვა და თან იქნევდა ხელებს. მისივე განმარტებით, დანა დაინახა მაშინ, როცა გ. უკან იქნევდა დანიან ხელს. მამას დაუძახა, რომ გ-ს დანა ჰქონდა ხელში, გაიქცა მამისენ და ხელი უბიძგა, თვითონ კი ვეღარ მოასწრო განევა და ამ დროს მოხვდა მოქნეული დანა. დაზარალებულის განმარტებით, გ. ტ-ი წუხდა მისი დაჭ-

რის გამო და მის მიმართ რაიმე პრეტენზია არ გააჩნია.

4. მოწმე გ. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი იმყოფებოდა გ. მ-ს დაბადების დღეზე – 2015 წლის ნოემბერში მეუღლესთან – ი. გ-სა და შვილებთან – გ-სთან, მ-სა და ვ-სთან ერთად. თავდაპირველად წვეულება ნორმალურად მიდიოდა, შემდეგ კი სუფრაზე მყოფებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გ. ტ-ს. იგი „...“ ოთახში გავიდა მეუღლესა და შვილთან, გ. თ-თან ერთად. გ. ტ-ი კი ლ. ტ-მ და ა. მ-მ მეორე სართულზე აიყვანეს. მეორე სართულზეც გავრძელდა ჩატარებული და ხელი და ხმაურზე მისი მეუღლე და მ. გარეთ გავიდნენ. უცაბედად წელს ზემოთ შიშველი გ. ტ-ი შემოვარდა ე.ნ. „...“ ოთახში და პირდაპირ სამზარეულოში გავარდა, საიდანაც პურის საჭრელი დანა გამოიტანა. ამ დროს თვითონ სავარძელში იჯდა, გაიფიქრა, რომ დააკაცებდა მას და მივიდა გ. ტ-თან, უკიდან წელზე შემოხვია ხელები და დაიჭირა. ამ დროს კი გარეთ დაინახა ი. ხ-ი, რომლისკენაც ცდილობდა ტ-ი წასვლას. როდესაც შვილმა, გ.თ-მ უბიძგა ბეჭებში ხელი, აუსხლტა ტ-ზე შემოხვეული ხელი. როგორ და როდის მოხვდა მის შვილს, გ. თ-ს დანა, არ დაუნახავს. მისივე განმარტებით, გ. ტ-თან რაიმე უთანხმოება ან კონფლიქტი არ ჰქონდა.

5. მოწმე ი. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არის გ. თ-ს დედა. გ. ტ-ი პირველად 2015 წლის ნოემბერში გ. მ-ს დაბადების დღეზე წახა, სადაც იმყოფებოდა მეუღლესთან – გ. თ-თან და შვილებთან: გ-თან, მ-სა და ვ-სთან ერთად. სუფრასთან გ. ტ-ი და ადგილობრივი ბიჭები ჯერ წაეკიდა ლავადნენ, შემდეგ კი გადავიდნენ ჩხეუზე. მან, მეუღლემ და შვილმა – გ-მ, ადრე დატოვეს სუფრა და ე.ნ. „...“ ოთახში გავიდნენ, სადაც ასევე იმყოფებოდნენ მ. და გ. მ-ა. ა. მ-მ და გ. ტ-ს დამ -ლ-მ, გ. ტ-ი დასაძინებლად სახლის მეორე სართულზე აიყვანეს. 10 წელის შემდეგ მეორე სართულზეც ატყდა ხმაური. კონფლიქტის დროს მისი შვილი და მეუღლე გარეთ არ გასულან. თვითონ კი გავიდა გარეთ და დაინახა, რომ გ. ტ-ი კიბეზე ჩამორბოდა და ე.ნ. „...“ ოთახიდან პირდაპირ სამზარეულოში შევარდა. ამ დროს თვითონ და მ-ც შევიდნენ ე.ნ. „...“ ოთახში. როცა გ. სამზარეულოდან დაბრუნდა, ხელში ეჭირა დანა. გ. თ-ი წამოხტა სავარძლიდან და გ. ტ-ს უკიდან მოხვია ხელები, რომელსაც სახე გასასვლელი კარისკენ ჰქონდა. როცა გ. თ-ი აკაცებდა გ. ტ-ს, იგი გ-ს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. ამ დროს მისმა შვილმა დაინახა, რომ დანიანი ხელი მამისკენ ჰქონდა მიმართული და ხელი უბიძგა მამას გეერდიდან. სწორედ ამ დროს მოხვდა დანა. მისივე განმარტებით, უშუალოდ დანის დარტყმის მომენტი არ დაუნახავს. გ. ტ-მ რომ დაინახა გ. თ-ს მდგომარეობა, ძალიან ინერვიულა.

მოწმის განმარტებით, გ. ტ-სა და გ. ან გ. თ-ებს შორის რაიმე შელაპარაკება არ მომხდარა და გ. ტ-ს გამიზნულად არ უნდოდა მისი შვილისათვის დანის დარტყმა.

6. მოწმე მ. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არის დაზარალებულ გ. თ-ს და, ხოლო გ. მ-ა არის მისი მამიდაშვილი. 2015 წლის ნოემბერში სტუმრად იყვნენ გ. მ-სთან დაბადების დღის აღსანიშნავად. სუფრის დროს არ მოეწონათ ერთმანეთის საუბარი გ. მ-ს მეზობლად მცხოვრებ ბიჭებს და მსჯავრდებულს, რასაც მოჰყვა ჩხუბი. გ. ტ-ს სცემეს, დაახლოებით 7 კაცი ერთად სცემდა მას, რომელსაც მხოლოდ მისი და იცავდა. გ. თ-ი კი ადრე ადგა სუფრიდან და წავიდა იმ ოთახში, სადაც ღუმელი იყო. გ. ტ-ს დამ და მისმა მამიდაშვილმა – ა-მ დააწყნარეს გ. და აიყვანეს მეორე სართულზე, სადაც 5 წუთის შემდეგ კვლავ ატყდა ხმაური. ცოტა ხანში გ. ტ-მ ჩამოირბინა ქვემოთ და შევარდა სამზარეულოში, საიდანაც იგი დანით გამოვიდა, ღუმელთან მჯდომი გ. თ-ი წამოხტა და გამოიეკიდა გ-ს, რომელიც წინ მიდიოდა, კარისენ. გ. დაეწია მას და უკიდან დაუკავა ხელები. გ. ტ-ს დანა მარჯვენა ხელში ეჭირა, უაზროდ იქნევდა ხელებს და ყვიროდა. ამ დროს გ. თ-მ იფიქრა, რომ გ-ს შეიძლებოდა დანა მოხვედროდა, მივიდა და ხელი ჰკრა მამას, რა დროსაც შემთხვევით თვითონ დაიჭრა.

7. მოწმე მ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გ. თ-ი არის მისი მაზლის შვილიშვილი, ხოლო გ. ტ-ი მათთან ბევრჯერ იყო ნამყოფი სტუმრად. 2015 წლის 13 ნოემბერს შვილიშვილს – გ. მ-ს 18 წელი შეუსრულდა. დაბადების დღეზე სტუმრად იყვნენ ბ-ი, ლ. და ბ. ბ-ები, კ. ჩ-ე, ი. და გ. ხ-ები, გ. თ-ი ცოლ-შვილით. სუფრაზე პირველად პატარა ჩხუბი მოხდა და დაწყნარდნენ. შემდეგ კი დიდი ჩხუბი ატყდა. გ. ტ-ს სუფრის წევრები ეჩსუბნენ, რის გამოც იგი ავიდა მეორე სართულზე დასაწოლად. გ-ს ზემოთ აპყვნენ ა. მ-ა და მისი და – ლ.. არც მეორე სართულზე მოეშვნენ გ. ტ-ს, სადაც ააკითხეს ბიჭებმა. კვლავ გაისმა ჩხუბის ხმა. ამ დროს გ. ტ-ი ქვემოთ აღელვებული ჩამოვიდა, შევიდა ე.წ. „...“ ოთახში და შემდეგ, სამზარეულოში. გ-მ აიღო დანა და დაბრუნდა „...“ ოთახში, სადაც იმყოფებოდნენ გ. თ-ი, ი., მ., ვ. და გ.. მ. მ-ს განმარტებით, დაუძახა ბიჭებს, რომ ბრალდებულს დანა ჰქონდა ხელში. გ-ს დანა ისე ეჭირა, რომ დანის წვერი ქვემოთ იყო მიმართული. როდესაც გ. ტ-მ „...“ ოთახიდან გარეთ გასასვლელი კარი გამოაღო, ამ დროს ხელი უკან წაიღო, კართან ახლოს იდგა გ. თ-ი, რომელსაც შემთხვევით მოხვდა დანის წვერი. გ. ტ-ს გ. თ-თვის დანა არ მოუქნევია. გ. ტ-ი არ გაქცეულა, ითხოვდა სასწრაფოს გამოძახებას, პატრონობდა დაჭრილს და განიცდიდა მომხდარს. მი-

სივე განმარტებით, გ. ტ-ი და გ. თ-ი ერთმანეთს არ იცნობდნენ
და რაიმე სახის შელაპარაკება მათ შორის არ მომხდარა.

8. მონმე ა. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი ცხოვრობს ...,
... ქუჩის მე-... შესახვევის №...-ში, ბებიასთან – მ. მ-თან, ძმასთან
– გ. მ-სთან, დეიდაშვილთან – ა. მ-სა და დეიდაშვილის შვილთან
– ლ. ე-თან ერთად. 2015 წლის 13 ნოემბერს, გ. მ-ს დაბადების
დღეზე, სუფრასთან ისხდნენ: ვ. ბ-ვი, ი. და გ. ხ-ბი, ბ. ბ-ე, ნათე-
სავები: გ., გ., ი., ვ. და მ. თ-ები, გ. და ლ. ტ-ები და ოჯახის წვერები.
წვეულების დროს ვ. ბ-ი და ი. ხ-ი ცინიკურად უყურებდნენ გ. ტ-ს.
შემდეგ გ. ტ-ს მიმართ გამოთქვეს შენიშვნები, თუ რატომ არ ამ-
ბობდა სადღეგრძელოს. თავიდან სიტყვიერად შელაპარაკდნენ,
შემდეგ კი გ. ტ-ს სცემეს სუფრის წევრებმა. გ. ჩხუბის დროს ნა-
იქცა და ნაქცეულს ურტყამდა ყველა. როდესაც მისი ცემა შეწ-
ყვიტეს, მეორე სართულზე აიყვანა და დააწვინა. ცოტა ხანში ავი-
და გ. და – ლ. ტ-ი. დაახლოებით 8-10 წუთში მათთან ავიდა გ. ხ-ა,
რომელმაც დაუწყო საქმის გარჩევა გ. ტ-ს. ამ საუბრისას ასევე
ზეით ავიდნენ ი. და გ. ხ-ები. ი-მ დაუწყო გინება და ატყვა ჩხუ-
ბი. უცებ ი. ქვემოთ გაიქცა და გ-ც გავიდა გარეთ. თვითონ კი გ-ს
ეჩხუბებოდა, თუ რატომ ავიდნენ ზემოთ და უცებ გაიგონა საში-
ნელი კივილის ხმა. როდესაც ქვემოთ ჩავიდა, ნახა რომ გ. თ-ი
საძინებლის კართან იყო წაქცეული და სისხლ სდიოდა, გ. ტ-ი კი
ყვიროდა, რომ სასწრაფოში დაერეებათ. გ. თ-ს სასწრაფოს მოს-
ვლამდე გ. ტ-ი წყალს ასხამდა და ელაპარაკებოდა, რომ გონება
არ დაეკარგა. იგი თავში იცემდა ხელს, განიცდიდა და ვერ მიმ-
ხვდარიყო, როგორ მოხდა ეს შემთხვევა.

9. მონმე ი. ხ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 13
ნოემბერს, გ. მ-ს დაბადების დღეზე, იგი მივიდა დაახლოებით
სადამოს 5-6 საათზე, იქ დახვდნენ: ვ. ბ-ი, კ. ჩ-ე და მისი ძმა,
სხვები კი ვერ იცნო. სუფრასთან დასხდნენ დაახლოებით 6 სა-
ათზე. თამადა იყო გ. ტ-ი, რომელსაც ასევე არ იცნობდა. სუფ-
რასთან გ. ტ-ს ეჩხუბა, რადგან სადღეგრძელოსთან დაკავში-
რებით ვერ შეთანხმდნენ. ჩხუბი დაახლოებით 10-20 წუთს
გრძელდებოდა. გ. ტ-ს მხოლოდ ერთხელ ეჩხუბა, რა დროსაც გ.
ძირს დაეცა. ამის შემდგომ კი სახლში წავიდა. როდესაც დაბ-
რუნდა ეზოში გაიგონა ყვირილის ხმა. სახლში გ. თ-ი ძირს იწვა.
მ-გან კი გაიგო, რომ იგი დანით იყო დაჭრილი.

10. მონმე ბ. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გ. ტ-ი სუფრას-
თან გაიცნო, გ. მ-ს დაბადების დღეზე, 2015 წლის 13 ნოემბერს.
სადამოს მიერიდა მათთან, სუფრა უკეთ გაშლილი იყო. სახლში იყ-
ვნენ მისი მეზობლები: კ. ჩ-ე, გ. და ი. ხ-ები, ა. მ-ა და უცხო პირები.
სუფრასთან დაახლოებით ნახევარ საათს გაჩერდა და შემდეგ

წავიდა. სუფრასთან კამათი იყო მოსმენა – არ მოსმენის გამო და სადლეგრძელობთან დაკავშირებით. თამადა ითხოვდა წესრიგს, რასაც სუფრის წევრები, არ ემორჩილებოდნენ. თამადის მოწოდება სუფრის წევრებისადმი გ. თ-ს არ ეხებოდა. მოგვინებით მ. მ-სგან გაიგო თამადის – გ. ტ-ს მიერ გ. თ-ს დაჭრის ფაქტი.

11. მოწმის სახით დაკითხული ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელის, ლ. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გ. თ-ს ჭრილობა ჰქონდა მუცელის ზემო ნახევარში და გაჭრილი იყო მარჯვენა პარკუჭი. ჭრილობის მიმართულება იყო ქვემოდან ზემოთ. ულტრაბგერითი გამოკვლევით დადგინდა, რომ გადიდებული იყო გულის საზღვრები. ჭრილობა მახვილი საგნით, ალბათ, დანით იყო მიყენებული და ჭრილობის არხი საკმაოდ გრძელი, დაახლოებით 15 სმ მაიც იქნებოდა.

12. სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის – ნ. ო-ს ჩვენებით დგინდება, რომ დაზარალებულს დაზიანებები აღნიშნებოდა, მხოლოდ ქურთუკისა და მაისურის ნინა მხარეს, გულმერდის შესაბამის ქვედა მიდამოში. თითქმის შუაში, მაისურსა და ქურთუკზე ალინიშნებოდა გამჭოლი დაზიანება, რომელიც განვითარებული იყო ცალმხრივ-ლესილა პირის მქონე საგნის მოქმედებით. დაზიანება იყო ირიბად მდებარე, რაც თვალსაჩინოდ ჩანდა ფოტოილუსტრაციაზე. მაისურაზე არსებული დაზიანების მიდამო იყო ქვედა კიდიდან ზევით 31,5 სმ-ის ხოლო ქურთუკზე – ქვედა კიდიდან ზემოთ 31 სმ-ის მოშორებით. მისივე განმარტებით, დაზიანების მიმართულება განისაზღვრება ჭრილობის არხის მიმართულების მიხედვით. ტანსაცმელზე მიყენებული დაზიანების მიხედვით კი მიმართულების განსაზღვრა არ ხდება.

13. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ფოტოილუსტრაციით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილი მდებარეობს ..., ... ქუჩის №...-ში მდებარე მ. მ-ს საცხოვრებელ სახლში, რომელიც ორსართულიანია. პირველი სართულის ნინა, მარჯვენა შესასვლელის ნაწილი ღიაა, მარჯვენა და წინა მხრიდან კედლების გარეშე, ხოლო იატაკი მოპირკეთებულია მოთეთრო მეტლახით. შესასვლელის ნინა მხარეს, იატაკის საწყის ნაპირთან ერთ მეტრში, მეტლახის ზედაპირზე, აღმოჩნდა მოწითალო სისხლის-მაგვარი ლაქები. ეს შესასვლელი გადის საძინებელ ოთახში, რომელსაც აქვს რკინის ერთფერთიანი კარი, მისგან 40 სმ-ის დაშორებით, ღია შესასვლელის მეტლახის იატაკზე, აღმოჩნდა მოწითალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები. საძინებელ ოთახს აქვს მეტლახის იატაკი, ოთახში შესასვლელი კარის ზურგიდან 30 სმ-ის დაშორებით, მეტლახის იატაკზე, აღმოჩნდა მოწითალო სის-

ხლისმაგვარი ლაქები. სამზარეულო ოთახი ესაზღვრება მისაღებ ოთახს, რომელსაც სამზარეულოდან აქვს შესასვლელი ერთფრთიანი კარი. მისაღებ ოთახში დგას მაგიდა, ხოლო მის ორ მხარეს – გრძელი სკამები, მაგიდა განცყობილია თეფშებითა და კერძებით. მაგიდის ქვეშ და მის გარშემო, მეტლახის იატაკზე მიმოფანტულია გამჭვირვალე მინებისა და თეფშების თეთრი ნატეხები. მისაღებ ოთახს აქვს სამგანცოფილებიანი ფანჯარა, რომელიც გადის წინა ეზოს მხარეს. ფანჯრის შუა განცოფილებაში ჩამტვრეულია მინა ქვედა ნახევარში, ხოლო ფანჯრის ქვეშ, იატაკზე აღმოჩნდა, მინის ნამსხვრევები. მითითებულ მისაღებ ოთახს აქვს შესასვლელი, ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, რეინის ერთფრთიანი კარი – ლია შესასვლელის მხრიდან. საცხოვრებელ სახლს უკანა მარჯვენა მხარეს, გარეთა მხრიდან აქვს მეორე სართულზე ასასვლელი კიბე. საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის დათვალიერებისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოება არ გამოვლენილა.

14. ტანსაცმლის დათვალიერების ოქმით დასტურდება, რომ შპს „...“ კლინიკური საავადმყოფოს საოპერაციო განცოფილების ექთანდა წარმოადგინა დაზარალებულ გ. თ-ს ტანსაცმელი:

1. ლურჯი ჯინსის შარვალი შავი ფერის ტყავის ქამრით, შარვალზე მრავალ ადგილზე აღინიშება მოწითალო ლაქები. 2. თეთრი მოკლესახელობიანი მაისურის ნახევი, რომელზეც აღნიშნება სისხლისმაგვარი ლაქები. 3. თეთრ და შავზოლებიანი გრძელსახელობიანი მაისურა, რომელიც გაჭრილია. 4. შავი გრძელსახელობიანი სპორტული ზედა კაპიუშონით, რომლის საყელოები არის მომწვანო, ზედის შუა ადგილზე, მარცხენა წინა მხარეს არსებულ ელვაშესაკრავზე აღინიშნება მექანიკური დაზიანება.

15. საქმეში არსებული ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების დასკვნით, გ. ტ-ს დაუდგინდა მსუბუქი ხარისხის ალკოჰოლური თრობა.

16. სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ გ. ტ-ს აღნიშნებოდა ნაჭდევები და სისხლნაჟღენთები, რომლებიც განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგად და ხაზოვანი ფორმის ნაჭდევები-ნაკანრები, რომლებიც განვითარებული უნდა იყოს რაიმე მახვილი საგნის წვეტის, ლესილი კიდის ან მკვეთრად გამოხატული კიდის მქონე მკვრივი-ბლაგვი საგნის შემხები ზემოქმედების შედეგად. დაზიანებები ერთობლივად მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელებად. დაზიანებათა ხანდაზმულობა არ ეწინააღმდეგება დადგენილე-

ბაში მითითებულ თარიღს.

17. საქმეში არსებული დანის დათვალიერების ოქმითა და თანდართული ფოტოილუსტრაციით დასტურდება, რომ მას აქვს მოყავისფრო ებონიტის მსგავსი ტარი და შავი მეტალის პირი. დანის პირზე აღინიშნება მოწითალო სისხლისმაგვარი ლაქები.

18. სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ გ. თ-ს აღნიშნებოდა: ნაკვეთ-ნაჩევლეტი ჭრილობა მახვილისებური მორჩის მიდამოში, შემავალი პერიკარიუმში; მარჯვენა პარკუჭის დაზიანება მწვერვალის არეში, ჰემოპერიკარდიუმი. არსებული დაზიანება განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის ზემოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო. იგი ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

19. საქმეში არსებული ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ გ. ტ-სა და გ. თ-ს სისხლი მიეკუთვნება A (II) ჯგუფს. ობიექტი №2,3,4-ის გენეტიკური პროფილი და გ. თ-ს გენეტიკური პროფილი იდენტურია. პაკეტში წარნერით: „.... ლურჯი ფერის შარვალი...“ მოთავსებულ შარვალზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი და გ. ტ-ს გენეტიკური პროფილი იდენტურია. პაკეტში წარნერით: „.... მ. მ-ს მიერ წარმოდგენილი დანა...“ მოთავსებულ დანის ტარსა და პირზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს. ობიექტი №7-ის გენეტიკური პროფილი შერეულია, რომელშიც ვლინდება გ. ტ-სა და გ. თ-ს გენეტიკური თანამონანილეობა. ობიექტი №8-ის გენეტიკური პროფილი შერეულია, №8-ის გენეტიკური პროფილის ერთი ნილი გ. თ-ს გენეტიკური პროფილის იდენტურია. პაკეტში წარნერით: „...გ. თ-ს ტანსაცმელი...“ მოთავსებულ შარვალზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი და გ. თ-ს გენეტიკური პროფილი იდენტურია.

20. ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, თანდართული ფოტოილუსტრაციით, გ. თ-ს ტანსაცმლიდან (ქურთუკი, მაისურა, შარვალი, ქამარი, სახეშეცვლილი (დაზიანებული) მაისურის ნანილი) ქურთუკსა და მაისურაზე კვლევით ნაწილში მითითებულ ლოკალიზებულ მიდამოში არსებული დაზიანება განვითარებულია ჭრით, ცალმხრივლების პირის მქონე საგნის ზემოქმედების შედეგად, რომლის განვითარების შესაძლებლობა არ გამოირიცხება გამოსაკვლევი დანითაც.

21. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ პირისათვის სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანების მიუყენების შემთხვევაში უნდა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა პრალდებულს მისი მოკვლის ან/და მისოვის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიუყენების განზრახვა, რაც უნდა დადგინდეს არა მხოლოდ მიუყენებული ჭრილობების ლოკალიზაციისა და სიმძიმის მიხედვით, არამედ – ჩადენილი დანაშაულის ყველა ფაქტობრივი გარემოების ერთობლივი ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კერძოდ: უნდა შეფასდეს ჭრილობების რაოდენობა და ხსიათი, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებები და ქმედების შეწყვეტის მიზეზები, პრალდებულისა და დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულება, მათი ქმედებები დანაშაულის ჩადენამდე და მის შემდეგ. სააპელაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გ. ტ-ს გ. თ-ს განზრახ მოკვლის რაიმე საბაზი არ გააჩნდა, რასაც მთლიანად ეთანხმება საკასაციო პალატა.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქმედების განზრახ მკვლელობად (მცდელობად) დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსასპობად, ამასთან, უნდა დადგინდეს ფაქტობრივად განხორციელებულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, რომელთა გარეშეც ქმედების განზრახ მკვლელობად (მცდელობად) დაკვალიფიცირება სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იქნება.

23. პალატა სრულად იზიარებს პირველი და სააპელაციო სასამართლოების მოტივაციას და დადგენილად მიაჩნია, რომ გ. ტ-ს არ ჰქონდა დაზარალებულ გ. თ-ს მოკლის განზრახვა, რაც დადასტურებულია თავად დაზარალებულ გ. თ-ს, მისი მშობლების – გ. თ-სა და ი. გ-ს, დის – მ. თ-ს, მოწმის – მ. მ-სა და მსჯავრდებულ გ. ტ-ს ჩვენებებით. კერძოდ, მითითებული მოწმეების ჩვენებებით, რომლებიც არიან შემთხვევის თვითმხილველები, ირკვევა, რომ გ. ტ-ი სამართლოში შევიდა „...“ ოთახის გავლით, აიღო დანა, დაბრუნდა იმავე ოთახში და უნდოდა გარეთ გასვლა, სადაც იმყოფებოდა ი. ხ-ი. „...“ ოთახში გავლისას მან დაინახა ოთახში მყოფი მამა-შვილი – გ. და გ. თ-ები, თუმცა გ. ტ-მ არც ერთ მათგანს არ მიაქცია ყურადღება და წავიდა პირდაპირ კარისკენ, რათა გასულიყო გარეთ და ენახა ი. ხ-ი. ამდენად, იმ ვითარებაში, როდესაც გ. ტ-მ „...“ ოთახში დაინახა გ. თ-ი, თუკი მართლა იყო მასზე განაწყენებული და ჰქონდა მისი მოკვლის განზრახვა, მაშინ მას არ ჩაუვლიდა გვერდით, წავიდოდა პირდაპირ მისკენ ან-

გარიშმნორების მიზნით და არა – კარისკენ. დადგენილია ის ფაქტიც, რომ გ. ტ-ი უკნიდან შებოჭა მხოლოდ გ. თ-მ და სწორედ მან არ მისცა გარეთ გასვლის საშუალება, ხოლო გ. თ-ი წავიდა მამისკენ, რათა მას არ მოხვედროდა დანა და ხელი ჰქონა არა გ. ტ-ს, არამედ მამას – გ. თ-ს. აღნიშნულით დასტურდება ის ფაქტი, რომ გ. თ-ი წინააღმდეგობას არ უწევდა მსჯავრდებულს. შესაბამისად, გ. ტ-ი გ. თ-ზე ვერ განაწყენდებოდა იმ მომენტში, როდესაც მას არ მიეცა გარეთ გასვლის შესაძლებლობა და, ბუნებრივა არ წარმოეშობოდა სურვილი, დაეძლია დაზარალებულის წინააღმდეგობა და დანით გასწორებოდა მას.

24. ამდენად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია შემდეგი: მსჯავრდებული გ. ტ-ი და დაზარალებული გ. თ-ი გ. მ-ს დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებამდე ერთმანეთს არ იცნობდნენ. წვეულებაზე მსჯავრდებულსა და გ. თ-ს შორის შელაპარაკება არ მომხდარა. დაპირისპირება გამოკვეთილად არსებობდა ი. ხ-სა და გ. ტ-ს შორის. სუფრის რამდენიმე წევრმა ფიზიკური შეუარაცხყოფა მიაყენა გ. ტ-ს, რის შემდეგაც იგი გაარიდეს დაპირისპირებას და აიყვანეს სახლის მეორე სართულზე, თუმცა რამდენიმე წუთში იქ მას კვლავ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. აღნიშნულზე განაწყენებული გ. ტ-ი ჩამოვიდა პირველ სართულზე, ე.ხ.” ოთახიდან შევიდა სამზარეულოში, აიღო დანა, დაპირა გარეთ გასვლა და ი. ხ-თან მისვლა. ამ დროს გ. თ-ი იმყოფებოდა „....” ოთახში და იჯდა სავარძელში. გ. თ-მ დაინახა გასასვლელი კარისკენ მიმავალი გ. ტ-ი, რომელსაც ხელში ეჭირა დანა, წამოხტა სავარძლილი და გაიქცა მისი მიმართულებით, რათა არ მიეცა მისთვის გარეთ გასვლის საშუალება. დაენია, ხელები მოხვია უკნიდან და შეაკავა. გ. ტ-მ თავის დალწევის მიზნით, უმისამართოდ დაიწყო ხელების ქრევა, რა დროსაც მის წინ და გვერდით არავინ იდგა. ამ დროს გ. თ-მ დაინახა გ. ტ-ს ხელში დანა, რის გამოც მამის – გ. თ-ს დაცვის მიზნით, მივიდა მამასთან, უკნიდან უბიძგა ხელი გ-ს და ამ დროს მას შემთხვევით მოხვდა გ. ტ-ს მიერ მოქნეული დანა. მას შემდეგ, რაც გ. თ-მ გ. ტ-ს ხელები გაუშვა, გ. ტ-ი გაიქცა გარეთ ი. ხ-ს მიმართულებით, მაგრამ რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ, კივილის ხმაზე ისევ უკან დაბრუნდა და დაინახა დაჭრილი გ. თ-ი, დახედა დანას, რომელსაც სისხლი ჰქონდა, დააგდო და მივიდა მასთან. მსჯავრდებული შენუხდა, წყალი მიუტანა დაზარალებულს და შეეცადა მის მოსულიერებას, რაც მეტყველებს იმაზე, რომ გ. ტ-ს არ ჰქონდა მისი მოკვლის ან ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვა. ამასთან, გ. ტ-ს, თუკი მართლაც ჰქონდა დაზარალებულის მოკვლის განზრახვა, შეეძლო მისი სისრულეში მოყვანა და გ. თ-თვის კვლავ

დაზიანებების მიყენება, თუმცა მან არათუ აგრესია გამოხატა დაზარალლებულის მიმართ, არამედ გაოცდა და შეწყვეტილობა მომხდარი ფაქტის გამო.

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა ბრალ-დების მხარის პოზიცია, რომ გ. ტ-ი განაწყენებული იყო გ. თ-ზე თავდაპირველად, ზოგადად, როგორც სუფრის ერთ-ერთ წევრზე, ხოლო მოგვიანებით – იმ მიზეზით, რომ მან არ მისცა ოთა-სიდან გარეთ გასვლის საშუალება, რის გამოც გაუჩნდა გ. თ-ს მოკვლის განზრავა. აღნიშნული წარმოადგენს ბრალდების მხარის ვარაუდს, არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკი-ცებულებებიდან და ენინააღმდეგება მოწმეთა ჩვენებებს.

26. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, მტკიცების ტვირთა ეკისრება ბრალმდებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფა-სების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

27. საკასაციო პალატას მიაჩინია, რომ მოცემულ საქმეზე ქუ-თაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გ. ტ-ს მიმართ გამოტანილი განაჩენი არის კანონიერი და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხ-ლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

- ოზურგეთის რაიონული პროკურორის მოადგილე მალხაზ სირაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 18 ნოემბრის განაჩენი გ. ტ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.
- განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ

**გაუპატიურება,ჩადენილი იმ პირის მიმართ,
რომელსაც არ შესრულებია თოთხმეთი ნოტი**

განაჩენი

№50აპ-17

5 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

3. სილაგაძე (თავმჯდომარე),
6. გვენეტაძე,
- გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ პ. ფ-ს ინტერესების დამცველი ად-
ვოკატების – დ. ს-ს, თ. ნ-სა და ზესტაფონის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ კობა სირაძის საკასაციო საჩივრები ქუ-
თაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-
თა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

**1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, პ. ფ-ს
ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა:**

– გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით,
ძალადობის მუქარით და დაზარალებულის უმნეობის გამოყე-
ნებით იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულებია თოთხმეტი
წელი (საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვე-
პუნქტი);

– სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება ანუ
სექსუალური კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით, ჩადენი-
ლი ძალადობით, ძალადობის მუქარითა და დაზარალებულის უმ-
ნეობის გამოყენებით იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრუ-
ლებია თოთხმეტი წელი (საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის
მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი);

– დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შე-
ძნა და შენახვა (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნა-
წილის „ა“ ქვეპუნქტი);

– ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა (საქართვე-
ლოს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

2. პ. ფ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

■ 2015 წლის 31 მაისს, საღამოს საათებში, ... რაიონის სოფელ ... პ. ფ-ე მივიდა მეზობლად მცხოვრებ დ. ბ-ს ოჯახში, სადაც იმ დროს მარტო იმყოფებოდნენ დ. ბ-ს არასრულწლოვანი შვილები – ა., ვ. და მ. ბ-ები. პ. ფ-მ თავდაპირველად ა. ბ-ს, ხოლო შემდეგ ვ. ბ-ს უთხრა, რომ სიგარეტის შესაძენად მაღაზიაში გაჰყოლოდა. აღნიშნულზე მათგან უარი მიიღო, თუმცა საბოლოოდ მაღაზიაში გაყოლაზე დაითანხმა 10 წლის მ. ბ-ე. მასთან ერთად, პ. ფ-ე ფეხით გაემართა ..., ... ქუჩაზე მდებარე „...“ აფთიაქში, სადაც შეიძინა სქესობრივი პოტენციის ასამაღლებელი 2 აბი მედიკამენტი „...“, საიდნაც ნაწილი პ. ფ-მ მიიღო, ხოლო ნაწილის მიღება მ. ბ-ს მოსთხოვა, რომელმაც მას მედიკამენტი გამოართვა, მაგრამ არ დაულევია და მისგან ფარულად გადააგდო. ამის შემდეგ პ. ფ-ე მ. ბ-თან ერთად, ფეხით გაემართა სოფელ ... მიმართულებით. პ. ფ-მ, სურდა რა 10 წლის ასაკის უმწერ მდგომარეობაში მყოფ მ. ბ-თან სქესობრივი კავშირის დამყარება, რომელსაც მცირე ასაკის გამო არ შეეძლო წინააღმდეგობის განხევა და ასევე არ შეეძლო გაეთვითცნობიერებინა, თუ რა ხდებოდა მის თავს, იგი გადაიყვანა გზის პირას არსებულ ვენახში. პ. ფ-მ მ. ბ-ს მოსთხოვა მიწაზე დაჯდომა, რაც მან შეასრულა. ამის შემდეგ ჩახადა შარვალი და ტრუსი, შეშინებულმა მ. ბ-მ უთხრა, რომ უნდოდა დებთან ნასვლა, რაზეც პ-მ უთხრა, რომ გაჩუმებულიყო, თორემ მოკლავდა, გაგუდავდა, მალე მორჩებოდნენ და ნავიდოდნენ სახლში. თავად პ. ფ-მ წელქვემოთ გაიხადა, რის შემდეგაც მ. ბ-ე მუხლებზე დააყენა. პ. ფ-მ სასქესო ორგანზე მოირგო პრეზერვატივი და არასრულწლოვან მ. ბ-თან, სიცოცხლის მოსპობის მუქარით დაამყარა სქესობრივი კავშირი, რითაც მ. ბ-ს საქალწულო აპეის მიმდებარედ, ლორწოვანზე მიაყენა დაზიანებები მუქი მოწითალო ფერის სისხლჩაქცევების სახით. საბოლოოდ, პ. ფ-მ მ. ბ-ს გაუპატიურებით დაიკმაყოფილა სქესობრივი უინი და ადგილზე ჩაეძინა, ხოლო მ. ბ-ე კი სახლში გაიქცა. აღნიშნულის შემდეგ პ. ფ-ე მიიმაღლა და გატარებული ღონისძიებების შედეგად იგი დააკავეს 2015 წლის 4 ივნისს ... რაიონის სოფელ ...-ში.

■ 2015 წლის 31 მაისს, საღამოს საათებში, ... რაიონის სოფელ ... პ. ფ-ე მივიდა მეზობლად მცხოვრებ დ. ბ-ს ოჯახში, სადაც იმ დროს მარტო იმყოფებოდნენ ამ უკანასკნელის არასრულწლოვანი შვილები – ა., ვ. და მ. ბ-ები. პ. ფ-მ თავდაპირველად ა. ბ-ს, ხოლო შემდეგ ვ. ბ-ს უთხრა, რომ სიგარეტის შესაძენად მაღაზიაში გაჰყოლოდა. აღნიშნულზე უარი მიიღო, თუმცა საბოლოოდ მაღაზიაში გაყოლაზე დაითანხმა 10 წლის მ. ბ-ე. მასთან ერთად პ. ფ-ე ფეხით გაემართა ..., ... ქუჩაზე მდებარე „...“ აფთიაქ-

ში, სადაც შეიძინა სქესობრივი პოტენციის ასამაღლებელი 2 აბი მედიკამენტი „...“, საიდანაც ნაწილი პ. ფ-მ მიიღო, ხოლო ნაწილის მიღება მ. ბ-ს მოსთხოვა, რომელმაც მას მედიკამენტი გამოართვა, თუმცა არ დაულევია და მისგან ფარულად გადააგდო. ამის შემდეგ პ. ფ-ე მ. ბ-თან ერთად ფეხით გაემართა სოფელ ... მიმართულებით. პ. ფ-მ, სურდა რა 10 წლის ასაკის უმწეო მდგომარეობაში მყოფ მ. ბ-თან სქესობრივი კავშირის დამყარება, რომელსაც მცირე ასაკის გამო არ შეეძლო წინააღმდეგობის განევა და ასევე არ შეეძლო გაეთვითცნობიერებინა თუ რა ხდებოდა მის თავს, მ. ბ-ე გადაიყვანა გზის პირას არსებულ ვენახში. პ. ფ-მ მ. ბ-ს მოსთხოვა მიწაზე დაჯდომა, რაც მან შეასრულა. რამდენიმე ხანში ჩახადა შარვალი და ტრუსი, შეშინებულმა მ. ბ-მ უთხრა, რომ უნდოდა დებთან წასვლა. პ. ფ-ე დაემუქრა მოკვლით, უთხრა, რომ გაჩუმებულიყო, თორემ გაგუდავდა და მოკლავდა, რის შემდეგაც მ. ბ-ე მუხლებზე დააყენა. ამის შემდეგ პ. ფ-მ ხელის თითზე მოირგო პრეზერვატივი და მოათავსა ჯერ მ. ბ-ს სასქესო ორგანოში, ხოლო შემდეგ – უკანა ტანში. ტკივილის გამო მ. ბ-ე ტიროდა და დებთან წასვლას ითხოვდა, თუმცა პ. ფ-ე მას გაგუდვით დაემუქრა. აღნიშნულის შემდეგ პ. ფ-მ თავის სასქესო ორგანოზე მოირგო პრეზერვატივი, დაჯდა და მ. ბ-ს უკანა ტანში მოათავსა სასქესო ორგანო. პ. ფ-ს მიერ მ. ბ-ს უკანა ტანში სასქესო ორგანოს მოთავსებით, მ. ბ-მ უკანა ტანის არეში მიიღო დაზიანებები წასკდომების სახით, მიმდებარედ – მუქი მონითალო ფერის სისხლჩაქცევებით. რამდენიმე ხნის შემდეგ, კვლავ გაგუდვის მუქარით, პ. ფ-მ თავისი სასქესო ორგანო მოათავსა მ. ბ-ს პირის ღრუში. აღნიშნულით პ. ფ-მ მ. ბ-თან გაუკულმართებული ფორმით დაამყარა სექსუალური კონტაქტი, რის შემდეგაც ადგილზე ჩაეძინა, ხოლო მ. ბ-ე სახლში გაიქცა. აღნიშნულის შემდეგ პ. ფ-ე მიიმალა და გატარებული ღონისძიებების შედეგად იგი დააკავეს 2015 წლის 4 ივნისს ... რაიონის სოფელ

■ პ. ფ-მ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში უკანონდ შეიძინა და შეინახა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – 0.251027 გრამი „ჰეროინი“, რომელიც ... რაიონის სოფელ ... ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს პოლიციის მუშავებმა.

■ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით პ. ფ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ამ განაჩენის საფუძველზე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სხვა

უფლებებთან ერთად, მსჯავრდებულ პ. ფ-ს 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით პ. ფ-ს ჩამორთმეული ჰქონდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, მაგრამ აკრძალვის მიუხედავად, 2015 წლის 26 მაისს ... იგი მართავდა ავტომობილს.

3. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 აპრილის განაჩენით პ. ფ-ე, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

პ. ფ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესავა:

- საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – 16 წლით თავისუფლების აღკვეთა;
- საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა;
- საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 17 წელს ნაწილობრივ დაემატა სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელის (16 წლით თავისუფლების აღკვეთის) ნაწილი – 4 წელი და 6 თვე, სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის (2 წლით თავისუფლების აღკვეთის) ნაწილი – 1 წელი და 6 თვე და პ. ფ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა.

პ. ფ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათველა დაეწყო 2016 წლის 11 აპრილიდან და მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო 2015 წლის 4 ივნისიდან – 2016 წლის 2 მარტის ჩათვლით;

ნივთიერი მტკიცებულებები: „...“ აფთიაქის სათვალთვალო სისტემის დათვალიერებისას ამოდებული ვიდეოჩანაწერი DVD დისკზე, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით; საგამოძიებო ექსპერიმენტის (მ. პ-ს ჩვენების შემოწმება) დროს გადაღებული ფოტომასალა CD დისკზე, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით; სს „...“ სათვალთვალო სისტემის დათვალიერებისას ამოდებული ვიდეოჩანაწერი DVD დისკზე, რომელიც ერთვის სისხლის სამარ-

თლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით; ადგილმდებარეობის დათვალიერების დროს გადაღებული ფოტომასალა CD დისკზე, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით; პ. ფ-სა და მ. ბ-გან აღებული ბიოლოგიური კვლევის (წერწყვის) ნიმუშები, რომლებიც ინახება ... შს რაიონულ სამმართველოში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; მ. ბ-გან აღებული სისხლის ნიმუში, რომელიც ინახება ... შს რაიონულ სამმართველოში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; პ. ფ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება – „ჰეროინი“, რომელიც ინახება შს სამინისტროს შესაბამის სამსახურში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; პ. ფ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული პ. ფ-ს ჩანთა და მასში არსებული ტანსაცმელი, თეთრეული, პირსახოცი და საყოფაცხოვრებო ნივთები, მობილური ტელეფონი „სამსუნგი“, მავი ტყავის საფულე და მასში მოთავსებული „ლაილაის“ ორი სიმბარათი, ბილაინის ერთი სიმბარათი, ლიბერთი ბანკის ერთი და „პსპ“-ს ერთი ბარათი, ერთი „მარწყვი“ ბარათი, რომლებიც ინახება ... შს რაიონულ სამმართველოში, უნდა დაუბრუნდეს პ. ფ-ს ან/და მისი ოჯახის წევრს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; საგამოძიებო ექსპერიმენტის (მ. ბ-ს ჩვენების შემოწმება) დროს ამოღებული ორი პრეზერვატივი, ბოთლის ერთი თავსახური და ნამწვავის ნიმუში, რომლებიც ინახება ... შს რაიონულ სამმართველოში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; დათვალიერების დროს ამოღებული მ. ბ-ს ქვედა საცვალი, რომელიც ინახება ... შს რაიონულ სამმართველოში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; დათვალიერების დროს ამოღებული მ. ბ-ს მაისური, რომელიც ინახება ... შს რაიონულ სამმართველოში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; მ. ბ-გან ექსპერტის მიერ აღებული ნაცხის ნიმუში, რომელიც ინახება ... შს რაიონულ სამმართველოში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

4. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 აპრილის განაჩენი საპელაციო წესით გაასაჩივრეს პ. ფ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ს-მ და ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კობა სირაქემ. ადვოკატმა ითხოვა გამამტყუნებელ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ: მსჯავრდებულის გამართლება საქართველოს სისხლის სა-

მართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით შერაცხულ მსჯავრდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხულ მსჯავრდებაში – არასაპატიმრო სასჯელის განსაზღვრა. პროკურორმა კობა სირაქემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანა: პ. ფ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საბოლოოდ დანიშნული სასჯელების მთლიანი შეკრება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. მსჯავრდებულ პ. ფ-ს ინტერესების დამცველი ადგომა-ტები – დ. ს-ე და თ. ნ-ა საკასაციო საჩივრებით ითხოვენ მსჯავრდებულის გამართლებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით შერაცხულ მსჯავრდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხულ მსჯავრდებაში – არასაპატიმრო სასჯელის განსაზღვრას შემდეგი საფუძვლებით: განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, იგი არ ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; საქმეში არსებული ამბულატორიული ფსიქოლიგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით დაზარალებულ მ. ბ-ს მცირენლოგანების გამო არ შეეძლო, სხორად ალექვა მოვლენები, მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში და მიეცა სწორი ჩვენება. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მ. ბ-ს ჩვენება ფორმალური ხასიათისაა და მოკლებულია დამაჯერებლობას; მან ვერ გაიხსენა საქმესთან დაკავშირებული რიგი დეტალები, რაც დაზარალებულის ჩვენებას უკარგავს დამაჯერებლობას; მოწმეების – მ. ტ-ს, რ. ჩ-სა და დ. ბ-ს ჩვენებები არის ურთიერთსანიალმდეგო, ხოლო მოწმის სახით დაკითხული პედაგოგების – ე. ე-ს, ნ. მ-სა და გ. გ-ს ჩვენებები ნარმოადგენს ირიბ მტკიცებულებებს; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არ არის კატეგორიული, ხოლო დასკვნის გამცემმა ექსპერტმა ვერ გასცა მათ მიერ დასმულ კითხვებს პასუხი დაზიანებებთან დაკავშირებით, იყო თუ არა ისინი სექსუალური დანაშაულისათვის და-

მახასიათებელი; ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არ შეიძლება შეფასდეს როგორც მტკიცებულება, რადგან ეჭვებეშ დგება ამ დასკვნის ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.

7. ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი კობა სირაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანას, კერძოდ, პ. ფ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საბოლოოდ დანიშნული სასჯელების მთლიან შეკრებას შემდეგი საფუძვლებით: საქმეში არსებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ პ. პ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო სასამართლომ მსჯავრდებული უსაფუძვლოდ გაამართლა ამ ნაწილში და არ გაითვალისწინა მოწმის სახით დაკითხული პოლიციელების, მათ შორის – შ. გ-ს ჩვენება, რომლებითაც დასტურდება, რომ მსჯავრდებულის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთები ცალ-ცალკე დაიღუქა; განაჩენი ასევე უკანონოა სასჯელის ნაწილში, ვინაიდან მსჯავრდებული წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევია, შაგრაძმიუხედავად ამისა, არ გამოსწორდა და კვლავ ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული, რის გამოც სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სასჯელის მთლიანი შეკრების პრინციპი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დასკვნა, რომ მსჯავრდებულ პ. ფ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. ს-ს, თ. ნ-სა და ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ კობა სირაძის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა იზიარებს 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების დასკვნას პ. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლების შესახებ, ხოლო რაც შეეხება სასამართლოების შეფასებას საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით ინკრიმინირებულ ქმედებებში მისი ბრალეულობის თაო-

ბაზე, იგი სავსებით აქმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარის მტკიცებულებების ერთობლიობა, კერძოდ:

3. არასრულნლოვანი დაზარალებულის – მ. ბ-ს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 31 მაისს მათთან სახლში მივიდა პ. ფ-ე, რომელმაც ჯერ მის დებს – ა. და ვ. ბ-ებს სთხოვა მაღაზიაში გაყოლა, ვინაიდან ვალი ჰქონდა და თვითონ ვერ შედიოდა, ხოლო მათგან უარის მიღების შემდეგ მას სთხოვა მაღაზიაში გაყოლა სიგარეტის საყიდლად. მ. მას დასთანხმდა და წაჲყვა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ ნამდვილად ვალი ჰქონდა და ვერ შედიოდა მაღაზიაში გზაში პ. ეკითხებოდა, რა ერქვა და რა გვარი იყო, მეცნიერდი ჰქონდა თუ არა გაზრდილი, მენსტრუაცია თუ ჰქონდა. თავდაპირველად „...“ აფთიაქთან მივიდნენ, რა დროსაც ის სადარბაზოსთან დატოვა, პ. ფ-მ კი რაღაც იყიდა. მაღაზიაში შევიდნენ, შოკოლადები იყიდეს, შემდეგ ისევ „.“ აფთიაქთან მივიდა პ.ფ-ე, მ. კი გვერდით მდებარე ბანკთან დააყენა, უთხრა, არ განძრეულიყო, დალოდებოდა და ისიც მალე მივიდოდა. როდესაც გამოიდა, წამალი ამოიღო პარკიდან, წახევარი მას მისცა, წახევარი თვითონ დალია და უთხრა, დაელია. გზა განაგრძეს, მან წამალი ჩუმად გადმოაგდო, პ. რომ არ დაენახა. „... პარკში“ როდესაც შევიდნენ, დაინახეს გოგო და ბიჭი, ერთმანეთს ეხვეოდნენ, პ-მ უთხრა, „ასე ვართ ჩვენც“. გზა განაგრძეს სოფლის მიმართულებით, რა დროსაც შეხვდათ თეთრი მანქანა და შესთავაზეს პ. ფ-ს სახლამდე მიყვანა, თუმცა მან უარით უპასუხა, ვინაიდან უკვე ახლოს იყვნენ სახლთან. ჩავიდნენ ვენახებში, სადაც მუხა დგას, პ. ფ-მ უთხრა დამჯდარიყო. რამდენიმე ხანში შარგალი და საცვალი ჩახადა. შეეშინდა, უთხრა, რომ დებთან უნდოდა, პ-მ კი უპასუხა, გაჩუმებულიყო, თორემ გაგუდავდა და მოკლავდა, მორჩებოდნენ და მალე წავიდოდნენ. უთხრ ხელებზე და ფეხებზე დამდგარიყო, მას შეეშინდა და შეასრულა. მარჯვენა საჩვენებლ თითზე რაღაც წამოიცვა პ-მ და ჯერ უკანა ტანში, ხოლო შემდეგ წინ მოათავსა, იგრძნო ტკივილი და უთხრა, რომ დებთან უნდოდა, პ-მ კი უპასუხა, გაჩუმდი, თორემ გაგგუდავდა და მოგკლავო. აღნიშნულის შემდეგ პ. ფ-მ შარვალი და საცვალი გაიხადა, სასქესო ორგანოზე რაღაც წამოიცვა და ჯერ უკანა ტანში მოათავსა, ხოლო შემდეგ – მის სასქესო ორგანოში. მ. ბ-მ იგრძნო ძლიერი ტკივილი და სისხლი წამოუვიდა, მომხდარიდან მალე მსჯავრდებული ბალახზე დაწვა და აიძულა მ. ბ-ე, რომ მისი სასქესო ორგანო მოეწოვა. რამ-

დენიმე ხანში პ. ფ-ს ჩაეძინა, ხოლო თვითონ გაიპარა და სახლში მივიდა. მეორე დღეს, როდესაც სკოლაში მიდიოდნენ, ა-ს შეკითხვებს უპასუხა. მომხდარის შესახებ ასევე მოუყვა მამიდას, როდესაც მასთან იყო სახლში. ასევე, 2014 წლის 3 ივნისს, როდესაც სახლში დაბრუნდნენ, მომხდარის შესახებ მოუყვა იქ მყოფებს.

4. მოწმე ა. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 31 მაისს მათთან სახლში მივიდა პ. ფ-ე. მას და ვ-ს სთხოვა მაღაზიაში გაყოლა, ვინაიდან ვალი ჰქონდა და თვითონ ვერ შედიოდა. ა-მ და ვ-მ უარი უთხრეს. აღნიშნულის შემდეგ პ. ფ-ს თხოვნით მ. ბ-ე გაჲყვა მაღაზიაში, მიუხედავად იმისა, რომ მან დაუშალა. სახლში დარჩა ვ. ბ-სა და გ. მ-თან ერთად. მ-ს სახლში მისვლა დააგვინდა. გ. მ-მ უთხრა, რომ ტელეფონით ესაუბრა პ-ს და მალე დაბრუნდებოდნენ. მიუხედავად აღნიშნულისა, მ. არ დაბრუნდა. შემდეგ გ-მ კვლავ დაურეკა პ-ს. ა-ს უთხრა, რომ ... იყვნენ პ. და მ. და მალე დაბრუნდებოდნენ. ლამე, გვიან დაბრუნდა მ. სახლში, რომელიც ეზომი მსხლის ხესთან იდგა და ტიროდა. მისი დის – ვ-ს კითხვაზე, თუ რა მოხდა, პასუხს არ სცემდა. მეორე დილით, როდესაც ის და მ. სკოლაში მიდიოდნენ, ჰქითხა, რა მოხდა წინა დღეს, რა დროსაც მ-მ უპასუხა „არ უნდოდა გახსენება, დავიწყება უნდოდა“ და ტიროდა. მის კითხვებზე „ჩაგხადა“, „შეგეხო“ – მ-მ დადებითი პასუხი გასცა. სკოლაში კლასელს – მ. გ-ს მოუყვა მომხდარის შესახებ, რომელმაც, თავის მხრივ, მასწავლებელს უამბო ა-ს ნათქვამი.

5. მოწმე რ. ჩ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 2 ივნისს, სამი რიცხვი რომ თენდებოდა, მას დაუკავშირდა მისი და – კ. ჩ-ე და უთხრა, რომ მისი შვილი მ. ბ-ე ვიღაცას ჰყავდა წაყვანილი და წანგრები იყო. 3 ივნისს, საღამოს, დეპთან – ფ. და ე. ჩ-თან ერთად მივიდა ... რაიონის სოფელ ..., დ. ბ-ს საცხოვრებელ სახლში. თავიდან არაფერი უთქვამთ, ხოლო მას შემდეგ, რაც ეზომი ყოფნის დროს შემოესმა კივილისა და ტირილის ხმა, შევიდა სახლში და დებისგან გაიგო, რომ 2015 წლის 31 მაისს, დაახლოებით 23:00-00:00 დროის მონაკვეთში პ. ფ-მ მ. ბ-ე წაიყვანა მაღაზიაში და კანფეტები უყიდა, შემდეგ აფთიაქში წამალი და პრეზერვატივი იყიდა. მ. მიიყვანა ვენახებში, მუხასთან და სქესობრივი კავშირი დაამყარა. მოწმის განმარტებით, სანამ სქესობრივ კავშირს დაამყარებდა მ-თან, პ.ფ-ე დაემუქრა მოკვლით.

6. მოწმე მ. ტ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 1 ივნისს მის რძალს, თ.(თ.) ბ-ს დაუკავშირდნენ სკოლიდან და უთხრეს, რომ მისი ძმისშვილი შეშინებული იყო. ა., ვ. და მ. ბ-ები

მიიყვანეს მათთან სახლში, 2015 წლის 3 ივნისს, როდესაც იმყოფებოდნენ ... რაიონის სოფელ ..., ნ. ბ-გან გაიგო, რომ პ. ფ-მ მ. ბ-ე წაიყვანა დამით, აფთიაქში რაღაც იყიდა, მ-ს წამალი მისცა, თუმცა მ-მ არ დალია. შემდეგ ვენახებში შეიყვანა და მასთან წინიდან დაამყარა სქესობრივი კავშირი. ეფერებოდა, ტუჩებში კოცნიდა, ასევე მოეფერა სხეულის ქვედა ნაწილშიც. მამაკაცის სასქესო ორგანო მიადო წინიდან, რა დროსაც მ-ს სისხლი წამოუვიდა და ტკივილი იგრძნო. მოწმის განმარტებით, როდესაც მ. ბ-ე მიიყვანეს მათთან სახლში, ბავშვმა უთხრა, რომ „ქვევით ეფხანებოდა“, შევიდა აბაზანაში და იბანავა. მომხდარის შესახებ 2015 წლის 3 ივნისს ტელეფონით მოუყვა თ. (თ.) ბ-ს.

7. მოწმე თ. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 1 ივნისს სკოლის მასნავლებლებმა მისი ძმის შვილები – ა., ვ. და მ. ბ-ები მიუყვანეს სახლში,... რაიონში. მის კითხვაზე მ-მ არ უპასუხა. როდესაც ბავშვები, დედამისი და მ. ტ-ე ... გამოუშვა, შემდეგ გაიგო, რომ პ. ფ-მ მ. ბ-ე სახლიდან წაიყვანა 31 მაისს. მ-ს წამალი მიაწოდა დასალევად, მ-მ არ დალია, ჩუმად გადმოაგდო. შემდეგ ვენახებში, მუხასთან, მ. ბ-თან სქესობრივი კავშირი დაამყარა წინა მხრიდან. პ. ფ-ე მოკვლით ემუქრებოდა მ. ბ-ს, რომ არ ეთქვა მომხდარის შესახებ. მოწმის განმარტებით, როდესაც მ. ბ-ე აბაზანაში შევიდა, უთხრა, რომ მარტო იბანავებდა და შეყოლა არ უნდოდა. სახლში ნახა საცვალი, რომელიც იყო თეთრი და ქვედა მხარეს ვარდისფერი იყო მთლიანად. აღნიშნული საცვალი გამომძიებლმა ამოილო, ხოლო მან შესაბამის დოკუმენტზე ხელი მოაწერა.

8. მოწმე გ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ... სკოლაში პედაგოგად. 2015 წლის 1 ივნისს სკოლაში ა. ბ-ე ტიროდა. მიუხედავად მისი კითხვისა, პასუხს არ სცემდა. შემდეგ მასთან მივიდა მოსნავლე მ. გ-ე და უთხრა, რომ მ. ბ-ე ლამე, გვიან მეზობლის კაცმა წაიყვანა და მასზე იძალადა. აღნიშნული გადაამოწმა ა-თან, რაც ა-მ დაუდასტურა. მოგვიანებით დირექტორისგან გაიგო (რომელიც ესაუბრა თ. ბ-ს), რომ მ. ბ-ე გააუპატიურა მეზობელმა პ. ფ-მ. ტანსაცმელი გახდა მ-ს და ძალა იხმარა. მ-ზე განხორციელდა სექსუალური ძალადობა.

9. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს მოწმებმა – ... რაიონის სოფელ ... სკოლის დირექტორმა ე. ე-მ და ამავე სკოლის პედაგოგმა ნ. მ-მ.

10. მოწმე დ. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არის მ. ბ-ს მამა. 2015 წლის 1 ივნისს, ორშაბათს, საღამოს, დაურევა ძმის-შვილმა და უთხრა, ჩასულიყო უბანში და გაერკვია, რა ხდებოდა ბავშვებთან დაკავშირებით. როდესაც მივიდა სახლში, მ. ბ-

სა და შ-გან შეიტყო, რომ პ. ფ-მ მ. ბ-ე გააუპატიურა. ამბის გა-სარკვევად დაურეკა პ-ს, თუმცა მას ტელეფონი გამორთული ჰქონდა. მოგვიანებით თავად პ. დაუკავშირდა და უთხრა, რომ ნახვა უნდოდა. შემდეგ პირადად მ-მ დეტალურად უამბო მომ-ხდარი ფაქტის შესახებ. მოწმის განმარტებით, იგი შეხვდა პ. ფ-ს, თუმცა მან ყველაფერი უარყო.

11. მოწმე მ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს, ... ქუჩაზე მდებარე „...“ აფთიაქში. 2015 წლის 31 მაისს იგი მორიგე იყო, ამ დროს აფთიაქში მივიდა მამაკაცი, რომელმაც იკითხა ნამალი – „...“ და რა დოზები ჰქონდათ, რაზეც უპასუხა, რომ ჰქონდათ – 50 და 100 – მილიგრამიანი აბები. მომხმარებელმა მოითხოვა – 50 – მილიგრამიანი ორი აბი. მ. მ-მ გამოუწერა და გადასცა. დაახლოებით 15 წუთში ისევ მივიდა აღნიშნული პირი და იყიდა წყალი. იგი იყო 40 წლამდე ასაკის მამაკაცი, საშუალო აღნაგობის, შავი ზედა ეცვა. გამომძიებელმა აფთიაქის ვიდეო-კამერები რამდენიმე დღის შემდეგ დაათვალიერა, რომელშიც მონაწილეობდნენ – აფთიაქის მენეჯერი, ლ. პ-ი და თავად იგი. შედგა დოკუმენტი, რომელსაც მან მოაწერა ხელი. გამომძიე-ბელს გადასცეს 31 მაისს გამოწერილი ფაქტურა და ჩეკი.

12. მოწმე თ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ... ქუ-ჩაზე მდებარე „...“ აფთიაქში. 2015 წლის ივნისში გამომძიებელ-მა დაათვალიერა და ამოილო მითითებული აფთიაქის გარე სათ-ვალთვალო ვიდეოკამერების ჩანაწერები. გამომძიებლმა შეად-გინა ოქმი, რაც დაადასტურა ხელის მოწერით.

13. მოწმების: ლ. პ-ს, ა. ვ-ს, პ. ლ-ს, ა. ა-ს, ზ. გ-სა და თ. შ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ ისინი მუშაობენ ... შს რაიონულ სამმართველოში და პ. ფ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმე-ზე ჩაატარეს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები.

14. პ. ფ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ტელეფონი, სიგარეტის ვერ-ცხლისფერ ქაღალდში მოთავსებულ ფხვნილისებრი მასა, ტყა-ვის შავი საფულე და მომწვანო ხელჩანთა, რომელშიც მოთავ-სებული იყო ტანსაცმელი, თეთრეული, პირსახოცი და საყოფაც-ხოვრებო ნივთები.

15. 2015 წლის 4 ივნისის დათვალიერების ოქმით დადგენი-ლია, რომ ღამით, ხელოვნური განათების პირობებში დათვალი-ერდა თ. ბ-ს მიერ ნარმოდგენილი, მ. ბ-ს კუთვნილი ქვედა საც-ვალი, რომელიც არის მოვარდისფრო, ღია მწვანე სარტყელე-ბით, გამჭვირვალე და ნითელი თვლების ორნამენტით. ქვედა საცვალზე აღინიშნება სისხლისმაგვარი ლაქები. დათვალიერე-ბის შემდეგ გამომძიებელმა მ. ბ-ს ქვედა საცვალი ამოილო და

დალუქა პოლიეთილენის პარკში – № ... ლუქის ბეჭდით – „1“ ფუთად.

16. ქიმიური ექსპერტიზის 2015 წლის 5 ივნისის №... დასკვნით, ექსპერტიზაზე წარდგენილი, პ. ფ-ს პირადი ჩხრევის შედეგად ამოღებული მოყავისფრო ფხვიერი ნივთიერება, საერთო წონით – 1.021 გრამი, შეიცავს – 0. 251027 გრამ ნარკოტიკულ სამუალება „ჰეროინს“.

17. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2015 წლის 5 ივნისის №... დასკვნით დადგენილია, რომ 04.06.15 წ. 17:20 საათზე ჩატარებული მ. ბ-ს პირადი გასინჯვით, მისი საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეული არ არის – მთელია. საქალწულე აპკის მიმდებარედ, ლორწოვანზე აღინიშნებოდა დაზიანებები მუქი მოწითალო სისხლჩაქცევების სახით. დაზიანებები მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით (შესაძლებელია, ერეგირებული სასქესო ასოთი) და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს. ასევე პირადი გასინჯვით უკანა ტანის არეში აღინიშნებოდა დაზიანებები ნასკდომების სახით, მიმდებარედ – მუქი მოწითალო სისხლჩაქცევებით. დაზიანებები მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით (შესაძლებელია, ერეგირებული სასქესო ასოთი) და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დაგენილებაში მითითებულ თარიღს.

18. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა მ. ნ-მ.

19. ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის 2015 წლის 24 აგვისტოს №... დასკვნით დადგენილია შემდეგი: პაკეტში წარნერით – „...მ. ბ-ს ქვედა საცვალი“ მოთავსებულ საცვალზე არსებული, ბიოლოგიური სითხეებისათვის დამახასიათებელი ნათების მქონე ლაქებში (ობ. №3) სპერმა არ აღმოჩნდა. ობ. №3-ში არსებული ბიომასალის შერეული გენეტიკური პროფილის ერთი წილი და მ. ბ-ს (ობ. №25) მეორე წილი და პ. ფ-ს (ობ. №26) გენეტიკური პროფილი იდენტურია. საცვალზე არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები (ობ. №4) წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი და მ. ბ-ს (ობ. №25) გენეტიკური პროფილი იდენტურია; პაკეტში წარნერით – „... მ. ბ-ს მაისური“ მოთავსებულ მაისურზე არსებულ მოთეთრო ლაქებში (ობ. №5,7) სპერმა არ აღმოჩნდა. ამავე მაისურზე არსებული მოწითალო ელფერის ლაქს (ობ. №6) სისხლს არ შეიცავს. ობ. №5,6,7-ში არსებული ბიომასალის შერეული გენეტიკური პროფილების ერთი წილი და მ. ბ-ს (ობ. №25)

გენეტიკური პროფილი იდენტურია. ობ. №5,6,7-ის პროფილებში პ. ფ-ს (ობ. №26) გენეტიკური თანამონაწილეობა გამორიცხული არ არის.

20. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე დაადასტურეს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – ი. მ-მ და თ. გ-მ.

21. მოწმის სახით დაკითხული ექსპერტის – თ. გ-ს განმარტებით, მ. ბ-ს საცვლის შიდა ნაწილზე აღმოჩენილი ბიომასალა, რომელიც ეპუთვნის პ. ფ-ს, სავარაუდოდ, შეიძლება დარჩენილიყონ ბიომასალის უშუალო შეხებით და შესაძლებელია, ის წარმოადგენდეს ნერწყვს ან გამონადენს.

22. შპს „...“ ფარმაცევტ მ. მ-ს მიერ წარდგენილი ფაქტურის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ პ. ფ-მ აღნიშნულ აფთიაქში 2015 წლის 31 მაისს შეიძინა მედიკამენტ „...“ ორი აბი.

23. პრეპარატ „...“ გამოყენების ინსტრუქციით დადგენილია, რომ მისი ჩვენება არის სხვადასხვა ეტიოლოგიის ერექციული დისფუნქცია, ხოლო მიღების წესსა და დოზირებაში მითითებულია, რომ სილდენაფილის ეფექტურობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სექსუალური სტიმულაცია.

24. 2015 წლის 31 მაისს შედგენილი, აფთიაქ „...“ ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ 2015 წლის 31 მაისს, ღამის საათებში, პ. ფ-ე მიღის „...“ აფთიაქის სარკმელთან. ლოდინის შემდეგ სარკმლიდან მას აწვდიან პაკეტს. ამ დროს მ. ბ-ე იმყოფება სადარბაზოს შესასვლელთან. ვიდეომასალაზე ასევე აღბეჭდილია მ. ბ-სა და პ. ფ-ს მოძრაობა მაღაზიიდან აფთიაქის მიმართულებით, რა დროსაც პ. ფ-ე „ხელის მოძრაობას ახორციელებს მ. ბ-ს მიმართულებით“.

25. 2015 წლის 31 მაისს შედგენილი, „...“ ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ 2015 წლის 31 მაისს პ. ფ-ე მოძრაობს მ. ბ-თან ერთად. გარკვეული პერიოდის შემდეგ კადრში ჩნდება მ. ბ-ე, რომელიც არის მარტო და ელოდება პ. ფ-ს. მისი გამოჩენისთანავე, მ. ბ-ე მასთან ერთად აგრძელებს მოძრაობას.

26. 2015 წლის 5 ივნისის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ გამომძიებელმა დაათვალიერა და შემდეგ ამოილო მ. ბ-ს კუთვნილი მასური, რომელიც მას ეცვა 2015 წლის 31 მაისს.

27. 2015 წლის 4 ივნისს შედგენილი საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დადგენილია, რომ მოწმე მ. ბ-ე ნებაყოფლობით მონაწილეობდა საგამოძიებო ექსპერიმენტში, რა დროსაც გამოძიებას თანმიმდევრობით უჩვენა ის ადგილები, სადაც პ. ფ-თან ერთად იმყოფებოდა, მათ შორის – ის ადგილიც, სადაც პ.

ფ-მ მასთან დაამყარა სქესობრივი კავშირი.

28. დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში უთითებს შემდეგს:

– ბრალდების მხარის ინიციატივით ჩატარებული ამბულატორიული ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დადგენილია, რომ მ. ბ-ს, მცირენლოვანი ასაკისა და ასაკობრივი ინფანტილიზმის გამო, არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს მოვლენები, მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში და მისცეს ჩვენება. მოცემული ექსპერტიზის დასკვნის მიუხედავად, მ. ბ-ე წარმოადგენს ბრალდების მხარის ერთადერთ პირდაპირ მოწმეს და მტკიცებულებას, რაც დაუშვებელია, ვინაიდან საქართველოს სსსკ-ის 75-ე მხელის საფუძველზე მოწმის ჩვენება მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება, თუ დადგინდება, რომ მას ფსიქიური ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია – სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

– გარდა ამისა, არასრულნოვანი დაზარალებულის – მ. ბ-ს ჩვენება არის არადამაჯერებელი და ფორმალური ხასიათის, რაც დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწვეულმა ფსიქოლოგმა; დაზარალებულმა სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს ვერ გაიხსენა, თუ რა ნივთები დარჩა მამიდასთან და რა ნივთები შეიძინა მაღაზიაში პ. ფ-თან ერთად, ერთმანეთისაგან ვერ განასხვავა მარჯვენა და მარცხენა ხელი, ვერ განსაზღვრა, რა მანძილი იქნებოდა მისი სახლიდან სასამართლომდე; მ. ბ-მ სასამართლოში დაკითხვისას განმარტა, რომ მან მომხდარი ფაქტის შესახებ უამბო მამიდას – თ. ბ-ს, რომელმაც მოწმის სახით დაკითხვისას არ დაადასტურა აღნიშნული; არადამაჯერებელია მ. ბ-ს ჩვენება იმ ნაწილშიც, რომ მან შარვალი, რომელიც მომხდარი შემთხვევის დღეს ეცვა, დაწვა, ვინაიდან მითითებულ ნამწვევი არ არის ჩატარებული შესაბამისი ექსპერტიზა.

– მოწმეების – მ. ტ-ს, რ. ჩ-სა და დ. ბ-ს ჩვენებები არის ურთიერთსანინააღმდეგო, ხოლო პედაგოგების ჩვენებები კი არის ირიბი მტკიცებულებები.

29. კასატორების აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, როგორც წესი, არ არის საჯარო ხასიათის, რის გამოც მითითებული კატეგორიის საქმეებზე უმეტეს შემთხვევაში დანაშაულის შემსწრე უშუალო თვითმხილველი მოწმეები არ არსებობენ. შესაბამისად, მსგავსი კატეგორიის საქმეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის ჩვენებას

და მის თანხვედრას საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებითან. დაზარალებულ მ. ბ-ს ჩვენება საკასაციო პალატას მიაჩნია სარწმუნო და უტყუარ მტკიცებულებად, შემდეგ გარემოებათა გამო:

— საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექ-სპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით და მიუთითებს, შემ-დეგა: ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ მ. ბ-ე ფსიქი-კურად დაავადებული არ არის. იგი არის სრულიად ჯანმრთელი. დასკვნის სისწორე დაადასტურეს მისმა გამცემმა ექსპერტებ-მა – თ. ჭ-მ და ე. ა-მ. საქმის სასამართლოში განხილვის დროს თ. ჭ-მ განმარტა, რომ დაზარალებულ მ. ბ-ს თავისი ასაკის შესაბა-მისად შეუძლია მომხდარი ფაქტების გადმოცემა. მას არ შეუძლია პოლემიკა გამართოს სხვებთან სადაც საკითხების გადა-საწყვეტად და გარკვეულ საკითხებზე იმსჯელოს როგორც ზრდასრულმა პირმა, არა ფსიქიური ნაკლის გამო, არამედ მი-სი ასაკიდან გამომდინარე. აღნიშნული ასევე დაადასტურა მოწ-მის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ე. ა-მ, რომელმაც ცალსა-ხად მიუთითა, რომ მ. ბ-ე არის ასაკის შესაბამისად განვითარე-ბული. მას შეუძლია მომხდარი ფაქტებისა და მოვლენების გად-მოცემა და აღწერა.

— რაც შეეხება დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ არასრულ-ნლოვანმა დაზარალებულმა სასამართლოში მოწმის სახით ჩვე-ნების მიცემის დროს ვერ გაიხსენა ზემომითითებული დეტა-ლები, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვე-ვაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დაზა-რალებულის ასაკზე. იგი არის მცირეწლოვანი – 20.. წელს დაბა-დებული. მის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება საეჭვო და არადამაჯერებელი სწორედ მაშინ იქნებოდა, თუ მცირეწ-ლოვანი დაზარალებული ყველა დეტალს ამომწურავად და ზედ-მინვენით სწორად გაიხსენებდა. ამასთან, აღსანიშნავია ის გა-რემობაც, რომ დაცვის მხარის მიერ მითითებული გარემოებე-ბი უკავშირდება მხოლოდ ისეთ დეტალებს, რომლებსაც არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა და გავლენას ვერ მოახდენს პ. ფ-ს დამნაშავეობა /უდანაშაულობაზე. გარდა ამისა, საქმეში არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც, თუნდაც ვარაუდის დონეზე, მიუთითებს, რომ არასრულწლო-ვანი დაზარალებული მ. ბ-ე არის დაინტერესებული პირი, რომ მას გააჩნდა რაიმე მიზეზი და საბაზი იმისათვის, რომ მიეცა ცრუ ჩვენება პ. ფ-ს წინააღმდეგ და მისთვის დაებრალებინა აღნიშ-ნული ქმედების ჩადენა.

– საქმეზე „SN შვედეთის წინააღმდეგ“¹ ადამიანის უფლება-თა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სქესობრივ დანაშაულთა საქმეების განხილვის თავისებურებებზე და აღნიშნა, რომ მსგავს საქმეებზე, როგორც წესი, საქმის სასამართლოში განხილვას დაზარალებული აღიქვამს როგორც უმძიმეს გამოცდას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას უწევს ბრალდებულთან დაპირისპირება, რაც უფრო მძაფრად იჩენს თავს მაშინ, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვან დაზარალებულს. მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მუხლის დარღვევა არ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ საქმის სასამართლო განხილვისას მცირებულოვანი დაზარალებული არ დაკითხულა. პ. ფ-ს მსჯავრდების საქმეში არასრულწლოვანი დაზარალებული მ. ბ-ე სასამართლო სხდომაზე დაიკითხა მოწმის სახით, რა დროსაც დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, მისთვის დაესვა კითხვები და შეემოწმებინა მისი ჩვენების სანდოობა. მ. ბ-მ თანმიმდევრობით და სრულყოფილად აღნერა პ. ფ-ს მიერ მის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები და მხოლოდ ის ფაქტი, რომ მან ვერ გაიხსენა უმნიშვნელო დეტალები, არ შეიძლება გახდეს მისი ჩვენების უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

30. ამდენად, გარდა იმისა, რომ დაზარალებულის ჩვენება არის თანმიმდევრული, სარწმუნო და დამაჯერებელი, იგი სრულად თანხვდენილია საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან, კერძოდ:

– სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნაზე, რომლითაც დადგენილია, რომ მ. ბ-ს საქალწულე აპეის მიმდებარედ აღნიშნებოდა მოწითალო სისხლჩაქცევები, რომლებიც მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით (შესაძლებელია, ერეგირებული სასქესო ასოთი), ხოლო უკანა ტანის არეში – დაზიანებები ნასკოდომის სახით, რომლებიც მიყენებულია მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით (შესაძლებელია, ერეგირებული სასქესო ასოთი); აგრეთვე ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის №... დასკვნაზე, რომლითაც დადგენილია, რომ მ. ბ-ს ქვედა საცვალზე აღმოჩენილი ბიომასალის შერეული გენეტიკური პროფილის ერთი ნაწილი (ობ. №5) – მ. ბ-ს, მეორე ნაწილი კი პ. ფ-ს (ობ. №26) გენეტიკური პროფილის

¹ S.N. v. Sweden (no. 34209/96,)

იდენტურია, ხოლო საცვალზე აღმოჩენილი სისხლი მ. ბ-ს (ობ. №25) გენეტიკური პროფილის იდენტურია; მ. ბ-ს მასურზე ერთი ნაწილი მისი გენეტიკური პროფილის იდენტურია (ობ. №35), (ობ. №6.7)-ის პროფილებში კი პ. ფ-ს (ობ. №26) თანამონაწილეობა არ გამოირიცხება;

— „...“ აფთაქიდან და „...“ ამოლებულ ვიდეო ჩანაწერთან, რომლითაც დადგენილია, რომ დანაშაულის ჩადენის დროს პ. ფ-ე მ. ბ-თან ერთად გადაადგილდებოდა; საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმთან, რომელშიც მ. ბ-მ თანმიმდევრობით უჩვენა ყველა ის ადგილი, სადაც პ. ფ-თან ერთად იმყოფებოდა და სადაც ამ უკანასკნელმა ჩაიდინა დანაშაული.

— მოწმეების: ა. ბ-ს, რ. ჩ-ს, მ. ტ-ს, თ. ბ-ს, გ. გ-ს, ე. ე-ს, ნ. მ-ს, თ. ბ-ს, დ. ბ-ს, თ. კ-ს, მ. მ-ს, ლ. პ-ს, ა. ვ-ს, პ. ლ-ს, ა. ა-ს, ზ. გ-ს, ექსპერტების – მ. ნ-ს, თ. გ-ს, ი. მ-ს, თ. ჭ-სა და ე. ა-ს ჩვენებებთან.

31. გარდა ამისა, საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის საკასაციო საჩივარში წარმოდგენილ სხვა მოტივებსაც, კერძოდ: კასატორები უთითებენ, რომ სამედიცინო ექსპერტიზის ჩამტარებელმა ექსპერტმა ვერ უპასუხა დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებულ დაცვის მხარის მიერ დასმულ კითხვებს, რაც უსაფუძვლოა, რადგან სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა მ. ნ-მ დაადასტურა მისი მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და ამასთანავე – ამომწურავად განმარტა ჩატარებული ექსპერტიზის დეტალები და შედეგები; კასატორებს ასევე აეჭვებთ პიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის კანონიერების საკითხი, თუმცა საქმის მასალების შესწავლისა და განაალიზების შედეგად რაიმე სახის საპროცესო დარღვევა მათი მოპოვებისა და გამოკვლევისას არ გამოვლენილა; ისინი ასევე უთითებენ, რომ მოწმეების – მ. ტ-ს, რ. ჩ-სა და დ. ბ-ს ჩვენებები არის ურთიერთსანინააღმდეგო, რასაც საკასაციო პალატა არ ეთანხმება და მიუთითებს, რომ მათ ჩვენებებს შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა არ არის.

32. რაც შეეხება ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში პ. ფ-ს დამნაშავედ ცნობის შესახებ, საკასაციო პალატა ამ ნაწილშიც მთლიანად იზიარებს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების არგუმენტებს მსჯავრდებულ პ. ფ-ს მოცემულ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობის შესახებ და მიუთითებს: პ. ფ-ს და-

კავებისა და პირადი ჩერეკის ოქმით დადგენილია, რომ მისგან ამოღებული ნივთები: ტელეფონი, სიგარეტის ვერცხლისფერ ქალალდში მოთავსებული ფხვნილისებრი მასა, ტყავის შავი საფულე მოთავსდა პოლიეთილენის პარკში, რომელიც დაილუქა №... ლუქით და, შესაბამისად, გაკეთდა სათანადო ხელმოწერა.

3. ფ-ს თან ჰქონდა ასევე მომწერნო ხელჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო ტანსაცმელი, თეთრეული, პირსახოცი და საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც ასევე დაილუქა №... ლუქით. აღნიშნულით ცალსახად დგინდება, რომ გამოყენებული იყო მხოლოდ ორი ლუქი. სასამართლო სხდომაზე ნივთმტკიცებათა დათვალიერებისა და გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ნივთები (მობილური ტელეფონი, ტყავის საფულე და ფხვნილისებრი მასა) დალუქებული იყო (ცალ - ცალკი პაკეტებად, რითაც დგინდება, რომ პირადი ჩერეკის დროს გამოყენებული იყო № ... - 4 (ოთხი) ლუქი, საქმეში კი არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა პირადი ჩერეკის შედეგად ამოღებულ ნივთმტკიცებათა განლუქვისა და მათი ცალ-ცალკე დალუქვის ფაქტს. საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცებულება „დაუშვებელია, თუ იყი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ“. შესაბამისად, ვინაიდან არ არის უარყოფილი გონივრული ეჭვი ნივთმტკიცებათა შესაძლო გამოცვლისა და მისი ნიშან-თვისებების აშკარა შეცვლის თაობაზე, ხსენებული ჩერეკის ოქმი საფუძვლად ვერ დაედება პ. ფ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

33. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ამასთან, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

34. საქმეში „ფეოდოროვი მოლდოვის წინააღმდეგ“² ევრო-სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის გარემოებების დასადგენად სასამართლო ითვალისწინებს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტს, რომ ასეთი მტკიცებულება წარმოიქმნება მხოლოდ შეთანხმებული, საკმარისად ძლიერი, აშკარა და დამაჯერებელი დასკვნებით ან გაუბათილებელი პრეზუმეციით.

35. რაც შეეხება პ. ფ-ს მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მითითებული კვალიფიკაციის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განსჩენი საკასაციო პალატას ასევე მიაჩნია კანონიერად, რაც არც მხარეებს გაუხდიათ სადაცოდ, შესაბამისად, საკასაციო პალატა დამატებით აღარ მსჯელობს მოცემულ საკითხზე.

36. საკასაციო პალატამ ასევე იმსჯელა მსჯავრდებულისათვის განსაზღვრულ სასჯელთან დაკავშირებით (გარდა ძირითადი მოთხოვნებისა, ბრალდების მხარემ ასევე ითხოვა სასჯელის განსაზღვრა სასჯელთა მთლიანი შეკრების პრინციპით, ხოლო დაცვის მხარემ – საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება და არასაპატიმრო სასჯელის განსაზღვრა) და მიაჩნია, რომ შეფარდებული სასჯელი სავსებით შეესაბამება როგორც ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებულ გარემოებებს, ასევე მისი ჩამდენის პიროვნებას: პ. ფ-მ ჩაიდინა – 3 სხვადასხვა დანაშაული, რომელთაგან ორი მიმართულია მცირებლოვანი დაზარალებულის წინააღმდეგ, ამასთან, იგი წარსულში ნასამართლევია. პ. ფ-ს პიროვნებიდან და დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის როგორც გამკაცრება, ისე შემსუბუქება ვერ იქნება მიჩნეული აუცილებელ და საჭირო ზომად მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ პ. ფ-თვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი – 23 წლით თავისუფლების აღკვეთა – არის სამართლიანი და უნდა დარჩეს უცვლელად.

37. ამასთან, ვინაიდან არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენებში არასრულწლოვანი დაზარალებულის – მ. ბ-სა და მისი კანონიერი წარმომადგენლი-სათვის განმარტებული არ არის საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით

² Feodorov v. The Republic of Moldova (no. 42434/ 06, 29.01.2014).

გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, საკასაციო პალატა მითითებული ნორმის საფუძველზე არასრულწლოვან დაზარალებულ მ. ბ-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვის საბოლოო შედეგებს და განუმარტავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ პ. ფ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. ს-ს, თ. ნ-სა და ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ კობა სირაძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 დეკემბრის განაჩენი პ. ფ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

3. დაზარალებულ მ. ბ-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს განემარტოთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შესახებ.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გაუკატიურება

განაჩენი

№251აპ-17

27 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

3. სილაგაძე (თავმჯდომარე),
6. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ს. კ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაი-
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2017 წლის 17 მარტის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 დეკემბრის განაჩენით:

ს. კ-ე, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესა-
ჯა: საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვე-
პუნქტით – 12 წლით, ხოლო სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით
– 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე
მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შე-
იკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე
მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დანიშნულ სასჯელს – 12
წელს – ნაწილობრივ დაემატა სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწი-
ლით დანიშნული სასჯელის – 7 წლით თავისუფლების აღკვეთის
ნაწილი – 4 წელი და ს. კ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 16
წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა დაწყო
დაკავების მომენტიდან – 2016 წლის 13 აგვისტოდან.

საქმეზე დართული საგნები და ნივთები: დაზარალებულ მ.
ს-ნ აღებული და საექსპერტო კვლევის შედეგად დაბრუნებუ-
ლი ორივე ხელის თითების ფრჩხილისა და ნერწყვის ნიმუშები,
ს. კ-ნ აღებული და საექსპერტო კვლევის შედეგად დაბრუნე-
ბული თმის, ნერწყვისა და ორივე ხელის თითების ფრჩხილის
ნიმუშები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამო-
ლებული და საექსპერტო კვლევის შედეგად დაბრუნებული
მომწვანო ფერის ქსოვილი (ნაჭრის ნაგლეჯი), შემთხვევის ად-
გილის დათვალიერების დროს ამოლებული და საექსპერტო
კვლევის შედეგად დაბრუნებული ნიადაგის ნიმუში, რომლებიც
ინახება ზესტაფონის რაიონულ სამმართველოში, უნდა განად-

გურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული და საექსპერტო კვლევის შედეგად დაბრუნებული მოლურჯო ფერის სანოლის გადასაფარებელი, ე.წ. „ადიელა“, მოწითალო ფერის „ადიელა“, იასამნისფერი ბალიშის პირი, მ. ს-ს ტანსაცმელი (მოწვანო ფერის მასური, მოშავო ფერის პირი, მოწითალო ფერის ტრუსი), რომლებიც ინახება ზესტაფონის რაიონულ სამართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მ. ს-ს;

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს გადაღებული ფოტოსურათების ამსახველი CD დისკები, რომლებიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით;

დათვალიერების შედეგად ამოღებული ს. კ-ს ტანსაცმელი (შავი ჯინის შარვალი და ნაცრისფერი თეთრზოლებიანი პერანგი), რომლებიც ინახება ზესტაფონის რაიონულ სამართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ს. კ-ს ანდა მისი ოჯახის წევრს.

2. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. კ-მ ჩაიდინა: გაუპატიურების მცდელობა, ესე იგი სქესობრივი კავშირის მცდელობა ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ჩადენილი არაერთგზის; სექსუალური ხასიათის ძალამორეობითი მოქმედება, ანუ სექსუალური კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით.

მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 25 სექტემბრის განაჩენით ს. კ-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. ს. კ-ე პენიტენციური დაწესებულებიდან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 2015 წლის მაისში, რის შემდეგაც, გაუპატიურებისთვის ნასამართლებმა, კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ: 2016 წლის 12 აგვისტოს ზ-ს რაიონის სოფელ შ-ი იმავე სოფელში მცხოვრებმა მთვრალმა ს. კ-მ განიზრახა სქესობრივი ჟინის დაკმაყოფილების მიზნით, ძალადობით, სქესობრივი კავშირი დაემყარებინა მეზობელთან, 62 წლის მ. ს-ნ. ისარგებლა იმით, რომ მ. ს-ს მეუღლე სამსახურში იმყოფებოდა და იმ დროს მ. ს-ე სახლში მარტო იყო, ხოლო თვით ს. კ-ს მეუღლე და შვილი სახლში

არ იყვნენ და დაახლოებით 21:00 საათზე მივიდა მ. ს-ნ სახლში და მოატყუა, რომ თითქოსდა მისი მეუღლე, ი. კ-ე შეუძლოდ გახდა და სთხოვა მისთვის ნემსის გაკეთება. მ. ს-მ დაიჯერა მისი ნათქვამი და გაჰყვა ს. კ-ს სახლში. ოთახში შესვლისას მ. ს-მ ნახა, რომ ი. კ-ე სახლში არ იმყოფებოდა. ვინაიდან ს. კ-ს ადრე ჩადენილი ჰქონდა მეზობლის, ასაკოვანი ქალბატონის გაუპატიურების მცდელობა, მ. კ-ე მიხვდა ს. კ-ს დანაშაულებრივ განზრახვას და გამოიქცა სახლიდან. მას დაედევნა ს. კ-ე, რომელმაც ხელი ძლიერად დაარტყა ზურგში და იგი კიბეზე წააქცია, რის შემდეგაც ეზოში უთხრა, რომ სურდა შასთან სქესობრივი კავშირის დამყარება. ამასთანავე, ს. კ-ე მას სახეში ურტყამდა ხელს და ემუქრებოდა შვილიშვილებისა და მეუღლის მოკვლით, სახლის გადაწვით, თუ მომხდარის შესახებ ვინმეს ეტყოდა. შემდეგ მ. ს-მ მოახერხა ს. კ-ნ თავის დაღწევა და გაიქცა, თუმცა ს. კ-ე დაედევნა, დაიმორჩილა, მინაზე წააქცია, შემოახია ტანსაცმელი და გახადა ტრუსი. ს. კ-მ თავადაც გაიხადა ტანსაცმელი სქესობრივი კავშირის დასამყარებლად. ვინაიდან მ. ს-მ აქტიური წინააღმდეგობა გაუწია ს. კ-ს, რომელმაც იმავდროულად ვერ განიცადა ერექცია მისგან დამოუკიდებელი აღნიშნული გარემოებების გამო, ს. კ-მ ვერ შეძლო განხორციელებული ძალადობითა და ძალადობის მუქარით მ. ს-ნ სქესობრივი კავშირის დამყარება. ამის მიუხედავად, სქესობრივი ჟინის დასაკმაყოფილებლად, ს. კ-მ მ. ს-ე ძალადობით დაიმორჩილა, თავისი სასქესო ორგანო ძალადობით მოათავსა მ. ს-ს პირის ღრუში, ხოლო ხელის თითი – მის სასქესო ორგანოში, რის შემდეგაც მან დაზარალებული შეიყვანა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, სადაც დამხმარე სათავსების კედლებს შორის, ძალადობითა და მოკელის მუქარით მუხლებზე დააჩიქა, ხელი მოუჭირა ყბებზე, ძალით გააღებინა პირი და თავისი სასქესო ორგანო კვლავ მოათავსა მ. ს-ს პირის ღრუში, რა დროსაც მ. ს-ე გახდა ცუდად. ს. კ-მ მ. ს-ე შეიყვანა მის საცხოვრებელ სახლში, შიშველი დააწვინა საწოლზე და თითო მოათავსა მის სასქესო ორგანოში. შემდეგ ს. კ-ს შეეშინდა მხილების და მიიმაღალა შემთხვევის ადგილიდან, ხოლო მ. ს-მ მომხდარის შესახებ შეატყობინა მეზობებსა და ოჯახის წევრებს.

3. ზესტაცონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ს. კ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ო-მ, რომლებმაც მოითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას, საბო-

ლოო სიტყვის წარმოთქმისას, მსჯავრდებულმა ს. კ-მ დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, აღიარა ჩადენილი დანაშაული და იშუამდგომლა სასჯელის შემსუბუქება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის განაჩენით მსჯავრდებულ ს. კ-ა და მისი ინტერესების დამცველის, აღვოკატ თ. ო-ს დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა მსჯავრდებულის სასიკეთოდ სასჯელის ნაწილში, კერძოდ:

ს. კ-ე ცნობილ იქნა დამწამვედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 12 წლით, ხოლო სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეფარდებულ სასჯელს – 12 წელს – ნაწილობრივ დაემატა სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შეფარდებული სასჯელის – 7 წლით თავისუფლების აღკვეთის ნაწილი – 2 წელი და ს. კ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათველა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2016 წლის 13 აგვისტოდან.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ს. კ-მ. კასატორი საჩივარში აღნიშნავს, რომ, მართალია, იგი წინასწარ გამოძიებაში, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ ამჟამად სრულად აღიარებს, რისი გათვალისწინებითაც ითხოვს დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სახეციის მინიმუმის განსაზღვრას, ასევე – უფრო მკაცრი სასჯელის მიერ ნაკლებად მკაცრის შთანთქმას და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით დანიშნული სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ ს. კ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყო-

ფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ს. კ-მ წამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები, რასაც არც თავად მსჯავრდებული ხდის სადაცვოდ.

3. რაც შეეხება მსჯავრდებულ ს. კ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ სასჯელის განასაზღვრისას სრულად გაითვალისწინა საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნები, დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ: დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგონ ნება, მოვალეობათა დარღვევის ხსიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ ასევე გაითვალისწინა, რომ მსჯავრდებულმა ს. კ-მ აღიარა და მოაწენა ჩადენილი დანაშაული, რის საფუძველზეც პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება – 2 წლით. ყოველივე აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს სასჯელის ზომის კიდევ უფრო შემსუბუქების საფუძველი.

4. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონით შეიცვალა საქართველოს სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლების საკანონმდებლო კონსტრუქციები, რის შესაბამისადაც, საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის დისპოზიციამ (ახალი რედაქცია) მთლიანად მოიცვა სსკ-ის 138-ე მუხლით (ძველი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

5. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ ს. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება – სექსუალური ხსიათის ძალმომრეობითი მოქმედება, ანუ სექსუალური კონტაქტი გაუკუდმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძველი რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას,

შეესაბამება საქართველოს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლ ნაწილს (გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით), რაც ასევე ითვალისწინებს 6-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

6. შესაბამისად, მითითებული ცვლილების თანახმად, მსჯავრდებულ ს. კ-ს საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 138-ე მუხლის 1-ლ ნაწილით მსჯავრად შერაცხული ორივე ქმედება (1. გაუპატიურების მცდელობა, ესე იგი სექსობრივი კავშირის მცდელობა ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ჩადენილი არაერთგზის; 2. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, ანუ სექსუალური კონტაქტი გაუკულმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით) ერთობლივად ნარმოადგენს საქართველოს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ დამთავრებულ დანაშაულს (გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით), მაგრამ საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ს. კ-ს საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ძველი რედაქცია) მსჯავრი დაედო გაუპატიურების მცდელობისათვის, რის გამოც საკასაციო პალატა ბრალდების მითითებულ ნაწილში არ არის უფლებამოსილი, გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა და მისი ქმედება დააკვალიფიციროს როგორც დამთავრებული დანაშაული, ხოლო რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხულ მსჯავრდებას, ამ ნაწილში მსჯავრდებულ ს. კ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (ძველი რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (2017 წლის 4 მაისის კანონი, რომლის მე-2 მუხლის თანახმად, მითითებული კანონით საქართველოს სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლებში განხორციელებული ცვლილებები უნდა გავრცელდეს არათუ დაუსრულებელ, არამედ დასრულებული სამართალწარმოების საქმეებზეც).

7. რაც შეეხება სასჯელს, ვინაიდან კანონში შესული ხსენებული ცვლილების შესაბამისად, მსჯავრდებულ ს. კ-ს მიერ ჩადენილი ორივე დანაშაულებრივი ქმედება ნარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, მას სასჯელი უნდა განესაზღვროს მხოლოდ ერთი მუხლით –

საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: ს. კ-ს საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხული მსჯავრდება უნდა დარჩეს უცლელად, ხოლო სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხული მსჯავრდება უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე. ამასთან, მსჯავრდებულ ს. კ-ს სასჯელი უნდა განეხსაზღვროს საქართველოს სსკ-ის 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ს. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ს. კ-ს დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძველი რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (2017 წლის 4 მაისის რედაქცია).

4. მსჯავრდებული ს. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 19, 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. ს. კ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2016 წლის 13 აგვისტოდან.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივარდება.

3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ნინააღმდებ

თავისუფლების უკანონო აღკვეთა

განაჩენი

№75აპ-17

4 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატაში შემდეგი შემადგენლობით:
3. სილაგაძე (თავმჯდომარე),
6. გვენეტაძე,
8. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – ს. თ-ა და გ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. წ-ს, მსჯავრდებულ ო. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. გ-ა და ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამთა რეხვიაშვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ. ხ-ს, ო. მ-ა და ს. თ-ს ბრალად დაედოთ შემდეგ დანაშაულთა ჩადენა:

■ ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

■ თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით.

აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2015 წლის 24 ივლისს, დაახლოებით 03:00 საათზე, ქ. თ-ი, რს გამზირის №-ში მდებარე ტერიტორიაზე, გ. ხ-მ, ს. თ-ა და ო. მ-ა გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, იარაღების გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლების მიზნით, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ნ. კ-ს, რომელსაც ადგილზე გასტაცეს კუთვნილი „ეკოლ მაჟორის“ ფირ-

მის პისტოლეტი, ღირებული 200 (ორასი) ლარად. აღნიშნულის შემდეგ იგი ჩასვეს ო. მ-ს კუთხით „BMW-ს“ ფირმის ავტო-მანქანაში, სახელმწიფო ნომრით ... და წაიყვანეს ქ. თ-ი, წ-ს ქუ-ჩა №-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ვ-ს ხეობაში, სა-დაც გასატაცეს თანხა – 25 (ოცდახუთი) ლარი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 აპრილის განაჩენით ო. მ-ი, ს. თ-ი და გ. ხ-ა ცნობილ იქნენ უდანაშაულოდ და გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, ასევე სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგე-ნილ ბრალდებებში.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 აპრილის განაჩენი სააპელა-ციონ წესით გაასაჩივრა ძველი თბილისის რაიონული პროკურა-ტურის პროკურორმა ზაზა დათუეკიშვილმა, რომელმაც მოით-ხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და გამართლებუ-ლების დამაშავედ ცნობა წარდგენილ ბრალდებებში.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-თლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენით ძვე-ლი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ზაზა და-თუეკიშვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-მეთა კოლეგიის 2016 წლის 22 აპრილის განაჩენი გაუქმდა.

ს. თ-ი – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა უდანაშა-ულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; ს. თ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენი-ლი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ს. თ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადე-ნაში და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველ-ზე ს. თ-ს, პატიმრობაში ყოფნის პერიოდის (2015 წლის 26 ივლი-სიდან – 2016 წლის 22 აპრილის ჩათვლით) გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. ხ-ა – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა უდანაშა-ულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-

2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; გ. ხ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

გ. ხ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 10 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გ. ხ-ს, პატიმრობაში ყოფნის პერიოდის (2015 წლის 26 ივლისიდან – 2016 წლის 22 აპრილის ჩათვლით) გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ო. მ-ი – ნასამართლობის არქქონე, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; ო. მ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ო. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3200 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ო. მ-ს პატიმრობაში ყოფნის პერიოდის (2015 წლის 26 ივლისიდან – 2016 წლის 22 აპრილის ჩათვლით) გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების – ს. თ-ა და გ. ხ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. წ-ა, მსჯავრდებულ ო. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ო. გ-მ და ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თამთა რეხვიაშვილმა.

6. მსჯავრდებულების – ს. თ-ა და გ. ხ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. წ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულთა გამართლებას შემდეგი საფუძვლებით: თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამართლებელ განაჩენში

ნათლად და ობიექტურად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარე-მოებები, ხოლო სააპელაციო პალატამ საქმის მასალებთან შე-უსაბამო და არაადეკვატური ვერდიქტი გამოიტანა; სააპელა-ციონ სასამართლომ უკანონოდ გაიზიარა დაზარალებულ ნ. კ-ს ჩვენება და საერთოდ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ იგი წარსულში ნასამართლევია არსებითა და ურთიერთსაწინააღ-მდეგო ჩვენების მიცემისათვის და აგრეთვე ადმინისტრაციუ-ლი წესით დაჯარიმებულია ნარკოტიკული საშუალების მოხმა-რებისათვის, რაც ნათლად მეტყველებს მის პიროვნებასა და მის მიერ მსჯავრდებულების წინააღმდეგ მიცემული ჩვენების არასანდობაზე.

7. მსჯავრდებულ ო. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. გ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამარ-თლებას იმ მოტივით, რომ მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდე-ნია. ო. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ნ. კ-ი აეტომანქანაში ჩაჯდა თავისი ნებით, ლაუნჯ-ბარ „ნ-ი“ მიცემული შეკვეთის სა-ფასურის საკითხის გასარკვევად. დაზარალებულს ავტომანქა-ნაში მისითვის არ უთქვამს, რომ იგი რამენაირად აიძულეს და არც დაბმარება უთხოვია. ო. მ-ს საერთოდ არანაირი შეხება და კომუნიკაციაც კი არ ჰქონია დაზარალებულთან.

8. ძევლი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურო-რი თამთა რეხვიაშვილი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელა-ციონ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულე-ბის – ო. მ-ს, ს. თ-ა და გ. ხ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებითა და საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწი-ნებულ დანაშაულთა ჩადენისათვის, შემდეგ გარემოებათა გა-მო: განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და არ ემყარება სასამართლი განხილვის დროს გამოკვლეულ მტკიცებულება-თა ერთობლიობას. დაზარალებულ ნ. კ-ს, მოწმეების – ქ. ბ-ს, გ. მ-ს, ლ. გ-ს, გ. ხ-ა და ექსპერტების ჩვენებებით, ქიმიური ექ-სპერტიზის დასკვნებით, ვიდეოსათვალთვალი კამერების ჩა-ნაწერებითა და სხვა წერილობითი მტკიცებულებებით უტყუა-რად დასტურდება მსჯავრდებულების მიმართ ბრალად შერაც-ხული ქმედებების ჩადენა.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულების – ს. თ-ა და გ. ხ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ნ-ა,

მსჯავრდებულ ო. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-მ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და მოითხოვეს სა-კასაციო საჩივრების დაკმაყოფილება.

10. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და მხარი დაუჭირა საკასაციო სა-ჩივრის მოთხოვნას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწ-მა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულების – ს. თ-ა და გ. ხ-ს ინტერესების დამცვე-ლის, ადვოკატ მ. წ-ს, მსჯავრდებულ ო. მ-ს ინტერესების დამ-ცველის, ადვოკატ ი. გ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმა-ყოფილდეს, ხოლო ძველი თბილისის რაიონული პროკურატუ-რის პროკურორ თამთა რეზვიაშვილის საკასაციო საჩივარი უნ-და დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის სააპელაციო სა-სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გა-რემობათა გამო:

2. დაზარალებულ ნ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 24 ივლისს, დამის საათებში, მეგობრებთან – ლ. გ-ნ, გ. მ-ა და ქ. ბ-ნ ერთად მივიდა ლაუნჯ-ბარ „ნ-ი“. იქ მისთვის უცხო პირმა დაუწყო იარაღის დემონსტრირება. გავიდა, ავტომანქა-ნიდან ამოილო თავისი იარაღი, ჩაიდო უკან და თვითონაც „გაა-მარიაჟა“. რამდენიმე წუთში წამოვიდნენ, რადგან არ მოეწო-ნათ სიტუაცია და დანამდვილებით შეუძლია თქვას, რომ არა-ფერი შეუკვეთავთ. იქიდან წავიდნენ ბარ „ე-ი“. ბარიდან წამო-ვიდა ავტომანქანის ლუქის დასაკეტად. მანქანაში ჩაჯდომის-თანავე, გვერდით გაჩერდა „BMW-L“ მარკის ავტომანქანა, სახ. №..., საიდანაც გადმოსული, პოლიციის ფორმაში ჩაცმული პი-რები მივიდნენ მასთან. კერძოდ, მის მხარეს მივიდა გ. ხ-ა, მძლო-ლის გვერდით სავარძელზე დაჯდა ს. თ-ი, ხოლო მესამე მის-თვის უცხობი პირი იდგა გ. ხ-ნ. იარაღის მუქარით, მისი „ბარდა-ჩოკიდან“ ამოიღეს მისი კუთვნილი იარაღი, უთხრეს, რომ „ჩაშ-ვებული“ იყო კუს ტბიდან და მათ უნდა გაპყოლოდა ნარკოლო-გიურში შესამონმებლად. თავისივე ფეხით გადმოვიდა მანქანი-დან, შემდეგ ხელკავი გაუკეთა რომელილაცამ და ჩაჯდა მანქა-ნაში, რომლის მძლოლი იყო ო. მ-ი. გ.ხ-მ მისი იარაღი გზაში და-შალა და მასზე ამბობდა, რომ „იყო ძარში და რითი თამაშობდა“. დაზარალებულის განმარტებით, აღნიშნული პირებისთვის ხელ-ბორკილი არ შეუმჩნევია, არც პირადობის მოწმობები უჩვენე-

ბიათ და არც წინააღმდეგობა გაუწევია მათთვის, ვინაიდან ეგო-ნა პოლიციის თანამშრომლები და ვერ ეტყოდა მათ, გაეჩერები-ნათ მანქანა. წავიდნენ წ-ს ქუჩაზე, ვ-ს ხეობაში. გზაში მას ემუქ-რებოდნენ, რომ წამალს ჩაუდებდნენ, ბჭობდნენ, წაეყვანათ თუ არა წარკოლოგიურში, ეუბნებოდნენ რას „დაბლატაობდა“, „მი-არტყეს-მოარტყეს“ და ა.შ.. დაზარალებულის განმარტებით, თან ფიქრობდა, რომ ეს პირები პოლიციის თანამშრომლები იყ-ვნენ, თან ეჭვობდა, რომ არ იყვნენ. ვ-ს ხეობაში, კვლავ აყენებ-დნენ სიტყვეირ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. დაზარალებულ-მა განმარტა, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ო. მ-ი იმყოფე-ბოდა აღნიშნულ პირებთან ერთად, თუმცა ფიზიკური შეურაც-ხყოფა მას არ მიუყენებია. საფულე მოსთხოვა უცნობმა პირმა, შემდეგ გადააწოდა ს-ს და შემდეგ დაუბრუნეს. უცნობმა პირმა ჯიბიდან ამოულო თანხა – 25 ლარი. გადაუგდეს ავტომანქანის გასაღები, რაც გ.ხ-მ იპოვა და მიაწოდა. სთხოვდა დაეტოვები-ნათ მისთვის 5 ლარი ტაქსისთვის, თუმცა არ მისცეს და დატო-ვეს იმ ადგილზე. ფეხით ჩავიდა ბენზინგასამართ საღვურამდე, ხოლო შემდეგ დაბრუნდა ტაქსით. იმ ღამესვე დაურევა ქ. ბ-ს და მოუბონდიშა, ასევე მომხდარი ფაქტის შესახებ შეატყობინა მეგობრებს – ლ. გ-ს და გ. მ-ს, დილით – დედამისს, ხოლო საღა-მოს გადაწყვეტა წასულიყო პოლიციის განყოფილებაში. ნ. კ-ს განმარტებით, ბევრჯერ დაარტყეს, ურტყამდნენ თავში და წელში, ძირითადად, გ. ხ-ა და მისთვის უცნობი პირი ურტყამ-დნენ.

3. საქმეში წარმოდგენილი არ არის სასამართლო-სამედიცი-ნო ექსპერტიზის დასკვნა ნ. კ-ს სხეულზე არსებულ დაზიანე-ბებთან დაკავშირებით. თავად დაზარალებულის ჩვენებით დად-გენილია, რომ მას დაზიანებები არ ეტყობოდა, რის გამოც უარი განაცხადა შემოწმებაზე.

4. ლაუნჯ-ბარ „ნ-ი“ ყოფნის ფაქტი დაადასტურეს მოწმეებ-მა – ლ. გ-ა, გ. მ-მ და ქ. ბ-მ. გარდა მათი ჩვენებებისა, აღნიშნუ-ლი ფაქტი დასტურდება ვიდეოსათვალთვალო კამერის ჩანაწე-რითაც. ჩანაწერში ასევე ჩანს ნ. კ-ს მანქანასთან დაბრუნება და ბარში შესვლაც. მოწმეებმა უარყვეს ლაუნჯ-ბარ „ნ-ი“ შეკ-ვეთის მიცემის ფაქტი.

5. საგამოძიებო ექსპერტიმენტის ოქმის თანახმად, ნ. კ-ა მიუ-თითა ადგილი, კერძოდ – რ-ს გამზირის №-ის მიმდებარე ტერი-ტორია, ყოფილი სუპერმარკეტ „ზ-ს“ შენობაში განთავსებულ რესტორან „ა-ს“ წინ, საიდანაც 2015 წლის 24 ივნისს, ლამის სა-ათებში, უცხო პირებმა იგი წაიყვანეს წ-ს ქუჩაზე და ის ადგილი, სადაც შემდეგ დატოვეს.

6. ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმით დადგენილია შემდეგი: პირი უახლოვდება „მერსედესის“ მარკის ავტომანქანას მარცხენა მხრიდან, აღებს წინა მარცხენა კარს და ჯდება შიგ. ხსენებული ა/მანქანის მარცხნივ, დაახლოებით 2-3 მეტრში, ჩერდება ა/მანქანა „ბმვ“, ა/მანქანა „ბმვ-დან“ წინა მარჯვენა მხრიდან გადმოდის მამაკაცი, რომელსაც აფარია კეპი. უკანა მარჯვენა მხრიდან გადმოდის მამაკაცი. კეპიანი პირი მიღის „მერსედესის“ წინა მარცხენა მხარეს და აღებს კარს, ხოლო მეორე პირი მიღის „მერსედესის“ წინა მარჯვენა მხარეს და ჯდება წინა მარჯვენა მხარეს, შემდეგ ა/მანქანა „ბმვ-დან“ გადმოდის კიდევ ერთი მამაკაცი, რომელიც მიღის ა/მანქანა „მერსედესთან“ და დგება კეპიანი მამაკაცის უკან. კეპიან მამაკაცს გადმოჰყავს ა/მანქანა „მერსედესის“ წინა მარცხენა მხრიდან ლია ფერის მაისურში ჩატმული მამაკაცი. კეპიანს და მის უკან მდგომ მამაკაცს მიჰყავთ აღნიშნული პირი ა/მანქანა „ბმვ-სთან“, რომელსაც სვამებ უკანა მხარეს მარჯვენა მხრიდან. შემდეგ კეპიანი მამაკაცი თანმხლებ პირებთან ერთად ჯდება ა/მანქანა „ბმვ-ში“ და მიემართებიან მ.ჯ-ს ქუჩაზე, მ-ს ქუჩის მიმართულებით.

7. ჰაბიტუსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, რომლის სისწორე სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა ექსპერტმა დ. თ-ა, გამოკვლევაზე წარმოდგენილ ვიდეოგრამაზე დაფიქსირებული გამოძიებისთვის საინტერესო ავტომობილების სანომრე ნიშნების გარჩევა შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია დადგინდეს, გამოძიებისათვის საინტერესო პირებს უჭირავთ თუ არა ხელში რაიმე საგნები და ე.წ. უილეტზე არის თუ არა რაიმე წარწერა.

8. ამოცნობის ოქმების თანახმად, ნ. კ-ა ამოსაცნობად წარდგენილი პირებიდან ამოიცნო გ. ხ-ა, ს. თ-ი და ო. მ-ი.

9. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, რომლის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ექსპერტმა ლ. კ-ა, დადგენილია, რომ ნ. კ-ს მანქანის სალონის ე.წ. „ბარდაჩოკიდან“ ამოღებულ შავი პლასტმასის ყუთისმაგვარი საგნის შიდა ქსოვილზე დაფიქსირდა რკინის მეტალიზაციის კვალი.

10. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, რომლის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ექსპერტმა ს. ე-მ, დადგენილია, რომ ნ. კ-ს შარვლის ზედაპირიდან დაქტილოფირებით ამოღებულ ნაცრისფერ, პოლიეთერულ ბოჭკოს მიკრონაზილა-კებსა და ა/მანქანა „ბმვ-ს“ სავარძლის შალითის ქსოვილის ნიმუშის შემადგენლობაში შემავალ ნაცრისფერ პოლიეთერულ ბოჭკოებს გააჩნიათ საერთო გვარეობითი კუთვნილება.

11. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, რომლის სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ექსპერტმა მ. ჩ-მ, დადგენილია, რომ ნ. კ-ს ტანსაცმელზე რკინის მეტალიზაციის კვალი დაფიქსირდა შარვალზე, წელის არეში წინა, მარჯვენა გარე მხარეს, ასევე – წინა მარჯვენა და მარცხენა ჯიბეებში, ალაგ-ალაგ კონცენტრირებული, არასაგნობრივი გამოსახულებით. მასურზე რკინის მეტალიზაციის კვალი არ დაფიქსირდა.

12. ბრალდებულმა გ. ხ-მ მოწმის სახით ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ 2015 წლის 24 ივნისს, 01:00 საათამდე, იმყოფებოდა კ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ლაუნჯ-ბარ „ნ-ი“, რომლის დამფუძნებელიც თვითონ არის. ბარში ესაუბრებოდა მეგობარ ს. თ-ს. ამ დროს მათთან მივიდა მომსახურე პერსონალის წარმომადგენელი ზ. ბ-ი და განუცხადა, რომ ვერცხლისფერი „მერსედესის“ ფირმის ა/მანქანის მფლობელს, რომელიც მეგობრებთან ერთად ტოვებდა ბარს და ჯდებოდა ა/მანქანაში, შეკვეთის საფასური ჰქონდა გადასახდელი. მან თავის თანამშრომელს განუცხადა, რომ სამსახურებრივი მოვალეობა გაეგრძელებინა და ამ პრობლემას თავად მოაგვარებდა. აღნიშნულის შემდეგ ის, ს. თ-ი და ო. მ-ი ამ უკანასკნელის ა/მანქანით უკან გაყვნენ ვერცხლისფერ „მერსედესის“ ფირმის ა/მანქანას, თუმცა შიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ მოახერხეს მისი გაჩერება. მათ შეამჩნიეს, რომ სხენებული ა/მანქანა გაჩერდა რ-ს გამზირზე მდებარე „ხ-ნ“, საიდანაც გადმოვიდა ოთხი პირი. ის და ს. თ-ი გადმოვიდნენ მანქანიდან, თუმცა ვერ შენიშნეს, სად წავიდა „მერსედესიდან“ გადმოსული ოთხი პირი, რის გამოც გადაწყვიტეს დაცდა. დაახლოებით 20 წუთში ახალგაზრდა ბიჭი მივიდა „მერსედესთან“ და ჩაჯდა. ამ დროს ის მივიდა მასთან, გაეცნო და ჰყითხა, ვინ იყო, იმყოფებოდა თუ არა კ-ე მდებარე ლაუნჯ-ბარ „ნ-ი“ და ჰქონდა თუ არა თანხა გადასახდელი, რაზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა ლაუნჯ-ბარ „ნ-ი“ იმყოფებოდა, მაგრამ შეკვეთა არც მას და არც მის მეგობრებს არ მიუციათ, თუმცა სიტუაციაში გარკვევის მიზნით ის დასთანხმდა შეთავაზებას და გადაწყვიტა მათ გაპყოლოდა ბარში. იმავდროულად, ვინაიდან ნ. კ-ი იყო ნასვამი, მან ს. თ-ს უთხრა, რომ პოლიციი გამოიერავინა, რაზეც ნ. კ-ა შეცვალა პოზიცია და განუმარტა, რომ არ სურდა პოლიციის ჩარევა, რადგან წარსულში პრობლემები ჰქონდა, ხოლო თანხას, თუკი რამე ჰქონდა გადასახდელი, აუცილებლად გადაიხდიდა მეორე დღეს. ვინაიდან ნ. კ-ი დასთანხმდა თანხის გადახდას, მათ საჭიროდ არ ჩათვალეს საპატრულო პოლიციის გამოძახება. მანქანა ნ. კ-ა გააჩერებინა კ-ს პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ჩავიდა მანქანი.

დან, ხოლო ის მეგობრებთან ერთად დაბრუნდა. კ-ე. მეორე დღეს დაიბარეს ძველი თბილისის სამმართველოში, სადაც დახვდნენ უფროსები, უთხრეს, რომ ვიღაც უჩიოდა და უნდა მოეყოლა, რა მოხდა წინა ლამეს. ამის შემდეგ დაურევა ს. თ-ს და ო. მ-ს, სთხოვა, რომ მისულიყვნენ განყოფილებაში, სადაც ისინი დააკავეს. მანვე განმარტა, რომ პოლიციის თანამშრომლის მაისური არ სცმია.

ანალოგიური შინაარსის ჩვენება მისცეს სასამართლო სხდომაზე ბრალდებულებმა – ს. თ-ა და ო. მ-ა. ს. თ-ა დამატებით განმარტა, რომ ის ნ. კ-ს ა/მანქანაში ჩაუჯდა, რომ მას მანქანა არ დაეძრა და ისევ არ დასჭირვებოდათ გამოდევნება. ისინი იარაღით არ დამუქრებიან და ნ. კ-ს არც ფიზიკური და არც სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ვინაიდან ის ნასვამი იყო და ა/მანქანის საჭესთან ვერ ჯდებოდა, მათ შესთავაზეს საკუთარი ა/მანქანა, რათა ასულიყვნენ კ-ე და იქ გაერკვიათ გადასახდელი თანხის საკითხი. არანაირი იძულება მის მიმართ არ გამოყენებიათ.

13. მონებე ზ. ბ-ს ჩვენების მიხედვით, 2015 წლის 24 ივლისს იმყოფებოდა სამსახურში, ლაუნჯ-ბარ „ნ-ი“, სადაც ის მუშაობდა ბარმენის პოზიციაზე. დაახლოებით 01:00–02:00 საათისათვის ბარში შევიდა ოთხი ადამიანი, რომელთაგან ერთი იყო მდედრობითი სქესის. ისინი იყვნენ ნასვამები, მათგან ერთ-ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა – ნ. კ-ა, რომელსაც ეცვა თეთრი მაისური, შეუკვეთა კოქტეილი „ლონდ აილენდი“. იმ დროს მას ეცვა მიმტანის უნიფორმა და მან ნ. კ-ნ მიიღო შეკვეთა. როდესაც მივიდა ჩეკის შესავსებად და „ლონდ აილენდის“ წასაღებად, შეამჩნია, რომ ის პირი, ვინც შეკვეთა მისცა, თავის მეგობრებთან ერთად ტოვებდა ბარს და ჯდებოდა ვერცხლისფერ „მერსედესში“. აღნიშნული შეატყობინა თავის უფროსს – გ. ხ-ს და დაცვის უფროსს – ს. თ-ს და უთხრა, რომ შეკვეთის თანხა არ იყო გადასხდილი. გ. ხ-მ და ს. თ-ა განუცხადეს, რომ ეს არ იყო მისი პრობლემა და თავად მიხედავდნენ ამ საკითხს, მას კი გაეგრძელებინა მუშაობა.

14. საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულების – ს. თ-ა და გ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. წ-ს, მსჯავრდებულ ო. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. გ-ს საკასაციო საჩივრების მოთხოვნას მსჯავრდებულების გამართლების თაობაზე, ვინაიდან იგი არის უსაფუძვლო და არ გამოდინარეობს საქმის მასალებიდან.

15. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას ძარცვის ნაწილში მსჯავრდებულების უდანა-

შაულოდ ცნობის შესახებ, რომ მოცემულ ეპიზოდში ბრალდების მხარეს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ დაზარალებულ ნ. კ-ს ჩვენება და სხვა მოწმეების ირიბი ჩვენებები, რომლებიც საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს. გ. ხ-ს, ს. თ-ა და ო. მ-ს მიერ (გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად) ნ. კ-ს კუთვნილი „ეკოლ მაჟორის“ ფირმის პისტოლეტისა და 25 ლარის აშკარა დაუფლების ფაქტი ვერ დგინდება საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით. რაც შეეხება ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებს, მეტალიზაციის კვალის დაფიქსირება, როგორც შავი პლასტმასის ყუთისმაგვარი საგნის შიდა ქსოვილზე, ისე – 6. კ-ს ტანსაცმელზე, პირდაპირ არ მიუთითებს დაზარალებულის კუთვნილი იარაღის აშკარა დაუფლების ფაქტზე.

16. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პროცესურორის საჩივრის მოთხოვნა ამ ნაწილში ნაწილობრივ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

17. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სწორად დაადგინა, მაგრამ არასწორად შეაფასა სისხლისამართლებრივი კვალითიკაციის თვალსაზრისით. სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ. ხ-ა, ს. თ-ი და ო. მ-ი დაედევნენ ლაუნჯ-ბარ „ნ-ნ“ გამოსულ პირებს, ვინაიდან მათ არ გადაიხადეს შეკვეთის თანხა. სამიცე მათგანმა მიუთითა, რომ იცოდნენ, თუ რის გამო მისდევდნენ შემდეგში დაზარალებულად ცნობილ პირს. როდესაც მსჯავრდებულებმა ნ. კ-ი იპოვეს, იგი გადმოიყვანეს „მერსედესის“ მარკის ავტომანქანიდან და ჩასვეს „ბმპ-ს“ მარკის ავტომანქანში, რაც სააპელაციო პალატამ შეაფასა არა როგორც ნ. კ-ს ნებაყოფლობითი ქმედება, არამედ – მის იძულებად, რომ შეესრულებინა საკუთარი ნება-სურვილის სანინააღმდეგო მოქმედება და გადამჯდარიყო მათ ავტომანქანში.

18. პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა დაზარალებულ ნ. კ-ს ჩვენებაზე, რომ მას მასთან მისული პირები ეგონა პოლიციის თანამშრომლები, რის გამოც მათთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუნევია, რის მიზეზადაც მათი მხრიდან ფსიქიკური ზენოლა დაასახელა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მსჯავრდებულებს ნ. კ-ს არ აღუკვეთავთ სხვა რაიმე უფლება, გარდა უფლებისა, რომ დაზარალებულს აერჩია, ნასულიყო თუ არა კონკრეტულ ადგილას; მსჯავრდებულებს არც ტელეფონი მოუთხოვიათ და, მით უმეტეს, არც შეუმოწმებიათ, პქონდა თუ

არა მას ის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მათი მიზანი იყო არა დაზარალებულის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, არამედ მისი ქმედების, თავისი სურვილისამებრ გადაადგილების – თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულს შეეზღუდა მიმოსვლის თავისუფლება ფსიქიური იძულების გამოყენებით.

19. პალატამ დაასკვნა, რომ დაზარალებულს ჰქონდა გადაადგილების ობიექტური შესაძლებლობა, რადგან, მისი განმარტებით, ის მიიყვანეს თ-ი, წ-ს ქ.-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ვ-ს ხეობაში და იქ დატოვეს.

20. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის თანახმად, თავისუფლების უკანონო აღკვეთა არის განზრახი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია პირის იძულებით დაკავებასთან, როცა მას ფაქტობრივად წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების ყველანაირი შესაძლებლობა (ჩაკეტილია ოთაში, დამწყვდეულია სარდაფში და ა.შ.). ქმედების აღნიშნული მუხლით დაკალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ პირს არ ჰქონდეს გადაადგილების არანაირი ობიექტური შესაძლებლობა. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანებს აქვთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ არავის აქვს უფლება, თავისუფლება აღუკვეთოს ან სხვაგვარად შეუზღუდოს იგი პირს. დანაშაულის ძირითადი ობიექტია ადამიანის ხელშეუხებლობა და მისი თავისუფალი გადაადგილების უფლება.

21. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ დაზარალებულს ჰქონდა გადაადგილების ობიექტური შესაძლებლობა, რადგან ის მიიყვანეს მდინარე ვ-ს ხეობაში და იქ დატოვეს, ვინაიდან თავისუფლების უკანონო აღკვეთა მიეკუთვნება ფორმალურ დანაშაულთა კატეგორიას და იგი დამთავრებულია თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომენტიდან, რომლის ხანგრძლივობას ქმედების კვალითიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. გარდა ამისა, დაზარალებულის ჩვენებით დადგენილია, რომ იგი საკუთარი ნებით არ გაჰყვა მსვავრდებულებს და უჩვენა, რომ ისინი მას წარუდგნენ როგორც პოლიციის თანამშრომელები, განუცხადეს, რომ იყო დაკავებული და მოსთხოვეს ნარკოლოგიურში შესამონმებლად გაყოლა. ამიტომ მას ნინააღმდეგობა არ გაუნევია, თავისი ფეხით გადავიდა ავტომანქანიდან, შემდეგ რომელიღაცამ ხელკავი გაუკვეთა, წაიყვანეს და ჩასვეს მათ ავტომანქნაში. ამასთან, დაზარალებულის ჩვენება ამ წანილში დამატებით დასტურდება ვიდეოსათვალო კამერის ჩანაწერით, რომელიც სრუ-

ლად თანხვდენილია მის ჩვენებასთან. ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ მიჰყავთ გ. ხ-ს, გამოძიებით დაუდგენელ პირსა და ს. თ-ს ნ. კ-ი ავტომანქანა „ბმვ-ს“ უკანა კართან და სვამენ მანქანაში. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებულებს მის-თვის არ მოუთხოვიათ ტელეფონი, დაზარალებულმა უჩვენა, რომ იგი დაემორჩილა მათ მოთხოვნას, ნინაალმდეგობა არ გაუ-ნევია, ვინაიდან ისინი ეგონა პოლიციის თანამშრომლები. შესა-ბამისად, მას საერთოდ არ უცდია ტელეფონით ვინმესთან და-კავშირება. ამდენად, ის ფაქტი, რომ მას ტელეფონი არ მოს-თხოვეს, არ მიუთითებს იმაზე, რომ მას შესაძლებლობა ჰქონ-და, ესარგებლა ტელეფონით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინა-რე, მსჯავრდებულების ქმედება წარმოადგენს არა იძულებას, არამედ – თავისუფლების უკანონო აღკვეთას.

22. ამასთან, ბრალდების მხარე ითხოვს მსჯავრდებულების დამნაშავედ ცნობას თავისუფლების უკანონო აღკვეთაში შემ-დეგი მაკვალიფიცირებელი ნიშნებით: სხვა დანაშაულის ჩადე-ნის გაადვილების მიზნით, ნინასნარი შეთანხმებით ჯგუფის მი-ერ და სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძა-ლადობის გამოყენების მუქარით, რასაც საკასაციო პალატა ასე-ვე ვერ გაიზიარებს და თოთოეულ მათგანზე დაწვრილებით იმ-სჯელებს:

23. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2015 წლის 24 ივლისს, დაახლოებით 03:00 საათზე, ქ.თ-ი, რ-ს გამზი-რის №-ში მდებარე ტერიტორიაზე, გ. ხ-მ, ს. თ-ა და ო. მ-ა გამო-ძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, იარალების გამოყენებით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლების მიზნით, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება ნ. კ-ს, რომელ-საც ადგილზე გასტაცეს კუთვნილი „ეკოლ მაჟორის“ ფირმის პისტოლეტი, ლირებული 200 (ორასი) ლარად. აღნიშნულის შემ-დეგ იგი ჩასვეს ო. მ-ს კუთვნილ „BMW-ს“ ფირმის ავტომანქა-ნაში, სახელმწიფო ნომრით ... და წაიყვანეს ქ. თ-ი, წ-ს ქუჩა №-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ვ-ს ხეობაში, სადაც გას-ტაცეს თანხა 25 (ოცდახუთი) ლარი.

■ ვინაიდან მსჯავრდებულთა ქმედებებში არ დადასტურდა ძარცვის შემადგენლობა (იხ. სამოტივაციო ნაწილის მე-15 პუნ-ქტი), შესაბამისად, გამოირიცხა, რომ მათ მიზანს წარმოადგენ-და სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება და, ამდენად, და-დასტურებულია, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთა მსჯავ-რდებულებს სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით არ ჩაუდენიათ.

■ რაც შეეხება მეორე მაკვალიფიცირებელ ნიშანს, ესაა ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. საკასაციო პალატას არაერთხელ აქვს განმარტებული, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ქმედება ჩაითვალოს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად (868აპ-10, 618აპ-15), კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა. მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის გამოიხატოს როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – უსტებსა და მიმიკებში.

საკასაციო პალატა იზიარებს მსჯავრდებულთა ჩვენებებს იმ ნაწილში, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ ლაუნჯ-ბარიდან გამოსულ პირებს დაედევნენ იმ მიზნით, რომ მათ შეკვეთის საფასური არ გადაიხადეს, რის გამოც სურდათ ამ საკითხის გარკვევა. საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მსჯავრდებულები ო. მ-ს მართვის ქვეშ მყოფი „ბმვ-ს“ მარკის ავტომანქანით „ფეხდაფეხ“ დაედევნენ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა დაზარალებული ნ. კ-ი, მაგრამ მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ მოახერხეს მისი გაჩერება. მოგვიანებით მათ დაინახეს, რომ ხსენებული ავტომანქანა გაჩერდა რ-ს გამზირზე, ე-ს აღმართთან მდებარე რესტორანთან. ნ. კ-ი შევიდა იქვე მდებარე ბარში და როდესაც იქიდან გამოვიდა, ჩაჯდა ავტომანქანა „მერსედესში“. ამ დროს გ. ხ-ა გადმოვიდა „ბმვ-ს“ მარკის ავტომანქანიდან, მივიდა დაზარალებულთან და გააღო მძღოლის კარი, ხოლო ს. თ-ი დაჯდა მძღოლის გვერდით, რათა მას არ დაექრა ავტომანქანა და არ წასულიყო. შემდეგ ავტომანქანა „ბმვ-დან“ გადმოვიდა გამოძიებით დაუდგენელი პირი, ისიც მივიდა „მერსედესთან“ და დადგა გ. ხ-ს უკან. გ. ხ-მ ავტომანქანიდან გადმოიყვანა ნ. კ-ი და თვითონ და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა იგი მიყენეს „ბმვ-ს“ მარკის ავტომანქანასთან და ჩასვეს უკანა სავარძელზე, შემდეგ თავად გ. ხ-ა და მისი თანმხლები პირებიც ჩასხდნენ ავტომანქანაში და იგი დაიძრა მ-ს ქუჩის მი-

მართულებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, მოცემულ შემთხვევაში, იმ მომენტში, როდესაც გ. ხ-მ „მერსე-დესის“ მარკის ავტომანქანიდან გადმოიყვანა დაზარალებული და გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად ჩასვა „ბმვ-ს“ მარკის ავტომანქანაში, მსჯავრდებულები მოქმედებდნენ ერთმანეთან შეთანხმებულად, მაგრამ ეს შეთანხმება მათ შორის არ არსებობდა არც მაშინ, როდესაც მსჯავრდებულები დაედევნენ დაზარალებულს და არც იმ დროს, როდესაც გ. ხ-მ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა დაიწყო, რადგან იგი მოქმედებდა ინდივიდუალურად და ჯგუფის დანარჩენი წევრები მოგვიანებით შეუერთდნენ მის მიერ დაწყებულ დანაშაულს. შესაბამისად, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაული მაშინ ჩაითვლება ჩადენილად, როდესაც ასეთი შეთანხმება დანაშაულში მონაწილე პირებს შორის მიღწეულია და არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში მითითებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალოდ დანაშაულის დაწყების შემდეგ, თუნდაც ერთ-ერთი ამსრულებელი დაიწყებს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას, მისი ჩადენის პროცესში დამნაშავეთა შორის შეთანხმება ერთობლივი მოქმედების თაობაზე არ შეიძლება ჩაითვალოს წინასწარ შეთანხმებად, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ ვერ იარსებებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ისეთი შემთხვევა, როგორიცაა წინასწარ შეუთანხმებლად ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.

- და ბოლოს, მესამე მაკავალიფიცირებელი ნიშანი – თავისუფლების უკანონო აღკვეთა ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით. დაზარალებულის ჩვენების გარდა, სხვა რაიმე მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ მსჯავრდებულებს – გ. ხ-ა და ს. თ-ს ჰქონდათ იარაღები. იარაღის არსებობა არ დგინდება ვიდეოჩანანერით და აღნიშნულს კატეგორიულად გამორიცხავენ მსჯავრდებულები. ასევე, არ არის დადასტურებული დაზარალებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, რადგან საქმეში არ მოიპოვება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ნ. კ-ს სხეულზე არსებულ დაზანებებთან დაკავშირებით, ხოლო თავად დაზარალებულმა განმარტა, რომ მას დაზიანებები არ ეტყობოდა, რის გამოც უარი განაცხადა შემონმებაზე. რაც

შეეხება მუქარის შინაარსს, თვითონ დაზარალებული უთითებს, რომ ისინი დაემუქრნენ არა სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით, არამედ – დაჭრით, „წამლის“ ჩადებითა და ნარკოლოგიურში შესამონმებლად გადაყვანით.

24. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცების სტანდარტად განიხილავს „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“ და განმარტავს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და ურთიერთდაკავშირებული დასკვნებიდან, რომლებიც უდავო, საკმარისად მტკიცე და ზუსტ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ თეორიულ ჰიპოთეზას¹.

25. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობით საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილად მიაჩნია, რომ გ. ხ-მ, ს. თ-ა და ო. მ-ა ჩაიდინეს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონი ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელ წიშნად არ მიიჩნევს მის ჩადენას ჯგუფურად, ნინასწარი შეთანხმების გარეშე.

26. რაც შეეხება სასჯელს, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამდიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსანინააღმდეგონებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსანინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის ნარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

27. საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე

¹ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „ელ-მასრი ყოფილი იუგოსლავის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ“, პუნქტი 151 (El-Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia), „ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პუნქტი 48 (Hassan v The UK).

ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს დანაშაულს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია, დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებული წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

28. თავისუფლების უკანონო ალევეთა განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას. ს. თ-ი და ო. მ-ი წარსულში არ არიან ნასამართლევნი, მართალია, მათ არ აღიარეს დანაშაული, მაგრამ თავიდანვე ითანამშრომლეს გამოძიებასთან და არ უარყვეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა, მათი აზრით, მათი ქმედებები არ წარმოადგენს დანაშაულს. საკასაციო პალატას მათი ოჯახური და ო. მ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის, მათ მიერ ჩადენილი ქმედებების სახის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, ხარისხისა და როლის გათვალისწინებით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიაჩნია მათვის მსჯავრად შერაცხული მუხლის სანქციით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელის განსაზღვრა და საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით – პირობით ჩათვლა; რაც შეეხება გ. ხ-ს, იმის გათვალისწინებით, რომ მან არ აღიარა დანაშაული, არის მითითებული დანაშაულის ორგანიზაციორი და საკასაციო პალატის სხდომაზე თავი აარიდა გამოცხადებას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების – სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მისაღწევად მას სასჯელი უნდა განესაზღვროს რეალურად მოსახდელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორთამთა რეხვიაშვილის საკასაციო საჩივარი და კიბოფილდეს ნაწილობრივ.

2. მსჯავრდებულების – ს. თ-ა და გ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. წ-ს, მსჯავრდებულ ო. მ-ს ინტერესების

დამცველის, ადვოკატი ი. გ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

3. ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენში:

4. ს. თ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

5. ს. თ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

6. ს. თ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალოს პირობით, 2 (ორი) წლის გამოსაცდელი ვადით.

7. ს. თ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 26 ივლისიდან 2016 წლის 22 აპრილის ჩავლით.

8. ს. თ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდებულია.

9. გ. ხ-ა ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

10. გ. ხ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

11. გ. ხ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

12. გ. ხ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან, ხოლო სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 26 ივლისიდან 2016 წლის 22 აპრილის ჩავლით.

13. გ. ხ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდებულია.

14. ო. მ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

15. ო. მ-ს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

16. ო. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვროს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩატვალოს პირობით, 2 (ორი) წლის გამოსაცდელი ვადით.

17. ო. მ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩატვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფინის დრო – 2015 წლის 26 ივლისიდან 2015 წლის 28 ივლისის ჩატვლით.

18. ო. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია.

19. გირაოს სახით გადახდილი თანხა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვეს ვადაში სრულად დაუბრუნდეს მის გადამხდელს.

20. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლებისა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, მსჯავრდებულების – ს. ო-ა და ო. მ-ს ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალ, სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მსჯავრდებულებს – ს. ო-ა და ო. მ-ს დაევალოთ, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალონ მუდმივი ბინადრობის ადგილი.

21. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

22. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. დანაშაული საკუთრების ნინააღმდეგ

ქურდობის მცდელობა, ჩადენილი ნინას ნარი შეთანხმებით პეტიციის მიერ

განაჩენი

№45აპ-17

27 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ნ. კ-ის ინტერესების დამცველის,
ადვოკატ ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სა-
სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის
8 დეკემბრის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის
განაჩენით ნ. კ-ე, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამ-
ნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19.177-ე მუხლის მე-2 ნაწილის
„ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „დ“ ქვე-
პუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, ესე იგი
სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა მარ-
თლაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რასაც შეეძლო, გა-
მოეწია მნიშვნელოვანი ზიანი, ჯგუფურად, სატრანსპორტო
საშუალების ნინააღმდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2016 წლის 25 იანვარს, დაახლოებით 23:40 საათზე, წ-ში, კ-
ის ქუჩაზე, ნ. კ-ე გამოიძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად
შეეცადა, ფარულად დაუფლებოდა ბ. ქ-ის ავტომანქანას, რი-
თაც დაზარალებულს მიადგებოდა მნიშვნელოვანი ქონებრივი
ზიანი.

2. აღნიშნული ქმედებისათვის ნ. კ-ეს მიესაჯა თავისუფლე-
ბის აღკვეთა – 4 წლითა და 3 თვით. ნ. კ-ის მიმართ შეფარდებუ-
ლი აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა, ხოლო ბრალდე-
ბულის სასარგებლოდ გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულები-
დან 1 თვის ვადაში დაუბრუნდა გირაოს სახით შეტანილი უძრა-
ვი ქონება და ყადაღა მოეხსნა მ. კ-ის (პ/ნ ...) საკუთრებაში არ-
სებული უძრავი ქონების (მდებარე: ქ-ში, ბ-ის მე-.. შეს. №.., ნაკვ.

№.., შენობა №..-დან ფართი №.. კვ.მ., საკადასტრო კოდით №...) – 4000 ლარის ღირებულების ნილს. 6. კ-ეს სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო – 2016 წლის 25 იანვრიდან იმავე წლის 30 იანვრის ჩათვლით სასჯელის ვადაში ჩაეთვალა და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო განაჩენის გამოცხადების მომენტიდან – 2016 წლის 18 მაისიდან.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ 6. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. შ-მ.

4. დაცვის მხარემ ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, 6. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, ხოლო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდებისათვის სასჯელის მინიმუმის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება და საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, სასჯელის პირობით ჩათვლა, იმავე გამოსაცდელი ვადით.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ 6. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატი ი. შ-ს სააპელაციო საჩივარი და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – მსჯავრდებულ 6. კ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. კ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ 6. კ-ის ქმედება არასწორად შეფასდა. მას არ გააჩნდა სახლში დასაბრუნებელი თანხა, რის გამოც წ-ში, კ-ის ქუჩაზე მდებარე საერთო ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგარ მიკროავტობუსში არსებული გარკვეული ოდენობის თანხის დაუფლება განიზრახა. მან დანაშაული ინდივიდუალურად ჩაიდინა და პოლიციელების ჩვენება, რომ თითქოსდა, დაინახეს ორი პირი, რომლებიც მათ დანახვაზე გაიქცნენ, ეშსახურებოდა 6. კ-ის არასახარბიელო სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენებას. ამასთან, დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის შემთხვევაში გამოძიებას ეკისრებოდა მეორე პირის დადგენის და დაკავების ვალდებულებაც. გასათვალისწინებელია, რომ 6. კ-ის მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ მიკროავტობუსიდან თანხის დაუფლება და არა – თავად ავტომობილის რაიმე ნაწილის ან/და მისი დაძვრისა და წაყვანის სურვილი, მით უმეტეს, რომ მან ავტომობილის მართვაც კი არ იცის.

7. კასატორის მითითებით, 6. კ-ემ აღიარა დანაშაული, ითა-

ნამშრომლა გამოძიებასთან, იგი არ არის ნასამართლევი და მის მიერ ჩადენილი დანაშაული ნაკლებად მძიმე კატეგორიის და-ნაშაულთა რიცხვს განეკუთვნება.

8. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ 6. კ-ის ინ-ტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. კ-ი ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, 6. კ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდებიდან საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების ამორიცხვას, მისი ქმედების სა-ქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებას, საჯელის სახით შესაბამისი მუხლით გათ-ვალისწინებული სანქციის მინიმუმის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას და საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხ-ლების შესაბამისად, საჯელის პირობით ჩათვლას, იმავე გამო-საცდელი ვადით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობის გარეშე გა-ნიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეა-მოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთ-ხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოე-ბათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზი-ციას 6. კ-ის მსჯავრიდან საქართველოს სსკ-ის 19.177-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ამორიცხვის თაობაზე, ვინა-იდან საქმეში წარმოდგენილია საპროცესო ნორმათა სრული დაცვით მოპოვებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს ქმნის 6. კ-ის მიერ ქურდო-ბის, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდე-ლობის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჯგუფუ-რად ჩადენასთან მიმართებით. 6. კ-ის ბრალად წარდგენილ ქმე-დებას ადასტურებს ბრალდების მხარის უდავოდ ცნობილი, პირ-დაპირი სახის მტკიცებულებები, მოწმების – კ. მ-ისა და ტ. ტ-ის დაკითხვის ოქმები, კერძოდ:

3. მოწმე კ. მ-ის ჩვენების თანახმად, 2016 წლის 25 იანვარს, დაახლოებით 23:30 წუთზე, უბნის ინსპექტორ ტ. ტ-სთან ერ-თად ფეხით პატრულირებისას, კ-ის ქუჩაზე გამავალ გზაზე გად-მოსვლის დროს, დაახლოებით 15-20 მეტრში, მესამე სადარბა-ზოს პირდაპირ, დაინახა გზის პირას მდგარი თეთრი სამგზავრო მიკროავტობუსი, რომლის მარჯვენა კართან მდგომი ორი პირი აღებდა ფანჯარას, ხოლო ერთი იდგა ავტომანქანის უკანა სა-

ბარგულის კართან. მითითებულმა პირებმა პოლიციელები ვერ შეამჩნიეს. კ. მ-ე და ტ. ტ-ე შეჩერდნენ. მათ თავდაპირველად ეგონათ, რომ აღნიშნული პირები ავტომანქანის მფლობელები იყვნენ და მასში ჩასხდომას ან რაიმე საგნის გადმოღებას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ დაინახეს, რომ მესამე სადარბაზოდან ეზოში საშუალო სიმაღლის მამაკაცი გამოვიდა, რომლის დანახვაზეც თეთრ მიკროავტობუსთან მდგომი სამი პირი შემთხვევის ადგილიდან კ-ის ქუჩის ბოლოსკენ გაიქცა. კ. მ-ე და ტ. ტ-ე მიხვდნენ, რომ გაქცეული პირები თეთრი მიკროავტობუსის გაღებასა და გაქურდვას ცდილობდნენ, რის გამოც აედევნენ, ხოლო რაციოტ თეთრატიულ მორიგეს დახმარების თხოვნით დაუკავშირდნენ. ასი მეტრის სირბილის შემდეგ, კ. მ-ე და ტ. ტ-ე გაქცეულ პირებს წამოენივნენ, დაუძახეს, რომ იყვნენ პოლიციელები და შეჩერებისკენ მოუწოდეს. შემთხვევის ადგილიდან გაქცეულმა პირებმა უკან მოიხედეს, მაგრამ არ დაემორჩილნენ პოლიციელთა მოწოდებას, ერთ-ერთი მათგანი გზის მარცხნა მხარეს, ხოლო მეორე მარჯვენა მხარეს, სიბნელეში გაიქცა. რაც შეეხება მესამე პირს, მან სიბილი კ-ის ქუჩის ბოლოსკენ განაგრძო. ვინაიდან ადგილზე იყო ორი პოლიციელი და სიბნელეში გაქცეული პირები შესაძლოა, ვერც მოეძებნათ, კ. მ-ე და ტ. ტ-ე კ-ის ქუჩის მხარეს გაქცეულს დაედევნენ და შეჩერებისკენ უშედეგოდ მოუწოდებდნენ. საბოლოოდ, პოლიციელებმა იგი ბ-ის ქუჩის №..-ში მდებარე კორპურის წინ დააკავეს. დაკავებული პირი 6. კ-ე აღმოჩნდა.

4. მონაცემ ტ. ტ-ის დაკითხვის ოქმით იგივე ფაქტობრივი გარემოებებია დადასტურებული.

5. მხედველობაშია მისაღები დაზარალებულ ბ. ქ-ის დაკითხვის იქმიც, რომლის თანახმადაც, დაზარალებულმა 2016 წლის 25 იანვარს, მისი ქალიშვილის ბინიდან გამოსვლის დროს, მარცხნივ, მეოთხე სადარბაზოსკენ წასვლა დააპირა, რა დროსაც კუთვნილი ავტომანქანის მხრიდან ადგილიდან უცრიად გაქცევისა და ფეხის ხმები შემოესმა, შემოტრიალდა, გაიხედა მისი მანქანისაკენ, სადაც ბნელოდა და ვერავინ დაინახა, შემდეგ კი მისი მანქანის უკან, კ-ის ქუჩის ბოლოსკენ გაიხედა (საიდანაც ფეხის ხმები ისმოდა) და რამდენიმე გაქცეული ადამიანის სილუეტი დაინახა.

6. საკასაციო პალატა, დასახელებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ პოლიციელთა მხრიდან 6. კ-ის მიერ ქურდობის მცდელობის ჯგუფურად ჩადენის მითითება მის არასახარბილო მდგომარეობაში ჩაყენებასა და ბრალის დამ-

ძიმებას ემსახურებოდა. განსახილველ შემთხვევაში კ. მ-ისა და ტ. ტ-ის უდაცოდ ცნობილი დაკითხვის ოქმები ურთიერთშეთანხმებულია და მათში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს შორის არ არსებობს რაიმე სახის წინააღმდეგობა. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ მასალათა ანალიზის თანახმად, არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც თუნდაც ირიბად დაადასტურებდა პოლიციის თანამშრომელთა მიკერძოებას, საქმით დაინტერესებასა და შესაბამის ორგანოებში განზრას ცრუ ჩვენების მიცემას. ამასთანავე, პოლიციელთა ჩვენებების უტყუარობის დასადასტურებლად საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს თავად დაზარალებულის დაკითხვის ოქმს, კერძოდ, მართალია, დაზარალებულმა უმუალოდ ნ. კ-ე და მისი თანმხლები პირები ვერ დაინახა, მაგრამ კუთვნილ ავტომანქანასთან მას შემთხვევის დღეს ფეხის ხმები მოესმა და დასახელებულ ადგილზე მისულმა დაინახა, თუ როგორ გარბოდა რამდენიმე ადამიანის სილუეტი კ-ის ქუჩის ბოლოსკენ. ამდენად, ბ. ქ-ის ჩვენებით არ იყვეთება დანაშაულის ერთი პირის მიერ ჩადენის ფაქტი, ვინაიდან იგი მითითებას ფეხის ხმებზე, ხოლო შემდეგ კი რამდენიმე ადამიანის სილუეტზე აკეთებს. აღნიშნულთან ერთად, საყურადღებოა, რომ რამდენიმე სილუეტის გაქცევის მიმართულება (კ-ის ქუჩა) ემთხვევა პოლიციელთა მიერ მითითებულ სამი პირის გაქცევის მიმართულებას. მოცემული გარემოებები განამტკიცებს კ. მ-ისა და ტ. ტ-ის მიერ დასახელებულ ფაქტობრივ გარემოებას, რომ შემთხვევის ადგილზე ნ. კ-ე მარტო არ მოქმედებდა.

7. რაც შეეხება ქმედების სუჟიექტურ შემადგებლობას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირთა შემთხვევის ადგილზე ერთობლივად ყოფნა, მათი როლების გადანაწილება (რომ პირი აღებდა ფანჯარას, ხოლო ერთი იდგა ავტომანქანის უკანა საბარგულის კართან) და მათი შემჩნევის შემდეგ ერთად გაქცევა, მიუთითებს დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის განზრახვაზე.

8. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება ასევე დაცვის მხარეს, რომ ვინაიდან საგამოძიებო ორგანომ ვერ დაადგინა და ვერ დააკავა ჯგუფის სხვა წევრები, აღნიშნულის გამო დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა უნდა გამოირიცხოს. კ. მ-ისა და ტ. ტ-ის დაკითხვის ოქმებიდან გამომდინარე, პოლიციელთა მხრიდან არ შეინიშნება, რომ ჯგუფის სხვა წევრების დასაკავებლად პოლიციელები უმოქმედობას იჩინდნენ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მათ დადევნებისთანავე რაციით მოუხმეს დამხმარე ძალას, ხოლო გაქცეულ პირებს შეჩერებისა-

კენ მოუწოდებლენი. პირთა სამი სხვადასხვა მიმართულებით გაქცევის შემდეგ კ. მ-ე და ტ. ტ-ე მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს – ნ. კ-ეს, პოლიციელთა რაოდენობიდან და ქუჩაზე არსებული განათებიდან გამომდინარე, დაედევნენ.

9. ამდენად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია ნ. კ-ის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.

10. რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებებს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ისინი არ არის დადასტურებული ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით და წარმოადგენს ბრალდების მხარის ვარაუდს, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სააპელაციო სასამართლოს მიღებულ გადაწყვეტილებაში მაკვალიფიცირებელი გარემოებების – „მნიშვნელოვანი ზიანისა“ და „სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ“ მიმართული ქმედების – ქურდობის მცდელობის სუბიექტურ შემადგენლობაზე არ უმსჯელია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი სახის მაკვალიფიცირებელი გარემოების ბრალად შერაცხვისას აუცილებელია, შემოწმდეს ქმედების შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური მხარეები. ამასთან, აუცილებელია, რომ პირს ობიექტური შემადგენლობის ყოველი ნიშნის მიმართ გააჩნდეს განზრახვა.

12. აღსანიშნავია, რომ ქურდობა, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, გულისხმობს როგორც უშუალოდ სატრანსპორტო საშუალების, ასევე მისი შემადგენელი ნაწილების დაუფლებას. ფაქტი, რომ ნ. კ-ის განზრახვა მოიცავდა სატრანსპორტო საშუალების ან მისი რომელიმე ნაწილისა თუ ნაწილების დაუფლებას, ნარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებული არ არის, კერძოდ: ნ. კ-ის დაკითხვის ოქმით დგინდება, რომ 2016 წლის 25 იანვარს, გვიან ლამით, ბაბუის სახლიდან წყალტუბოს მიმართულებით გამოვიდა. ტაქსის მძღოლმა ქუთაისამდე მგზავრობის საფასურად 8 ლარი დაუსახელა და ვინაიდან მას მხოლოდ 5 ლარის გადახდა შეეძლო, 3 ლარის შოვნა გადაწყვიტა. გზას გაუყვა, შეუხვია 20-30 მეტრში და ერთ-ერთი კორპუსის წინ, გზის პირას, თეთრი სამგზავრო მიკროავტობუსი შენიშნა. ნ. კ-ემ თანხაქონი სახრახნისითა და

დანით ავტომანქანის გაღება სცადა, ვინაიდან თუ სალონში ხურდა ფული დახვდებოდა, ამოილებდა და სახლში წასვლას შეძლებდა. დაკითხვის ოქმის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ნ. კ-ე ავტომანქანის გაქურდვას შეძლებდა, იგი მხოლოდ ტაქსის მძღოლისათვის გადასახდელ 3 ლარს ამოილებდა, დანარჩენს კი მანქანში დატოვებდა.

13. გასათვალისწინებელია, რომ ო. ს-ის (ნ. კ-ის პაპა) უდავოდ ცნობილი დაკითხვის ოქმით დგინდება, რომ 2016 წლის 25 იანვარს მას წამდვილად სტუმრობდა შვილიშვილი ნ. კ-ე. როდესაც დაღმდა, მან უთხრა, რომ სახლში უნდა წასულიყო.

14. მოწმეების – ტ. ტ-ისა და კ. მ-ის დაკითხვის ოქმების თანახმად, მათ დაინახეს, რომ ორი პირი აღებდა ავტომობილის ფანჯარას, ხოლო ერთი კი მანქანის უკანა საბარგულის კართან იდგა... ამასთან, პოლიციელთა მითითებით, გაქცეული პირები „შესაძლოა, ცდილობდნენ თეთრი მიკროავტობუსის გაღებასა და გაქურდვას.“

15. აღსანიშნავია, რომ ზემომითითებული დაკითხვის ოქმების გარდა, სხვა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ნ. კ-ის განზრახვას, მიმართულს ავტოსატრანსპორტო საშუალების ფარულად დაუფლების მცდელობისაკენ, საქმის მასალებში არ მოიპოვება. შესაბამისად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა ბუნდოვანია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, ზოგადად, ბრალდებულმა შესაძლოა, უარყოს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის განზრახვა ან მისი ჩვენებით არ დგინდებოდეს სუბიექტური დამოკიდებულება ბრალად შერაცხული ქმედებისადმი, მაგრამ საქმეში არსებული ყოველი ფაქტობრივი ანალიზის ერთობლივად შეფასება ქმნიდეს მტკიცებულებით სტანდარტს. განსახილველ შემთხვევებში, პოლიციელთა დაკითხვის ოქმებით დადასტურებული არ არის, რომ ნ. კ-ე თანმხლებ პირებთან ერთად ავტომობილის ან მისი რომელიმე ნაწილის დაუფლების მცდელობის დროს დაინახეს. ტ. ტ-ემ და კ. მ-ემ განმარტეს, რომ ორი პირი ფანჯარასთან იდგა და მის გაღებას ცდილობდა, მაგრამ სადარბაზოდან მამაკაცის გამოსვლის შემდეგ ისინი გაიქცნენ. მათ აგრეთვე განმარტეს, რომ გაქცეული პირები შესაძლოა, ცდილობდნენ თეთრი მიკროავტობუსის გაღებასა და გაქურდვას და არა, თავად ავტომობილის ან მისი რომელიმე კონკრეტული ნაწილის დაუფლებას. რაც შეეხება დაზარალებულ ბ. ქ-ს, მისი დაკითხვის ოქმით დადგენილია, რომ გაქცევის ხმების შემდეგ, ავტომანქანასთან მისულის დროს, მან ნახა, რომ უკანა მარჯვენა კარის საკეტი დაზიანებული, ამავე კარის მინა სანახევროლ გაღებული, ხოლო

უკანა საბარგულის კარის სახელური აწეული იყო. ავტომანქანის სალონში ყველა საგანი და ნივთი ადგილზე დახვდა. ნიშან-დობლივია, რომ ბრალდებული ნ. კ-ე დაკითხვის ოქმში თავად აღწერს, თუ კონკრეტულად, რომელი ნივთის დაუფლება სურ-და და ამასთან, რა იყო მისი მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მიზეზი. დაკითხვის ოქმის თანახმად, მისი განზრახვა მოიცავდა თანხის დაუფლებას, რათა სახლში დაბრუნებულიყო. მაშასადამე, მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა, რომ ნ. კ-ე თანმხლებ პირებთან ავტომანქანის ან მისი რომელიმე ნაწილის დაუფლების ცდილობდა, განსახილველ საქმეში წარმოდგენილი არ არის.

16. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 19.177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებას – მნიშვნელოვანი ზიანის შესაძლო დადგომას – საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში აგრეთვე არ არსებობს გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ზიანი მნიშვნელოვანია, თუ ნივთის ღირებულება აღემატება 150 ლარს. როგორც აღინიშნა, ნ. კ-ის მიერ გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად ავტომანქანის ფარულად დაუფლების მცდელობა, საქმის მასალათა მიხედვით დადასტურებული არ არის. ამასთან, ზემომითითებული მოწმეების დაკითხვის ოქმებით (ბ. ქ-ე, კ. მ-ე, ტ. ტ-ე) არ დგინდება, რომ ნ. კ-ე 150 ლარს ზემოთ ღირებულების ნივთის დაუფლებას ცდილობდა. დაზარალებულ ბ. ქ-ის დაკითხვის ოქმის შესაბამისად, გაქცევის ხმების გაგების შემდეგ ავტომანქანა მაშინვე დაათვალიერა და ყველა ნივთი ადგილზე იყო. მას რაიმე მატერიალური ზიანი არ მისდგომია და ფანჯარა გალებისას არ დაზიანებულა. უკანა საბარგულის კარის საკეტი და სახელური აგრეთვე არ იყო დაზიანებული. საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, ბრალდებულმა განაცხადა, რომ მას ნამდვილად გააჩნდა ქურდობის განზრახვა, მაგრამ მხოლოდ დანაკლისი 3 ლარისა, რომელიც ტაქსის მძღოლისათვის უნდა გადაეხადა, რათა სახლში დაბრუნებულიყო.

17. ამდენად, ფაქტი, რომ ნ. კ-ე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მცდელობისას 150 ლარს ზემოთ ღირებულების ნივთს ეუფლებოდა, წარმოადგენს ვარაუდს, რომელიც ვერ დასტურდება აშკარა, დამაჯერებელ და ურთიერთშეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით. შესაბამისად, მოცემული ეჭვი, სისხლის სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის (“*In dubio pro reo*”) შესაბამისად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის

სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

18. რაც შეეხება სასჯელის ზომას, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსს და ინდივიდუალურად აფასებს 6. კ-ის პიროვნებას. განსახილველ შემთხვევაში მსჯავრდებულმა, მართალია, ჩაიდონა განზრახი, მძიმე კატეგორიის დანამაული, მაგრამ ამავდროულად პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ 6. კ-ეს მსჯავრიდან ორი მაკვალიფიცირებელი გარემოება, კერძოდ, საქართველოს სსკის 19.177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი უნდა ამოერიცხოს. მოცემული გარემოება კი ამცირებს 6. კ-ის ქმედების საშიშროების ხარისხს. ამასთან, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს 6. კ-ის მძიმე ეკონომიკურ პირობებსა და დანამაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, კერძოდ, იმას რომ მსჯავრდებულს სახლში დასაბრუნებელი თანხის დაუფლება სურდა. გასათვალისწინებელია, რომ 6. კ-ე არ არის ნასამართლევი. რაც შეეხება მართლსანინალმდეგო შედეგს, როგორც დაზარალებულ ბ.ქ-ის დაკითხვის ოქმით დადგინდა, მას რამდე მატერიალური ზიანი არ მისდგომია და, ამდენად, არ არსებობს მისი ანაზღაურების საჭიროებაც.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დანამაულის ნაწილობრივი აღიარების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათის, ზომის, მართლსანინალმდეგო შედეგის, დამასავის პირადი და მძიმე ეკონომიკური პირობებისა და ნასამართლობის არქონის გათვალისწინებით, 6. კ-ეს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს სანქციის მინიმუმი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ 6. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. მსჯავრდებულ 6. კ-ეს მსჯავრიდან ამოერციხოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება და ამ ნაწილებში გამართლდეს.
4. 6. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლით.
5. მსჯავრდებულ 6. კ-ეს სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2016 წლის 25 იანვრიდან იმავე წლის 30 იანვრის ჩათვლით და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს განაჩენის გამოცხადების მომენტიდან – 2016 წლის 18 მაისიდან.
6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ 6. კ-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. 6. კ-ის სახელზე გირაოს შემტან პირს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება.
7. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქმედების გადაკვალიფირება ქურდობიდან ქარცვაზე

განაჩენი

№13აპ-17

6 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ თ. გ-სა და ხელვაჩაურის რაიონული
პროკურატურის პროკურორ დავით ხარქეიშვილის საკასაციო სა-
ჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23
მაისის განაჩენით:

თ. გ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა,“
„გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-
ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხ-
ლის მე-3 ნაწილის „ა,“ „გ“ ქვეპუნქტებზე. თ. გ., – დაბადებული
– წლის ...-ს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქარ-
თველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა
და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა,“ „გ“ ქვეპუნქტებით გათვა-
ლისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს
სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა,“ „გ“ ქვეპუნქტებით მიე-
საჯა – თავისუფლების ალკვეთა 5 წლით. გაუქმდა მსჯავრდე-
ბულ თ. გ-ის მიმართ შერჩეული ალკვეთის ღონისძიება გირაო
და ყადაღა მოქსნა გირაოს უზრუნველსაყოფად ა. გ-ის (პ/ნ ...),
გ. გ-ის (პ/ნ ...), ე. გ-ის (პ/ნ ...), თ. ს-ის (პ/ნ ...), თ. გ-ის (პ/ნ ...), თ. გ-
ის (პ/ნ ...), ლ. გ-სა (პ/ნ ...) და ქ. გ-ის (პ/ნ ...) სახელზე საკუთრების
უფლებით რიცხულ, 30 000 ლარის ღირებულების წილ უძრავ
ქონებას (მდებარე: ო-ის მუნიციპალიტეტში, სოფელ ც-ში, ბ-
ში, საკადასტრო კოდი ...). ალკვეთის ღონისძიებასთან ერთად
აგრეთვე გაუქმდა მსჯავრდებულ თ. გ-ის მიმართ გამოყენებუ-
ლი ვალდებულება – პასპორტისა და პირადობის მოწმობის გა-
მომძიებლისათვის ჩაბარება. თ. გ. დააკავეს სასამართლო სხდო-

მის დარბაზში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო განაჩენის გამოტანის მომენტიდან – 2016 წლის 23 მაისიდან. თ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 21 მაისიდან იმავე წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

დ. კ-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე. დ. კ., – დაბადებული – წლის ...-ს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 6 თვით. გაუქმდა მსჯავრდებულ დ. კ-ას მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და ყადაღა მოეხსნა გირაოს უზრუნველსაყოფად 6. დ-ის (3/6 -) სახელზე საკუთრების უფლებით რიცხულ, 30 000 ლარის ღირებულების წილ უძრავ ქონებას (მდებარე: ბ-ში, ზ. გ-ის ქ. ..., სართული ..., ბინა №...-ში, 80.31 კვადრატულ მეტრს – ზონა ბ. – ..., სექტორი ..., კვარტალი ..., ნაკვეთი ..., კოდი ..., საკადასტრო კოდი ...). აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად აგრეთვე გაუქმდა მსჯავრდებულ დ. კ-ას მიმართ გამოყენებული ვალდებულება – პასპორტისა და პირადობის მოწმობის გამომძიებლისათვის ჩაბარება. დ. კ. დააკავეს სასამართლო სხდომის დარბაზში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო განაჩენის გამოტანის მომენტიდან – 2016 წლის 23 მაისიდან. დ. კ-ას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 21 მაისიდან იმავე წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩინა, რომ 2015 წლის 21 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, თ. გ-მა, დ. კ-თან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ შეაღწია ხ-ის რაიონის სოფელ ხ-ში მდებარე ნ. ბ-ის საცხოვრებელ სახლში და მართლსანინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ნ. ბ-ის კუთვნილ, 800 ლარად ღირებულ „გენოვო-ს“ ფირმის ნოუთექს და 800 ლარის ღირებულების ორ წყვილ ოქროს საყურეს, რითაც დაზარალებულ ნ. ბ-ეს ჯამურად – 1600 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩიტრა მსჯავრდებულმა დ. კ-ამ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, დ. ჯ-ემ, მსჯავრდებულ თ. გ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატ-

მა 6. რ-ემ და ხ-ის რაიონული პროკურატურის პროკურორმა და-ვით ხარძეიშვილმა.

5. მსჯავრდებულმა დ. კ-ამ და მისმა ინტერესების დამცველ-მა, ადვოკატმა დ. ჯ-ემ ითხოვეს ხელვაჩაურის რაიონული სასა-მართლოს 2016 წლის 23 მაისის განაჩენის გაუქმება და დ. კ-ას გამართლება. მსჯავრდებულ თ. გ-ის ინტერესების დამცველ-მა, ადვოკატმა ბ. რ-ემ ითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასა-მართლოს 2016 წლის 23 მაისის განაჩენის გაუქმება და თ. გ-ის გამართლება. პროკურორმა დავით ხარძეიშვილმა ითხოვა ხელ-ვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის განა-ჩენში ცვლილების შეტანა, მსჯავრდებულების დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვე-პუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნა.

6. ქუთაისის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის განაჩენით უცვლე-ლად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის განაჩენი.

7. კასატორი – პროკურორი დავით ხარძეიშვილი ითხოვს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანას, მსჯავრდებულების დამნაშა-ვედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას, იმ მოტივით, რომ სასა-მართლომ მსჯავრდებულთა ქმედება არასწორად დააკვალიფი-ცირა და სასჯელის ისეთი სახე და ზომა გამოიყენა, რომელიც აშკარად არ შეესაბამებოდა ქმედების ხასიათსა და მათ პიროვ-ნებას. სასამართლომ არ გაიზიარა ის გარემოება, რომ, მართა-ლია, მსჯავრდებულთა განზრახვა თავდაპირველად სწორედ სხვისი ნივთის ფარულად დაუფლებისკენ იყო მიმართული, მაგ-რამ მას შემდეგ, რაც ისინი დაზარალებულმა შეამჩნია, დანაშა-ულ ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო და ამ დროს მათ სწო-რედ ნივთის აშკარად დაუფლების განზრახვა გაუჩნდათ. ამდე-ნად, მსჯავრდებული ფანჯრიდან დაზარალებულის კუთვნილი ნოუთბუქით გადმოვიდა, რის გამოც მათ არ ჰქონდათ შესაძ-ლებლობა, თავისუფლად განეკარგათ დაუფლებული ქონება.

8. კასატორის მითითებით, სასამართლომ არ გაითვალისწი-ნა მსჯავრდებულთა პიროვნული მახასიათებლები, კერძოდ, ისინი წარსულში ნასამართლები იყვნენ სხვისი ნივთის მარ-თლისაწინააღმდეგო მისაკუთრებისათის, არ აღიარებდნენ და-ნაშაულსა და არ თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან.

9. კასატორი – მსჯავრდებული თ. გ. ითხოვს მის მიმართ გამამართლებული განაჩენის გამოტანას, ხოლო ალტერნატივის სახით – სასჯელის შემსუბუქებას. კასატორის მოსაზრებით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის არსებობის შემთხვევაში დადასტურდებოდა ნამდვილად ეკავა თუ არა ხელში მსჯავრდებულს ნოუთბუქი. საქმეში არსებული მასალებით, დაზარალებულის სახლს არ ემჩნეოდა გაქურდვის კვალი, მით უმტეს, რომ სახლს სიგნალიზაციის სისტემა ჰქონდა. დაზარალებულმა განმარტა, რომ მინა იყო ჩამტვრებული, რაც ექსპერტიზის დასკვნით არ დადასტურდებულა. ამასთან, დაზარალებულს მხედველობის პრობლემები აქვს და მზის ჩასვლის შემდეგ იგი ვერ შეძლებდა პირის კარგად გარჩევას. კასატორის მითითებით, როდესაც დაკავების ნებართვა გაიცა, იმ დროს იგი უკვიდაკავებული იყო. მსჯავრდებულის მიმართ პოლიციელებმა გამოიყენეს ძალადობა. იგი დაკავებამდე მანქანის გაუმართაობის გამო შეჩერდა და ავტომანქანის შესაკეთებელი საამქროსკენ გაემართა, სწორედ ამ დროს პოლიციამ შეაჩერა და განყოფილებაში გადაიყვანა (სადაც ამოცნობამდე დაზარალებულმა იგი დაინახა). მას ავტომობილის გასაღები ამ დროის მანძილზე ჩამორთმებული ჰქონდა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა საკასასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამონება საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩინა, რომ ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით ხარძეიშვილის საკასასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ თ. გ-ის საკასასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაზარალებულმა ნ. ბ-ემ განაცხადა, რომ 2015 წლის 21 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, ნათელი დღე იყო, როდესაც ხ-ის რაიონის სოფელ ხ-ში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლში დაბრუნდა. მან გააღო ეზოში შესასვლელი ჭიშკარი, შევიდა და დაინახა, რომ მისი საცხოვრებელი სახლის აივანზე იდგა უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი, რომლის დანახვაზე დაუძახა – თუ რას შვრებოდა იგი ამ ადგილას. ამ დროს საცხოვრებელი სახლის ფანჯრიდან კიდევ ერთი ახალგაზდა მამაკაცი გადმოხტა, რომელსაც ხელში მისი ნოუთბუქი ეჭირა და ორივე საწინააღმდეგო მხარეს გაიქცა. სახლში შესულმა მოწმებ აღმოჩინა, რომ ხსენებულმა პირებმა „Lenovo-ს“ ფირმის ნოუთბუქი და ორი ნყვილი ოქროს საყურე წაიღეს. მომხდარის თაობაზე რამდენი-

მე წუთში პოლიციას შეატყობინა. მან ასევე განაცხადა, რომ ის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ეზოში შესვლის დროს პირველად შენიშნა მისი საცხოვრებელი სახლის აივანზე, იყო დ. კ., ხოლო მეორე ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც გადმოხტა ოთახის ფანჯრიდან თავისი კუთვნილი ნოუთბუქით, იყო თ. გ.. ორივე მათგანი მან პოლიციაში ამოიცნო, ისევე როგორც მისი სახლიდან გატაცებული ნივთები. მან ასევე განაცხადა, რომ ბრალდებულებისათვის მისი კუთვნილი „Lenovo-ს“ ფირმის ნოუთბუქისა და ორი წყვილი ოქროს საყურის წაღების უფლება არ მიუცია. დაზარალებულის მითითებით, მისი კუთვნილი „Lenovo-ს“ ფირმის ნოუთბუქისა და ოქროს საყურებების საერთო ღირებულებაა – 1600 ლარი.

3. მონმე ი. ი-ემ, რომელიც დაზარალებულის რძალია, განმარტა, რომ 2015 წლის 21 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, ნ. ბ. ავტომანქანით ხ-ის რაიონის სოფელ ხ-ში მდებარე თავის საცხოვრებელ სახლთან მიიყვანა და დაახლოებით 20 მეტრის მოშორებით ჩამოსავა, ხოლო თვითონ კი გზა გააგრძელა. რამდენიმე წუთში დაბრუნდა უკან, რა დროსაც სახლის წინ, გზაზე, დახვდა შეშინებული დედამთილი, რომელმაც უამბო, რომ მათთან სახლში შესული ყოფილა ორი მამაკაცი, რომლებმაც ნოუთბუქი და ოქროს საყურებები გაიტაცეს. აღნიშნულის შემდეგ მოწმემ ნ. ბ. ხ-ის რაიონულ სამართველოში მიიყვანა, სადაც მან მომხდარის თაობაზე განაცხადა.

4. თ. გ-სა და დ. კ-ას ამოცნობის ოქმების თანახმად, დაზარალებულმა ნ. ბ-ემ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად ამოიცნო ისინი და აღნიშნა, რომ ხსენებული პირები სწორედ ის მამაკაცები, რომლებმაც მისი კუთვნილი „Lenovo-ს“ ფირმის ნოუთბუქი და ორი წყვილი ოქროს საყურე გაიტაცეს.

5. ავტომანქანის („ფოლქსვაგენ ჯეტა“, სახელმწიფო ნომერი: ...) ჩხრეკის ოქმის, მოწმების ვ. თ-სა და დ. ი-ის ჩვენებების თანახმად, ავტომანქანიდან ამოიღეს „ლენოვოს“ ფირმის შავი ნოუთბუქი და ორი წყვილი ოქროს საყურ.

6. მონმე ზ. გ-მა განმარტა, რომ ავტომანქანა „ფოლქსვაგენ ჯეტა“, „სახელმწიფო ნომრით – „...“, არის მისი საკუთრება, რომელიც 2015 წლის 21 მაისს თავის ძმას – თ. გ-ს ათხოვა.

7. მონმე დ. ი-ემ აგრეთვე განმარტა, რომ 2015 წლის 21 მაისს, დაახლოებით 21:00 საათზე, ხ-ის რაიონულ სამმართველოში გამოცხადდა ნ. ბ., რომელმაც შეატყობინა ორი ახალგზრდა პირის მიერ ნოუთბუქისა და ოქროს სამეცნიერების მისი საცხოვრებელი სახლიდან გატაცების ფაქტი. ნ. ბ-ემ გარეგნულად აღნერა დასახელებული პირები და ამასთან, მიუთითა მათი გაქ-

ცევის მიმართულებაზე. ოპერატიული ჯგუფი დაუყოვნებლივ გაციდა ნ. ბ-ის მიერ მითითებული მიმართულებით და ფ. ხ-ის გამზირზე, ე.წ „ნ-თან“, გზის პირას გაჩერებული შავი ავტომანქანა „ფოლკსვაგენ ჯეტა“ შენიშნეს, რომელთანაც ორი ახალგაზრდა მამაკაცი იდგა. მათი გარეგნობა ნ. ბ-ის მიერ აღწერილ გარეგნობას ემთხვეოდა. მათთან მივიდნენ და აღნიშნული პირები თ. გ. და დ. კ. აღმოჩნდნენ.

8. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა ერთობლიობა (კანონით დადგენილი წესით მოპოვებული წერილობით) მტკიცებულებების ზეპირ მტკიცებულებებთან შესაბამისობა) გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს თ. გ-სა და დ. კ-ას მიერ ნ. ბ-ს საცხოვრებელი სახლიდან ნივთების დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მაგრამ რაც შეეხება ქმედების ფარულ ხასიათს, საკასაციო პალატა მოცემულ ნაწილში ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქურდობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანი მისი ფარული ხასიათია, რომელიც ქმედების სხვა პირთაგან შეუმჩნევლად ჩადენას გულისხმობს. რაც შეეხება ძარცვას, მისი ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია დანაშაულის აშკარად, სხვა პირთათვის ხილულად ჩადენა. ორივე მათგანი დამთავრებულად ითვლება მას შემდეგ, რაც პირი მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლება სხვის ნივთს და მისი განკარგვის რეალური შესაძლებლობა ექნება. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ქმედების შემადგენლობის განხორციელება ხ. ბ-ის საცხოვრებელ სახლში ფარულად დაიწყო (როდესაც შემთხვევის ადგილზე დამნაშავეთა გარდა, არავინ იმყოფებოდა), მაგრამ ქმედების შემადგენლობის დასრულებამდე ობიექტური მხარე უწყვეტად ფარული არ იყო. დაზარალებულის ჩვენების თანახმად, სახლში მისვლის დროს მან დაინახა თავისი საცხოვრებელი სახლის აივანზე მდგარი უცნობი ახალგაზრდა მამაკაცი. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებზე, რომ დაზარალებულის დაძახების შემდეგ (თუ რას შვრებოდა უცნობი პირი ამ ადგილას), საცხოვრებელი სახლის ფანჯრიდან გადმოხტა კიდევ ერთი ახალგაზრდა

მამაკაცი, რომელსაც თან ნივთი ეჭირა. საკასაციო პალატა აღ-ნიშნავს, რომ დამნაშავის ფანჯრიდან გადმოხტომის დროს ქმე-დების შემადგენლობა დასრულებული არ იყო, რადგან ნივთის თავისუფალი განკარგვის შესაძლებლობა დამნაშავეებს ჯერ კი-დევ არ ჰქონდათ. ამდენად, აღნიშნული მომენტიდან (დაზარა-ლებულის სახლში დაბრუნებიდან, უცხო პირის აივანზე შემჩნე-ვიდან, დაძახებიდან და მეორე პირის ნივთით ხელში ფანჯრი-დან გადმოხტომისას) დამნაშავეთა ქმედების სუბიექტური შე-მადგენლობა – განზრახვა დანაშაულის ფარულად ჩადენისკენ მიმართული აღარ იყო. ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მეორე პირი ფანჯრიდან ნ. ბ-ის დაძახების შემდეგ გადმოხტა მიუთი-თებს შემთხვევის ადგილას სხვა პირის ყოფნის გაცნობიერების ფაქტზე. აღნიშნულის მიუხედავად, დამნაშავეებმა შემთხვე-ვის ადგილი სირბილით, ნოუთბუქით ხელში დატოვეს, რაც მათ მიერ ქმედების შემადგენლობის განზრახ, აშკარად დასრულე-ბის გაცნობიერებას გულისხმობს. მაშასადამე, მართალია, მსჯავრდებულთა განზრახვა თავდაპირველად სწორედ სხვისი ნივთის ფარულად დაუფლებისკენ იყო მიმართული, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი დაზარალებულმა ნ. ბ-ემ შეამჩნია, ვინაი-დან დანაშაული ჯერ კიდევ დასრულებული არ იყო, მათ ნივთის აშკარად დაუფლების განზრახვა გაუჩნდათ. ყოველივე ზემო-აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. გ-მა და დ. კ-ამ ნ. ბ-ის საცხოვრებელი სახლიდან ნივთების დაუფლება მართლასანიააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშ-კარად ჩაიდინეს.

10. ქმედების მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან მიმარ-თებით საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები გონიერულ ექვს მიღმა ადასტურებენ მათ არ-სებობას და აღნიშნულ ნაწილში საკასაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციისა და საპელაციო სასამართლოების არგუ-მენტაციას.

11. მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარში მითითებულ პრო-ცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იგი ნარმოდებილი სისხლის სამართლის საქ-მის მასალებით დადასტურებული არ არის.

12. რაც შეეხება სასჯელის ზომას, საკასაციო პალატა მხედ-ვებლობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-სის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსს, დამოუკიდებლად აფასებს მსჯავრდებულთა პიროვნებებს და განმარტავს, რომ, მართალია, მსჯავრდებულებმა დანაშაული ჩაიდინეს აშკარად, მაგრამ, განსახილველ შემთხვევაში თ. გ-სა

და დ. კ-ას ძალადობრივი ხასიათის დანაშაული არ ჩაუდენიათ. დანაშაულის ჩადენის გამო ასანაზღაურებელ შედეგთან მიმართებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან საგამოძიებო ორგანომ აღნიშნული ნივთები კანონით დადგენილი წესით ამოიღო, ზიანი ასანაზღაურებელი არ არის.

13. აღსანიშნავია, რომ დ. კ-ას ბასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, ხოლო თ. გ-თან მიმართებით, ვინაიდან გამოკვეთილია დანაშაულის რეციდივი, მას კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ზღვარზე ერთი წლით მეტი უნდა დაენიშნოს.

14. ამდენად, ჩადენილი ქმედების ხასიათის, მოვალეობათა დარღვევის ხასიათის, ზომის, განხორციელებული ქმედების სახისა და მართლსანინაალმდეგო შედეგის გათვალისწინებით, თ. გ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს – თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, ხოლო დ. კ-ას – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით ხარძეიშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ თ. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

4. მსჯავრდებულ თ. გ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე.

5. თ. გ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 6 წლით თავი-

სუფლების აღკვეთა.

6. თ. გ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს პირველი ინ-სტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის დღიდან – 2016 წლის 23 მაისიდან. თ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 21 მაი-სიდან იმავე წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

7. ცნობად იქნეს მიღებული, რომ თ. გ-ის მიმართ გამოყენე-ბული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. თ. გ-ის სა-ხელზე გირაოს შემტან პირს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად აგრეთვე გაუქმებულია თ. გ-ის მიმართ გამოყენებული ვალდებულება – პასპორტისა და პირადობის მოწმობის გამომძიებლისათვის ჩა-ბარება.

8. მსჯავრდებულ დ. კ-ას ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-ქტიდან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტები-დან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამა-ვე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე.

9. დ. კ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-ქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 წლით თავი-სუფლების აღკვეთა;

10. დ. კ-ას სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს პირველი ინ-სტანციის სასამართლოს განაჩენის გამოტანის დღიდან – 2016 წლის 23 მაისიდან. დ. კ-ას სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვა-ლოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 21 მაისიდან იმავე წლის 1 სექტემბრის ჩათვლით.

11. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დ. კ-ას მიმართ გამოყე-ნებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. დ. კ-ას სახელზე გირაოს შემტან პირს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად აგრეთვე გაუქმებულია დ. კ-ას მიმართ გამოყენებული ვალდებულება – პასპორტისა და პირადობის მოწმობის გამომძიებლისათვის ჩა-ბარება.

12. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლე-ლად.

13. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განაჩენი

№191აპ-17

20 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ზ. ქ-ის ინტერესების დამცველის,
ადვოკატ გ. ჩ-სა და ქუთაისის რაიონული პროკურატურის პრო-
კურორ დარიკო ვადაჭყორიას საკასაციო საჩივრები ქუთაისის
სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პა-
ლატის 2017 წლის 10 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის
განაჩენით ზ. ქ-ე, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა
დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.
სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ:

2015 წლის 5 დეკემბერს, დაახლოებით 23:00 საათზე, ქ-ში,
მ-ის ქუჩის №-ში მდებარე მაღაზიაში, სხვისი მოძრავი ნივთის
მართლასნინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ზ. ქ-ე თავს და-
ესხა მაღაზის მოლარე ი. ბ-ეს და დანის მსგავსი საგნის დემონ-
სტრირებით, ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის საში-
ში ძალადობის გამოყენების მუქარით დაეუფლა მის კუთვნილ
„HUAWEI-ს“ ფირმის მობილურ ტელეფონს.

2. აღნიშნული ქმედებისათვის ჩადენისათვის ზ. ქ-ს მიესაჯა
თავისუფლების აღვევთა 5 წლით. ზ. ქ-ეს სასამართლო განხილ-
ვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო ჩაეთვალა სასჯელის ვადაში
და მისი მოხდის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენ-
ტიდან – 2015 წლის 6 დეკემბრიდან.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ-
მა ზ. ქ-ემ და ითხოვა გამართლება. სააპელაციო სასამართლოს
სხდომაზე მსჯავრდებულმა ზ. ქ-ემ და მისმა ინტერესების დამ-
ცველმა, ადვოკატმა გ. ჩ-მ დააზუსტეს სააპელაციო საჩივარი
და ითხოვეს ზ. ქ-ის ქმედებს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხ-
ლის 1-ლი ნაწილიდან ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველ
ნაწილზე გადაკვალიფიცირება.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 10 თებერვლის განაჩენით ქუთაის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ზ. ქ-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით, გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რისთვისაც ზ. ქ-ეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

7. კასატორი – პროკურორი დარიკო ვადაჭკორია ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 10 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანას, ზ. ქ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და კანონით გათვალისწინებული სასჯელის შეფარდებას; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რაც საფუძვლად დაედო გამაჩენს, არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და სასამართლომ დაუსაბუთებლად მხედველობაში არ მიიღო კონკრეტული მტკიცებულებები, რომლებიც სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებდა ზ. ქ-ის ბრალეულობას ყაჩაღობაში; ი. ბ-ემ და უ. ბ-ემ ზ. ქ-ის ხელში არსებული ნივთი დანად აღიქვეს და შეეშინდათ. ყაჩაღობა დასრულებულია თავდასხმის მომენტიდან და ზ. ქ-ის ხელთ არსებული ვერცხლისფერი საგანი აღქმულ იქნა დანად. ამდენად, დაზარალებულს, მისი ობიექტური აღქმიდან გამომდინარე, შეეშინდა.

8. კასატორი – ადვოკატი გ. ჩ-ე ითხოვს ზ. ქ-ის მიმართ შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ, მისი ჯარიმით შეცვლას იმ მოტივით, რომ ზ. ქ-ეს ჰყავს ოჯახი და მეზობლები ახასიათებენ დადებითად. აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. ამასთან, ზ. ქ-ე არ არის ნასამართლევი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატაში მხარეთა მონაწილეობის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორი დარიკო ვადაჭკორიას საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ზ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ჩ-ის საკასაციო საჩივრი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაზარალებულმა ი. ბ-მ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ 2015 წლის 5 დეკემბერს ქ-ში, მის №-ში მდებარე მარ-

კეტ – „ჯ-ში“ სტაუიორ-მოლარედ მუშაობდა. იმ დღეს მასთან ერთად, ამავე მარკეტში ხ-ა, იგივე უ-ა ბ-ე მუშაობდა. დაახლოებით 23:00 საათზე, როდესაც უ-სთან ერთად დახლზე პროდუქტებს ალაგებდა, მარკეტში მისთვის უცნობი, ნასვამი, სუსტი აღნაგობის ბიჭი შევიდა. მას შავი კაპიუმნი ეხურა, რომელიც შემდეგ გადასხვრა. ახალგაზრდსა თხელი წვერი და თმა ჰქონდა, შუბლზე ოდნავ მელოტი იყო და მოგრძო სახე ჰქონდა. იგი სალაროსთან მივიდა და სიგარეტი ითხოვა. მოწმემ მიაწოდა და საფასურის გადახდა სთხოვა, რა დროსაც ბიჭმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, მოულოდნელად პრიალა ზედაპირის მქონე, წვეტიანი საგანი (მისი აღქმით, დანა) ამოიღო და თანხის გადაცემა მოითხოვა. ი. ბ-ე დანით შეიარაღებული მამაკაცის დანახვაზე ძლიერ შეშინდა და იქ მყოფ უ-ას ყვირილით მოუხმო დასახმარებლად. უ-ა მარკეტიდან გაიქცა. მოწმემ თავდამსხმელს უთხრა, რომ ფული არ ჰქონდა და სთხოვა მარკეტიდან გასულიყო, მაგრამ ბიჭი დანის ქნევით სალაროსკენ დაიძრა, მივიდა სალაროს მაგიდასთან და ი. ბ-ეს დაზიანებით ემუქრებოდა. ამ დროს დაზარალებულმა ბიჭი მოიგერია და პლასტმასის სკამი თავში ჩაარტყა. მან ჯერ უკან დაიხია, ხოლო შემდეგ სალაროს დახლზე დადებული, მოწმის კუთვნილი „ჰუკვეის“ მობილური ტელეფონი აიღო და გაიქცა. მოწმის მონაწილეობით ამოცნობა ჩატარდა, სადაც ი. ბ-ემ ზ. ქ-ე ამოიცნო.

3. მოწმე უ. ბ-ემ განაცხადა, რომ 2015 წლის 5 დეკემბერს, დახლოებით 23:00 საათზე, ის და ი. ბ-ე მარკეტში იყვნენ და თაროებზე ნივთებს ალაგებდნენ. ამ დროს მათთან 25-30 წლამდე ასაკის, სუსტი აღნაგობის, შავნვერიანი ბიჭი შემოვიდა. მის დანახვაზე ი. სალაროსთან მივიდა, მისი მოთხოვნის შესაბამისად, სიგარეტი მიანოდა და სანაცვლოდ საფასური მოსთხოვა. ბიჭმა ი-ს უთხრა, რომ თანხა არ ჰქონდა, ხოლო შემდეგ ხელში პატარა, წვეტიანი საგანი დაიკავა და ი-ს ნავაჭრი თანხის გადაცემა მოსთხოვა. ამ დროს ბიჭი სალაროსკენ გაემართა, ხოლო ი-ს იყვირა და შველა ითხოვა. უ. ბ-ეს შეემინდა და დახმარების სათხოვნელად მოპირდაპირე მაღაზიისკენ გაიქცა. იგი ამ მაღაზიაში მომუშავე ქალბატონთან ერთად მარკეტისაკენ გაემართა, რა დროსაც დაინახა, რომ ბიჭი მარკეტიდან გამოვიდა და გაიქცა. მოწმე ბიჭს სახეზე საკმარისად კარგად ვერ დააკვირდა, მაგრამ მოგვიანებით შეიტყო, რომ იგი მარკეტის მეზობელად მდებარე უბანში ცხოვრობდა.

4. მოწმე დ. ბ-ის ჩვენების თანახმად, 2015 წლის 6 დეკემბრის მდგომარეობით, იგი ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებ-

ლად მუშაობდა. ხსენებულ დღეს მოხდა ყაჩაღობა. დაზარალებულმა პოლიციას აღუწერა თავდამსხმელის გარეგნობა. ამ დროს თანამშრომლებთან – ა. მ-სთან, ო. გ-სა და გ. ს-სთან ერთად იმყოფებოდა ა-ის ქუჩაზე, სადაც პოლიციის განყოფილებიდან აცნობეს თქერატიული ინფორმაცია, რომ დაზარალებულის მიერ მითითებული აღნერილობის პირი ბ-ას ქუჩაზე გადაადგილდებოდა. იმ ადგილზე მალე მივიდნენ და იქ არსებულ ლუდის ბარში შესვლისთანავე ბიჭი დააკავეს, რომელიც ზ. ქ-ე აღმოჩნდა. დაკავებულს პირადი ჩხრეკის დროს „ჰუავეისა“ და „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონები და „ვინსტონის“ ფირმის სიგარეტი ამოუღეს. მათვის ცნობილი იყო, რომ დაკავებულმა მ-ის ქუჩაზე მდებარე მარკეტის გამყიდველს დანის გამოყენებით სიგარეტი და ტელეფონი გასტაცა.

5. მონმეო. გ-ის ჩვენების თანახმად, მუშაობს ქუთაისის საქალაქო სამართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლად. 2015 წლის 6 დეკემბერს, გვიან ღამით, ა. მ-სთან და გ. ს-სთან ერთად იმყოფებოდა ა-ის ქუჩაზე, სადაც მათთან პოლიციის მუშავი დ. ბ-ე მივიდა, უამბო დანაშაულის შესახებ და თავდამსხმელის გარეგნობა აღუწერა. რამდენიმე ხანში დ. ბ-ეს აცნობეს, რომ დანაშაული შესაძლოა, ზ. ქ-ს ჩაედინა და ის, სავარაუდოდ, ბ-ას ქუჩაზე მოძრაობდა. ისინი წავიდნენ ამ მისამართზე, სადაც ლუდის ბართან შენიშნეს დასახელებული ახალგაზრდა, რომელიც დ. ბ-ემ დააკავა და ძირითადი უფლებები განუმარტა. დაკავებულმა პირადი ჩხრეკისას ნებაყოფლობით წარმოადგინა „ჰუავეისა“ და „ნოკიას“ ფირმის მობილური ტელეფონები და „ვინსტონის“ ფირმის სიგარეტი.

6. სასამართლო სხდომაზე ანალოგიური ხასიათის ჩვენება მისცა მონმეო გ. ს-ემ.

7. ზ. ქ-ის პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, ზ. ქ-ეს შავი ჯინ-სის შარვლის უკანა, მარჯვენა ჯიბეში აღმოაჩნდა შავი ... იმეი კოდის მქონე „HUAWEI-ს“ ფირმის მობილური ტელეფონი, რომელშიც მოთავსებულია სიმბარათი. ზ. ქ-ის ჯინსის შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბეში აღმოჩნდა „ნოკიას“ ფირმის ... იმეი კოდის მქონე მობილური ტელეფონი, რომელშიც მოთავსებულია ... ნომრის მქონე სიმბარათი. უაკეტის წინა, მარცხენა ჯიბეში აღმოჩნდა ერთი კოლოფი სიგარეტი „ვინსტონი“.

8. ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების №... დასკვნის თანახმად, ლაბორტორიული გამოკვლევის შედეგად: (ნიტოქსიმეტრ EC/IR/II 0.77 პრომილე), ზ. ქ-ეს დაუდგინდა მსუბუქი ხარისხის ალკოჰოლური თრობა.

9. ადგილმდებარეობის დათვალიერების 2015 წლის 6 დეკემ-

ბრის ოქმის თანახმად, დასათვალიერებელი ადგილი მდებარეობს ქ-ში, ს-ის ქუჩის №-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის წინამდებარე ტერიტორიაზე. სახლის ეზოში, შესასვლელი ჭიშკრის გვერდით, ეზოს გარეთ გამავალ ტროტუარზე განთავსებული მოგრძო სკამის ქვეშ, მარცხნა საყრდენი ფეხიდან რამდენიმე სანტიმენტრის მოშორებით, მიწაზე დევს გასაშლელი დანა დაკეცილ მდგომარეობაში. დანა არის პატარა ზომის და სის მსგავსი ყავისფერი მასალისგან დამზადებული ტარი და ვერცხლისფერი ვინწრო პირი აქვს. დანის ტარისა და პირის ერთმანეთისგან შეხების ადგილზე მიკრულია თმის ერთი ღერი.

10. ამოცნობის 2015 წლის 6 დეკემბრის ოქმით დადგენილია, რომ ი. ბ-ემ თმის, წვერისა და თვალების ფერით, სიმაღლით, სხეულის აგებულებითა და სახის საერთო იერით – მოგრძო პირისახით, საშუალო სიგრძის სწორი ცხვირით ამოსაცნობად წარდგენილი სამი პირიდან ამოიცნო ზ. ქ-ე, რომელმაც 2015 წლის 5 დეკემბერს, მარკეტში ყოფნის დროს, დანის მუქარით მოსთხოვა თანხის გადაცემა, ხოლო შემდეგ კი მისი მობილური ტელეფონი გაიტაცა.

11. თავად ზ. ქ-ემ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნონ და განმარტა, რომ შემთხვევის დღეს მისი საცხოვრებელი სახლის მახლობლად, ...-ის ქუჩაზე მდებარე მარკეტში, სიგარეტის ნისიად შესაძენად შევიდა. იგი მთვრალი იყო. მარკეტის ორი თანამშრომელი პროდუქტებს თაროზე ალაგებდა. მის დანახვაზე ერთ-ერთი დახლთან მივიდა, რომელსაც სიგარეტი „ვინსტონი“ სთხოვა. გამყიდველმა გადასცა სიგარეტი და თანხაც მოსთხოვა. მან სიგარეტი ჩაიდან ჯიბეში და უთხრა, რომ თანხა არ ჰქონდა და აქეთ მიეცა ფული. ასევე განუმარტა, რომ ახლოს ცხოვრობდა და თანხას მომდევნო დღეს მიუტანდა. გამყიდველმა განუცხადა, რომ მას არ იცნობდა და ან თანხა გადაეხადა, ან სიგარეტი დაებრუნებინა. ამ დროს სიგარეტი ჯიბიდან ამოიღო და თან ფრჩხილების „საკვნეტელა“ ამოჰყვა. ვინაიდან არც სიგარეტი დააბრუნა და არც ფული გადაიხადა, გამყიდველი გოგონა თმაში სწვდა და სალაროსკენ ექაჩებოდა. ამ დროს იქვე მყოფი მეორე ქალბატონი გარეთ გაიქცა. როდესაც გოგოს ხელი გააშვებინა, დახლიდან მობილური ტელეფონი აიღო და წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს მან თავში პლასტმასის სკამი ჩაარტყა. წამოსვლისას გოგონას უთხრა, რომ თანხასა და ტელეფონს მომდევნო დღეს მიუტანდა. მაღაზიდან სახლში წავიდა, სადაც ფრჩხილების „საკვნეტალა“ დატოვა და შემდეგ მეგობარს ლუდის ბარში შეხვდა, სადაც პოლიციამ დააკავა. ზ. ქ-ის განმარტებით, იგი მაღაზიაში საყაჩალოდ არ შესუ-

ლა, ძალადობა ან მუქარა დაზარალებულის მიმართ არ გამოუყენებია და არც დანა ჰქონია თან.

12. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტით ადასტურებს ზ. ქ-ის მიერ მაღაზიის მოლარე ი. ბ-ის მიმართ ყაჩაღობის ჩადენას, რის გამოც მსჯავრდებულის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით, უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველ ნაწილზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ყაჩაღობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. ყაჩაღობის დროს პირი თავდასხმის გამოყენებით ზემოქმედებს დაზარალებულზე, რათა სხვის მოძრავ ნივთის დაუფლოს. ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დადგინდეს, თუ დაზარალებულმა როგორ აღიქვა და შეაფასა მის მიმართ გამოთქმული მუქარის შინაარსი. რაც შეეხება ძარცვას, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია დანაშაულის აშკარად, სხვა პირთათვის ხილულად ჩადენა და მას თავდასხმის ელემენტი არ გააჩნია. დაზარალებულ ი. ბ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ ზ. ქ-ემ ქონების დაუფლების მიზნით იარაღი გამოიყენა, კერძოდ, დაზარალებულის ჩვენების თანახმად, ბიჭმა ჯიბბში ხელი ჩაიყო და მოულოდნელად პრიალა ზედაპირის მქონე, წვეტიანი საგანი ამოიღო, რომელიც ი. ბ-ემ დანად აღიქვა. აღნიშნულის გამო დაზარალებული ძლიერ შეშინდა და იქ მყოფ თანამშრომელს ყვირილით მოუხმო დასახმარებლად. მოწმემ თავდამსხმელს უთხრა, რომ ფული არ ჰქონდა და სოხოვა მარკეტიდან გასულიყო, მაგრამ ამის მიუხედავად, ბიჭი დანის ქნევით სალაროსკენ დაიძრა, მივიდა სალაროს მაგიდასთან და მას დაზიანებით ემუქრებოდა. მოწმე უ. ბ-ის განმარტებით კი, როდესაც ბიჭმა ი. ბ-ეს უთხრა, რომ თანხა არ ჰქონდა, ხელში პატარა, წვეტიანი საგანი დაიკავა და თანხის გადაცემას მოითხოვდა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იარაღთან მიმსგავსებული საგნით ობიექტურად შესაძლოა, პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქროს, მაგრამ თუ დაზარალებულმა იარაღი ნამდვილად აღიქვა, მას შესაძლოა, დაუფლოს შიში და გახდეს იძულებული, ნების სანიააღმდეგოდ, დათმოს ქონება.

14. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის ჩვენების უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. ი. ბ-ის მიერ საგნის დანად, ხოლო თავდასხმის – საშიშროებად აღქმა და-დასტურებულია მის ჩვენებაში ასახული ისეთი ფაქტობრივი გა-რემოებებით, როგორიც არის საშველად თანამშრომლის (ჟ. ბ-ის) მოხმობა და თავდამსხმელის მოგერიების მცდელობა. ჟ. ბ-ის ჩვენებითაც დადასტურებულია, რომ ი-მ იყვირა და შველა ითხოვა, რის გამოც ჟ-აც შეშინდა და მოპირდაპირე მაღაზიაში მომუშავე ქალბატონთან დახმარების სათხოვნელად გაიქცა. ამ-დენად, ზ. ქ-ემ დაზარალებულს მოულოდნელად, დანისმაგვა-რი საგნის გამოყენებით, ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლი-სათვის საშიში ძალადობის მუქარით, ნივთის დაუყოვნებლივ გა-დაცემა მოხსოვა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდი-ნარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. ქ-ემ ჩაიდინა ყაჩა-ლობა, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომ-დინარე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის ყველა ელემენტი უტყუარად არის დადასტურებული.

15. რაც შეეხება სასჯელის ზომას, საკასაციო პალატა მხედ-ველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექ-სის 39-ე მუხლითა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილ სასჯელის დანიშნის ზოგადსავალდებულო გარემოებებს, ინ-დივიდუალურად აფასებს მსჯავრდებულის პიროვნებას და გან-მარტავს, რომ ზ. ქ-ეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გა-რემოება არ გააჩნია. ამასთან, იგი არ არის ნასამართლევი და ხასიათდება დადებითად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკა-საციო პალატას მიაჩნია, რომ ზ. ქ-ეს უნდა შეეფარდოს საქარ-თველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირვე-ლი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ზომის მინიმუმი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სის-ხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ დარი-კო ვადაჭკორიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ ზ. ქ-ის ინტერესების დამცველის, ადვო-

კატ გ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 10 თებერვლის განაჩენში შევი-დეს შემდეგი ცვლილება:

4. ზ. ქ-ის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კო-დექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირ-დეს ამავე კოდექსის 179-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

5. ზ. ქ-ე ცნობილ იქნეს დამაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით და სას-ჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლე-ბის აღკვეთა.

6. ზ. ქ-ეს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების დღი-დან – 2015 წლის 6 დეკემბრიდან.

7. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლე-ლად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განაჩენი

№112აპ-17

20 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- ნ. გვენეტაძე,
- გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ქ. ს-ს, მსჯავრდებულ რ. ღ-ს ინ-ტერესების დამცველის, ადვოკატ ე. მ-სა და გლდანი-ნაძალა-დევის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლევან უორუ-ლაძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იან-ვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად:
- ქ. ს-ს ბრალი დაედო თაღლითობაში, ე. ი. მართლსაწინააღ-

მდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებასა და ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღებაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ორი – 2015 წლის 24 სექტემბრისა და 2015 წლის 28 ოქტომბრის ეპიზოდები); პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გატაცებაში – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ორი – 2015 წლის 24 სექტემბრისა და 2015 წლის 28 ოქტომბრის ეპიზოდები);

■ რ. ღ-ს ბრალი დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებასა და ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღებაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (ორი – 2015 წლის 24 სექტემბრისა და 2015 წლის 28 ოქტომბრის ეპიზოდები); ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში გამოყენების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია – დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი – 2015 წლის 24 სექტემბრისა და 2015 წლის 28 ოქტომბრის ეპიზოდები).

მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

– 2015 წლის 24 სექტემბერს ქ. ს-ე ფარულად დაეუფლა თავისი ძმის – ლ. ს-ს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას და რ. ღ-თან ერთად მივიდა ..., მ/ს „.... თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მ. ა-ს სანოტარო ბიუროში, სადაც დახვდათ თანხის გამსესხებელი პირი – ზ. ს-ე. რ. ღ-ე ნოტარიუს მ. ა-ს წინაშე წარსდგა, როგორც ლ. ს-ე, ამ უკანასკნელის სახელზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოწმობა წარუდგინა და გამოხატა თანხმობა ლ. ს-ს ბინის იპოთეკით დატვირთვაზე. ნოტარიუსი ფიზიკური მსგავსების გამო ვერ მიხვდა, რომ მის წინაშე ლ. ს-ს სახელით ნებას გამოხატავდა რ. ღ-ე, შესაბამისად, გააფორმა ხელშეკრულება რ. ღ-სა და ზ. ს-ს შორის, რომელზეც ხელი ლ. ს-ს სახელით მოაწერა რ. ღ-მ, ხოლო ხელშეკრულების თანახმად, იპოთეკით დაიტვირთა ლ. ს-ს კუთვნილი ბინა, რომლის სანაცვლოდაც ზ. ს-მ ქ. ს-ს გადასცა თანხა – 10 000 აშშ დოლარი (24075 ლარი).

– 2015 წლის ოქტომბერში რ. ღ-მ, ქ. ს-მ და ნ. კ-მ კვლავ განიზრახეს ლ. ს-ს ნებართვის გარეშე და მისგან ფარულად და-

ეტიკირთათ ამ უკანასკნელის საკუთრებაში არსებული ბინა (მდებარე ქ.თბილისში, ... ქ.№....-ში) იპოთეკით და მიღებული თანხა გამოეყენებინათ პირადი საჭიროებისათვის. 2015 წლის 27 ოქტომბერს ქ. ს-ე კვლავ ფარულად დაეუფლა ლ. ს-ს პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო 2015 წლის 28 ოქტომბერს ქ. ს-ე და რ. ღ-ე მივიდნენ ნოტარიუს მ. ა-ს სანოტარო ბიუროში, სადაც რ. ღ-მ ლ. ს-ს სახელით გასცა მინდობილობა ქ. ს-ს სახელზე, ლ. ს-ს საკუთრებაში არსებული ზემოხსენებული ბინის განკარგვის უფლებით. რ. ღ-მ წარადგინა ლ. ს-ს პირადობის მოწმობა და კვლავ მის ნაცვლად მოაწერა ხელი მინდობილობას. იმავე დღეს ხსენებული ყალბი მინდობილობის საფუძველზე მ. ა-ს სანოტარო ბიუროში ქ. ს-მ იპოთეკით მეორედ დატვირთა ლ. ს-ს საცხოვრებელი ბინა, რის შემდეგაც იპოთეკარებისგან (გამსესხებლები) – მ. ღ-საგან, ლ. მ-სა და ზ. ქ-საგან სესხად აიღო თანხა ჯამურად – 20 500 აშშ დოლარის (48863 ლარი) ოდენობით, საიდანაც ქ.ს-მ გაისტუმრა წინა იპოთეკარი – ზ. ს-ე. ასევე, რ. ღ-ს გადასცა – 1500 აშშ დოლარი (3575 ლარი), ნ. კ-ს – 500 აშშ დოლარი (1191 ლარი), ხოლო დარჩენილი თანხა დაიტოვა თვითონ.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 2 აგვისტოს განაჩენით:

ქ. ს-ე, – დაბადებული 19.. წელს, – (ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით ნარდგენილ ბრალდებაში (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი);

ქ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ლ. მ-სა და ზ. ქ-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ლ. მ-სა და ზ. ქ-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ ქ. ს-ს განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ქ. ს-ს სასჯელის მოხდის ვადის ათველა დაეწყო დაკავების დღიდან – 2016 წლის 2 აგვისტოდან.

რ. ღ-ე, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა უდანაშაუ-

ლოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით ნარდგენილ ბრალდებაში (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი).

რ. ღ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი) გადაკალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

რ. ღ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ლ. მ-სა და ზ. ქ-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ლ. მ-სა და ზ. ქ-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ რ. ღ-ს განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. ღ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2015 წლის 11 დეკემბრიდან.

ნივთიერი მტკიცებულებები – ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებული უფრო-ვიდეოჩანანერების ამსახველი ერთი კომპიუტერული დისკი და სანოტარო ბიუროდან მიღებული ვიდეოჩანანერის ამსახველი ერთი კომპიუტერული დისკი უნდა დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლევან უორულაძემ, მსჯავრდებულ რ. ღ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ნ. ც-მ და მსჯავრდებულმა ქ. ს-მ.

■ პროკურორმა ნარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 2 აგვისტოს განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულების – ქ. ს-სა და რ. ღ-ს დამნაშავედ ცნობა მათ მიმართ ბრალად ნარდგენილ ყველა ეპიზოდში, შემდეგ გარემოებათა გამო:

■ პროექტორის განმარტებით, თუკი სასამართლომ 2015 წლის 28 ოქტომბრის ეპიზოდში დადასტურებულად მიიჩნია მსჯავრდებულთა მიერ თაღლითობის ჩადენა, დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილება იმავე ქმედებისათვის 2015 წლის 24 სექტემბრის ეპიზოდში მათი გამართლების შესახებ მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ იპოთეკარს დაუბრუნეს თანხა. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ჩადენილია ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაული. თავად ქ. ს-ს ჩვენებითაც დასტურდება, რომ პირველი ქმედების ჩადენისას მათ არ სურდათ თაღლითობის განმეორებით ჩადენა, თუმცა იძულებული გახდა, რადგან მას ვალების დასაფარად პირველი სესხის შედეგად მიღებული თანხა არ ეყო. შესაბამისად, სასამართლოს 2015 წლის 24 სექტემბრის ეპიზოდის შეფასებისას უნდა ეხელმძღვანელა მსჯავრდებულების იმ მომენტისათვის არსებული განზრახვით, რადგან დანაშაულის ჩადენისას მათ ჰქონდათ სხვისი ნივთის მართლსაზინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა. სესხის განმეორებით მისაღებად კი აუცილებელი იყო, გაესტუმრებინათ პირველი იპოთეკარი, რის გარეშეც 2015 წლის 28 ოქტომბრის ხელშეკრულება ვერ დაიდებოდა. პროექტორმა ასევე განმარტა, რომ ზუსტად იმავე საფუძვლით გადაკვალიფიცირდა რ. ღ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნარდგენილი ბრალდება ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე (2015 წლის 24 სექტემბრის ეპიზოდი), რომ თითქოსდა, მისმა ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოიწვია, რადგან თანხა დაუბრუნდა იპოთეკარს.

■ მსჯავრდებულ რ. ღ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. ც-მ ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 2 აგვისტოს განაჩენში ცვლილების შეტანა შემდეგი საფუძვლებით:

■ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს კონკრეტული ნორმა, კერძოდ, 208-ე მუხლი, კრედიტის უკანონოდ მიღება, რომელსაც ზუსტად შეესაბამება რ. ღ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, რის გამოც მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ვინაიდან სესხის აღება მოხდა რ. ღ-ს მიერ ხელმოწერილი ყალბი მინდობილობის საფუძველზე, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. ამასთან, სესხის საფუძველზე აღებული თანხის არაპროპორციული განაწილებიდან გამომდინარე, რ. ღ-ე ნარმოადგენს დამხმარეს ქ. ს-ს მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში, რაც ყალბი მინდობილობის დამზადებაში გამოიხატა. აღნიშნულის გათვალის-

წინებით, ადვოკატმა ითხოვა რ. ლ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 24-ე-208-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ასევე საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლა.

■ მსჯავრდებულმა ქ. ს-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვა სასაჯელის შემსუბუქება და მისთვის ისეთი სასჯელის განსაზღვრა, რომელიც არ იქნებოდა დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. მსჯავრდებულმა ალტერნატიულ მოთხოვნად მიუთითა სასჯელის განსაზღვრა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 2 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ქ. ს-მ, მსჯავრდებულ რ. ლ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. მ-მ და გლდანი-ხაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლევან ურუშოლაძემ.

6. მსჯავრდებული ქ. ს-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასაჯელის შემსუბუქებასა და მისთვის ისეთი სასჯელის განსაზღვრას, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. მსჯავრდებულმა ალტერნატივის სახით მოითხოვა სასჯელის განსაზღვრა საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით.

7. მსჯავრდებულ რ. ლ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. მ-ი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანას და რ. ლ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 24-ე-208-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საბოლოო სასჯელის სახით 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით 2 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო 1 წლის პირობითად ჩათვლას.

8. პროკურორი ითხოვს მსჯავრდებულების – ქ. ს-სა და რ. ლ-ს დამნაშავედ ცნობას მათ მიმართ ბრალად წარდგენილ ყველა ეპიზოდში იმავე სამართლებრივი საფუძვლებით, რაზეც მითი-

თებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში. სახელმწიფო ბრალ-მდებელმა დამატებით მიუთითა, რომ სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაზარალებულად არასწორად მიიჩნია თანხის გამსეს-ხებლები (იპოთეკარები), რადგან დანაშაულის ორივე ეპიზოდის შემთხვევაში ზიანი მიადგა არა მათ, არამედ – ქ. ს-ს, რადგან მის საკუთრებაში არსებული ქონება ორჯერ დაიტვირთა იპოთეკით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ მსჯავრდებულ ქ. ს-ს, მსჯავრდებულ რ. ღ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. მ-სა საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლევან უზორულადის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:
2. მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით დადგენილია, რომ 2015 წლის 24 სექტემბერს ლ. ს-ს სახელით ზ. ს-თან გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება და გამსესხებულმა ზ. ს-მ გასცა სესხი – 10 000 აშშ დოლარი, ხოლო სესხის უზრუნველყოფა მოხდა მსესხებლ ლ. ს-ს კუთვნილი უძრავი ქონებით, მდებარე – ქ. თბილისში, ... ქ. ქ...ში.
3. აღნიშნული ხელშეკრულების სისწორე დაადასტურა ნოტარიუსმა მ. ა-მ, რომლის ჩვენებაც ასევე უდავოდ იქნა ცნობილი და მიენიჭა პრეიუდიციული მნიშვნელობა.
4. სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულ დაზარალებულ ლ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ქ. ს-ე არის მისი და. თბილისში, ... ქ. ქ...ში მდებარე ბინა რეგისტრირებულია მის სახელზე, რომელიც შეიძინა ერთი წლის ნინ 45 000 აშშ დოლარად. მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული ბინა არის იპოთეკით არაკანონიერად დატვირთული იმ შეთანხმების საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობდნენ კ-ე და ღ-ე, ასევე მისი და – ქ. ს-ე. დაზარალებულის განმარტებით, 2015 წლის 24 სექტემბერსა და 2015 წლის 28 ოქტომბერს ნოტარიუსთან არ მისულა და შესაბამისად, მინდობილობა მისი გაცემული არ არის; ასევე ხელი არ მოუწერია სესხისა და იპოთეკის არც ერთ ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულების გაფორმების შესახებ გაიგო ბოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს, მაშინ, როდესაც ნოტარიუსმა დაურეკა და ჰქითხა ვინაობა და იყო თუ არა

მასთან მისული წინა დღეს, რაც მან არ დაუდასტურა. მისთვის ასევე ცნობილია, რომ მისი პირადობის მოწმობა მოიპარეს სახლიდან და მოპარული პირადობის მოწმობის გამოყენებით, მის ნაცვლად სხვა პირის ხელმოწერით, გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები და მინდობილობა. მას სურდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის შეცვლა, რის გამოც მივიდა იუსტიციის სახლში, სადაც გაირკვა, რომ მისი პირადობის მოწმობის შეცვლას ცდილობდნენ – რ. ღ-ე და ქ. ს-ე. მანვე განმარტა, რომ მას დაუკავშირდა რ. ღ-ს მამა და უთხრა, რომ დაუბრუნებდა იმ თანხას, რომელიც ქ. ს-ს ჰქონდა გადახდილი რ. ღ-თვის.

5. მოწმე ზ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 24 სექტემბერს ნოტარიუს მ. ა-ს სასოფარო ბიუროში მასა და ლ. ს-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ლ. ს-ს სესხის სახით გადასცა – 10 000 აშშ დოლარი. 2015 წლის 28 ოქტომბერს მას დაურეკეს და უთხრეს, რომ ლ. ს-ე ამატებდა თანხას და მას სრულად უბრუნებდა მის მიერ გაცემულ თანხას. შემდეგ გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ახალი ხელშეკრულება, ხოლო მას დაუბრუნდა სესხის სახით გაცემული – 10 000 აშშ დოლარი.

6. მოწმე მ. ა-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი არის ნოტარიუსი და მუშაობს ... „... თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სასოფარო ბიუროში. 2015 წლის 24 სექტემბერს მასთან მივიდნენ და-ძმა ქ. და ლ. ს-ები. მათ წარუდგინეს ლ. ს-ს კუთვნილი, 2007 წელს გაცემული პირადობის მოწმობა. მან მოახდინა ლ. ს-ს პიროვნების იდენტიფიცირება შუამავალსა და იპოთეკარებთან ერთად, რის საფუძველზეც იმავე დღეს გააფორმა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ლ. ს-მ სესხის სახით მიიღო 10 000 აშშ დოლარი, ... ქუჩაზე მდებარე ბინის უზრუნველყოფით. 2015 წლის 28 ოქტომბერს მასთან კვლავ მივიდნენ – ლ. და ქ. ს-ები, კვლავ წარუდგინეს ლ. ს-ს სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა და მოითხოვეს ქ. ს-ს სახელზე მინდობილობის გაცემა, ვინაიდან მათი განმარტებით, ლ. ს-ე სასწრაფოდ მიდიოდა ქ. ბათუმში. 15:00 საათზე მან გააფორმა მინდობილობა, ხოლო 17:00 საათზე მასთან ხელმეორედ მივიდა ქ. ს-ე, იპოთეკარებთან – ზ. ქ-თან, მ. გ-სა და ლ. მ-თან ერთად და მოითხოვა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება. იმავე დღეს მან შეადგინა ხელშეკრულება, რა დროსაც მას ქ. ს-ს ქცევაში შეეპარა ეჭვი და მეორე დღეს გადაწყვიტა მის ოჯახთან დაკავშირება. მეორე დღეს ის თავ-დაპირველად დაუკავშირდა ქ. ს-ს მამას, რომელმაც უთხრა, რომ

მის შვილს – ლ. ს-ს დაკარგული ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რის გამოც ლ. ს-ე ვერ შეძლებდა სანოტარო ბიუროში მისვლას და ხელშეკრულების გაფორმებას, ხოლო მოგვიანებით ესაუბრა თავად ლ. ს-ს, რომელმაც დაადასტურა მამის ნათქვამი და აღნიშნა, რომ წინა დღეს იგი სახლიდან არ გასულა და არც სანოტარო ბიუროში ყოფილა დასთან ერთად.

7. მოწმე ვ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს უძრავი ქონების სააგენტოში. ქ. ს-ე გაიცნო მაშინ, როცა ბინის სანახავად იყო მისული მასთან. მისი მონაწილეობით ნოტარიუსთან მომზადდა და დაიბჭედდა საბუთები, რის შემდეგ მივიღნენ ქ. და ლ. ს-ები და ხელშეკრულება გაფორმდა 10 000 აშშ დოლარზე. ორი თვის სარგებელი გადაიხადეს წინასწარ, ხოლო თანხა გადაეცა ქ. ს-ს ნოტარიუსის თანდასწრებით. ლ. ს-ც იქ იმყოფებოდა და თანხა ქ. ს-ს გადაეცა მისი თანხმობით. მან იცოდა, რომ ლ. ს-ე იყო ბინის მებატრონე, ხოლო ქ. ს-ე კი – მისი და. ხელშეკრულების გაფორმებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დაუკავშირდა გამსესხებელი ზ., რომელმაც უთხრა, რომ თანხას უბრუნებდნენ და როგორც მისთვის ცნობილია, მას აღნიშნული თანხა დაუბრუნდა, ხოლო ქ. ს-მ ხელახლა დატვირთა ბინა იპოთეკით – 20 500 აშშ დოლარად. იპოთეკით ხელახლა დატვირთვა და ზ-ს თანხის დაფარვა მოხდა ერთდროულად, შესაბამისად, მას ზიანი არ მისდგომია. მოგვიანებით მას დაურეკეს პოლიციიდან და დაკითხეს მოწმის სახით, სადაც ნახა ბინის ნამდვილი მეპატრონე და ის აშკარად განსხვავდებოდა იმ პირისაგან, რომელიც მანამდე ლ. ს-ე ეგონა.

8. მოწმე ლ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ სურდა დაგროვილი დანაზოგის – 5000 აშშ დოლარის გასესხება, რის შესახებაც იცოდა უძრავი სააგენტოს მფლობელმა ი. ვ-ზ. 2015 წლის ოქტომბერში ი. ვ-ე დაუკავშირდა და აცნობა, რომ შეეძლო ფულის გასესხებაში დახმარება და დაიპარა ნოტარიუსთან. ნოტარიუსთან მისულმა ნახა ი. ვ-ე და კიდევ ორი იპოთეკარი, რომლებიც უარს აცხადებდნენ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებაზე მინდობილობის საფუძველზე, რა დროსაც ნოტარიუსმა ი-ს უთხრა, რომ მინდობილობის საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმება პრობლემას ვერ შექმნიდა, მით უმეტეს პირველი ხელშეკრულებაც მისი გაფორმებული იყო. შემდეგ დასთანხმდნენ და გაფორმდა ხელშეკრულება. იქვე იყო ახალგაზრდა გოგო, როგორც შემდგომში მისთვის გახდა ცნობილი, ქ. ს-ე, რომელმაც უთხრა, რომ მას უნდა გადაეხადა სესხი და თანხა ძმისთვის სჭირდებოდა. თანხას გადაუხდიდა მას შემდეგ, რაც გაყიდდა ქუთაისში მდებარე სახლს. ხელშეკრუ-

ლებაზე ხელის მოწერისას მან იცოდა, რომ ბინა, რომელიც იპო-
თეკით დაიტვირთა, ეკუთვნოდა ქ. ს-ს ძმას, ხოლო როგორც მის-
თვის შემდეგში გახდა ცნობილი, ს-ს ძმის ნაცვლად, მინდობი-
ლობას ხელი მოაწერა რ. ღ-მ. მან შუამავალს გადასცა 5000 აშშ
დოლარი.

9. მოწმე ზ. ქ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის ოქ-
ტომბერში დაურეკა მეგობარმა ი. ვ-მ, რომელმაც უთხრა, რომ
დაეხმარებოდა სესხის გაცემაში, ბინის უზრუნველყოფით. აღ-
ნიშნულის შემდეგ მივიდა ნოტარიუსთან, სადაც გაიგო, რომ მინ-
დობილობით ფორმდებოდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრუ-
ლება, თავად იყო იპოთეკარი. სესხისა და იპოთეკის ხელშეკ-
რულების გაფორმებისას ნოტარიუსმა განუცხადა, რომ ბინის
მესაკუთრე იყო მასთან მისული, თუმცა, ვინაიდან ჰქონდა გა-
დაუდებელი საქმე, გააფორმა მინდობილობა და წავიდა. შემ-
დეგ გაფორმდა ხელშეკრულება, რომელსაც მოაწერა ხელი.
ხელშეკრულების გაფორმებისას სულ ჰქონდა – 12 000 აშშ დო-
ლარი, მათ შორის – 6 000 აშშ დოლარი იყო თავისი, ხოლო – 6 000
აშშ დოლარი მისი დის. ამასთან, ხელშეკრულება გაფორმდა კი-
დევ – 3500 და – 5000 აშშ დოლარზე, საერთო თანხა გამოვიდა –
20 500 აშშ დოლარი. თანხა ნოტარიუსის თანდასწრებით გადას-
ცა ქ. ს-ს. მოწმემ ასევე განმარტა, რომ როდესაც მინდობილო-
ბის გაყალბების ფაქტი გაირკვა, მას დაუკავშირდნენ რ. ღ-ს
ოჯახის წევრები და უთხრეს, რომ გადაიხდიდნენ იმ თანხის ნა-
წილს, რაც რ. ღ-მ წაიდო.

10. მოწმე მ. ღ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მას დაუკავ-
შირდა მეგობარი მ. თ-ი და შესთავაზა თანხის გასესხება, ბინის
უზრუნველყოფით. 2015 წლის ოქტომბრის ბოლოს მივიდა ნო-
ტარიუსთან, სადაც გაირკვა, რომ სესხისა და იპოთეკის ხელ-
შეკრულება უნდა გაფორმებულიყო მინდობილობის საფუძველ-
ზე, რაზეც უარყოფითი რეაქცია ჰქონდა ზ. ქ-ს. ნოტარიუსმა
განმარტა, რომ მინდობილობა პრობლემას არ წარმოადგენდა,
ვინაიდან იგი თავად გააფორმა და მასაც ჩვეულებრივი იური-
დიული ძალა ჰქონდა. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მინდობი-
ლობა იყო ყალბი, სიტყუაციის გარკვევის მიზნით ავიდნენ ქ. ს-
სთან სახლში, სადაც მისმა დედამ აუღელვებლად უთხრა, რომ
პრობლემა არ იყო, რადგან ქ. ს-ე აპირებდა იტალიაში წასვლას
და გადაიხდიდა ვალს. მოგვიანებით საუბარში ჩაერთო ლ. ს-ც.
მათ ლ. ს-ს და მის დედას შესთავაზეს, რომ გაუფორმებდნენ
ერთნლიინ უპროცენტო ხელშეკრულებას, რომ ქ. ს-ს ნაწილ-
ნაწილ დაებრუნებინა თანხა, რაზედაც ლ. ს-მ უარი განაცხადა.

11. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს

მოწმეებმა – ლ. დ-მ, მ. თ-მ და ი. ვ-მ (შუამავლები).

12. მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი, 2015 წლის 28 ოქტომბერს ნოტარიუს მ. ა-ს მიერ გაცემული მინდობილობით დადგენილია, რომ ქ. ს-ს მიენიჭა უფლებამოსილება განეკარგა, ქ. თბილისში, ... ქ. №...-ში მდებარე ლ. ს-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

13. მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი, 2015 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით დადგენილია, რომ ქ. ს-ს სესხის სახით გადაეცა – 20 500 აშშ დოლარი, ხოლო სესხის უზრუნველყოფა მოხდა ლ. ს-ს საკუთრებაში არსებული, თბილისში, ...ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონებით.

14. ქ. ს-მ ნარდგენილ ბრალდებაში თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ, აღიარა დოკუმენტის გატაცების ორივე ეპიზოდი და აჩვენა შემდეგი: მას სურდა სესხის აღება, რის გამოც გადაწყვიტა ძმის სახლის იპოთეკით დატვირთვა. დახმარების მიზნით, დაუკავშირდა მეგობარ ნ. კ-ს, რომელმაც უთხრა, რომ ჰყავდა ნაცნობი, რომელიც მის ძმას ძალიან ჰგავდა და წაჟურებოდა ნოტარიუსთან. ასეთი სახით სესხის აღება გადაწყვიტა იმიტომ, რომ ძმა არ დასთანხმდებოდა სახლის იპოთეკით დატვირთვას. შემდეგ ნ-მ გააცნო რ. ლ-ე, რომელსაც აუსხნა საქმის ვითარება და სთხოვა დახმარება, რასაც რ-ც დასთანხმდა. შეთანხმდნენ, თუ ვისი როლი უნდა შეესრულებინა რ. ლ-ს. 2015 წლის სექტემბრის ბოლოს ნოტარიუს მ. ა-თან გააფორმეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება – 10 000 აშშ დოლარზე. რ. ლ-მ იცოდა, რასაც ანერდა ხელს და თავისი სურვილით მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. აღებული თანხიდან გადაიხადა ორი თვის პროცენტი, საშუალებით, ნოტარიუსის ხარჯები, ასევე ნ. კ-ს გადაუხადა – 500 აშშ დოლარი, ვინაიდან მათ ამ საქმეში დახმარების სანაცვლოდ მოსთხოვეს – 500 აშშ დოლარის გადახდა. დარჩენილი თანხა დაიტოვა თვითონ და გამოიყენა ვალების დასაფარავად. იმის გამო, რომ სრულად ვერ მოახერხა ვალების გასტუმრება, ოქტომბერში კვლავ სთხოვა დახმარება ნ. კ-ს, რომ გაეფორმებინათ ახალი ხელშეკრულება, რის შემდეგაც დაუკავშირდა შუამავალ ლ-ს და სთხოვა ახალი იპოთეკის გაფორმება. ლ-მ უთხრა, რომ შესაძლებელი იყო გაეკეთებინათ ჩანაცვლება. ხელშეკრულების გასაფორმებლად მივიღნენ სხვა ნოტარიუსთან, რომელმაც უარი თქვა მის გაფორმებაზე, ვინაიდან პირადობის მოწმობით რ. ლ-ე ვერ მიასმაგასა ლ. ს-ს. აღნიშნულზე ლ-მ უთხრა, რომ გაეკეთებინათ მინდობილობა, რომლის საფუძვლზეც თავად მოაწერდა ხელს ხელშეკრულებაზე, ან ახალი

პირადობის მოწმობა აეღოთ. შემდეგ წავიდნენ იუსტიციის სახლში პირადობის მოწმობის ასაღებად, სადაც განაცხადეს, რომ პირადობის მოწმობა იყო დაკარგული და სურდათ ახლის აღება. საღამოს დაუკავშირდნენ იუსტიციის სახლიდან და უთხრეს, რომ მოხდა გაორება, წარდგენილი ფოტო არ იყო ლ. ს-ს, იყო სხვა პირის, რის გამოც მისულიყვნენ და თავად განეცხადებინათ ამის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიღებდნენ უფრო მკაცრ ზომებს. შემდეგ ძველი პირადობის მოწმობით და იუსტიციის სახლის მიერ გაცემული სამახსოვრო ბარათით წავიდნენ ნოტარიუს მ. ა-თან, რომელსაც უთხრეს, რომ პირადობის მოწმობაზე განაცხადი, მართალია, გაკეთებული ჰქონდათ, მაგრამ ძალიან ეჩქარებოდათ და სთხოვეს მინდობილობის გაფორმება. ნოტარიუსი დასთანხმდა, ვინაიდან პირველი იპოთეკის ხელშეკრულებაც მისი გაფორმებული იყო. მინდობილობის გაფორმებიდან დაახლოებით ერთ-ორ საათში გაფორმდა მეორე ხელშეკრულება, რომელსაც ესწრებოდნენ შუამავლებიც. ხელშეკრულებას ხელი თვითონ მოაწერა და სესხის თანხა მიიღო, რამაც შეადგინა – 20 500 აშშ დოლარი. ამ თანხიდან გადაიხადა პირველი იპოთეკის თანხა – 10 000 აშშ დოლარი, ნოტარიუსის მომსახურების ლირებულება და საშუამავლოები, ხოლო დარჩენილი, დაახლოებით შვიდი ათასი დოლარიდან, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე – 2000 აშშ დოლარი მისცა რ. ლ-სა და ნ. კ-ს. ქ. ს-მ ასევე განმარტა, რომ ნოტარიუსთან გამოიყენეს ძმის – ლ. ს-ს პირადობის მოწმობა, რომელიც ძმისგან მალულად აიღო მისი ოთახიდან. მას სესხის სახით მიღებული თანხის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზანი არ ჰქონია, ვინაიდან სურდა სამუშაოდ იჭალიაში წასვლა და სესხის ამ გზით დაფარვა.

15. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო წიშანს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთხების მიზნით სხვისი ქონების დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. მართლინააღმდეგობა გულისხმობს, რომ პირი არ არის მესაკუთრე ან მისი კანონიერი მფლობელი და მის მიერ ქონების დაუფლება, ან ქონებრივი უფლების მიღება ხდება უკანონოდ. აღნიშნული დანაშაული წარმოადგენს შედეგიან დელიქტს და დამთავრებულია სხვისი ნივთის დაუფლების ან ქონებრივი უფლების მიღების მომენტიდან. თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობა კი პირდაპირ განზარხვაში გამოიხატება, რა დროსაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი თაღლითობით მარ-

თლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა. ამასთან, ქმედების განხორციელებისას დამნაშავეს უნდა ამოძრავებდეს ანგარების მოტივი და მიზანი.

16. სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულები – ქ. ს-ე და რ. ღ-ე უდანაშაულოდ ცნო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი) იმ მოტივით, რომ ქ. ს-სა და რ. ღ-ს ქმედებაში არ არსებობდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, ვინაიდან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის შემდეგ ქ. ს-მ სესხის თანხა სრულად დაუბრუნა იპოთეკარ ზ. ს-ს და მას რაიმე ზიანი არ მისდგომია. გარდა ამისა, სასამართლომ რ. ღ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი) გადააკალიფიცირა იმავე მუხლის პირველ ნაწილზე, რადგან მითითებულ ეპიზოდში არ დადასტურდა მსჯავრდებულების მიმართ წარდგენილი თაღლითობის ბრალდება და შესაბამისად – მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანი. მისი ქმედება დაკვალიფიცირდა – ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებად, გამოყენების მიზნით (რასაც მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოუწვევია).

17. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასაბუთებას და მიუთითებს შემდეგს: საქმეში უდავოდ ცნობილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ ქ. ს-ს სჭირდებოდა თანხა ვალების დასაფარად. საცხოვრებელი პინა წარმოადგენდა მისი ძმის – ლ. ს-ს საკუთრებას. ქ. ს-მ იცოდა, რომ ლ. არ დასთანხმდებოდა სახლის იპოთეკით დატვირთვას, რის გამოც მან გადააწყვიტა სესხის მისგან მალულად, მოტყუებით აღება, მისივე ბინის უზრუნველყოფით. ქ. ს-ს მიზანს წარმოადგენდა ძმის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოყენებით ქონებრივი სარგებლის მიღება მოტყუებით, რის შესახებაც არა მხოლოდ იცოდა რ. ღ-მ, არამედ თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდა მის განხორციელებაში. ის ფაქტი, რომ ქ. ს-მ სრულად დაუბრუნა თანხა იპოთეკარ ზ. ს-ს, მსჯავრდებულების ქმედებაში არ გამორიცხავს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს. 2015 წლის 24 სექტემბრის ეპიზოდში გამოკვეთილია დანაშაულის შემადგენლობის უველა ნიშანი და იგი დამთავრებულია 2015 წლის 24 სექტემბრიდან, ანუ იმ მომენტიდან, როდესაც ქ. ს-მ და რ. ღ-მ შეაცდინეს ნოტარიუსი და

ვითომდა ლ. ს-ს სახელით, მოტყუებით გააფორმეს 2015 წლის 24 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რის შედეგადაც ლ. ს-ს იპოთეკარის სასარგებლოდ წარმოეშვა – 10 000 აშშ დოლარის ვალდებულება. შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ როდის, ან საერთოდ დაუბრუნა თუ არა ქ. ს-მ ნასესხები თანხა იპოთეკარ ზ. ს-ს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქ. ს-სა და რ. ღ-ს ქმედებებით დანაშაულის ორივე ეპიზოდში ზიანი მიადგა სწორედ ლ. ს-ს, რადგან პირველ ეპიზოდში მას წარმოეშვა – 10 000 აშშ დოლარის, ხოლო შეორები – 20 500 აშშ დოლარის ვალდებულება იპოთეკარების სასარგებლოდ, რის საფუძველზეც განსახილველ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ცნობილია ლ. ს-ე და არა – იპოთეკარები.

18. მსჯავრდებულების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე ასევე მეტყველებს თავად ქ. ს-ს ჩვენებაც, რომ მას ვალების დასაფარად არ ეყო პირველი სესხით მიღებული თანხა და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იგი იძულებული გახდა ხელმეორედ აეღო სესხი, რისთვისაც აუცილებელი იყო პირველი სესხის სრულად გადაფარვა და იპოთეკარ ზ. ს-თვის თანხის დაბრუნება, რომლის გარეშეც მეორე ხელშეკრულება ვერ გაფორმდებოდა. ამ მიზნის განსახორციელებლად იგი კვლავ დაუკავშირდა რ. ღ-ს და მათ ისევ ერთობლივად ჩაიდინეს მეორე დანაშაული.

19. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს პროკურორის არგუმენტებს და მიაჩნია, რომ ქ. ს-მ და რ. ღ-მ 2015 წლის 24 სექტემბრის ეპიზოდში ჩაიდინეს თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება და ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი იდენტობით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით. მითითებულ ეპიზოდში პალატას ასევე დადგენილად მიაჩნია, რომ რ. ღ-მ ჩაიდინა ყალბი იფიციალური დოკუმენტის დამზადება, გამოყენების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულების ქმედებების შედეგად ლ. ს-ს იპოთეკარ ზ. ს-ს სასარგებლოდ წარმოეშვა – 10 000 აშშ დოლარის ვალდებულება, რითაც მას მიადგა მითითებული თანხის მნიშვნელოვანი ზიანი.

20. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზ-

რებას, რომ რ. ღ-მ ჩაიდინა არა თაღლითობა, არამედ, კრედიტის უკანონო მიღებაში დახმარება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 24-ე-208-ე მუხლის პირველი ნაწილით. პალატა ამ ნაწილში ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ საქართველოს სსკ-ის 208-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ბანკის ან სხვა კრედიტორისათვის ყალბი ცნობის მიწოდებაში, კრედიტის მიღების მიზნით. ასეთ შემთხვევაში კრედიტორისათვის მიწოდებული ინფორმაცია შეგნებულად არის დამახიჯებული და არ ასახავს მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ (შემოსავლები, ვალდებულებები და სხვა) ობიექტურ სურათს. მოცემულ შემთხვევაში რ. ღ-ს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ინფორმაცია კი არ მოუწოდება, არამედ – ნოტარიუსს შეცდომაში შეყვანით ოფიციალური დოკუმენტი გააყალბა, სხვის ქონებას დაუფლა და ქონებრივი უფლება მიიღო მოტყუებით. გარდა ამისა, კრედიტი არის ფულადი საშუალება, რომელსაც გასცემს ბანკი ან სხვა საკრედიტო ორგანიზაცია, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

21. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებასა და დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკამარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან¹. საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არის სასამართლოს მიერ გამამტკუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გა-

¹ იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „ელ მასრი მაკედონიის წინააღმდეგ“ (El-Masri v the Former Yugoslav Republic of Macedonia, ECtHR, (GC), 13/12/2012) და „ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Hassan v the UK, ECtHR, (GC), 16/09/2014).

მამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

22. ამდენად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ ქ. ს-მ ჩაიდინა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 24 სექტემბრის ეპიზოდი); 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა (2015 წლის 28 ოქტომბრის ეპიზოდი) და სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 24 სექტემბრისა და 2015 წლის 28 ოქტომბრის ეპიზოდები) გათვალისწინებული დანაშაულები, ხოლო რ. ღ-მ – საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 24 სექტემბრის); 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა (2015 წლის 28 ოქტომბრის ეპიზოდი) და სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2015 წლის 24 სექტემბრისა და 2015 წლის 28 ოქტომბრის ეპიზოდები) გათვალისწინებული დანაშაულები.

23. რაც შეეხება სასჯელს, საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის დანიშნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლასაზინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

24. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ქ. ს-ს მოთხოვნას არასაპატიმრო სასჯელის განსაზღვრის, ან საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით სასჯელის შემსუბუქების შესახებ, რასაც ასევე ითხოვს მსჯავრდებულ რ. ღ-ს ადვოკატი, შემდეგ გარემოებათა გამო: მსჯავრდებულებმა პირდაპირი განზრახვით, ანგარების მოტივით, დროის მცირე ინტერვალით ჩაიდინეს ფაქტობრივად ანალოგიური ხასიათის მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაუ-

ლები და მათმა ქმედებებმა გამოიწვიეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი, რომელიც არ არის ანაზღაურებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქ. ს-სა და რ. ღ-ს სასჯელის სახით უნდა განესაზღვროთ თავისუფლების აღკვეთა რეალურად მოსახდელად, რაც სრულად უზრუნველყოფს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნის (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) განხორციელებას. ამასთან, საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებებიც, რომ ქ. ს-მ ნაწილობრივ აღიარა ჩადენილი დანაშაული და ითანამშრომლა გამოძიებასთან, ჰყავს ორი შევილი, ხოლო რ. ღ-ე რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში და აქეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და მიაჩნია, რომ მათ უნდა შეეფარდოთ შესაბამისი მუხლების სანქციით გათვალისწინებული მინიმალური და მინიმალურთან მიახლოებული სასჯელები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ქ. ს-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. მსჯავრდებულ რ. ღ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლევან ჭორულაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
5. ქ. ს-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.
6. ქ. ს-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ღ.მ-სა და ზ. ქ-ს

ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. ქ. ს-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

8. ქ. ს-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ლ. მ-სა და ზ. ქ-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

9. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ლ. მ-სა და ზ. ქ-ს ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას თანაბარი და ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ ქ. ს-ს განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

10. ქ. ს-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2016 წლის 2 აგვისტოდან.

11. რ. ღ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

12. რ. ღ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ლ. მ-სა და ზ. ქ-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

13. რ. ღ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2015 წლის 24 სექტემბრის – ზ. ს-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

14. რ. ღ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ლ. მ-სა და ზ. ქ-ს ეპიზოდი) და სასჯელად განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

15. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2015 წლის 28 ოქტომბრის – მ. ღ-ს, ლ. მ-სა და ზ. ქ-ს ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას თანაბარი და ნაკლებად მკაც-

რი სასჯელები და საბოლოოდ რ. ღ-ს განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

16. რ. ღ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2015 წლის 11 დეკემბრიდან.

17. ნივთიერი მტკიცებულებები – ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებული აუდიო-ვიდეოჩანანერების ამსახველი ერთი კომპიუტერული დისკი და სანოტარო ბიუროდან მიღებული ვიდეოჩანანერის ამსახველი ერთი კომპიუტერული დისკი უნდა დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით.

18. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. დანაშაული სამართლო ან სხვა კომენდიციური საქმიანობის წილადები

სასაქონლო (მომსახურების) წილის ან სხვა
კომენდიციული აღნიშვნის მართლისა და მდგრად
გამოყენება წილადებით ჯერადაც მიღების მიერ

განაჩენი

№147აპ-17

18 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ა. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- ნ. გვენეტაძე,
- გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულების – გ. ს-ა და დ. ს-ს ინტერესე-
ბის დამცველის, ადგომის დამცველის, ადგომის დამცველის სამართლი-
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის განაჩენით:

გ. ს-ი ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშა-
ვედ საქართველოს სსკ-ის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვე-
პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სას-
ჯელად განესაზღვრა 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა,
რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე
ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

დ. ს-ი – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშა-
ვედ საქართველოს სსკ-ის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვე-
პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სას-
ჯელად განესაზღვრა 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა,
რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე
ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

პირობით მსჯავრდებულების – დ. ს-ა და გ. ს-ს ყოფაქცევა-
ზე კონტროლი და დახმარება დაევალა საქართველოს სასკო-
ლადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის ეროვ-
ნული სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს, მსჯავრდებულების

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მსჯავრდებულებს დაევა-
ლათ, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე არ
შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი.

ნივთიერი მტკიცებულებები – მპს „ჯ-ს“ შენობის ჩერეკისას
ამოღებული სარეცხი საშუალებები, ბოთლები და ეტიკეტები
საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა
განადგურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ს-ა და გ. ს-ა
ჩაიდინეს სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის მართლსაწინააღ-
მდეგო გამოყენება, ე. ი. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ
დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყე-
ნება, აგრეთვე – სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშან-
დებული საქონლის წარმოება და სამოქალაქო ბრუნვაში შეტა-
ნა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი ქმედებები გამოიხატა
შემდეგში:

შპს „ჯ-ს“ (ს/ნ) დამფუძნებლებმა და დირექტორებმა – გ. ს-
ა და დ. ს-ა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, განიზ-
რახეს დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გა-
მოყენება და კონტრაფაქციული საქონლის სამოქალაქო ბრუნ-
ვაში შეტანა. ამ მიზნით ისინი 2014 წლის ზაფხულიდან იყენებ-
დნენ „ზ-რ & გ-ს“ მფლობელობაში არსებულ, დიდი ოდენობით
სასაქონლო ნიშან „F-Y-ის“ და რ-ი მდებარე შპს „ჯ-ს“ კუთვნილ
საწარმოში აწარმოებდნენ კონტრაფაქციულ ჭურჭლის სარეცხ
საშუალებებს, რის რეალიზაციასაც ახდენდნენ სხვადასხვა მე-
ნარმე სუბიექტზე და სასაქონლო ნიშნის მფლობელს აყენებ-
დნენ მნიშვნელოვან ზიანს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 მაისის განაჩენი სააპელაციო
წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების – გ. ს-ა და დ. ს-ს ინერე-
სების დამცველმა, ადვოკატმა პ. პ-მ, რომელმაც ითხოვა გა-
მამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის წაცვლად გამამარ-
თლებელი განაჩენის დადგენა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენით
სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო გა-
საჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენი სა-
კასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების – გ. ს-ა და დ. ს-
ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მ. კასატორი სა-

ჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების გამართლებას, შემდეგი საფუძვლებით: მსჯავრდებულები შპს „ჯ-ს“ მიერ გამოშვებული პროდუქციის სასაქონლო ნიშნად იყენებდნენ არა „F-Y-ის“, არამედ – „F-Y-ის“ და, შესაბამისად, მითითებული სახელით გამოცემული პროდუქცია არ შეიძლება ჩაითვალის სხვის სასაქონლო ნიშნად; სასამართლომ უკრიტიკოდ გაიზიარა საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის განყოფილების სპეციალისტის, უ-ა ო-ს ჩვენება, რომ, მიუხედავად იმისა, რომ შეცვლილია პროდუქტის სახელწოდება, ჩვეულებრივი მომხმარებლისათვის პრაქტიკულად შეუძლებელია მისი განსხვავება; სასამართლომ ასევე არასწორად დაადგინა, რომ შპს „ჯ-ს“ – 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ივლისის ჩათვლით, სხვადასხვა მენარმე სუბიექტზე რეალიზებული პქონდა – 15 654,17 ლარის ღირებულების „F-Y“, რადგან არ გაითვალისწინა ამ რაოდენობის საქონლის დამზადებას რა ღირებულების პროდუქცია სჭირდებოდა; ადვოკატმა ასევე აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ განაჩენში არასწორად იმსჯელა მსჯავრდებულების ოფისის ჩერეკისას ამოღებული – 800 ლარის შესახებ და მიაჩინა, რომ მითითებული თანხა უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულებს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შემოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დასკვნა, რომ მსჯავრდებულების – გ. ს-ა და დ. ს-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს მსჯავრდებულების – გ. ს-ა და დ. ს-ს ბრალეულობის თაობაზე და მიაჩინა, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება მათ მიერ ჩადენილი დანაშაული, კერძოდ:

3. საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რომლებიც მხარეებს სადაცოდ არ გაუხდიათ და პრეიუდიციულად იქნა მიჩნეული, კერძოდ: მოწმეების – ს. მ-ს-ბ-ს, დ. კ-ს, უ. ო-ს ჩვენებებით, დათვალიერების, შპს „ჯ-ს“ ოფისისა და საწყობის ჩერეკის ოქმებით, ნივთიერი მტკიცებულებების, საქპატენტიდან მიღე-

ბული მომართვის, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ამ-სახველი მასალებითა და სხვა მტკიცებულებებით დადასტუ-რებულია, რომ გ. ს-ა და დ. ს-ა ჩაიდინეს დანაშაული, გათვალის-წინებული საქართველოს სსკ-ის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

4. საქართველოს სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღ-ნიშვნის განყოფილების სპეციალისტის, უ. ო-ს მოწმის სახით მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ „ინტელექტუალურ სა-კუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შე-სახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნებისმიერი საქონე-ლი, მათ შორის შესაფუთი საქონელი, რომელზეც უნებართვო-და მოთავსებული იმ სასაქონლო ნიშნის იდენტური სასაქონ-ლო ნიშანი, რომელიც კანონიერად არის რეგისტრირებული ამ საქონელთან დაკავშირებით ან არსებითად არ განსხვავდება აღნიშნული სასაქონლო ნიშნისაგან და, აქედან გამომდინარე, არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სასაქონ-ლო ნიშნის მფლობელის უფლებებს, წარმოადგენს კონტრაფაქ-ციულ პროდუქციას. მიუხედავად იმისა, რომ „F-Y-ის“ შემთხვე-ვაში, თითქოსდა, შეცვლილია სახელწოდება „F-Y-ით“, არსებუ-ლი სხვაობის გამოვლენა ვიზუალურად ფაქტობრივად შეუძლე-ბელია დადგინდეს დეტალური დაკვირვების გარეშე. ასევე ხე-ნებულ ნიშნებს შორის არსებობს ფონეტიკური მსგავსება, რაც ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მათ განსხვავებას. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქარ-თველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მე-სამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრი-ორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონე-ლი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონ-ლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრე-ვის შესაძლებლობა. იმავდროულად, ამავე კანონის მე-6 მუხ-ლის მე-2 პუნქტის თანახმად, განსაკუთრებული უფლების მქო-ნე პირს შეუძლია, აუკრძალოს მესამე პირს, მისი თანხმობის გარეშე სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს ისეთი ნიშანი, რო-მელიც განსკუთრებული უფლების მქონე პირის, ამ შემთხვევა-ში კი „ზ-რ & გ-ს“ მიერ დაცული (რეგისტრირებული) სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია იმდენად, რომ ჩნდება ამ ნიშნე-ბის აღრევის, მათ შორის – ვიზუალური ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა. ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნ-ქტით, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემ-თხვევებში, სხვა შესაძლო აკრძალვათა გარდა, იკრძალება: а) სასაქონლო ნიშნის დატანა საქონელზე ან მის შეფუთვაზე, ბ)

ისეთი საქონლის შეთავაზება, სამოქალაქო ბრუნვაში შეტანა ან საწყობში ამ მიზნით შენახვა, იმპორტი ან ექსპორტი, რომელიც ნიშანდებულია ამ ნიშნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება ხორციელდება სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირის მიერ ნიშანდებული საქონლით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არავის აქეს უფლება, „ზ-რ & გ-ს“ თანხმობის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენოს „F-Y-ის“ დასახელების ან მისი მსგავსი სასაქონლო ნიშნები.

5. რაც შეეხება ზიანის ოდენობას, საქართველოს სსკ-ის 196-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად დანაშაული ჩადენილად ითვლება, თუ წარმოებული ან სამოქალაქო ბრუნვაში შეტანილი იმ საქონლის ღირებულება, რომელიც სხვისი სასაქონლო (მომსახურების) ნიშნით, საქონლის ადგილზარმოშობის დასახელებით, გეოგრაფიული აღნიშვნით ან რეგისტრირებული საფირმო სახელწოდებით უკანონოდ არის ნიშანდებული (მარკირებული), აღემატება – 5 000 ლარს. საქმეში არსებული 2015 წლის 27 აგვისტოს დათვალიერების ოქმით, რომელიც ცნობილია უდავო მტკიცებულებად, ირკვევა, რომ გამომდიებელმა დაათვალიერა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინტერნეტმისამართი – „napr.gov.ge“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ელექტრონულ მონაცემთა ბაზები, შპს „ჯ-ს“ (ს/ნ...) ხელმძღვანელი პირებისა და ამ კომპანიის მიერ რეალიზებული სარეცხი საშუალებების დადგენის მიზნით, რის შედეგადაც გაიკვეთა, რომ შპს „ჯ-ს“ – 2014 წლის ნოემბრიდან 2015 წლის ივლისის ჩათვლით, სხვადასხვა მენარმე სუბიექტზე რეალიზებული აქეს – 15 654 ლარის ღირებულების „F-Y“, მათ შორის დღგ – 2 387,95 ლარი. გამომძიებელმა მითითებული მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია დაურთო დათვალიერების ოქმს. შესაბამისად, დადგენილია ზიანის ოდენობა.

6. უსაფუძლოა დაცვის მხარის მითითება შპს „ჯ-ს“ ოფისის ჩხრეკისას ამოღებული – 800 ლარის მსჯავრდებულებისათვის დაბრუნების შესახებ, რადგან საქმის მასალების მიხედვით, მითითებული თანხა წარმოადგენს მოცემულ საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების – საკონტროლო შესყიდვისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვნილ ფულს, რომლითაც 2015 წლის 24 აგვისტოს ქ. რ-ი აღნიშნულ ღონისძიებაში ოპერატორული ჩართულმა პირმა გ. ს-ნ შეიძინა შპს „ჯ-ს“ მიერ წარმოებული, კონტრაფაქციული ჭურჭლის სარეცხი საშუალება. იმავე დღეს მითითებული 800 ლარი გამოძიებამ ამოიღო შპს

„ჯ-ს“ ოფისსა და საწყობში ჩატარებული ჩხრეკის დროს.

7. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ არის ხსენებული ნივ-
თმტკიცების – 800 ლარის საკითხი პირველი ინსტანციის სასა-
მართლოს განაჩენით გადაწყვეტილი, სააპელაციო პალატამ ეს
საკითხი განმარტა, რასაც საკასაციო პალატა სრულად იზია-
რებს, კერძოდ: სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამარ-
თლო სამართლებრივად მოკლებულია შესაძლებლობას, თავის
განაჩენში გადაწყვიტოს საქმეზე ამოღებული 800 ლარის სა-
კითხი, ვინაიდან მოცემულ მემთხვევაში განაჩენი სააპელაციო
წესით გასაჩივრებული ჰქონდა მხოლოდ დაცვის მხარეს, ხო-
ლო სახელმწიფო ბრალმდებელს მითითებული ნივთმტკიცების
საკითხის გადაწყვეტისა და თანხის სახელმწიფოსთვის დაბრუ-
ნების თაობაზე სააპელაციო საჩივარი არ შეუტანია. საქართვ-
ლოს სსკ-ის 298-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელა-
ციონ სასამართლოს უფლება არა აქვს, გამამართლებელი განა-
ჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანის, გამო-
იყენოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო
მკაფრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაფრი სასჯელი ან მიიღოს
მსჯავრდებულისთვის არასასიკეთო სხვა გადაწყვეტილება, თუ
საქმე განიხილება მსჯავრდებულის, მისი ადვოკატის საჩივრის
საფუძველზე და ბრალმდების მხარეს საჩივარი არ შეუტანია.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასა-მართლოს მიერ მსჯავრდებულების – გ. ს-ა და დ. ს-ს მიმართ გამოტანილი განაჩენი არის კანონიერი და არ არსებობს მისი გაუქმიბის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსპ-ის 301-ე მუხ-
ლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3
ნანილებით და

କାଳିକାନ୍ତରିକ

1. მსჯავრდებულების – გ. ს-ა და დ. ს-ს ინტერესების დამცველის, აღვოკატ ლ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილ-დეს.
 2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 1 თებერვლის განაჩენი გ. ს-ა და დ. ს-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.
 3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ

**ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაცინააღმდეგო
დაუფლება მისაკუთრების მიზნით, ჩატარების
წინასწარი შათანხევით ჯგუფის მიერ**

განაჩენი

№114აპ-17

12 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილის ფე-
ლიქს ჯალალონიას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის
20 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ. ფ-ს ბრა-
ლი დაედო ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო და-
უფლებაში მისაკუთრების მიზნით, ჩატარების წინასწარი შეთან-
ხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოხატა შემდეგში:

2016 წლის 5 თებერვალს, დაახლოებით 02:00 საათზე, პირო-
ბით მსჯავრდებულმა გ. ფ-მ წინასწარი შეთანხმებით, გამოძიე-
ბით დაუდგენერებ პირთან ერთად, ჯგუფურად, ძალაყინის გა-
მოყენებით გააღო ქ., ქუჩა №...-ში მდებარე მონადირეთა და
მეთევზეთა მაღაზია „....“ შესასვლელი ეარი და მისაკუთრების
მიზნით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლა 5750 ლარის ღირე-
ბულების, სროლისათვის ვარგის ცეცხლსასროლ იარაღებს:
„გლოვის“ სისტემის პისტოლეტს „GLOCK.INC.SMYRNA.GA.“, „...“
CZ სისტემის პისტოლეტს ნომრით – „...“; ვერცხლისფერ ყავის-
ფერსახელურიან პისტოლეტს ნარწერით „...“; CZ სისტემის პის-
ტოლეტს „... BROWNING“ №... და რვა მჭიდს ვაზნების გარეშე.
მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ჩი სისტემის „...BROW-
NING“ №... პისტოლეტი იმავე დღეს ამოიღეს გ. ფ-ს პირადი ჩხრე-
კისას, ხოლო დანარჩენი ცეცხლსასროლი იარაღები ამოიღეს ქა-

ლაქ ..., ... ქუჩა № ...-ში მდებარე კორპუსის სხვენიდან.

2. ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ივლისის განაჩენით გ. ფ-ა, – დაბადებული 19.. წელს, ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 იანვრის განაჩენით გ. ფ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გ. ფ-ს მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 4 წელი, 9 თვე და გ. ფ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2016 წლის 5 თებერვლიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩატიმრობაში ყოფნის დრო.

ნივთიერი მტკიცებულებები:

– 1. გ. ფ-გან ამოღებული პისტოლეტი ერთი მჭიდით, ვაზნების გარეშე, ნარნერით „CZ ... BROWNING“, ნომერი ...; 2. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ლითონის მჭიდი, ვაზნების გარეშე, ნარნერით ...MADE IN ITALY, ... და საკიდი ბოქლომი, ნარნერით ...; 3. ადგილმდებარეობის დათვალიერებისას ამოღებული ძალაყინი; 4. ადგილმდებარეობის დათვალიერებისას სხვენიდან ამოღებული (ცეცხლსასროლი პისტოლეტები: 1. GLOCK.INC.SMYRNA.GA. მოღელის ...; 2. ChZ მოღელის № ...; 3. ვერცხლისფერი ყავისფერ სახელურიანი ნარნერით ...”; 5. ადგილმდებარეობის დათვალიერებისას ამოღებული 6 (ექსი) მჭიდი; 6. ადგილმდებარეობის დათვალიერებისას ამოღებული 1 (ერთი) სიგარეტის კოლოფი, ნარნერით „GAULOISES“, მოყვითალო პლასტმასისსახელურიანი სახრახნისი და მოწითალო პლასტმასისსახელურიანი ორი სახრახნისი, პატარა და საშუალო ზომის ორი ქლიბი; 7. ადგილმდებარეობის დათვალიერებისას ამოღებული ნაჭრის მუქი ფერის ნიღაბი და თეთრზოლიანი ნიღაბი, რომლებიც ინახება შსს ... საქალაქო სამმართველოში, შენახულ უნდა იქნეს მოცემული საქმიდან გამოყოფილ №... საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე.

– მონაღირეთა მაღაზია „...“ ამოღებული დალუქული ვიდეომასალა, ორ ცალ DVD-R დისკზე, რომლებიც ერთვის საქმეს, საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ფ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-მ და ითხოვა გამა-მართლებელი განაჩენის გამოტანა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის განაჩენით მსჯავ-რდებულ გ. ფ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. კ-ს საა-პელაციო საჩივარი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ივნისის განა-ჩენში შევიდა მსჯავრდებულ გ. ფ-ს სასიკეთო ცვლილება, კერ-ძოდ:

მსჯავრდებულ გ. ფ-ს მიმართ მსჯავრად შერაცხული ქმე-დება საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვე-პუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

გ. ფ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადე-ნაში და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღ-კვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა წინა – ფოთის საქალაქო სა-სამართლოს 2015 წლის 31 იანვრის განაჩენით გ. ფ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელ-მა შთანთქა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 იან-ვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 4 წელი, 9 თვე და გ. ფ-ს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღ-კვეთა.

გ. ფ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩატიმრობაში ყოფის დრო და სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკა-ვების დღიდან – 2016 წლის 5 თებერვლიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის განაჩენი საკასა-ციო წესით გაასაჩივრა ფოთის რაიონული პროკურორის მოად-გილებ ფელიქს ჯალალონიამ. კასატორი საჩივრით ითხოვს გა-საჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და გ. ფ-ს დამნა-შავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლის „ა“ ქვეპუნქტით, შემდეგი საფუძვლებით: ბრალდების მხა-რის მიერ წარმოდგენილი ვიდეოფირის დათვალიერებით დას-ტურდება, რომ კადრში ასახული პირები მოქმედებენ ერთობ-

ლივად დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებამდე, განხორციელებისას და მისი დასრულების შემდეგ, რითაც უტყუარად დასტურდება, რომ გ. ფ-ა დანაშაულს სჩადის მეორე, დაუდგენელ პირთან ერთად წინასწარი შეთანხმებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შემოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილე ფელიქს ჯალალინიას საკასაციო საჩივარი უზდა და კამაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:
2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის განაჩენს ბრალდების მხარე ასაჩივრებს კვალიფიკაციის ნაწილში და, ამდენად, საკასაციო პალატა მსჯელობს მხოლოდ მოცემულ საკითხზე.
3. საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: დაზარალებულ ჯ. ა-ს, მოწმეების – ა. ჟ-ს, დ. ო-ს, ლ. ქ-ს, 6. გ-ს, გ. ლ-ს, გ. შ-ს, ა. ლ-ს, ო. ს-ს, ე. ძ-ს, ლ. ნ-ს, ზ. ე-ს, ექსპერტების – ლ. მ-ს, მ. კ-ს, პ. ჯ-ს, ლ. შ-ს, ნ. ნ-ს ჩვენებით, შემთხვევის ადგილისა და ადგილმდებარეობის დათვალიერების, საცხოვრებელი ბინისა და პირადი ჩხრევის ოქმებით, ნიმუშის აღების ოქმებით, ბალისტიკური, ტრასოლოგიური, ბიოლოგიური (გენეტიკური), ფონოსკოპიური და ვიდეო-ტექნიკური, ჰაბიტოსკოპიური და კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია, რომ გ. ფ-ა გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად მაღაზია „...“ მართლსაწინააღმდეგოდ დაუუფლა 5750 ლარის ლირებულების, სროლისათვის ვარგის ცეცხლსასროლ იარაღებს.
4. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო პალატამ უნდა შეაფასოს, გ. ფ-მ აღნიშნული ქმედება ჩაიდინა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, თუ წინასწარი შეთანხმების გარეშე, რომლის დასადგენადაც მთავარ მტკიცებულებას წარმოადგენს მაღაზია „.“ გარე და შიდა პერიმეტრების ვიდეოჩანაწერები.
5. მითითებული ვიდეომასალის დათვალიერების ოქმითა და სასამართლო სხდომაზე ამავე ვიდეომასალის გამოკვლევით დადგენილია, რომ DVD-R დისკი ჩაწერილია 24 ვიდეოფაილი, რომელთაგან 23 არის გარე პერიმეტრზე გადაღებული, ხოლო ერთი – მაღაზის შიდა პერიმეტრზე. ვიდეოჩანაწერებს კუთ-

ხეში აწერია თარიღი – 05.02.2016. პირველი ვიდეო გრძელდება 21 წამს, კადრში ჩანს, რომ გადალება მიმდინარეობს დამის სა-ათებში, ვიდეოთვალი უყურებს ქ. ..., ... ქ. №...-ში მდებარე ინდ. მენარმე ჯ. ა-ს კუთვნილ მონადირეთა მაღაზიის შესასვლელ კარს და ტროტუარს. კადრში ჩანს ორი მამაკაცი, რომელთაგან ერთი არის ჩაფსაკნილი, მაღალი აღნაგობის, აცვია ნაცრისაფე-რი სპორტული შარვალი, სპორტული ზედა, მუქი ფერის უილე-ტი, შავ და თეთრ ფერებში განყობილი ფეხსაცმელი და უკეთია შავი ნილაბი. მეორე მამაკაცი არის სუსტი აღნაგობის, საშუალო სიმაღლის, აცვია ცისფერი შარვალი, მომწვანო ქურთუკი, რო-მელსაც თეთრი ზოლი მიუყვება ელვაშესაკრავსა და მკლავებ-თან, ხოლო თავზე ჩამოფარებული აქვს ზოლიანი ნილაბი. სუს-ტი აღნაგობის მამაკაცი მიდის მაღაზიის კართან, სადაც ჩამ-ჯდარი იწყებს ბოქლომის გატეხვას, ხოლო მეორე დგას მაღა-ზის კუთხეში, ჯიბეში აქვს ხელები ჩანყობილი და მას უყუ-რებს. მეორე ვიდეო არის 29 წამის ხანგრძლივობის, კადრში ჩანს, რომ სუსტი აღნაგობის მამაკაცი მაღაზიის კართან ჩამჯდარი ცდილობს კარის გატეხვას, 6 წამში შარვლის უკანა ჯიბიდან იღებს რაღაც საგანს და აგრძელებს კარის გატეხვას, ჩაფსაკნი-ლი მამაკაცი დგას მაღაზიის კუთხეში და უყურებს მას. 9 წამში ჩაფსაკნილი მამაკაცი მიიმაღება მაღაზიის კუთხეში. მესამე ვი-დეო არის 29 წამის ხანგრძლივობის, რომელზეც ჩანს, რომ სუს-ტი აღნაგობის მამაკაცი ჩამჯდარია მაღაზიის კართან და ცდი-ლობს კარის გატეხვას, ხოლო ჩაფსაკნილი მამაკაცი ჩამჯდა-რია მაღაზიის კუთხეში და უყურებს მას. მეოთხე ვიდეო არის 20 წამის ხანგრძლივობის, სადაც ჩანს, რომ სუსტი აღნაგობის მამაკაცი ჩამჯდარია მაღაზიის კართან და ცდილობს კარის გა-ტეხვას, ხოლო ჩაფსაკნილი მამაკაცი იმავე მდგომარეობაშია მაღაზიის კუთხეში და მას უყურებს. მეხუთე ვიდეო გრძელდე-ბა 29 წამს და ჩანს, რომ სუსტი აღნაგობის მამაკაცი ცდილობს მაღაზიის კარის გატეხვას, ხოლო ჩაფსაკნილი მამაკაცი ჩამ-ჯდარია მაღაზიის კუთხეში და უყურებს მას, რომელიც 25 წა-მის შემდეგ დგება, მიბრუნდება და იყურება გზისენ. მეექვსე ფირი 36 წამს გრძელდება, ჩაფსაკნილი მამაკაცი იყურება გზის-კენ, რომელიც წამოვა და დგება მაღაზიის კუთხეში, ხოლო მე-ორე კართან დგას და ცდილობს გატეხვას, ორივე იყურება გზის-კენ, 17 წამში გარბიან და გადიან კადრს მიღმა. მეშვიდე ვიდეო არის 27 წამის ხანგრძლივობის, ხუთ წამში კადრში გამოჩნდა ჩაფსაკნილი მამაკაცი, რომელიც დადგა მაღაზიის კუთხეში, შვიდ წამში გამოჩნდა სუსტი აღნაგობის მამაკაცი, რომელიც მივიდა მაღაზიის კართან და ცდილობს გატეხვას. მერვე ვიდეო

არის 52 წამის ხანგრძლივობის, ჩაფლუნილი მამაკაცი დგას მაღაზის კუთხეში, ხოლო სუსტი აღნაგობის ცდილობს კარის გატეხვას, 31 წამში ჩაფლუნილი მამაკაცი მივა მეორესთან და ელაპარაკება, რომელიც 47 წამში ისევ მიბრუნდება. მეცხრე ვიდეო არის 20 წამის ხანგრძლივობის, ჩაფლუნილი მამაკაცი დგას მაღაზის კუთხეში, ხოლო სუსტი აღნაგობის მიემართება მისკენ და გადის კადრს მიღმა. მეათე ვიდეო არის 29 წამის ხანგრძლივობის, კადრში ჩანს, რომ ჩაფლუნილი მამაკაცი დგას მაღაზის კუთხეში. მეთერთმეტე ვიდეო არის 57 წამის ხანგრძლივობის, ჩაფლუნილი მამაკაცი დგას მაღაზის კუთხესთან, 10 წამში კადრში გამოჩნდა სუსტი აღნაგობის მამაკაცი, რომელსაც ხელში უჭირავს ძალაყინი, ის მივა მაღაზის კართან და ცდილობს კარის გატეხვას, 25 წამში მასთან მივა ჩაფლუნილი მამაკაცი, რომელიც ეხმარება სუსტი აღნაგობის მამაკაცს კარის გატეხვაში. მეთორმეტე ვიდეო არის 21 წამის ხანგრძლივობის, ორივე მამაკაცი დგას მაღაზის კართან, შემდეგ გარბიან მაღაზის კუთხისკენ და მიიმალებიან. მეცამეტე ვიდეო არის 37 წამის ხანგრძლივობის, 15 წამში ორივე მიდის მაღაზის კართან და იწყებენ კარის გატეხვას. მეთოთხმეტე ვიდეო არის 38 წამის ხანგრძლივობის, ორივე მამაკაცი დგას მაღაზის კართან და ცდილობენ კარის გატეხვას, ჩაფლუნილ მამაკაცს უკავია ძალაყინი, რომლითაც ცდილობს კარის გატეხვას. მეთხუთმეტე ვიდეო არის 29 წამი ხანგრძლივობის, კადრში არავინ ჩანს. მეთექვსმეტე ვიდეო არის 41 წამის ხანგრძლივობის, მაღაზის კუთხიდან გამოჩნდენ ზემოაღნიშნული მამაკაცები, რომლებიც დგანან მაღაზის კუთხეში და იყურებიან, 15 წამში სუსტი აღნაგობის მამაკაცი მიდის და მაღაზის გისოსის კარს მიხურავს, რის შემდეგ უკან ბრუნდება და გადის კადრს მიღმა, 37 წამში ჩაფლუნილი მამაკაციც გადის კადრს მიღმა. მეჩვიდმეტე ვიდეო გრძელდება 29 წამს, კადრში არ ჩანან ზემოაღნიშნული მამაკაცები. მეთვრამეტე ვიდეო არის 56 წამი ხანგრძლივობის, 8 წამში მაღაზის კუთხეში გამოჩნდა ჩაფლუნილი მამაკაცი, 18 წამში გამოჩნდება სუსტიც, 25 წამში სუსტი მივა მაღაზის კართან, უჭირავს ძალაყინი და 33 წამში აღებს მაღაზის გისოსის კარს, 37 წამში ორივენი გადიან მაღაზის გვერდით და მიიმალებიან. მეცხრამეტე ვიდეო არის 29 წამი ხანგრძლივობის, კადრში მაღაზის კუთხეში გამოჩნდება ორივე ზემოაღნიშნული მამაკაცი, სუსტი აღნაგობის მამაკაცს უჭირავს ძალაყინი, 14 წამში ორივე იმალება მაღაზის გვერდით. მეოცე ვიდეო არის 1 წუთისა და 5 წამის ხანგრძლივობის, 24 წამში მაღაზის კუთხეში გამოჩნდება ორივე ზემოაღნიშნული მამაკაცი,

რომლებიც იყურებიან გზისკენ, მიდიან მაღაზიის კართან, ჩაფ-სკვნილს უჭირავს ძალაყინი, ხოლო სუსტი – პატარა ზომის ნივ-თი და ცდილობენ კარის გატეხვას. ოცდამეერთე ვიდეო გრძელ-დება 30 წამს, ორივე მამაკაცი დგას მაღაზიის კართან და ცდი-ლობენ გატეხვას, ჩაფსკვნილს უჭირავს ძალაყინი, რომლითაც ექაჩება კარს, ხოლო სუსტი აღნაგობის მამაკაცს უკავია პატა-რა ზომის ნივთი და ჩამჯდარია კართან. ოცდამეორე ვიდეო არის 47 წამი ხანგრძლივობის, ორივე მამაკაცი დგას მაღაზიის კარ-თან და ცდილობენ გატეხვას, ჩაფსკვნილს უჭირავს ძალაყინი, რომლითაც ექაჩება კარს, ხოლო სუსტი ჩამჯდარია კართან, 5 წამში გარბიან და მაღაზიის კუთხეში იმაღლებიან, 46 წამში ჩაფ-სკვნილი მამაკაცი გამოჩნდება მაღაზიის კუთხეში. ოცდამესა-მე ვიდეო გრძელდება 1 წუთსა და 28 წამს, ორივე მამაკაცი მი-დის მაღაზიის კართან. წინ მოდის ჩაფსკვნილი, რომელსაც უჭი-რავს ძალაყინი და იწყებენ კარის გატეხვას, 29 წამში ტეხავენ კარს, რის შემდეგ ჩაფსკვნილი გარბის მაღაზიის კუთხისკენ და იმაღლება, ხოლო სუსტი აღნაგობის მამაკაცი შერბის მაღაზიაში, სადაც იმყოფება 16 წამი, რის შემდეგაც გამორბის და იმაღლება მაღაზიის კუთხეში. ოცდამეოთხე ვიდეო გადაღებულია მაღა-ზის შიდა პერიმეტრში და გრძელდება 58 წამს. 25 წამში იღება მაღაზიის კარი და შიგნით შერბის სუსტი აღნაგობის მამაკაცი, აცვია მწვანე ქურთუკი, რომელსაც მკლავებზე მიუყვება თეთ-რი ფართო ზოლები, ხოლო ელვაშესაკრავზე – თეთრი ვიწრო ზოლი, აცვია ცისფერი შარვალი და ჩამოფარებული აქვს ზოლი-ანი ნიღაბი. იგი მირბის შემინულ დახლთან, აღებს უჯრას, ხე-ლის სწრაფი მოძრაობით იქიდან გამოაქვს რაღაც ნივთები, მათ შორის ჩანს მოოქროვილი პისტოლეტი, აღნიშნულ ნივთებს კრებს, მკერდზე მიიბჯენს და გარბის მაღაზიიდან, სადაც ის 16 წამს იმყოფებოდა.

6. საქართველოს უზენაეს სასამართლოს განმარტებული აქვს თუ რა შემთხევაში შეიძლება ქმედება ჩაითვალოს წინას-ნარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილად (618აპ-15, მოსა-მართლები: გ. შავლიაშვილი, ნ. გვენეტაძე, პ. სილაგაძე) და მო-ცემული გადაწყვეტილების თაობაზე სააპელაციო სასამართლო უთითებს კიდეც განაჩენის სამოტივაციო ნაწილში. საკასაციო პალატამ ხსენებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საქარ-თველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 წანილის თანახმად, დანაშა-ული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილეობის წინასწარ შეკავშირდნენ და-ნაშაულის ერთობლივად ჩასადენად და განმარტა შემდეგი: წი-ნასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმე-

დეპარტემენტის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა. მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანამაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წერტილს შორის გამოიხატოს როგორც სიტყვიერ-წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – ჟესტებსა და მიმიკებში.

7. სააპელაციო პალატამ შეაფასა ვიდეოფირებში ასახული გარემოებები და მიუთითა, რომ მათი გამოკვლევის შედეგად დადგინდა მხოლოდ ის ფაქტი, რომ გ. ფ-ა და გამოძიებით დაუდგენელი პირი ერთობლივად ახორციელებდნენ ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, რასაც სააპელაციო პალატა მიიჩნევს სადაცოდ, თუმცა, ხსენებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მათ შორის წინასწარი შეკავშირების არსებობა; კერძოდ, გამოკვლეულ ვიდეოფირზე არ ჩანს მათ შორის რაიმე ისეთი ტიპის კომუნიკაცია, რაც სააპელაციო პალატას საშუალებას მისცემდა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ერწმუნა მათ შორის წინასწარი შეთანხმების არსებობა; არც სხვა მტკიცებულებებით დასტურდება რაიმე მსგავსი ფაქტის შესახებ ინფორმაცია. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ქმედება ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმების გარეშე.

8. სააპელაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას შემდეგ გარემოებათა გამო: ვიდეოფირების დათვალიერების ოქმითა და მისი გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ მასში ასახულ ორივე პირს უკეთია ნიღაბი და ორივე მათგანი სწორედაც რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის დაწყებამდე მოქმედებს ერთობლივად, წინასწარი შეთანხმებით, რაც ნათლად დასტურდება ვიდეოჩანანერებით (განსხვავებით სააპელაციო სასამართლოს მიერ მოშველიებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 618-აპ-15 გადაწყვეტილებაში აღნერილი ფაქტობრივი გარემოებებისგან); მაღაზიის გარე პერიმეტრის პირველი ჩანანერი იწყება – 03:26:34 საათიდან და ბოლო, 23-ე ჩანანერი სრულდება – 03.50.30 საათზე. ჩანანერებიდან ირკვევა, რომ ორივე მამაკაცი ერთდროულად მიდის მაღაზია – „....“, თავდაპირველად სუსტი აღნაგობის მამაკაცი მიდის კართან და ცდილობს მის გატეხვას, რა დროსაც ჩაფსავნილი მამაკაცი ჩერდება მაღაზის კუთხესთან, მისგან დაახლოებით 2 მეტრში და პირდაპირ უყურებს მას და ასევე ათვალიერებს პერიმეტრს. სუსტი აღნაგობის მამაკაცი პა-

ტარა ზომის ნივთის გამოყენებით დამოუკიდებლად ცდილობს მაღაზიის კარის გატეხვას. კადრში ასევე ნათლად ჩანს მათ შორის სიტყვიერი კომუნიკაცია და ჟესტიკულაცია, როდესაც სუსტი აღნაგობის მამაკაცი ჩაფსკვნილს ხელით უთითებს კარის მიმართულებით და უხსნის რაღაცას. კარის გატეხვის პროცესში ორიგე მათგანი არაერთხელ, ერთობლივად იმალება მაღაზიის კუთხეში და შემდეგ ფრთხილად, ფეხაკრეფით ისევ უკან ბრუნდებიან კართან. მოგვიანებით სუსტი აღნაგობის მამაკაცის დასახმარებლად მოდის ჩაფსკვნილიც და ისინი უკვე ერთობლივად ცდილობენ კარის გატეხვას, ჩაფსკვნილი მამაკაცი – ძალაყინის, ხოლო სუსტი – პატარა ზომის ნივთის გამოყენებით. შემდეგ ჩაფსკვნილი მამაკაცი ძალაყინის გამოყენებით აღებს კარს, რა დროსაც სუსტი მამაკაცი ქურთუკის ჯიბეში იდებს პატარა ნივთს და შერბის მაღაზიაში, ხოლო ჩაფსკვნილი კი სირბილით იმალება მაღაზიის კუთხეში. სუსტი მამაკაცი მაღაზიიდან გამორბის შესვლიდან 16 წამში და ასევე სირბილით იმალება იმავე მიმართულებით, მაღაზიის კუთხეში. ამდენად, საკასაციო პალატისათვის გაუგებარია, იმ ვითარებაში, როდესაც ორი ნიღბიანი პირი ერთსა და იმავე დროს, ერთდროულად მიდის მაღაზიასთან, ჯერ ერთი ცდილობს კარის გატეხვას, მეორე კი ამ დროს უყურებს მას, შემდეგ რამდენჯერმე ერთად იმალებიან მაღაზიის კუთხეში და ისევ უკან ბრუნდებიან, შემდეგ უკვე ერთობლივად ცდილობენ კარის გატეხვას და ტეხნიკიდეც მას, როგორ შეიძლება, რომ მათ შორის ნინასწარი შეთანხმება არ არსებობდეს.

9. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებასა და დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელად და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან¹. საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი

¹ იხ: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „ელ მასრი მაკედონიის ნინააღმდეგ“ (El-Masri v the Former Yugoslav Republic of Macedonia, ECtHR, (GC), 13/12/2012) და „პასანი გაერთიანებული სამეფოს ნინააღმდეგ“ (Hassan v the UK, ECtHR, (GC), 16/09/2014).

განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის პრალეულობაში. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

10. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს პროკურორის არგუმენტებს და მიაჩნია, რომ პრალების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, კერძოდ, მითითებული ვიდეოჩანანერებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ გ. ფ-მ ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

11. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა სასჯელის შეფარდებისას ითვალინებს დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, მსჯავრდებულის პიროვნებას (გ. ფ-ა წარსულში ნასამართლევია და დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის პერიოდში), აგრეთვე იმას, რომ მას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მისთვის საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის მინიმუმის განსაზღვრა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილის ფელიქს ჯალალინიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის განაჩენში შევიდეს

ცვლილება:

3. გ. ფ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-ქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვროს 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა.
4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახ-მად, გაუქმდეს წინა – ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 იანვრის განაჩენით გ. ფ-თვის დანიშნული პირობითი მსჯავრი.
5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახ-მად, გ. ფ-ს მიმართ ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას ფოთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 იან-ვრის განაჩენით დანიშნული სასჯელი – 4 წელი, 9 თვე და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 9 (ცხრა) წლით თავისუფ-ლების აღკვეთა.
6. გ. ფ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავე-ბის დღიდან – 2016 წლის 5 თებერვლიდან. მასევ სასჯელის მოხ-დის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო.
7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 დეკემბრის განაჩენი სხვა ნა-წილში დარჩეს უცვლელად.
8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცივი იარაღის ტარება

განაჩენი

№634აპ-16

13 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ბ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა თბილისის პროეურატურის პროეურორ ანა ცაგუ-
რიას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემ-
ბრის განაჩენზე.

აღნიშვნილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის განაჩენით მ. ვ., – ნასა-
მართლევი, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სა-
ქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწი-
ნებულ ბრალდებაში.

2. მ. ვ-ეს ბრალი ედებოდა იმაში, რომ ჩაიდინა განზრახი ნაკ-
ლებად მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ცივი
იარაღის ტარება, რაც გამოიხატებოდა შემდეგში:

2015 წლის 30 ოქტომბერს მ. ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151¹-ე მუხლით
გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის
სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1500 ლარი.

2015 წლის 14 დეკემბერს მ. ვ. იმყოფებოდა თ-ში, ს-ს ქუჩა
№...-თან, რა დროსაც ატარებდა ცივ იარაღს – დანას.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის პრო-
ეურატურის პროეურორმა ანა ცაგურიამ. მან ითხოვა გამამარ-
თლებელი განაჩენის გაუქმება, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე
მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაში მ. ვ-ის
დამნაშავედ ცნობა და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრის განაჩენით
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა კოლეგიის 2016 წლის 20 მაისის განაჩენი დარჩა უცვლე-
ლად.

5. კასატორი – თბილისის პროეურატურის პროეურორი ანა ცაგურია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია, რომ მ. ვ-ის ქმედებაში არ იყო დანაშაულის ჩადენის განზრახვა. კასატორის პოზიციით, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის შენიშვნაში ამომწურავადა ჩამოთვლილი ის შემთხვევები, როდესაც ცივი იარაღის ტარებისას პირი შესაძლებელია სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს. დასახელებულ ჩამონათვალში არსადაა მითითებული ცივი იარაღის საყოფაცხოვრებო მიზნით ტარება, როგორც ბრალის გამომრიცხველი გარემოება. ამასთან, ტარების ის ხერხი, რომელსაც მ. ვ-ემ მიმართა, პირდაპირ მითითებულია შენიშვნის მე-2 პუნქტში, რომლის თანახმადაც, ცივი იარაღის ტარება გულისხმობს მის შენახვას ტანსაცმელში. შესაბამისად, მ. ვ-ის მიერ დანის მეგობრისგან მის სახლში გადატანის გაზიარების შემთხვევაშიც, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის შენიშვნა კვლავ სახეზეა.

6. კასატორის მითითებით, დაცვის მხარის არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, მ. ვ-თვის ცნობილი არ იყო, რომ მისი ქმედება წარმოადგენდა დანაშაულს, შეუსაბამოა სისხლის სამართლით დადგენილ ზოგადი სახის პრინციპთან, რომლის თანახმადაც: „არცოდნა არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან“. სასამართლომ თავისი პოზიციის გასამყარებლად არ მიუთითა კოდექსის კონკრეტულ ნორმაზე, რომელიც გაითვალისწინებდა კანონის არცოდნას, როგორც ბრალის გამომრიცხველ გარემოებას. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება თავისთავად წარმოადგენს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და სავალდებულო არ არის აღნიშნულ განზრახვაზე პირდაპირ მითითება, როგორც ამას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა მიიჩნევს.

7. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროეურორი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას, მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანასა და მ. ვ-ის მიმართ შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობის გარეშე განხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივარის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო

საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და მ. ვ-ის მიმართ დადგენილი გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო სხდომაზე მოწმედ დაკითხული მოწმეების – გ. შ-ის და მ. გ-ას ჩვენებებითა და პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის 2015 წლის 14 დეკემბრის №... ოქმის თანახმად, მ. ვ-ის პირადი გასინჯვისას შარვლის წინა, მარცხენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა სამზარეულოს დანა, რომელიც კრიმინალისტიკური ექსპერტიზის 2015 წლის 18 დეკემბრის ... დასკრინისა და ექსპერტ დ. კ-ის ჩვენების თანახმად, დამზადებულია ქარხნული წესით, არის მჩხვლეტავ-მჭრელი და მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას. ექსპერტმა დ. კ-ემ მოწმედ დაკითხვის დროს დამატებით განმარტა, რომ კვლევის დროს დაწესდი არ დაიყოფა სანადიროდ განკუთვნილი, სამრეწველო თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების მქონედ, არამედ კვლევისას საგნის მჭრელი და მჩხვლეტავი თვისებებით გამოიცდება. მოწმის განმარტებით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი დანით ზიანის მიყენება შესაძლებელია.

3. მოწმე თ. ჩ-ის ჩვენებით დგინდება, რომ იგი ცხოვრობს თში, გ-ას ქუჩა №...-ში. მ. ვ. მისი მეგობარია და მასთან ახლოს ცხოვრობს, თუმცა მათი სახლები გარკვეული ინტერვალით ერთმანეთისაგან დაშორებულია. 2015 წლის 14 დეკემბერს მ. ვ. იმყოფებოდა მასთან, რა დროსაც საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის ითხოვა და წაილო სამზარეულოს დანა. მოგვიანებით მან შეიტყო, რომ მ. ვ. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს.

4. მ. ვ-ის ჩვენებით დგინდება, რომ 2015 წლის 14 დეკემბერს, როდესაც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს, მისი მეგობრის, თ. ჩ-ის სახლიდან მოდიოდა. მიზეზად, თუ რატომ მოჰქონდა სამზარეულოს დანა მეგობრისგან, განაცხადა, რომ ერთადერთი დანა, რომელიც მანამდე ჰქონდა, გაიღუნა და გამოსაყენებლად გახდა უვარევისი. მეზობლისაგან მისი თხოვება არ უფიქრია. ვინაიდან დასახლებული ადგილი უნდა გაევლო, დანა ჯიბეში ჩაიდო და არც უცდია მისი პოლიეთოლენის პარტნერი ან თუნდაც ქაღალდში გახვევა, რადგან კანონის მოთხოვნები მისთვის ცნობილი არ იყო. გარდა ამისა, დანა საყოფაცხოვრებო დანიშნულების იყო და არ ჰქონდა ე.წ „ფიქსატორი“, ან თუნდაც დანაშაულის ჩასადენად განკუთვნილი დანისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რის გამოც მას არ უფიქრია, რომ დანამაულს სჩადიოდა. ამდენად, პატრულის ეკიპაჟისათვის მას არ გაუწევია წინააღმდეგობა და მეტიც, მათ ნება-

ყოფლობით წარუდგინა სამზარეულოს დანა. მ. ვ-ეს დანაშაულის ჩადენის განზრახვა არ ამოძრავებდა.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კუმულაციურად სავალდებულოდ მიიჩნევს ცივი იარაღის ტარების ფაქტს სწორედ განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ. ამასთან, ამავე მუხლის შენიშვნის 1-ლი ნაწილი ადგენს იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებიც გამორიცხავენ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სხვა სახის გამონაკლის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს. ამავე შენიშვნის მე-2 ნაწილის თანახმად, ტარება გულისმობს პირის მიერ იარაღის თან ქონას, კერძოდ, ხელში დაჭერას, სხეულზე მიმაგრებას ან ტანსაცმელში შენახვას. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლი ფორმალური დანაშაულია, ვინაიდან იგი დამთავრებულად ითვლება დანის ტარების მომენტიდან და არ მოითხოვს კონკრეტული ობიექტური შედეგის დადგომას.

6. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, პირადი გასინჯვის ოქმით, მონმეების – გ. შ-სა და მ. გ-ას ჩვენებებით დადგენილია, რომ მ. ვ-ეს მარცხენა ჯიბიდან ამოუღეს დანა, რომელიც კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ცივიარაღთა კატეგორიას მიეკუთვნება, ამასთან, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის საგამონაკლისო შემთხვევა არ არის სახეზე და მ. ვ-ე ნასამართლევია განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, ამდენად, მ. ვ-ემ განსახორციელა საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ობიექტური შემადგენლობა.

7. რაც შეეხება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის, კერძოდ, განზრახვის არსებობას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მისი დაკავაყოფილებისათვის აუცილებელია ერთდროულად არსებობდეს ცოდნის, ნებელობისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, მსჯავრდებული (ბრალდებული) არც აკონკრეტებდეს ან/და უარყოფდეს დანაშაულის ჩადენის მიმართ განზრახვის არსებობას, მაგრამ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით დგინდებოდეს პირის მიერ განზრახვის ნამდვილობა. ანუ, ფაქტობრივ გარემოებათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

8. განსახილველ შემთხვევაში მ. ვ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ დანას, რომელიც მან საყოფაცხოვრებო მიზნით ითხოვა

არ პქონდა ე.წ „ფიქსატორი,“ ან თუნდაც დანაშაულის ჩასადენად განკუთვნილი საგნისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რის გამოც მას არ უფიქრია, რომ დანაშაულს სჩადიოდა. საკასაციო პალატა დანაშაულის ჩადენის არცოდნასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ დადგენილი ზოგადი სამართლებრივი პრინციპის თანახმად: „კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისგან“. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ როგორც ფიქსატორიან, ისე სამზარეულოს დანას ახასიათებს ერთი და იგივე ნიშნები: მჭრელი და მჩხვლეტავი თვისებები. სწორედ ამ თვისებების გამო, შეუძლებელია, გონიერი ადამიანი ვერ აფასებდეს ქმედების მართლწინააღმდეგობას და ფიქრობდეს, რომ მას საზოგადოებისათვის საფრთხის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ფიქსატორიანი დანის თანქონით შეუძლია, მაშინ, როდესაც მ. ვ-ე ბრალადშერაცხული ქმედების ჩადენის დროს ნასამართლევი იყო განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და სამართალდარღვევის შედეგის თაობაზე ინფორმაციას ფლობდა. ექსპერტ დ. კ-ის პოზიციით, აღნიშნული დანით ზიანის მიყენება შესაძლებელია და ნივთის გამოცდა სწორედ მისი მჩხვლეტავი და მჭრელი თვისებების მიხედვით ხდება. მაშასადამე, მ. ვ-თვის ცნობილი იყო როგორც ფიქსატორიანი, ისე ე.წ. სამზარეულოს დანის თვისებების თაობაზე. ამასთან, დანის მეგობრისაგან თხოვების დროს მ. ვ-ემ იცოდა მისი და თ. ჩ-ის საცხოვრებელ სახლებს შორის გარკვეული მანძილის არსებობის ფაქტი. მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების არსებობისა, მ. ვ. ლამის საათებში აღნიშნულ გზაზე, ტანსაცმელში, კერძოდ, მარცხენა ჯიბეში შენახული კანონსაწინააღმდეგო ნივთით, ცივი იარაღით გადაადგილდებოდა. ამდენად, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით დასტურდება, რომ მ. ვ-ემ იცოდა კანონით აკრძალული ქმედების ჩადენის თაობაზე.

9. კანონმდებლის მიერ ცივი იარაღის ტარებისათვის ნასამართლევი პირის დასჯადობა იმ მიზანს ემსახურება, რომ ვინაიდან პირმა წარსულში უგულებელყო კანონის მოთხოვნები და გადალახა ის სამართლებრივი წინააღმდეგობა, რომელსაც კანონით დადგენილი აკრძალვები აწესდებს, მისი მხრიდან ამ საგნის თანქონით კანონის კვლავ უგულებელყოფის შანსი შედარებით მეტია. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლი წარმოადგენს სხვა დანაშაულის ჩადენის აღკვეთის შესაძლებლობას და იგი იცავს საზოგადოების ინტერესებსა და უსაფრთხოებას, მაგრამ ქმედების დასჯადობისათვის აღნიშნულ მუხლთან

ერთად კონკრეტული დანაშაულის ჩადენა, ან სხვა დანაშაულის ჩადენის მიზნის დადგენა სავალდებულო გარემოება არ არის. შესძამისად, სააპელაციო პალატა თავისი გადაწყვეტილების არგუმენტად უსაფუძვლოდ უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მ. ვ-ის მიერ დასჯადი ქმედების ჩადენას იმ დანაშაულის მიზნებისთვის, რისთვისაც კანონმდებელმა ნასამართლევი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება და დანაშაულებრივ ქმედებად გამოაცხადა.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განზრახი ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის – მ. ვ-ის მიერ ცივი იარაღის ტარებას დადგენილად მიიჩნევს და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ქმედების შემადგენლობის როგორც ობიექტი, ისე სუბიექტური ნიშნები. ამასთან, არ არსებობს ისეთი სახის გარემოება, რომელიც საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დასჯადობას გამორიცხავდა და წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან არც ერთი მტკიცებულება არ ადასტურებს ზემოაღნიშნული მუხლის შენიშვნით განსაზღვრული რომელიმე საგამონაკლისო შემთხვევის არსებობას.

11. რაც შეეხება სასჯელის ზომას, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლის შინაარსს, ინდივიდუალურად აფასებს მსჯავრდებულის პიროვნებას, სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებებს და განმარტავს, რომ მ. ვ-ეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამდიმებელი გარემოებები არ გააჩნია. მ. ვ-ეს მსჯავრი დაედო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში. მართალია, იგი ნარსულში ნასამართლევია, მაგრამ მის მიერ ჩადენილი ქმედებები არ არის საზოგადოებისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსჯავრდებული მიღრეკილი არ არის ჩაიდინოს ერთი და იმავე კატეგორიის დანაშაული, რომლის არსებობაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირებდა სასჯელის ერთ-ერთი მიზნის – დანაშაულის თავიდან აცილების მიღწევის შანსებს. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებასაც, რომ მ. ვ-ეს ცივი იარაღი სხვა დანაშაულის ჩასადენად არ გამოუყენება, რის გამოც არ არსებობს დაზარალებული, რომელიც ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. ვ-ეს

სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა, კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის პროკურორ ანა ცაგურიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 სექტემბრის გამამართლებელი განაჩენი მ. ვ-ის მიმართ.

3. მ. ვ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 500 ლარი. მასვე, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვას დანაშაულის საგანი – დანა.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ. ვ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პირადი თავდებობა გაუქმებულია.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. ნარკოტიკული დანაშაული

**ნარკოტიკული საშუალების უკანონო გეპენა-
შენახვა იმის მიერ, ვისაც ნიცათ ჩადენილია აქვს ამ
კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული როგორივი
დანაშაული**

განაჩენი

№96აპ-17

10 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
გ. შავლიაშვილი

განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ
ადილარ წირდვავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის
26 დეკემბრის განაჩენზე.

აღნერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გ. ვ-ს ბრა-
ლი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენისა და
შენახვისათვის, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კო-
დექსის ამ თავით (სსკ-ის XXXIII თავი) გათვალისწინებული რო-
მელიმე დანაშაული (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3
ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტები); ნარკოტიკული საშუალების ექი-
მის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩა-
დენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ (სა-
ქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლი).

2. აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

- ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 აპ-
რილის განაჩენით ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმა-
რებისათვის ნასამართლევმა გ. ვ-მ უკანონოდ შეიძინა და უკა-
ნონოდ ინახავდა დიდი ოდენობით – 0,01991 გრამ ნარკოტი-
კულ საშუალებას „ბუპრენორფინს“, რომელიც მისგან ამოიღეს
2015 წლის 26 ოქტომბერს, ბათუმში, ქუჩის №.....-ში მდება-
რე კორპუსთან ჩატარებული პირადი ჩხრეკისას.

■ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 აპ-
რილის განაჩენით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხ-

მარებისათვის ნასამართლევმა გ. ვ-მ კვლავ უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“ (მარიხუანა), რაც დაუდგინდა 2015 წლის 26 ოქტომბერს ბათუმში ჩატარებული ნარკოლოგიური გამოკვლევისას.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის განაჩენით გ. ვ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

გ. ვ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 24 აპრილის განაჩენით დანიშნული პირობითი სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ მიემატა 2015 წლის 24 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 7 თვე, 25 დღე და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ვ-ს სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი და 7 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო დაკავების დღიდან – 2015 წლის 26 ოქტომბრიდან.

მსჯავრდებული გ. ვ-ე პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მთლიანად გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის – 7 თვითა და 25 დღით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

საბოლოოდ გ. ვ-ს განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოოდ.

გ. ვ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების, საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

გაუქმდა გ. ვ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა.

გ. ვ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდო-

მის დარბაზიდან.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 დეკემბრის განაჩენით ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ადილარ წირლვავას სააპელაციო საჩივარი არ დაემაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 21 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ადილარ წირლვავამ.

6. პროკურორი საკასაციო საჩივარით ითხოვს გ. ვ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით დამანაშავედ ცნობას იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, პოლიციელთა ჩვენებებით, პირადი ჩერეკის ოქმითა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით გონიერულ ეჭვს მიღმა სტანდარტითა დადასტურებული გ. ვ-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ დაცვის მხარის ინიციატივით ჩატარებული ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის გამცემი ექსპერტები, რომელთა ჩვენებებით ირკვევა, რომ ფიზიკური კონტაქტის შემთხვევაში არსებობდა 50%-იანი ალბათობა, რომ გ. ვ-ს გენეტიკური პროფილი დარჩენილიყო გამოსაკვლევ ობიექტზე. ანალოგიურად, მიუხედავად ფიზიკური კონტაქტისა, შესაძლებელია, ადამიანის თითოს კვალი არ დარჩენილიყო გამოსაკვლევ ობიექტზე. სახელმწიფო ბრალმდებელი საკასაციო საჩივარში ასევე უთითებს, რომ მოსამართლემ დააღვიტია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, როდესაც დაცვის მხარის მიერ საქმის არსებითი განხილვის დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის უხეში დარღვევით წარმოდგენილი მტკიცებულებები (ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზების დანიშვნის შესახებ განცხადება და მის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები – ექსპერტიზის დასკვნები) დასაშვებად ცნო და ითხოვა მოცემული განჩინების გაუქმება და მითითებული მტკიცებულებების დაუშვებელ მტკიცებულებებად ცნობა.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ვრცლად მიმოხილა საქმის მასალები და მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ გ. ვ-ს ინტე-

რესეპტის დამცველმა ადგოკატებმა – პ. შ-მ, ტ. კ-მ, ლ. ა-მ და დ. გ-მ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და ითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 დეკემბრის განაჩენის ძალაში დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა მსჯავრდებულ გ. ვ-ს ბრალ-დების საქმის მასალები, შეამონმა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ადილარ ნირღვავას საკასაციო საჩივრის საფუძვლანობა, მოუსმინა მხარეებს და მიიჩნია, რომ ბრალ-დების მხარის საჩივარი უნდა დაკამაყოფილდეს და, შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარე-მოებათა გამო:

2. მოწმე თ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობს შსს საქალაქო სამმართველოში ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2015 წლის 26 ოქტომბერს მიიღო ოპერატიული ინფორმაცია, რომ გ. ვ-ს, რომელიც იყო ნარკოტიკების მომხმარებელი, შეძენილი ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება და აპირებდა მის გადაცემას დაუდგენელი პირისთვის. ინფორმაციის თანახმად, იგი იმყოფებოდა ქ. ბათუმში, ... ქ. №....-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის შესახებაც მან წერილობით აცნობა შსს საქალაქო სამმართველოს ... მოადგილეს. გამომძიებელმა მითითებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით იგი მოწმის სახით დაკითხა, ხოლო სხვა საგამოძიებო მოქმედებაში მას მონაწილეობა აღარ მიუღია.

3. მოწმე რ. დ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობს შსს საქალაქო სამმართველოში ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2015 წლის 26 ოქტომბერს სამმართველოში შევიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ მოქალაქე გ. ვ-ს, რომელიც იყო ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, შეძენილი ჰქონდა და თან უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება. იგი უნდა ყოფილიყო ბათუმში, ... ქ. №....-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ინფორმაციის საფუძველზე იმავე სამმართველოს თანამშრომელ ლ. ჯ-თან ერთად გავიდა შეთხვევის ადგილზე, სადაც შენიშნეს გ. ვ-ე. ისინი მივიდნენ მასთან, შეაჩერეს, ნარკოდენის თავი და ამავე დროს რ. დ-ე მობილური ტელეფონით ესაუბრა გამომძიებელ ა. რ-ს, რომელიც მალევე მივიდა მათთან. გამომძიებლის მითითებით, გ. ვ-ს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა. რ. დ-მ იგი პირადად გაჩერიკა და მისი შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღო ვერცხლის-ფერ ქალალდში გახვეული აბის ნატეხები. ამოღებულ ნივთებს გამომძიებელმა ა. რ-მ გადაუღო სურათები და დალუქა. გ. ვ-ს

წინააღმდეგობა არ გაუწევია. მან საგამოძიებო მოქმედებების ამსახველ დოკუმენტებზე ხელი არ მოაწერა. ჩხრეკის შემდეგ გ. ვ-ე გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში.

4. მოწმე ლ. ჯ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი მუშაობს შსს საქალაქო სამმართველოში ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე. 2015 წლის 26 ოქტომბერს იყო მორიგე, რა დროსაც სამმართველოში შევიდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ მოქალაქე გ. ვ-ს, რომელიც უნდა ყოფილიყო მისი საცხოვ-რებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, შეძენილი ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება და აპირებდა მის გადაცემას დაუდ-გენელი პირისათვის. აღნიშნულის საფუძველზე ჯგუფის უფ-როს რ. დ-თან ერთად გავიდა შეთხვევის ადგილზე, სადაც რამ-დენიმე წუთში გამოჩნდა გ. ვ-ე. ისინი მიეთხოვთ მასთან, შეაჩე-რეს, ნარკოდების თავი და ამავე დროს რ. დ-მ დაურეკა გამომ-ძიებელს, რომელიც მალევე მივიდა. გამომძიებელმა განუმარ-ტა უფლებები და დადგენილების საფუძველზე მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც რ. დ-მ გ. ვ-ს შარვლის მარჯვენა, წინა ჯიბიდან ამოილო ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული აბის-მაგვარი ნატეხები, რის შემდეგაც იგი გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. ჩხრეკის დროს გ. ვ-ს წინააღმდეგობა არ გაუ-წევია, თუმცა არც თანხმობა განუცხადებია საგამოძიებო მოქ-მედების ჩატარებაზე. მას აღნიშნული ნივთიერება საკუთარი ხელით არ ამოულია ჯიბიდან, იგი რ. დ-მ ამოილო.

5. მოწმე ა. რ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი იძიებდა მო-ცემულ საქმეს. 2015 წლის 26 ოქტომბერს იმყოფებოდა სამსა-ხურში, რა დროსაც შევიდა ინფორმაცია, რომ გ. ვ-ს თან ჰქონდა ნარკოტიკული ნივთიერება და აპირებდა მის გადაცემას სხვა პირისთვის. აღნიშნულზე დაიწყო გამოძიება, დაიგეგმა შესაბა-მისი ღონისძიებები, მოწმის სახით დაკითხა „პატაკის“ ინიცია-ტორი, შემთხვევის ადგილზე გაუშვა ოპერატიული თანამშრომ-ლები და შემდგევ ისიც გავიდა. ტელეფონით დაუკავშირდა ჯგუ-ფის წევრებს, რომლებმაც შეატყობინეს, რომ დაინახეს გ. ვ-ე. მან უთხრა, რომ შეეჩერებინათ და ისიც მივიდოდა. იგი მივიდა რამდენიმე წუთში, გ. ვ-ს გააცნო დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პირადი ჩხრეკის ჩატარების შე-სახებ, რაზეც მან განაცხადა, რომ ხელს არაფერზე მოაწერდა. შემდეგ ჩატარდა მისი პირადი ჩხრეკა, რომელშიც მონაწილე-ობდნენ პოლიციის თანამშრომლები - ლ. ჯ-ი და რ. დ-ე. პირადი ჩხრეკა ჩატარა უშუალოდ რ. დ-მ, რა დროსაც მან გ. ვ-ს შარ-ვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოილო ვერცხლისფერ ქაღალ-დში გახვეული, 4 თეთრი გატეხილი აბი. ამის შესახებ ბრალდე-

ბულს არაფერი განუმარტავს. მან გადაუღო სურათები და შე-ადგინა ოქმი. შემდეგ ბრალდებული დააკავა. ადგილზევე შედ-გადაკავების ოქმი. არც ერთ საგამოძიებო ოქმზე ბრალდებულმა ხელი არ მოაწერა. იგი გადაიყვანეს სამმართველოში. მისი დად-გენილების საფუძველზე გ. ვ-ს თავდაპირველად ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება, ხოლო მოგვიანებით დანიშნა ქიმი-ურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა. მანვე ჩატარა სხვადას-ხვა საგამოძიებო მოქმედება.

6. გ. ვ-ს პირადი ჩხრეკის ოქმით დადგენილია, რომ გამომძი-ებულმა ა. რ-მ, რ. დ-სა და ლ. ჯ-ს მონაწილეობით ჩატარებული პირადი ჩხრეკისას, გ. ვ-გან ამოილო ვერცხლისფერ ქალალდში გახვეული, 4 ცალად დაფასოებული თეთრი აბის ნატეხის მაგ-ვარი მასა.

7. საქმეზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ გ. ვ-ს პირადი ჩხრეკისას ამოლებული 4 აბის ნატეხი შეიცავს – 0.01991 გრამ ნარკოტიკულ საშუალება „ბუპ-რენორფინს“. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და-ადასტურა ექსპერტმა მ. მ-მ.

8. საქმეზე ჩატარებული ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერ-ტიზის დასკვნით გ. ვ-ს დაუდინდა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრა-პიდროკანანაბინოლის“ მოხმარების ფაქტი. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე დაადასტურეს ექსპერტებმა – ნ. ფ-მ და თ. ბ-მ.

9. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ გამამართლებელ განაჩენს საფუძვლად დაუდო დაცვის მხარის მიერ წარმოდგე-ნილი შემდეგი მტკიცებულებები:

■ ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რომ-ლის თანახმად, გ. ვ-ს ჯიბიდან ამოლებულ მოვერცხლისფრო ქალალდზე (ობიექტი №1) არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილი შერეულია. მასში გ. ვ-ს (ობიექტი №2) გენეტიკური თანამონაწილეობა არ გამოვლინდა. ამავე პაკეტებში მოთავსე-ბულ აბებზე (ობიექტი №3) გენეტიკური იდენტიფიკაციისათ-ვის საჭირო ადამიანის ბირთვული დნმ-ის მინიმალური კონცენ-ტრაცია არ აღმოჩნდა.

■ დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თა-ნახმად, ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ ფოლგის-მაგვარი ზედაპირის მქონე ფურცელზე ხელის თითის კვლები დვრილოვანი ხაზების სახით არ გამოვლინდა.

■ ექსპერტ ქ. ქ-ს ჩვენება, რომლის თანახმად, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნა არის კატეგორიული. საკვლევ ობიექტზე გამოვლინდა სხვა გენეტიკური პროფილი. გენეტიკურ მასალა-

ში გ. ვ-ს გენეტიკური პროფილის თანამონაწილეობა არ გამოვ-
ლენილა.

■ ექსპერტი ი. მ-ს ჩვენება, რომლის მიხედვითაც, გამოსაკ-
ვლევად წარდგენილ ვერცხლისფერ ქაღალდზე აღმოჩნდა ერ-
თზე მეტი ადამიანის გენეტიკური პროფილი, მაგრამ გ. ვ-ს გე-
ნეტიკური თანამონაწილეობა გამოირიცხა. ექსპერტმა განამარ-
ტა, რომ არ შეუძლია, კატეგორიულად გასცეს პასუხი შეკით-
ხვაზე: შეიძლება თუ არა ნივთზე შეხებისას მასზე აღმოჩნდეს
დნმ-ის კონცენტრაცია, რადგან ეს ინდივიდუალურ სიტუაცია-
ზეა დამოკიდებული და ეს მხოლოდ ვარაუდი იქნება.

■ გ. ვ-ს ჩვენება, რომელმაც როგორც სასამართლოში, ისე
გამოძიების ყველა ეტაპზე განაცხადა, რომ ნარკოტიკული სა-
შუალება მას არ ეკუთვნოდა. მისი ჩვენებით, ნარკოტიკი ჯიბე-
ში ჩაუდო პოლიციის მაღალმინისტრისმა, რაც დაინახეს პოლი-
ციის სხვა თანამშრომლებმაც. მან საგამოძებო მოქმედების არც
ერთ ოქმზე ხელი არ მოაწერა.

10. სააპელაციო პალატამ საეჭვოდ მიიჩნია მოწმე პოლიციე-
ლების ჩვენებებისა და ჩხრეკის ოქმის სანდოობა, ვინაიდან დაც-
ვის მხარის მიერ წარმოდგენილი ზემოთ მითითებული მტკიცე-
ბულებებით გაჩნდა ეჭვი გ. ვ-ს ბრალეულობის თაობაზე. სააპე-
ლაციო სასამართლოს აზრით, პოლიციელთა ჩვენებები ეწინააღ-
მდეგარებული და ასევე დაცვის მხარის ექსპერ-
ტიზის დასკვნებსა და ექსპერტების ჩვენებებს. თავისი პოზიცი-
ის გასამყარებლად პალატამ მიუთითა ადამიანის უფლებათა ეპ-
როპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, კერძოდ, საქმე-
ზე „ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ“ (Ochelkov v. Russia), რომ-
ლის თანახმად, პოლიციელთა ჩვენებებს მცირე მტკიცებულე-
ბითი ძალა აქვს, თუ ისინი გამყარებული არ არის სხვა მტკიცებუ-
ლებებით და საქმეზე „ვრონჩენკო ესტონეთის წინააღმდეგ“
(Vronchenko v. Estonia), რომლის მიხედვით, ევროპულმა სასამარ-
თლომ ყურადღება გააძახილა იმაზე, რომ ბრალდებულის დნმ-ი
არ იყო აღმოჩნილი დაზარალებულისგან ამოლებულ ძირითად
ნივთმტკიცებაზე, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ საქ-
მეში არსებული მტკიცებულებები არ იყო გადამწყვეტი მნიშვნე-
ლობის ბრალდებულის ბრალეულობისათვის.

11. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის
ზემოაღნიშნულ მსჯელობას შემდეგ გარემოებათა გამო: პალა-
ტა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მოწმე პოლიცი-
ელების ჩვენებებზე და მიუთითებს, რომ არავითარი ეჭვის შე-
ტანის საფუძველი მათი ჩვენებების სანდოობაში არ გააჩნია,
ვინაიდან პოლიციელთა ჩვენებები არის თანმიმდევრული, სარ-

წმუნო და როგორც ერთმანეთთან, ისე საქმის სხვა მტკიცებულებებთან სრულად თანხვდენილი. არანაირი წინააღმდეგობა მათ ჩვენებებს შორის არ არსებობს. ამასთან, მათი ჩვენებები გამყარებულია გ. ვ-ს პირადი ჩხრეკის ოქმითა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით. ყურადსალებია ის ფაქტიც, რომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად ბრალდების მხარის მხრიდან რაიმე სახის კანონდარღვევა გ. ვ-ს პირადი ჩხრეკისა და სხვა საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას არ გამოვლენილა. საქმეზე „ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ“ (Ochelkov v. Russia) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, დაეთანხმა განმცხადებლის მოსაზრებას, რომ პოლიციელების განცხადებები მცირე მნიშვნელობის იყო, რადგან არ იყო განმტკიცებული არანაირი მტკიცებულებით (პუნქტი 90), რაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე პოლიციელთა ჩვენებს იმთავითვე მცირე (ისევე, როგორც აღმატებული) მნიშვნელობა აქვს. პოლიციელთა ჩვენებების სანდობა და უტყუარობა უნდა შეფასდეს თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, იმის მიხედვით, თუ მთლიანობაში რამდენად კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად მიმდინარეობდა წინასასამართლო გამოძიება.

12. ამასთან, დაცვის მხარე აღნიშნავს, რომ გ. ვ-ს ნარკოტიკული საშუალება ჩაუდეს, თუმცა მათ ვერ წარმოადგინეს რაიმე უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მონშე პოლიციელები არიან დაინტერესებული პირები და აბრალებენ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას. ვერსია, რომელიც მათ საკასაციო პალატის სხდომაზე განაცხადეს, კერძოდ – გ. ვ-ს ნარსულში მსჯავრდების საქმესთან დაკავშირებით მონმის გამოკითხვის ოქმი, რომელშიც იგი უთითებდა, რომ გ. ვ-ე დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა და ჩაუდეს ნარკოტიკი (გამოკითხვის ოქმში საუბარია 2010 წლის 1 სექტემბერს მომხდარ გარემოებებზე) – მოკლებულია ყოველგარ დამაჯერებლობას და ვინაიდან განსახილველ საქმესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ მითითებული გამოკითხვის ოქმი დაუშვებელ მტკიცებულებად ცნო. დაცვის მხარე სავარაუდო მიზეზად ასევე უთითებს გ. ვ-ს ნარსულში ნასამართლობაზე, თუმცა აღნიშნული ვერსიაც არადამაჯერებელია.

13. რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებს, საკასაციო პალატა თავდაპირველად იმსჯელებს მათ შინაარსობრივ, ხოლო შემდეგ, დამატებით – პრო-

ცესუალურ მხარეზე. სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში, ისევე როგორც დაცვის მხარემ საკასაციო სხდომაზე, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნაზე და მათი პოზიციის გასამყარებლად არაერთხელ მიუთითა ადამიანის უფლებათა ეპროცესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე – საქმეზე „ვრონჩენკო ესტონეთის წინააღმდეგ“ (Vronchenko v. Estonia).

14. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იგი სადაცვოდ არ მიიჩნევს ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზების დასკვნებით დადგენილ ფაქტებს, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე გ. ვ-ს გენეტიკური თანამონანილეობა არ გამოვლინდა და ასევე, მასზე ხელის თითის კვლები საერთოდ არ აღმოჩნდა, თუმცა აღნიშნავს, რომ საპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და ყოველგვარი შეფასების გარეშე დატოვა ექსპერტების ჩვენებების ის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, თუ რა შემთხვევაში შეიძლება დარჩეს, ან არ დარჩეს გამოსაკვლევ ობიექტზე კვალი, კერძოდ:

■ ექსპერტმა ქ. ქ-მ დაადასტურა ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და მიუთითა, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე (ობიექტი №1) აღმოჩნდა ერთზე მეტი პირის შერეული პროფილი, თუმცა გ. ვ-ს გენეტიკური პროფილი მასში არ აღმოჩნდა. ექსპერტმა განმარტა, რომ შესაძლებელია, ობიექტზე არ აღმოჩნდეს ბიოლოგიური მასალა, მიუხედავად მასზე ხელით შეხებისა, იმ შემთხვევაში, როცა სხვა ბიოლოგიური მასალა ბევრად აღემატება მას. ამ დროს სხვა ბიოლოგიური მასალა შესაძლოა, იყოს იმდენად მეტი, რომ გადაფაროს იგი და არ გამოვლინდეს გენეტიკურ პროფილში. მანვე მიუთითა, რომ ობიექტზე ბიოლოგიური პროფილის შენარჩუნების ვადა დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, შენახვის პირობებზე, ვარგისი იქნება თუ არა გენეტიკური კვლევისათვის, რის შედეგადაც ბიოლოგიური მასალა შესაძლებელია, დარჩეს წლები, ან – ერთი დღე. მასზე სხვა ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ შესაძლებელია, დარჩეს, ან არ დარჩეს კვალი.

■ ექსპერტმა ი. მ-მ ასევე დაადასტურა ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტის დასკვნის სისწორე და მიუთითა, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე (ობიექტი №1) აღმოჩნდა ერთზე მეტი პირის შერეული პროფილი, მაგრამ გ. ვ-ს გენეტიკური პროფილი არ აღმოჩნდა. ექსპერტმა განმარტა, რომ დნმ-ის ნიმუში შესაძლებელია, ნივთზე მოხვდეს, ან არ მოხვდეს, მიუხედავად ნივთთან კონტაქტისა, რაც დამოკიდებულია კონტაქტის ხასიათზე. ნიმუში შეიძლება მოხვდეს უშუალო, ან რაიმე ბიოლოგი-

ური სითხის კონტაქტის შედეგად. თუ ადამიანს ხელთათმანი ეკეთა, ამ შემთხვევაში არ დარჩება კვალი, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დნმ-ის კვალის დარჩენის შესაძლებლობა – 50/50-ზეა. პროკურორის კითხვაზე, წივთზე ხელის მოკიდების შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა, რომ არ აღმოჩნდეს დნმ-ის მიზიმალური კონცენტრაცია, მან განმარტა, რომ აღნიშნული დამოკიდებულია ინდივიდუალურ სიტუაციაზე და მოცემულ საკითხზე კატეგორიულ დასკვნას ვერ გააკეთებს, ეს იქნება მხოლოდ ვარაუდი.

■ ექსპერტმა ბ. ნ-მ დაადასტურა დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და მიუთითა, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე თითოს კვლები არ აღმოჩნდა, თუმცა მან განმარტა, რომ შესაძლებელია, პირმა ხელი მოჰკიდოს ნივთს, მაგრამ კვალი მაინც არ დარჩეს, რაც დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, კერძოდ, იმაზე, თუ რა ძალით მოჰკიდა პირმა ხელი მას, როგორ გამოიყოფოდა ის წივთიერება, რომელიც თითოს კვალს ტოვებს, როგორ შეფუთქს და წარმოადგინეს წივთმტკიცება კვლევისათვის.

14. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არსებობს: მოქმედ პოლიციელების – რ. დ-ს, ლ. ჯ-ს, ა. რ-სა და თ. კ-ს თანმიმდევრული, თანხვდენილი ჩვენებები, რომელთა ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი საკასაციო პალატას არ გააჩნია; პრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმი, რომელიც შედგენილია საპროცესო ნორმების სრული დაცვით; ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა; საქმეზე საპროცესო მოქმედებები ჩატარდა კანონის მოთხოვნათა დაცვით და პოლიციელთა მხრიდან გ. ვ-ს მიმართ რამე ინტერესი არ იკვეთება; მხოლოდ ბიოლოგიური (გენეტიკური) და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები, მით უფრო იმ მოცემულობით, როდესაც ექსპერტები განმარტავენ, თუ რა შემთხვევაში და რა აღბათობით არის შესაძლებელი, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე დარჩეს კვალი და რომელი გარემოებები გამორიცხავს კვალის დარჩენის შესაძლებლობას, არ წარმოადგინს უპირობოდ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს.

15. რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ მოპოვებული ექსპერტიზების დასკვნების პროცესუალურ მხარეს, პროკურორი საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, როდესაც დაცვის მხარის მიერ საქმის არსებითი განხილვის დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის უხეში დარღვევით წარმოდგენილი მტკიცებულებები (ბიოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტი-

ზეპის დანიშვნის შესახებ განცხადება და მის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები – ექსპერტიზების დასკვნები) დასაშვებად ცნო.

16. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ აქვს განმარტებული, რომ, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი იცავს პირის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, აღნიშნული მუხლი არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესებს. იგი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრეროგატივა, ხოლო ევროპული სასამართლოს ფუნქციაა, მთლიანობაში შეაფასოს სამართალწარმოების სამართლიანობა („ფრუმჟინი რუსეთის წინააღმდეგ“ (Frumkin v. Russia), განაცხადი no. 74568/12.), ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები, ან განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა („ბულიჩევი რუსეთის წინააღმდეგ“ (Bulychev v. Russia), განაცხადი no. 24086/04).

17. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთერთი ფუნდამენტური ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესი, მათ შორის პროცესუალურ ასპექტთან დაკავშირებული ელემენტები, შეჯიბრებითი უნდა იყოს და ბრალდებისა და დაცვის მხარეების თანასწორობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი. შეჯიბრებითი სასამართლო განხილვის უფლება გულისხმობს, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში როგორც ბრალდებას, ასევე დაცვას მეორე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებისა და მოსაზრებების გაცნობის საშუალება უნდა ჰქონდეს (Rowe and Davis v. the United Kingdom [GC], § 60).

18. მხარეთა თანასწორობის პრინციპი გულისხმობს, რომ ყველას, ვინც სამართალწარმოების მხარეა, სასამართლოსათვის თავისი საქმის წარდგენის გონიერული შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს იმ ვითარებაში, რომელიც მას არ აყენებს არსებითად არახელსაყრელ პირობებში მეორე მხარის საპირისპიროდ. მხარეთა შორის სამართლიანი წონასწორობა უნდა დამყარდეს („დე ჰესი და გისელსი ბელგიის წინააღმდეგ“ (De Haes and Gijsels v. Belgium) 19983/92).

19. საქართველოს სსსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

20. საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა, მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

21. საქართველოს სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივით, ხოლო იმავე მუხლის მე-4 ნაწილში მითითებულია, რომ ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გამომძიებლის, პროკურორის დადგენილება და დაცვის მხარის მიმართვა სავალდებულოა საექსპერტო დაწესებულებისათვის, ექსპერტისა და იმ პირისათვის, რომელიც საექსპერტო კვლევის ობიექტია. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მხარეს წარმოადგენს: ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორი.

22. საქმის მასალების მიხედვით, 2015 წლის 3 და 4 დეკემბერს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა, საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი წესით, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა, გაცვალეს იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებდნენ.

23. ბათუმის საქალაქო სასამართლოს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინებით დაკაყილდა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ შოთა ხორავას 2015 წლის 11 დეკემბრის შუამდგომლობა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების – სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტში გ. ვ-ს მიმართ ბიოლოგიური (გენეტიკური) და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზების დანიშვნის შესახებ რეგისტრციის ბარათისა (№...) და მოქალაქე ი. გ-ს მიერ 2015 წლის 1 დეკემბერს ამავე ბიუროს სახელზე შედგენილი გ. ვ-ს მიმართ დაქტილოსკოპიური და ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზების დანიშვნის შესახებ 2 განცხადების – დაუშვებლად ცნობის შესახებ იმ მოტივით, რომ, მართალია დაცვის მხარეს ბრალდების მხარესთან მტკიცებულებები გაცვლილი ჰქონდა საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ დაცვის მხარემ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების დანაწესი, რომლის თანახმად, ექსპერტიზა ტარდება მხარის ინიციატივითა და დაცვის მხარის მიმართვის

საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზები დანიშნული იყო არა დაცვის მხარის, არამედ საპროცესო სტატუსის არმქონე პირის – ი. გ-ს (მსჯავრდებულის დედა) მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ვ-ს ადვოკატმა პ. შ-მ გაითხოვა ექსპერტიზების ჩასატარებლად გამოსაკვლევი ობიექტის გადაცემის შესახებ წარდგენილ შუამდგომლობა, ხოლო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განჩინება კანონით დაგენილი წესით არ გაასაჩივრა.

24. იმავე სხდომაზე წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ საქმის არსებითი განხილვის სხდომის თარიღად განსაზღვრა – 2016 წლის 6 იანვარი. 2016 წლის 8 იანვარს გ. ვ-ს ადვოკატმა პ. შ-მ განცხადებით მიმართა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ გ. ვ-ს მიმართ ბიოლოგიური (გენეტიკური) და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზების დანიშნვის შესახებ, ხოლო მოგვიანებით, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, სხვადასხვა დროს, სასამართლოს მიმართა შუამდგომლობებით საქართველოს სსსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნანილის საფუძველზე ექსპერტიზების დანიშვნის შესახებ მისი განცხადებისა და რეგისტრაციის ბარათის, გამოსაკვლევი ობიექტის ექსპერტიზის ბიუროსათვის გადაცემის, ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების დასაშვებად ცნობისა და ექსპერტიზის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ. სასამართლომ დაცვის მხარის ყველა მითითებული მოთხოვნა დააკმაყოფილა.

25. საკასაციო პალატა აღნიშნავს: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნანილი იძლევა შესაძლებლობას, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს მხარემ წარადგინოს დამატებითი მტკიცებულება. მხარის შუამდგომლობით სასამართლო იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება/არდაშვების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში მხარეს აკისრია ვალდებულება, დაამტკიცოს, თუ რა საპატიო მიზეზით ვერ წარადგინა აღნიშნული მტკიცებულებები მტკიცებულებათა დასაშვებობის სტადიაზე – წინასასამართლო სხდომაზე.

26. განსახილველ შემთხვევაში ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ არ წარადგინეს საქმის არსებითი განხილვის დროს დამატებით წარდგენილი მტკიცებულებები წინასასამართლო სხდომაზე, არის დაცვის მხარის მიერ დაშვებული უხეში საპროცესო შეცდომა მტკიცებულებათა მოპოვების დროს, კერძოდ, რო-

გორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქმეზე დაქტილოსკოპიური და ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზები გ. ვ-ს მიმართ დანიშნა არა დაცვის მხარემ, არამედ – საპროცესო სტატუსის არმქონე პირმა – ი. გ-მ (მსჯავრდებულის დედა). პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის შესაბამისად არ იყო უფლებამოსილი დასაშვებად ეცნო დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, იმის გამო, რომ დაცვა სათანადოდ არ იყო განხორცილებული, მსჯავრდებულის ინტერესებიდან გამომდინარე, მანიც დასაშვებად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევით წარმოდგენილი მტკიცებულებები და ამასთან, შემდგომში სასამართლომ ისინი არასწორად გააანალიზა და შეაფასა.

27. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. საკასაციო პალატამ, ზემოაღნიშული მტკიცებულებების შეფასების შედეგად დაასკვნა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული უტყუარი და ურთიერთავსებადი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება გ. ვ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით შერაცხული ქმედების ჩადენა.

28. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელის მიზნებს, ხოლო იმავე კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად: მსჯავრდებულის პიროვნებას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს (გამოკვეთილია დანაშაულის რეციდივი, ქმედება ჩადენილია პირობითი მსჯავრის პერიოდში, შემამსუბუქებელი გარემოებები კი არ გააჩნია), ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედებს განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას და საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, განუსაზღვრავს მსჯავრდებულს სამართლიან სასჯელს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ადგილი:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ ადილარ ნირლვავას საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს.
2. ცვლილება შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 დეკემბრის განაჩენში:
3. გ. ვ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.
4. გ. ვ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 1000 (ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.
5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გ. ვ-თვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით დანიშნულმა სასჯელმა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქას საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – ჯარიმა 1000 (ათასი) ლარი და დანაშაულთა ერთობლიობით გ. ვ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.
6. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.
7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქას ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, გ. ვ-ს სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.
8. გ. ვ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან, ხოლო სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 26 ოქტომბრიდან 2016 წლის 21 ივნისის ჩათვლით.

9. გ. ვ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლით ჩამოერთვას: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

10. ცონბად იქნეს მიღებული, რომ გ. ვ-ს მიმართ შეფარდებული აღვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია.

11. ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ინახება საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკული საშუალების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სამმართველოში, უნდა განადგურდეს.

12. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირადი მოხარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხარება

განვითარება

№216აგ-16

21 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ზ. ს-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთასის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 ივნი-

სის განაჩენით ზ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაეკასრა ჯარიმა – 2000 ლარი. მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. მსჯავრდებულ ზ. ს-ეს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2011 წლის 19 თებერვლიდან.

2. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ზ. ს. ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი.

3. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 25 ოქტომბრის განცარგულებით ზ. ს. შეწყალებულ იქნა და იგი გათავისუფლდა როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის შემდგომი მოხდისგან; მასვე მოეხსნა ნასამართლობა.

4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის განაჩენით ზ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახით განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. მსჯავრდებულ ზ. ს-ეს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან – 2013 წლის 10 დეკემბრიდან.

5. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 7 სექტემბრის განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. ზ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 381-ე მუხლით და სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩატვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

6. 2016 წლის 4 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამრთლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა ზ. ს-ემ და ითხოვა ახლად გამოვლენილი გარემოების გამო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ ამ განაჩენით უკანონოდ გასასამართლეს არ არსებობდა და სისხლის სამართლის საქმის აღდვრის საფუძველი, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 25 ოქტომბრის განკარ-

გულებით იგი შეიწყალეს და გათავისუფლდა როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის შემდგომი მოხდისაგან და ასევე, მოეხსნა ნასამართლობა. მსჯავრდებულის მითითებით, ეს გარემოება მისთვის ცნობილი გახდა 2016 წლის ივლისში.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

8. კასატორი – მსჯავრდებული ზ. ს. საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინების გაუქმებასა და შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას შუამდგომლობაში მითითებული მოტივებით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიღა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 25 ოქტომბრის განკარგულების შესაბამისად, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის განაჩენისთვის მას ნასამართლობა მოხსილი ჰქონდა და, შესაბამისად, იგი 2013 წლის 24 ნოემბერს, როდესაც კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, არ უნდა მიჩნეულიყო ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ნასამართლევ პირად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ეს გარემოება არ ნარმოადგენს ზ. ს-ის გამართლების საფუძველს, ვინაიდან ზ. ს. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 500 ლარი. პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული დადგენილება, საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის განაჩენისგან დამოუკიდებლად, ქმნის ზ. ს-ის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. ამდენად, საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოსთვის ცნობილი რომ ყოფილიყო პრეზიდენტის გან-

კარგულების შესახებ, საქმეზე მაინც იგივე შედეგი დადგებოდა (გამამტყუნებელი განაჩენის სახით), ვინაიდან ზ. ს. ნარკოტიკული სამუალების უკანონოდ მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული იყო. პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 27 სექტემბრის დადგენილება ზ. ს-ის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ მხარეებმა უდავო მტკიცებულებად მიიჩნიეს და იგი, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, საფუძვლად უდევს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 10 თებერვლის განაჩენს, რომლითაც ზ. ს. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

3. ამდენად, არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების შეცვლის ან გაუქმების საფუძველი, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ზ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინება მსჯავრდებულ ზ. ს-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

8. სამოხელეო დანაშაული

სამსახურებრივი გულგრილობა

განაჩენი

№714აპ-16

5 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
- ნ. გვენეტაძე,
- პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-ის ინტერესების დამცველის,
ადგომატ ა. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სა-
სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის
27 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. დადგენილებით პირის ბრალდების შესახებ, გ. თ-ს, – და-
ბადებულს – წლის ...-ს, ნასამართლობის არმქონეს, – ბრალი
დაედო სამსახურებრივ გულგრილობაში, ე.ი. მოხელის მიერ თა-
ვისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში, ან არა-
ჯეროვნად შესრულებაში მისდამი დაუდევარი დამოკიდებულე-
ბის გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსე-
ბითი დარღვევა გამოიხვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. თ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტუ-
რის სამსახურს უფროსის №75 ბრძანებით 2008 წლის 31 დე-
კემბრიდან დაინიშნა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამარ-
თლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამ-
სახურის სანებართვო დეპარტამენტის ...-ის სანებართვო გან-
ყოფილების უფროსად, შესაბამისად, იგი „საჯარო სამსახურის
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და 30-ე მუხლის
„დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენდა მოხელეს.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის
მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის №3/181 ბრძანებით კულ-
ტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა ი. უორდა-
ნიას სახელობის ინსტიტუტის შენობას, მდებარეს ქ. თბილის-
ში, ...ქუჩა №43-ში და ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიულ კორ-
პუსს, მდებარეს ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქუჩა №43ა-ში.
ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის №24.16.832

დადგენილებით დამტკიცებული, ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის შექმნისა და მისი წესდების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, არქიტექტურის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტები – ბრძანებები. ანალოგურად, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის კანონის და ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 13 თებერვლის №05.03.112 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისნარმოების წესის“ თანახმად, ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – არქიტექტურის სამსახურს უფლება აქვს, ასევე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით გამოსცეს ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, რომელსაც „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის შესაბამისად, ისეთივე თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, როგორც წერილობითი ფორმით გამოცემულ დოკუმენტებს.

...-ის სანებართვო განყოფილების უფროსი გ. თ. უფლებამოსილი იყო, ზემოაღნიშნული ელექტრონული საქმისნარმოების ინსტრუქციით დადგენილი წესების შესაბამისად, ელექტრონულად თანხმობა მიეცა არქიტექტურის სამსახურის სახელით გამოსაცემი აქტებისთვის – ბრძანებებისთვის, რომლებსაც, თავის მხრივ, ამზადებდა არქიტექტურის სამსახურის სპეციალისტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში. აღნიშნული პროცედურების გავლის შემდგომ კი ბრძანებები ოფიციალურად გამოიცემოდა და ძალაში შედიოდა. მოცემულ შემთხვევაში, ასეთ ბრძანებას – აქტს წარმოადგენდა არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 14 ნოემბრისა და 26 დეკემბრის №... და №... ბრძანებები, რომლებიც არქიტექტურის სამსახურმა გამოსცა სწორედ გ. თ-ის ელექტრონულ ვიზირებით, რის საფუძველზე შეს „-“ განახორციელა ქ. თ-ში, კ-ას ქ. №...-ში მდებარე მინის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №... განთავსებული უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები, ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა

საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.“ კანონის ეს იმპერატიული მოთხოვნა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ დაუცავთ და არ შეუსრულებიათ. აქედან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახურმა 2012 წლის 14 ნოემბრისა და 26 დეკემბრის №... და №... ბრძანებებით ცალსახად დაარღვია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. გ. თ. იყო რა საჯარო მოხელე, ბრძანებებზე ელექტრონული წესით თანხმობის გაცემისას ვალდებული იყო, დაუცვა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნები. მასვე ევალებოდა, ზუსტად და ჯეროვად შეესრულებინა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლით დადგენილი წინა პირობები, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული წარმოებისას ვალდებულია გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში გ. თ. მშენებლობის ნებართვის (ელექტრონული წესით) გაცემამდე ვალდებული იყო, გადაემოწმებინა ინფორმაცია იმის შესახებ, ხომ არ წარმოადგენდა დემონტაჟს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, რაც არ გააკეთა და აღნიშნული მშენებლობის ნებართვა არქიტექტურის სამსახურმა გასცა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის გარეშე. შესაბამისად, გ. თ-ემ არაჯეროვნად შესარულა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა, რასაც შედეგად მოჰყვა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ობიექტების დემონტაჟი, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის განაჩენით გ. თ., – დაბადებული – წლის ...-ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილი იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გამამართლებელი განაჩენი. გ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-

ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გ. თ-ემ ჩაიდინა სამსახურებრივი გულგრილობა, ე.ი. მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. თ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. მ-ემ და ითხოვა გ. თ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

6. საკასაციო პალატის სხდომაზე დაცვის მხარემ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და ითხოვა საკასაციო საჩივრის დაკამაყოფილება.

7. ბრალდების მხარე არ დაეთანხმა წარმოდგენილ საკასაციო საჩივრს და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივრი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამონმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკამაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაცვის მხარე სადაცვოდ არ ხდის იმას, რომ სადაცვო ბრძანება, რომლის საფუძველზეც მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობის დემონტაჟი, ელექტრონულად ვიზირებულია გ. თ-ის მიერ. ადვოკატი გ. თ-ის უდანაშაულობის დასადასტურებლად მირითადად აპელირებს შემდეგ საკითხებზე: ელექტრონული ვიზირება არის მხოლოდ ფორმალური საკითხი და ემსახურება პროექტის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე მოხვედრას, სადაც პროექტი დეტალურად განიხილება; საბჭოს დადებითი დასკვნა შესასრულებლად სავალდებულოა არქიტექტურის სამსახურისთვის, შესაბამისად, ფაქტობრივად, საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტა (ანუ ბრძანების გაცემის ბედი) საბჭოს გადასაწყვეტია და არქიტექტურის სამსახური მხოლოდ აღასრულებს მას; კასა ქის №...-სა და №...-ში მდებარე შენობა-ნაგებობა არის ერთი მთლი-

ანი ძეგლი, რომელზეც გაიცა უძრავი ძეგლის (კ-ას ქ-ს №... და №...) სარეაბილიტაციო სამუშაოების (დაზვერვა, განმენდა, კონსერვაცია, რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, ადაპტაცია, ცვლილება) ჩატარების ნებართვა, რაც დაშვებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ანუ ჩატარდა არა ცალკე აღებული უძრავი ძეგლის დემონტაჟი, არამედ – ერთი მთლიანი უძრავი ძეგლის რეკონსტრუქცია.

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებებს და სრულად ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით.

4. პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის №3/181 ბრძანებისა და ძეგლის სააღრიცხვო ბარათების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კ-ას ქ-ის №...-სა და №...-ში მდებარე შენობები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ძეგლებია. კერძოდ: №... ბრძანების დანართის მიხედვით, აღნიშნული შენობები ნუსხის №... და №... პუნქტებში მითითებულია დამოუკიდებელ ობიექტებად. ამასთან, ორივე შენობაზე გახსნილია დამოუკიდებელი სააღრიცხვო ბარათები: კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი №... (კ-ას ქუჩა №...) და სააღრიცხვო ბარათი №... (კ-ას ქუჩა №...).

4.1. საქმეში წარმოდგენილია ხელოვნებათმცოდნე გ. ჭ-ის საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, რომლის თანახმად, მ. კ-ას ქ.№...-ში მდებარე ნაგებობა არის ეროვნული მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლი და ამიტომ აუცილებელია მისი დაფიქსირება, საფასადო სახის შენარჩუნება და თავდაპირველი სახით აღდგენა. მ. კ-ას ქ.№...-ში მდებარე ნაგებობაც – არქიტექტურული ძეგლია. სახლი აშკარად რიგითი ნაგებობაა და აქვს დაბალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება, თუმცა აღრიცხულია არქიტექტურულ-მემორიალურ ძეგლად.

4.2. საპროექტო დოკუმენტაციაზე დართულ ისტორიული კვლევაში, რომელშიც დეტალურადაა ასახული ძეგლის მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება, მითითებულია, რომ ლაბორატორიულ კორპუსს, მდებარეს ქ. თ-ში, კ-ას ქუჩის №...-ში კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. მართალია, გ. ჭ. აღნიშნავს, რომ ძეგლისთვის სტატუსი მინიჭებული უნდა იყოს მექანიკურად, მაგრამ არ და ვერც უარყოფს, რომ შენობას გააჩნია არქიტექტურული ძეგლის სტატუსი. ამდენად, უსაფუძვლოა დაცვის მხარის მოსაზრება, რომ კ-ას ქუჩის №...-სა და №...-ში არსებული

შენობა-ნაგებობა არის ერთი მთლიანი ძეგლი, რომელზეც გაიცა უძრავი ძეგლის (კ-ას ქუჩა №... და №...) სარეაბილიტაციო სამუშაოების (დაზვერვა, განმენდა, კონსერვაცია, რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, ადაპტაცია, (კვლილება) ჩატარების ნებართვა, რაც დაშვებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

5. პალატა არ იზიარებს ასევე ადვოკატის მოსაზრებას ელექტრონული ვიზირების ფორმალობასთან (უმნიშვნელობასთან) დაკავშირებით და მიუთითებს: თავად დაცვის მხარეც ადასტურებს იმ გარემოებას, რომ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული ვიზირების გარეშე შეუძლებელია, რომელიმე პროექტი მოხვდეს სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე განსახილველად. ამასთანავე, დაცვის მხარე ადასტურებს იმასაც, რომ საბჭოს დადებითი ან უარყოფითი დასკვნის გაცემის შემდეგ უკვე ტექნიკურად უნდა აღასრულოს იგი არქიტექტურის სამსახურის სპეციალისტმა, ისე რომ დამატებით შეთანხმებას აღარ საჭიროებს სამსახურის უფროსათან.

5.1. ამდენად, ნათელია, რომ ბრძანების ელექტრონული ვიზირება, ფაქტობრივად, ნიშნავს ბრძანების გამოცემაზე თანხმობას და იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო-მეთოდური საბჭოც დადებით დასკვნას გასცემს, ბრძანება უკვე ოფიციალურად გამოიცემა ყოველგვარი დამატებითი განხილვების გარეშე, რაც ხაზს უსვამს ელექტრონული ვიზირების მნიშვნელობას და გ. თ-ის ასეთი ზერელე დამოკიდებულება ვიზირების მიმართ, სწორედ სამსახურებრივი მოვალეობებისადმი მის დაუდევარ დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

6. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. თ., როგორც საჯარო მოხელე, ვალდებული იყო, კეთილსინდისიერად შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, ჯეროვნად გამოიეროს საკითხი, რა დროსაც იგი ნახავდა, რომ ნარმოდგენილი პროექტი ეხებოდა უძრავი ძეგლის დემონტაჟს, რისი სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობდა, ვინაიდან „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული შესაბამისად.

ნებული არც ერთი საფუძველი, რის გამოც ძეგლის დემონტაჟის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება უხეშად დაარღვევდა კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის მოთხოვნებს.

7. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გ. თ-ეს, სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, საკითხის გულდასმით შესწავლის შემდეგ თუეკ ჩათვლიდა, რომ ძეგლს არ გააჩნდა არავითარი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე შეეძლო გაეტანა არა ძეგლის დემონტაჟის, არამედ – ძეგლისთვის სტატუსის მოხსნის შესახებ შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის საკითხი, რაც შედიოდა საბჭოს უფლებამოსილებაში. კერძოდ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბჭოს კომპეტენციას განეკუთხება შესაბამისი დასკვნის მომზადება ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის თაობაზე. ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 211-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავრობას უნდა მიეღო.

8. საკასაციო პალატა ეთანხმება დაცვის მხარეს, რომ მოცემულ შემთხვევაში უძრავი ძეგლის დემონტაჟის ბრძანება გამოიცა საბჭოს დადებითი დასკვნის საფუძველზე, თუმცა არ იზიარებს მის პოზიციას, რომ აღნიშნული გარემოება გ. თ-ის პასუხისმგებლობას გამოირჩეავს.

8.1. პალატა მიუთითებს: ის ფაქტი, რომ შესაძლოა, სხვა მოხელეებმაც გამოიჩინეს დაუდევარი დამოკიდებულება საქმისადმი, არ გამორიცხავს გ. თ-ის ვალდებულებას, კეთილსინდისიერად შეესრულებინა დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა და ჯეროვნად გამოეკვლია საკითხები. გ. თ-ეს არ უნდა მიეცა ელექტრონული თანხმობა იმ ბრძანებაზე, რომელიც შეუსაბამი იყო „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ გ. თ-ემ, რომელიც იყო ქ.თ-ის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტის ...-ის სანებართვო განყოფილების უფროსი, სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გა-

მო, არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 26 დეკემბრის ბრძანებაზე ელექტრონული თანხმობის გაცემისას, არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, არ გამოითხოვა ინფორმაცია შესაბამისი უწყებებიდან, არ შეისწავლა არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, რასაც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის უხეში დარღვევით შედეგად მოჰყვა ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, რამაც არსებითად ხელყო სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. თ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ა. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

9. დანაშაული მმართველობის წესის ცინააღმდეგ

ყალბი დოკუმენტის დამზადება და გამოყენება

განაჩენი

№674აპ.-16

7 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ უ. ლ-ასა და მისი ინტერესების დამ-
ცველის, ადვოკატ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპე-
ლაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, უ. ლ-ას
ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 182-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და
362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინე-
ბული დანაშაულები (ორი ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

1.1. 2011 წლის 27 ივნისს ...-ის -ის გამგეობამ გამოაცხადა
ელექტრონული №... ტენდერი ქ. ...-ში, „ს-ს“ სახელით ცნობილ
ფერდობებზე ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების წარ-
მოების შესახებ (სექტორი №...). კონკურენციისა და სახელმწი-
ფო შესყიდვების სააგენტოს საიტზე არსებული სატენდერო დო-
კუმენტების, მათ შორის – ხარჯთაღრიცხვის ერთ-ერთ აუცი-
ლებელ პირობას, ფერდობის სპეციფიკისა და არსებული სამუ-
შაოების არასტანდარტულობის გათვალისწინებით, ფოლადის
მაღალი სიმტკიცის 50 X 50 მმ დიამეტრის 3 მმ სისქის ექსგვერ-
და ბადის მოწყობა წარმოადგენდა.

1.2. შპს „მ-ის“ დირექტორმა უ. ლ-ამ 2011 წლის 17 აგვისტოს
წარადგინა სატენდერო განაცხადი ქვათაცვენის სალიკვიდა-
ციო ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვით, სადაც ტენდერში გა-
მარჯვების შემთხვევაში, ის ზემოხსენებული სამუშაოების, მათ
შორის, ფოლადის მაღალი სიმტკიცის 50 X 50 მმ დიამეტრის 3
მმ სისქის ექსგვერდა ბადის მოწყობის ვალდებულებას კისრუ-
ლობდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ...-ის მ-მა ტენდერში

გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „მ.“. 2011 წლის 1 სექტემბერს შპს „მ-ის“ დირექტორ უ. ლ-სა და ...-ის მ-ის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ. კ-ეს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულება, ღირებულებით 800 092 ლარი, რაც სამუშაოთა შესრულების პერიოდში სრულად გადაირცხა შპს „მ-ის“ ანგარიშზე. მოუხედავად იმისა, რომ უ. ლ-ას სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით ევალებოდა ზემოხსენებული სამუშაოების 50 X 50 მმ დიამეტრის ბადით შესრულება, რომლის სავარაუდო ღირებულება წარდგენილი ხარჯთაღრიცხვით იქნებოდა 1 კვ. მ – 110,25 ლარი, მან ...-ში „ს-ს“ სახელით ცნობილ კლდის ფერდობებზე ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოები შეასრულა 80X100 მმ დიამეტრის მქონე ბადით, რომლის 1 კვ. მ-ში გადაიხადა 33, 06 ლარი.

1.3. უ. ლ-ამ იცოდა, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები არ შეესაბამებოდა პროექტს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულებასა და ხარჯთაღრიცხვას, მაგრამ ...-ის მ-სათვის შესრულებულ სამუშაოთა ჩაბარებისა და შპს „მ-ის“ ანგარიშზე გადარიცხული თანხების მითვისების მიზნით, გადაწყვიტა გაეყალბებინა შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი, ე.წ. ფორმა №.... . იმის მოუხედავად, რომ სამუშაოები შესრულდა 80X100 მმ დიამეტრის ბადით, მან 2011 წლის 14 დეკემბრის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მე-14 გრაფაში მიუთითა, რომ, თითქოსდა სამუშაოები შეასრულა 50X50 მმ დიამეტრის ბადით, ხოლო განეული ხარჯების გაზრდისა და რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო თანხების მითვისების მიზნით, ზემოხსენებული ბადის ერთეულის ფასის გრაფაში მიუთითა – 1 კვ. მ – 110,25 ლარი, მაშინ, როდესაც 1 კვ. მ-ში მან გადაიხადა მხოლოდ 33, 06 ლარი. აღნიშნული სამუშაოები ...-ის მ-მა ჩაიბარა ...-ის მ-ის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 16 სექტემბრის №... და 14 დეკემბრის №... ბრძანებებით შექმნილი კომისიის დასკვნის გარეშე.

1.4. სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 13 ივნისის №... დასკვნის თანახმად, უ. ლ-ამ ყალბი დოკუმენტაციის შედგენისა და გაზული ხარჯის ხელოვნურად გაზრდის გზით, 2011 წლის 1 სექტემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულებით გათვალისწინებული 800 092 ლარიდან მიითვისა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 386 110 ლარი.

1.5. 2011 წლის 17 ნოემბერს ...-ის მ-ის გამგეობაშ გამოაცხადა ელექტრონული №... ტენდერი ქ. ...-ში, „ს-ს“ სახელით ცნობილ ფერდობებზე ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების

წარმოების შესახებ (სექტორი №...). ვინაიდან ზემოხსენებულ სექტორზე, პროექტის თანახმად, საბოლოოდ გათვალისწინებული იყო მონოლიტური კედლის მოწყობა, მ-ის მიერ გამოცხადებული ტენდერით განისაზღვრა დროებით ფოლადის მაღალი სიმტკიცის 80X100 მმ დიამეტრის 3 მმ სისქის ექვსგვერდა ბადის მოწყობა.

1.6. შპს „მ-ს“ დირექტორმა უ. ლ-ამ 2011 წლის 8 დეკემბერს წარადგინა სატენდერო განაცხადი ქვათაცვენის სალიკვიდაციი ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვით, სადაც ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ის ზემოხსენებული სამუშაოების, მათ შორის – ფოლადის მაღალი სიმტკიცის 80X100 მმ დიამეტრის 3 მმ სისქის ექვსგვერდა ბადის მოწყობის ვალდებულებას კისრულობდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ...-ის მ-მა ტენდერში გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „მ“. 2011 წლის 26 დეკემბერს შპს „მ-ის“ დირექტორ უ. ლ-სა და ...-ის -ის საკრებულოს თავმჯდომარე ო. ჭ-ეს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულება, ლირებულებით 147 073 ლარზე, რაც სამუშაოთა შესრულების პერიოდში სრულად გადაირიცხა შპს „მ-ის“ ანგარიშზე.

1.7. შესრულებული სამუშაოების ყალბი აქტების შედგენისა და გაწეული ხარჯებს გაზრდის გზით, უ. ლ-ას უკვე ჰქონდა რა მითვისებული 386 110 ლარი და თანაც იცოდა, რომ მის მიერ წარდგენილი სამუშაოთა შესრულების დოკუმენტაცია ...-ის მ-ის გამგეობას არ ჰქონდა შემონმებული, კვლავ გადაწყვიტა შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაყალბებითა და გაწეული ხარჯების გაზრდით მიეთვისებინა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხები. მიუხედვად იმისა, რომ უ. ლ-ას 80X100 მმ დიამეტრის 1 კვ. მ ბადეში გადახდილი ჰქონდა 33, 06 ლარი, 1 გრძივ მეტრ ბაგირში – 7,21 ლარი, ხოლო 1 ცალ ბაგირის დამჭერსა და ხამუთში – 6,35 ლარი, მან გაწეული ხარჯების გაზრდისა და რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო თანხების მითვისების მიზნით, 2012 წლის 14 მაისის საბოლოო მიღება – ჩაბარების აქტში ზემოხსენებული ბადის ერთეულის ფასის გრაფაში მიუთითა: 1 კვ.მ. – 111 ლარი, ბაგირის ერთეულის ფასის გრაფაში – 1 გ/მ – 9 ლარი, ხოლო ბაგირის დამჭერების და ხამუთების ერთეულის ფასის გრაფაში – 1 ცალი 10 და 12 ლარი. აღნიშნული სამუშაოები ჭ-ის -მა ჩაიბარა იქნა ჭ-ის -ის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 23 იანვრის №... და 1 მაისის №... ბრძანებებით შექმნილი კომისიის დასკვნის გარეშე.

1.8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 13 ივნისის №... დას-

კვირის თანახმად, უ. ღ-ამ ყალბი დოკუმენტაციის შედგენისა და განეული ხარჯის ხელოვნურად გაზრდის გზით, 2011 წლის 26 დეკემბრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... ხელშეკრულებით გათვალისწინებული 147 073 ლარიდან მიითვისა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 37 355 ლარი. სულ, ერთობლივად უ. ღ-ამ ჩადენილი დანაშაულებით 423 465 ლარის ზიანი მიაყენა სახელმწიფო ბიუჯეტს.

2. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, პ. ჩ-ეს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში:

2.1. პ. ჩ. 2010 წლის 22 ივნისიდან მუშაობდა ქ.ის მ-ის გამგებლის თანამდებობაზე და ამავდროულად წარმოადგენდა ქ.ში, „ს-ს“ სახელით ცნობილ კლდის ფერდობებზე ჩატარებული ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის თავმჯდომარეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავის შენიშვნისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, იგი ითვლებოდა მოხელედ. მის უფლება-მოვალეობებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ...-ის მ-ის საკრებულოს თავმჯდომარის – ი. ჭ-ის 2011 წლის 14 დეკემბრის №... და 2012 წლის 1 მაისის №- ბრძანებების მიხედვით, შეადგენდა 2011 წლის 1 სექტემბრის №145 ხელშეკრულებითა და 2011 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ხარისხის შემოწმება და შესაბამისი აქტის წარდგენა.

2.2. ქ. ჭ-ის მ-ის გამგების მიერ ქ.ში, „ს-ს“ სახელით ცნობილ კლდის ფერდობებზე ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „მ.“, რის საფუძველზეც 2011 წლის 1 სექტემბერს ...-ის მ-ის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ. კ-სა და შპს „მ-ის“ დირექტორ უ. ღ-ას შორის გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, ასევე 2011 წლის 26 დეკემბერს ჭ-ის მ-ის საკრებულოს თავმჯდომარე ი. ჭ-სა და შპს „მ-ის“ დირექტორ უ. ღ-ას შორის გაფორმდა მეორე ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელთა შესაბამისად, ქ.ში, „ს-ს“ სახელით ცნობილ კლდის ფერდობებზე უნდა ჩატარებულიყო ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულებამ, 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შეადგინა 800 092 ლარი, ხოლო 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკ-

რულებით – 147 073 ლარი.

2.3. აღნიშნული სამუშაოების პროცესში უ. ღ-ამ არ შეასრულა ხელშეკრულების მოთხოვნები და არ შეადგინა შესრულებული სამუშაოებისთვის განერილი თანხების ზუსტი ხარჯთაღრიცხვა. შესრულებული სამუშაოს აქტებში – ფორმა №...-ში უ. ღ-ამ სრულად გადაიტანა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებითა და ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული მასალების შექნის თანხები, რეალურად კი მასალები შეიძინა ნაკლებ თანხად. კერძოდ: შესრულებული სამუშაოების კომპლექსური სამშენებლო-ტექნიკური და სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზით დადგენილია, რომ 2011 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტებზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 344 482 06 ლარი, ნაცვლად შესრულებული სამუშაოების აქტებით განსაზღვრული 800 092. 61 ლარისა, ღირებულების უსაფუძვლოდ გაზრდა დადგინდა 455 610. 55 ლარით. ხოლო 2011 წლის 26 დეკემბრის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტებზე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტებით განსაზღვრული 147 073 ლარისა და ღირებულების უსაფუძვლოდ გაზრდა დადგინდა 44 079 ლარით, რაც უ. ღ-ამ სრულად მიითვისა. ერთობლივად, უ. ღ-ას ქმედებით სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა დიდი ოდენობით – 423 465 ლარის ზიანი (დღგ-ს გარეშე).

2.4. 3. ჩ-ემ საჯარო მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ, მისდამი დაუდევარი და გულგრილი დამოკიდებულებისა და სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო არ გაატარა სათანადო ღონისძიებები ქ. ...-ში, „ს-ს“ სახელით ცნობილ კლდის ფერდობებზე ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა 423 465 ლარის ზიანი.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 აპრილის განაჩენით უ. ღ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (№... ხელშეკრულების ეპიზოდი) ნარდგენილ ბრალდებაში. უ. ღ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (№... ხელშეკრულების ეპიზოდი) ნარდგენილ ბრალდებაში. უ. ღ-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის პირველ ნაწილზე. უ. ღ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 362-ე მუხლის

პირველი ნაწილით (№... ხელშეკრულების ეპიზოდი) გათვალისწინებული დანამაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 21 000 ლარი, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2012 წლის 22 ნოემბრიდან 2012 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით), შეუმსუბუქდა და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 20 000 ლარი.

4. იმავე განაჩენით პ. ჩ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანამაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 8300 ლარი, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2012 წლის 6 დეკემბრიდან 2012 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით), შეუმსუბუქდა და საბოლოოდ განესაზღვრა ჯარიმა – 8000 ლარი.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 აპრილის განაჩენში შევიდა ცვლილება: უ. ღ-ას ამოერიცხა სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) წარდგენილი ბრალდება, როგორც ზედმეტად შერაცხული. უ. ღ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესავა: საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (№-ე ხელშეკრულების ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12, მე-18 მუხლების საფუძველზე გაუნახევრდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 6 თვით. საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (№-ე ხელშეკრულების ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 1 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12, მე-18 მუხლების საფუძველზე გაუნახევრდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 6 თვით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თანაბარი სასჯელებიდან ერთმა შთანთქა მეორე და საბოლოოდ უ. ღ-ას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების

აღკვეთა. მასვე 6 თვით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. მსჯავრდებულ უ. ღ-ას სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 22 ნოემბრიდან 2012 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით. მას სასჯელის მოხდა აეთვალა განაჩენის აღსრულების მიზნით დაპატიმრების მომენტიდან. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 აპრილის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

6. კასატორები: მსჯავრდებული უ. ღ. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. გ. იოხოვენ ქუთაისის საპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანას და უ. ღ-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით განიხლია საქმე, კერძოდ: სასამართლომ არ იმსჯელა დაცვის მხარის მტკიცებულებებზე და სათანადოდ არ შეაფასა დაცვის პოზიციები; მუნიციპალიტეტებისა და შპს „მ-ს“ შორის დადებული ნარდობის ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა შესრულებული სამუშაოს ლირებულების განსაზღვრის ვალდებულებას ფაქტობრივი დანახარჯის მიხედვით; შპს „მ-სა“ (მიმწოდებელს) და ...-ის მ-ს (შესყიდველს) ერთმანეთთან ჰქონდათ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს, შპს „მ-ს“ ჰქონდა ...-ის მ-თან როგორც ხელშეკრულების დადების, ისე ურთიერთშეთანხმებით მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება;ში ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების 2011 წლის 1 სექტემბრის №... და 2011 წლის 26 დეკემბრის №... ხელშეკრულებებში დაფიქსირებული სახარჯთაღრიცხვო ფასები განისაზღვრა მხარეთა კონსენსუსით და ასახავდა დამკვეთისათვის მისაღები თანხის მაქსიმალურ, ხოლო შემსრულებლისთვის მის კომერციულ ინტერესებთან თანხვდენილი ანაზღაურების მინიმალურ ნიშნულს; რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რატომ შეარულა შპს-მ სამუშაოები 50X50 მმ ბადის ნაცვლად 80X100 მმ ბადით, დაცვის მხარის მითითებით, 50X50-ზე ზომა უ. ღ-ამ აღიქვა როგორც გვერდის სიგრძე და არა – შიდაპერიმეტრი, ვინაიდან მისი თქმით, 50X50-ზე შიდაპერიმეტრიანი ბადე ბუნებაში არ არსებობს. მის მიერ გამოყენებული ბადის (შიდაპერიმეტრით 80X100-ზე) გვერდების სიგრძე კი სწორედ 50X50-ზეა, რის გამოც არც ამ ნაწილში დარღვეულა ხელშეკრულების

პირობები.

7. სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ ითხოვა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება და უ. ღ-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

8. პროკურორი დიმიტრი ჩაფიჩაძე არ დაეთანხმა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამონმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2.1. 2011 წლის 27 ივლის ...-ის მ-ის გამგეობამ გამოაცხადა №... ელექტრონული ტენდერი ქ. ...-ში, „ს-ს“ სახელით ცნობილ ფერდობებზე, ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (სექტორი №...). სატენდერო დოკუმენტების, მათ შორის – პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ერთ-ერთ სავალდებულო შესასრულებელ პირობას წარმოადგენდა ფოლადის მაღალი სიმტკიცის 50X50 მმ დიამეტრის, 3 მმ სისქის ექვსგვერდა ბადის მოწყობა.

2.2. ჭ-ის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის 2011 წლის 17 აგვისტოს სხდომის №... ოქმის თანახმად, ქ. ...-ში ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ №... ელექტრონულ ტენდერზე პრეტენდენტების მიერ თავიანთი სატენდერო წინადადებების წარსადგენად განსაზღვრულ დროში სატენდერო წინადადება წარადგინა შპს „მ-მა“, რომელიც ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში კისრულობდა ზემოაღნიშნული სამუშაოების შესრულებისა და ფოლადის მაღალი სიმტკიცის 50X50 მმ დიამეტრის, 3 მმ სისქის ექვსგვერდა ბადის მოწყობის ვალდებულებას, რის საფუძველზეც ...-ის მ-ის სატენდერო კომისიამ 2011 წლის 22 აგვისტოს შპს „მ.“ გამოაცხადა ტენდერში გამარჯვებულად.

2.3. 2011 წლის 17 ნოემბერს ...-ის მ-ის გამგეობამ გამოაცხადა №... ელექტრონული ტენდერი ქ. ...-ში, „ს-ს“ სახელით ცნობილ ფერდობებზე, ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (სექტორი №...), რომლის სავალდე-

ბულო შესასრულებელ პირობას წარმოადგენდა ფოლადის მა-ლალი სიმტკიცის 80X110 მმ დიამეტრის, 3 მმ სისქის ექვსგვერ-და ბადის მოწყობა.

2.4. ...-ის მ-ის სატენდერო კომისიის 2011 წლის 8 დეკემბრის სხდომის №... ოქმის თანახმად, ქ.ში ქვათაცვენის სალიკვი-დაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ №. ელექტრონულ ტენდერზე პრეტენდენტების მიერ თავიან-თი სატენდერო წინადადებების წარსადგენად განსაზღვრულ დროში სატენდერო წინადადება წარადგინა შპს „მ-მა“, რომე-ლიც ამავე კომისიამ 2011 წლის 13 დეკემბერს გამოაცხადა ტენ-დერში გამარჯვებულად.

2.5. ამრიგად, ...-ის მ-სა და ტენდერებში გამარჯვებულ შპს „მ-ს“ შორის დაიდო ორი ხელშეკრულება:

2011 წლის 1 სექტემბრის №... ხელშეკრულება – ...-ში ქვა-თაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდ-ვის შესახებ, რომლის საბოლოო ჯამურმა ღირებულებამ შეად-გინა 800 092,61 ლარი.

2011 წლის 26 დეკემბრის №... ხელშეკრულება – ჭიათურაში ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების სახელმწიფო შეს-ყიდვის შესახებ, რომლის ღირებულებამ შეადგინა 147 073 ლა-რი.

2.6. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის 1 სექტემბრის №-ხელშეკრულებით უ. ღ-ას ევალებოდა ...-ში, „ს-ს“ სახელით ცნო-ბილ კლდის ფერდობებზე, ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუ-შაოების 50X50 მმ დიამეტრის ბადით შესრულება, მან აღნიშ-ნული სამუშაოები შესასრულა 80X100 მმ დიამეტრის მქონე ბა-დით, თუმცა შესრულებული სამუშაოებისა და მიღება-ჩაბარე-ბის საბოლოო აქტში მიუთითა, რომ, თითქოს, ქვათაცვენის სა-ლიკვიდაციო სამუშაოები შესრულებული იყო 50X50 მმ დიამეტ-რის ბადით. ამასთან, უ. ღ-ამ სამუშაოების შესრულებისას გა-მოყენებული ბადის 1 კვ.მ-ის ფასად მიუთითა – 110,25 ლარი, ნაცვლად მის მიერ ფაქტობრივად გადახდილი 33,06 ლარისა. ასევე 2011 წლის 26 დეკემბრის №... ხელშეკრულებით გათვა-ლისნინებული სამუშაოების შესრულებისას უ. ღ-ას 80X100 მმ დიამეტრის 1 კვ.მ ბადები გადახდილი ჰქონდა 33,06 ლარი, 1 გრძივ მეტრ ბაგირში – 7,21 ლარი, ხოლო 1 ცალ ბაგირის დამ-ჭერსა და ხამუთში – 6,35 ლარი. მიუხედავად ამისა, მან 2012 წლის 14 მაისის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტში 1 კვ.მ ბა-დის ფასად მიუთითა 111 ლარი, 1 გრძივი მეტრი ბაგირის ფასად – 9 ლარი, ხოლო ბაგირის დამჭერებისა და ხამუთების თითო ერთეულის ფასად – 10 და 12 ლარი.

3. პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარე-მოებები უტყუარად დასტურდება საქმეში არსებული და სასა-მართლო სხდომაზე გამოკვლეული შემდეგი მტკიცებულებე-ბით:

3.1. შპს „მ-ის“ დირექტორის – უ. ღ-ას წარმომადგენელ გ. ლ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ შპს „მ.“ ასრულებდა ...-ში ქვა-თაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოებს. მის მოვალეობაში შედი-ოდა დოკუმენტაციისათვის ყურადღების მიქცევა, ხარისხის კონტროლი, ჯგუფზე ზედამხედველობა და ყველაფერი, რაც სამუშაოებთან იყო დაკავშირებული. შპს „მ-მა“ შპს „კ-გან“ შეი-ძინა 4500 კვ.მ ქვათაცვენის შემაკავებელი ბადე და 2011 წლის სექტემბერში დაიწყო სამუშაოების შესრულება. პროექტში მი-თითებული იყო გალვანიზირებული 50X50 მმ დიამეტრის ბადე, როგორიც, მნარმოებლის განმარტებით, არ იქსოვებოდა. შესა-ბამისად, მათ შეიძინეს 80X100 მმ დიამეტრის ბადე, რომლის ერთ კვადრატულ მეტრში გადაიხადეს 39 ლარი.

3.2. მოწმე თ. ს-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2010-2012 წლებში მუშაობდა ...-ის მ-ის გამგებლის მოადგილედ. ქ. ...-ში ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების პროექტი შეადგინა შპს „ს-მა“, რომლის დამტკიცების შემდეგ ამ სამუშაოების შეს-რულებაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს „მ-მა“. სატენდერო კომისიის მოთხოვნით შპს „მ-ს“ ევალებოდა 50X50 მმ დიამეტრის მავთულის ბადის დამონტაჟება „ს-ს“ სახელით ცნობილ კლდეზე.

3.3. საქმეზე მოწმის სახით დაკითხული შპს „კ-ს“ დირექტო-რის – დ. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ შპს „კ-მ“ შპს „მ-გან“ მიიღო 50X50 მმ დიამეტრის გალვანიზირებული ბადის შეკვე-თა, მაგრამ, ვინაიდან მოთხოვნილი ბადის მოძიება ვერ შეძლეს, მის ნაცვლად შესთავაზეს 80X100 მმ დიამეტრის ბადე. შპს „მ.“ გარკვეული პერიოდის შემდეგ დასთანხმდა აღნიშნული ბადის შეძენას და მათ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულე-ბა. აღნიშნული ბადე შეიძინეს შპს „გ-სგან“ – 1 კვ.მ 9 ლარად, ხოლო შპს „მ-ს“ მიჰყიდეს – 1 კვ.მ 39 ლარად.

3.4. საქმეზე მოწმის სახით დაკითხული შპს „გ-ის“ დირექ-ტორის – რ. ღ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ შპს „კ-ს“ სურდა 50X50 მმ დიამეტრის ბადის შექნა, რომელიც მოქსოვილი იქ-ნებოდა 3 მმ-ანი მავთულისგან, მაგრამ თურქულმა კომპანიამ უარი განაცხადა ამ პარამეტრების ბადის მიწოდებაზე იმ მოტი-ვით, რომ ასეთი ზომების ბადე არ მზადდებოდა და სანაცვლოდ შესთავაზა 80X100 მმ დიამეტრის ბადე. შპს „კ.“ დასთანხმდა აღნიშნულს და მათ შორის გაფორმდა ხელშეკრულება 80X100

მმ დიამეტრის ბადის შეძენის თაობაზე, რომლითაც 1 კვ.მ ბა-
დის ლირებულებად განისაზღვრა 9 ლარი.

3.5. მოწმე თ. ე-ას ჩვენებით დადგენილია, რომ პროფესიონა-
არის მშენებელი, ინჟინერ-კონსტრუქტორი. რამდენიმე წლის
წინ შპს „ს-ის“ დაკვეთით შეადგინა ქ.ში, „ს-ს“ სახელით ცნო-
ბილი კლდის ფერდობზე, ქვათაცვენის შემაჩერებელი ბადის
მოწყობის პროექტი. აღნიშნული ტერიტორია დაყოფილი იყო
რამდენიმე სექტორად. მეექვსე სექტორზე მ-თან შეთანხმე-
ბით გადაწყდა, რომ გაკეთებულიყო 50X50 მმ დიამეტრის ბა-
დე, ანუ ბადის ერთი კედლიდან მეორე კედლამდე ზომები უნ-
და ყოფილიყო 50 მმ, ხოლო უშუალოდ ბადის მავთულის დია-
მეტრი – 3 მმ. პროექტის შეცვლასთან დაკავშირებით მათვის
არავის მიუმართავს. აქედან გამომდინარე, თუ მოწყობილია
80X100 მმ დიამეტრის ბადე, ეს არ იქნება მისი პროექტის შესა-
ბამისი. მესამე სექტორზე დაბზარული იყო კლდე, სადაც მო-
ნოლითური კედლის აშენებამდე დროებით უნდა დამონტაჟე-
ბულიყო ბადე, რის გამოც გადაწყდა, რომ იქ გაკეთებულიყო
80X100 მმ დიამეტრის ბადე.

3.6. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა
შპს „ს-ის“ დირექტორმა მ. ფ-მა.

3.7. ის ფაქტი, რომ ქ.ში, „ს-ს“ სახელით ცნობილ ფერდო-
ბებზე, ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოები შპს „მ-მა“ შე-
ასრულა მპს „კ-სგან“ შეძენილი ბადით, რომელმაც, თავის მხრივ,
აღნიშნული ბადე შეიძინა შპს „გ-სგან“, გარდა მოწმეთა ჩვენე-
ბებისა, დასტურდება ასევე საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკი-
ცებულებებით, კერძოდ: შპს „კ-ს“ დირექტორ დ. გ-სა და შპს „გ-
ის“ დირექტორ რ. ღ-ს შორის 2011 წლის 6 სექტემბერს გაფორ-
მებული ხელშეკრულებით, 2011 წლის 22 სექტემბრის №- სასა-
ქონლო ზედნადებითა და საგადასახადო ანგარიშფაქტურით.

3.8. უ. ღ-ამ როგორც შუალედურ, ისე 2011 წლის 14 დეკემ-
ბერს შედგენილ შესრულებულ სამუშაოთა საბოლოო აქტში
(ფორმა №....-ში), რომელიც დადასტურებულია შპს „მ-ის“ დი-
რექტორ უ. ღ-სა და ჭ-ის მ-ის საკრებულოს თავმჯდომარე ი. ჭ-
ის ხელმოწერებით, მიუთითა, რომ შპს „მ-მა“ შეასრულა 2011
წლის 1 სექტემბრის №.... ხელშეკრულებით გათვალისწინებული
სამუშაო, პროექტის შესაბამისად – ფოლადის მაღალი სიმტკი-
ცის 50X50 დ-3 მმ-იანი 4350 კვ.მ ბადის მოწყობა /მომზადება-
დამონტაჟება/, ხოლო ერთი კვ.მ ბადის ფასად მიუთითა 110,25
ლარი. იმავე დღეს შპს „მ-ის“ დირექტორ უ. ღ-სა და ...-ის მ-ის
საკრებულოს თავმჯდომარე ი. ჭ-ეს შორის გაფორმდა საბოლოო
მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც მხარეებმა დაადასტურეს

შემსყიდველსა და მიმწოდებელსა შორის 2011 წლის 1 სექტემბერს დადგებული №... ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად მიღება-ჩაბარება. სულ ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 800 092,61 ლარი.

3.9. 2011 წლის 15 სექტემბერს, შპს „მ-ის“ დირექტორ უ. ლ-სა და შპს „რ-ს“ დირექტორ ლ. თ-ეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით და 2011 წლის 29 სექტემბრის №... საგადასახადო ანგარიშფაქტურით დადგენილია, რომ შპს „მ-მა“ შპს „რ-სგან“ შეიძინა 34000 ლარის (დღგ-ს გარეშე 28813,56 ლარის) ლირებულების 4000 გრძივი მეტრი 16 მმ-იანი კვეთის ბაგირი. შესაბამისად, ერთი გრძივი მეტრის ლირებულებამ შეადგინა 8,50 ლარი (დღგ-ს გარეშე 7,21 ლარი).

3.10. 2012 წლის 17 აპრილის №... საგადასახადო ანგარიშფაქტურით დასტურდება, რომ 2012 წლის 21 მარტს შპს „მ-მა“ შპს „რ-სგან“ შეიძინა 13600 ლარის (დღგ-ს გარეშე 11 525,42 ლარის) ლირებულების 1600 გრძივი მეტრი 16 მმ-იანი კვეთის ლითონის ბაგირი. შესაბამისად, ერთი გრძივი მეტრის ლირებულებამ შეადგინა 8,50 ლარი (დღგ-ს გარეშე 7,21 ლარი).

3.11. 2011 წლის 12 დეკემბრის №... საგადასახადო ანგარიშფაქტურით დადგენილია, რომ 2011 წლის 12 დეკემბერს შპს „მ-მა“ შპს „ლ-სგან“ შეიძინა 500 ცალი ტროსსა აქსესუარი სამუთი №..., რაშიც გადაიხადა 5000 ლარი (დღგ-ს გარეშე 4237,29 ლარი). 2012 წლის 29 აპრილის №... საგადასახადო ანგარიშფაქტურით დასტურდება, რომ 2012 წლის 29 აპრილს შპს „მ-მა“ ი/მ მ. ჩ-გან შეიძინა 50 ცალი ბაგირის დამჭერი 20-იანი, რაშიც გადაიხადა 225 ლარი (დღგ-ს გარეშე 190,68 ლარი). 2012 წლის 16 მაისის №... საგადასახადო ანგარიშფაქტურის თანახმად, 2012 წლის 31 მარტს შპს „მ-მა“ ი/მ მ. ჩ-სგან შეიძინა 26 მმ-იანი კვეთის 600 ცალი და 16 მმ-იანი კვეთის 130 ცალი ლითონის ბაგირის დამჭერები, საიდანაც 26 მმ-იანი კვეთის ბაგირის დამჭერებში გადაიხადა 3900 ლარი (დღგ-ს გარეშე 3305,08 ლარი), ხოლო 16 მმ-იანი კვეთის ბაგირის დამჭერებში – 455 ლარი (დღგ-ს გარეშე 385,59 ლარი). ე.ი. შპს „მ-ის“ მიერ შეძენილ, სულ 1280 ერთეულ ბაგირის დამჭერსა და ხამუთში გადახდილია 8118,64 ლარი (დღგ-ს გარეშე), შესაბამისად, 1 ერთეულში – 6,35 ლარი (დღგ-ს გარეშე).

3.12. 2012 წლის 24 იანვარსა და 2012 წლის 14 მაისს შედგენილ შესრულებულ სამუშაოთა აქტებში (ფორმა №...-ებში), რომ-ლებიც დადასტურებულია შპს „მ-ის“ დირექტორ უ. ლ-სა და ...-ის მ-ის საკრებულოს თავმჯდომარე ი. ჭ-ის ხელმოწერებით, უ. ლ-ამ მიუთითა, რომ შპს „მ-მა“ შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

80X110 მმ დიამეტრის ფოლადის მაღალი სიმტკიცის 255 კვ.მ ბადის მოწყობა /მომზადება-მონტაჟი/, ერთი კვ.მ ბადის ფასი – 111 ლარი; მაღალი სიმტკიცის ბაგირის (16 მმ) მოწყობა, 1 გრძ/ მ-ის ფასი – 9 ლარი; 126 ცალი დამჭერის მოწყობა, 1 ცალის ფასი – 10 ლარი; 1200 ცალი ბაგირის დამჭერი ხამუთის მოწყობა, 1 ცალის ფასი – 12 ლარი.

3.13. ის გარემოება, რომ შესრულებულ სამუშაოთა აქტებში შესრულებულად ნაჩვენები სამუშაოები და მათი ღირებულებები არ შეესაბამება ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებს და მათ ღირებულებებს, დასტურდება ასევე საქმეზე ჩატარებული სამშენებლო-ტექნიკური საბუღალტრო ექსპერტიზის №... დასკვნით და ექსპერტების – ი. ბ-სა და თ. კ-ის ჩვენებებით, რომელთა თანახმად, 2011 წლის 1 სექტემბრის №... ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებულია პროექტისგან გადახვევით. კერძოდ, პროექტით გათვალისწინებული იყო ფოლადის მაღალი სიმტკიცის ბადის მოწყობა უჯრედით 50X50 მმ, ფაქტობრივად მოწყობილია უჯრედით 80X100 მმ და სულ პროექტის გადახვევით შესრულებული სამუშაოების ღირებულება დარიცხვების გათვალისწინებით, შეადგენს 682367 ლარს. ფოლადის ბადის დემონტაჟის სამუშაოების ღირებულება შეადგენს 20427 ლარს. ძრითადი სამუშაოები არ არის შესრულებული იმ მასალათა გამოყენებით, რაც მითითებულია ობიექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, კერძოდ, მაღალი სიმტკიცის ბადის მოწყობა უჯრედით 50X50 მმ-ის ნაცვლად გამოყენებულია ბადე უჯრედით 80X100 მმ. ამავე დასკვნის თანახმად, 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული №... ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ფაქტიურმა ღირებულებამ შეადგინა 344482.06 ლარი, ნაცვლად შესრულებული სამუშაოების აქტით განსაზღვრული 800092.61 ლარი-სა და შესრულებული სამუშაოების ღირებულება დაუსაბუთებლად გაზრდილია 455610.55 ლარით (386 110 ლარი დღგ-ს გარეშე). 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული №... ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 102994 ლარი, ნაცვლად შესრულებული სამუშაოების აქტებით განსაზღვრული 147073 ლარისა და შესრულებული სამუშაოების ღირებულება დაუსაბუთებლად გაზრდილია 44079 ლარით (37 355 ლარი დღგ-ს გარეშე). ამრიგად, შპს „მ-ის“ მიერ ...-ის მ-ის საკრებულოსთან 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული №... და 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული №... ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა

447476.06 ლარი და შესრულებული სამუშაოების ღირებულება უსაფუძვლოდ გაზრდილია 423 465 ლარით.

4. თავად ბრალდებულმა უ. ლ-ამ არ უარყო ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მისი ქმედებების შეფასებას, კერძოდ: უ. ლ-ამ აჩვენა, რომ შპს „მა.“ დააფუძნა 2008 წელს და არის 100%-ის მფლობელი, დირექტორი და ფინანსური დირექტორი. 2011 წლის აგვისტოში გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ელექტრონულ ტენდერში, რომელიც ...-ის მ-მა გამოაცხადა. საქმე იყო სარისკო, ვინაიდან იგი ეხებოდა კლდეებზე ბადის გადაკვრასა და ქვათაცვენის შეჩერებას, შეისწავლეს ეს საქმე, მოიძიეს კვალიფიციური მთასვლელები, მონაწილეობა მიიღეს ტენდერში, „დადეს თავიანთი ფასი“ – 945000 ლარი და გაიმარჯვეს. 2011 წლის 1 სექტემბერს დაიბარეს ქ-ის გუბერნიაში სადაც დახვდა გუბერნატორის მოადგილე, რამდენიმე მაღალჩინოსანი, პ. ჩ. და ტენიკური ზედამხედველები ...-დან. დაუსვეს კითხვები, ვის უნდა გაეკეთინა, რომელი ბადით, სად უნდა ეყიდა ბადე და ამასთანავე, კატეგორიულად მოსთხოვეს ფასი დაეწია, თუ დაბალ ფასში არ გააკეთებდა, „ცუდად დაამთავრებდა“. ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ფასს დასწევდა 800 000 ლარამდე. ვინაიდან იურიდიულად წარმოუდგენელი და გაუგონარი ფაქტი იყო, თვითონ დიდხანს ფიქრობდნენ, რა ფორმით უნდა დაეწიათ მოგებულ ტენდერზე ფასი, როცა იგი უკვე ფიქსირებულია. ნებაყოფლობით დაწერა წერილი, რომ თანხმა იყო 145 000 ლარით იაფად შეესრულებინა შეკვეთა, რაზეც ...-ის მუნიციპალიტეტი დაეთანხმა და ხელშეკრულებაში საბოლოო ფასად მიეთითა 800 000 ლარი. ტენდერში მონაწილეობის დროს ატვირთეს მწარმოებლის სერტიფიკატი, ეს არის თურქული კომპანია „ქ.“, რომელიც ევროპის ბაზარს აწვდის ევროსტანდარტების შესაბამის ბადეს. მუშაობის წინა ეტაპზე ყველამ, მათ შორის ...-ის მ-მა, იცოდა, რომელი მწარმოებლის ბადე უნდა გაკრულიყო, რადგან ითხოვდნენ კონკრეტულ სერტიფიკატებს. მწარმოებლისგან მოითხოვა 50X50 მმ. დიამეტრის ბადის გამოგზავნა, რომელმაც მოსწერა, რომ ბუნებაში არ არსებობდა მსგავსი ბადე, რომელსაც ექნებოდა მსგავსი შიდა ზომები. ვინაიდან ბადე იზომება დიაგონალსა და ვერტიკალზე, ერთი ზომა ყოველთვის მეტია მეორეზე, არსებობს ბადეები, 5/7 მმ, 6/8-ზე, 8/10-ზე და 10/12 მმ, მაგრამ არ არსებობს ბადე 50X50 მმ. ვინაიდან ...-ის მს მითითებული ჰქონდა 50X50 მმ. ბადე 3 მმ, მათ გაზომეს ბადის უკრედი და აღმოჩნდა, რომ მისი გვერდი დაახლოებით არის 5 სმ. ჩათვალეს, რომ ბადეს ასე ზომავს დამკვეთი და ევროპე-

ლები შიგნიდან ზომავენ 8/10-ზე. შესაბამისად, მათი აზრით, ბადე არის იგივე, თუ მას გვერდებიდან გაზომავ. მეორე ტენ-დერი დეკემბერში გამოცხადდა. გადაწყვიტეს იქაც მიეღოთ მონანილეობა. წინასწარი ხარჯთაღრიცხვა შეადგინა დადგენილი წესის მიხედვით. როდესაც მეწარმე ითვლის კონკრეტულ ობიექტზე განეული სამუშაოების წინასწარ ხარჯებს, ითვალისწინებს ასევე რისკს, რამდენად შეიძლება წინასწარი ხარჯი გაიზარდოს ან შემცირდეს. წინასწარი ხარჯთაღრიცხვა ატვირთეს ელექტრონულ ტენდერში, სადაც დააფიქსირეს თითოეულ პუნქტს რა ფასად შეასრულებდნენ, ამას დაემატა გეგმიური მოგება, ზედნადები ხარჯები და ე.ნ. დღგ. მათ გაიმარჯვეს, ხოლო შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა კორექტირების გარეშე დამტკიცდა. სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის ანგარიშფაქტურას ...-ში აგზავნიდა, იქ დათვლიდნენ მართლა გაიკრა თუ არა მითითებული ოდენობის ბადე, მართლა ჩაისა თუ არა მითითებული ოდენობის ბეჭონი; თუ მოცულობა ემთხვეოდა მის მიერ ნარდგენილ მოცულობას, ხელს უწერდნენ და შესაბამის თანხას შეთანხმებული ფასის მიხედვით ურიცხავდნენ ანგარიშზე. მოწმის განმარტებით, ყველა საქმეს, გარდა უშუალო ხარჯებისა, აქვს კიდევ არაპირდაპირი ხარჯი, ეს ხარჯები გაიწერება ზედანდებ ხარჯში. მან მოითხოვა ...-ის მ-სგან 10% ზედნადები ხარჯისთვის, ხოლო გეგმიური დაგროვებისთვის – 8%, რაც დაკმაყოფილდა. თუ კომპანია უკეთ იმუშავებს, საკუთარ ძალებს ან საკუთარ მანქანებს გამოიყენებს და დარჩება მეტი მოგება, ეს ნიშნავს, რომ გეგმიური მოგება რჩება იგივე, ხოლო ოპერატიული (ფაქტობრივი) მოგება კომპანიისა იზრდება. ადრე გეგმიურ ეკონომიკაში არ შეიძლებოდა მიგეღო 8%-ზე მეტი მოგება, ვინაიდნ ყველა ფასი იყო ფიქსირებული. დღევანდელ ეკონომიკაში, როდესაც სწორებაა ევრონორმებთან 8%-იანი გეგმიური დაგროვება მაინც არსებობს, თუმცა კანონით არ არის აკრძალული, რომ მიიღო 20-30 პროცენტი ოპერატიული მოგება. წლის ბოლოს მის კომპანიას დაარჩა დაახლოებით 200 000 ლარი მოგება. ამ პროექტიდან დაახლოებით 150 000 ლარი, რაც ასახა დეკლარაციაში და ოფიციალურად ნარადგინა საგადასახადოში და ეს მტკიცებულება პროკურორმა თავად დაურთო საქმეს. მოწმემ განმარტა, რომ ხელშეკრულების დადების დროს შეაფასეს თითოეული ერთეულის ფასი. ტენდერის დროს თანხმდება წინასწარი ფასი, რაც ფორმდება ხელშეკრულებით და შეთანხმებული ფასის ცვლილება არის შეუძლებელი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტი მათგან ერთ კვადრატულ მეტრ ბადეს შეისყიდდა პირობითად 110 ლარად

და როდესაც ეს ბადე მიიტანეს, ჩაწერეს, რომ ეს ის ბადეა, რომელზეც შეთანხმდნენ, რომ 110 ლარად იყიდნენ. არ იგულის-ხმება, რომ ეს ბადე 110 ლარად იყიდა. იყო ბევრი პროდუქცია, რომელიც მეტი ფასად შეისყიდა, ვიდრე ...-ის მ-მა გადაიხადა. რაღაც შეიძლება გაძვირდეს, რაღაც გაიაფდეს, მაგრამ ათან-ხმებ ისეთ ფასს, რომ საბოლოო ჯამში არ იზარალო, რისეს იღებ საკუთარ თავზე. შეთანხმებულ ფასში რაიმე ცვლილების შეტა-ნა დაუშვებელი იყო. რაზეც შეთანხმდნენ ...-ის მ-თან, ის ფასი გადმოიტანეს. შესაბამისად, მას ბრალად შერაცხული დანაშა-ული არ ჩაუდენია.

5. საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს ბრალდებულის ჩვენებას და არ ეთანხმება სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ უ. ღ-ამ ზემოალნიშნული ქმედებები ჩაიდინა მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სახელმწიფოს კუთ-ვნილი თანხების მართლსანინააღმდეგოდ მითვისების მიზნით, შემდეგ გარემოებათა გამო:

6. პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპუ-ლი კონვენციის მე-6 მუხლი მოიცავს საფუძვლების, არგუმენ-ტებისა და მტკიცებულებების სათანადო განხილვის უფლებას¹. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილე-ბის დასაბუთების ასპექტი სამართლიანი სასამართლოს უფლე-ბის ნაწილად მიაჩნია. მართალია, არ არის აუცილებელი ყოველ არგუმენტის ამომზურავი პასუხი გაეცეს, მაგრამ სათანადოდ უნ-და იყოს განხილული განსასჯელის ძირითადი არგუმენტები².

7. საკასაციო პალატას მიჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩე-ნით სათანადოდ არ არის შეფასებული დაცვის მხარის არგუ-მენტები; საერთოდ შეფასების გარეშეა დატოვებული შპს აუ-დიტური ფირმა „...“ 2013 წლის 3 აპრილის საფინანსო ექსპერ-ტიზის დასკვნა და ექსპერტ ნ. ბ-ის ჩვენება, რომლებიც გამო-რიცხავენ უ. ღ-ას ბრალელულობას სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მართლსანინააღმდეგოდ მითვისებაში, კერძოდ:

8. შპს აუდიტური ფირმა „...“ 2013 წლის 3 აპრილის საფინან-სო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის სისწორეც სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ექსპერტმა ნ. ბ-მა, დადგენილია, რომ ტენდერში გაიმარჯვა სუბიექტმა – შპს „მ-მა“ მის მიერ შემ-სყიდველისათვის გასაწევი სამუშაოებისა და/ან მომსახურები-სათვის წარდგენილი ფასებით. არც „სახელმწიფო შესყიდვების

¹ ECtHR, Krasulya v. Russia, 2007, 12365/03.

² ECtHR, Van de Hurk v. Netherlands, 1994 , 16034/90. ECtHR, Torija v. Spain, 1994, 18390/91. ECtHR, Gradinar v. Moldova, 2008, 7170/02.

შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობა და არც კანონქვემდებარე აქტები არ ითვალისწინებს ტენდერში გამარჯვებული სუბიექტის მხრიდან ფასების კორექტირებას, შეცვლას მეტობით ან/და ნაკლებობით იქიდან გამომდინარე, თუ აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებული სუბიექტი ფასთა როგორი კვოტირებით შეიძლება შესაბამის საქონელს და/ან მომსახურებას სხვადასხვა კონტრაქტირისაგან. ტენდერის პირობებიდან გამომდინარე, შემსყიდველი ტენდერში გამარჯვებულთან აფორმებს ხელშეკრულებას და ურთიერთვალდებულებებიც ამ ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრება. სწორედ ამან განაპირობა 2011 წლის 1 სექტემბერს გაფორმებული №... ხელშეკრულებით ნაკისრი ურთიერთვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის (ე.წ. ფორმა №...) 2011 წლის 22 სექტემბერს – შუალედური და 2011 წლის 14 დეკემბერს კი – საბოლოო სახით გაფორმება. როგორც ერთ, ისე მეორე მიღება-ჩაბარების აქტში (22.09.2011 წ. და 14.12.2011 წ.) დაფიქსირებულია შპს „მ-ს“ მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის სამუშაოებისა და მომსახურების ის ფასები, რომლებიც შპს „მ-მა“ წარმოადგინა ტენდერის ჩატარების დროს, მოიგო აღნიშნული ტენდერი და ამის საფუძველზე გააფორმა კიდეც ხელშეკრულება. შპს „მ-მა“ შემსყიდველ ორგანიზაციას 1.09.2011 წლის №... ხელშეკრულებით დაუთქვა, რომ 1 კვ.მ გალვანიზებულ ბადეში გადაახდევინებდა 110,25 ლარს დღგ-ს გარეშე. შპს „მ-მა“ მის მიერ 2011 წლის 1 სექტემბრის №... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოცემულ ნაწილში პირნათლად შესასრულა და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტით (ე.წ. ფორმა №...) კვლავაც დაუდასტურა, რომ 1 კვ.მ გალვანიზებული ბადის ღირებულებად უფიქსირებდა და ასანაზღაურებლადაც შესაბამისად მოსთხოვდა 1.09.2011 წლის №... ხელშეკრულებით დათქმულ ფასს – 110,25 ლარს დღგ-ს გარეშე. აღნიშნული ქმედება შპს „მ-მა“ შესასრულა ლოგიკურად, კანონისმიერად და საქართველოში მოქმედი „სამოქალაქო კოდექსის“, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის, „საგადასახადო კოდექსისა“ და მათგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებზე დაყრდნობით. შპს „მ-ს“ არ მოეთხოვებოდა, არ იყო ვალდებული, არ შეეძლო თვითნებურად ემოქმედა და შესაბამისი პროცედურების დაუცველად დაეფიქსირებინა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში (ე.წ. ფორმა №...) 22.09.2011 წ-ს და 14.12.2011 წ-ს 1 კვ.მ. გალვანიზებული ბადის ფასის მაჩვენებელში, გარდა 110,25 ლარისა დღგ-ს გარეშე, სხვა ნებისმიერი კორექტირებული ფასი, მათ შორის არ

შეეძლო, არ იყო ვალდებული, არ მოეთხოვებოდა თვითნებურად, შესაბამისი პროცედურების დაცვის გარეშე დაეფიქტურებინა თუნდაც 1 კვ.მ გალვანიზებული ბადის ფასად 33,00 ლარი დღგ-ს გარეშე. ექსპერტმა მიუთითა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №... ბრძანების „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 პუნქტის შესაბამისად: „ამ ბრძანების მოქმედება არ ვრცელდება ამა წლის 1 ივლისმდე აღიარებულ სამუშაოებზე“. მაშასადამე, აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილი გეგმური მოგების ზღვრული 8%-იანი მაჩვენებელი სავალდებულოა 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ აღიარებულ სამუშაოებზე და აქედან გამომდინარე, იმ დროისათვის, ანუ 22.09.2011 წლისა და 14.12.2011 წლისათვის, როდესაც შედგა შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები და აღიარებულ იქნა შესრულებული სამუშაოები, შპს „მ-ის“ გეგმური მოგების ოდენობა 8%-ზე მეტიც რომ ყოფილიყო, ეს იმ დროს საქართველოში მოქმედი არც ერთი ნორმატიული აქტით არ იყო აკრძალული და არ ეწინააღმდეგებოდა რომელიმე მოქმედ კანონს. შესაბამისად, ვინაიდან შპს „მ-მა“ შესრულა მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართ, იგი არ წარმოადგენდა ვალდებულ პირს, დაებრუნებინა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის – ანუ დამკვეთის-თვის რეალურად მიღებული მოგების ოდენობიდან მოგების 8%-იანი ზღვრის ზევით არსებული მოგების თანხა.

9. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების – ბრალდებულის ჩვენების, ექსპერტიზის დასკვნისა და ექსპერტ ნ. ბ-ის ჩვენების, ასევე წერილობითი მტკიცებულებების – მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების (№... და №...) შეფასების შედეგად საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას, რომ უ. ღ-ას ...-ის მ-თან გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებში უნდა მიეთითებინა სამუშაოთა შესრულებისათვის შეძენილ მასალებში (ბადე, ბაგირი, ბაგირის დამჭერი, ხამუთი) ფაქტობრივად გადახდილი ფასი, და არა – გამოსაყენებელ მასალათა ის ფასი, რომელიც მას მითითებული ჰქონდა ხელშეკრულებაზე თანდართულ წინასწარ ხარჯთაღრიცხვაში, შემდეგ გარემოებათა გამო:

9.1. ...-ის მ-სა და შპს „მ-ს“ შორის დადებული ნარდობის ხელ-

შეკრულებები (№..., №...) შესრულებული სამუშაოს ღირებულების განსაზღვრის ვალდებულებას ფაქტობრივი დანახარჯის მიხედვით არ ითვალისწინებდა.

9.2. შპს „მ.“ და სსიპ თვითმმართველი ერთეული – ...-ის მ. იყვნენ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, შპს „მ-ს“ ჰქონდა ...-ის მ-თან როგორც ხელშეკრულების დადების, ისე ურთიერთშეთანხმებით მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება.

9.3. პალატა არ იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ შპს „მ-ს“ დამკვეთისთვის წარდგენილ ფორმა №...-ში რეალური ხარჯების მითითებას ავალდებულებდა ხელშეკრულებებში ასახული შეთანხმება, რომლის თანახმადაც, სამუშაოს ეტაპის ღირებულების შემსრულებლისთვის ანაზღაურების საფუძველს, მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, წარმოადგენს ხარჯთაღრიცხვა (ფორმა №...), რომელიც, სამშენებლო სფეროში დამკვიდრებული პრაქტიკით, ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა ამსახველი დოკუმენტია და მიუთითებს, რომ საქართველოში მოქმედი არც ერთი ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს ფორმა №...-ის არსას, მის სავალდებულო და ფაკულტატიურ რეკვიზიზიტებს და არ უკრძალავს მხარეებს ფორმა №...-ში შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების გაანგარიშებისას იხელმძღვანელონ ერთეულების (ხელფასის ერთეულის, მასალის ერთეულის, სამშენებლო მექანიზმებისა და ტრანსპორტირების ერთეულის და სხვ.) არა ფაქტობრივი, არამედ შეთანხმებული ფასებით. გარდა ამისა, შესრულებული სამუშაოს ღირებულება რომ შპს „მ-ის“ მიერ რეალურად გაწეულ ხარჯებს უნდა შეადგინდეს, ამის თაობაზე არც ფორმა №...-ებსა და არც ხელშეკრულებებში მინიჭნებულიც კი არ არის.

9.4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... და №... ხელშეკრულებების ანალიზი ცხადყოფს, რომ დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული იყო ნარდობის ხელშეკრულებები, სადაც წინასწარაა შეთანხმებული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა და ღირებულება. შესაბამისად, ის დამოკიდებული არ არის შემსრულებლის მიერ აღნიშნული ხელშეკრულების შესრულებისათვის გაწეული ხარჯების ოდენობაზე და ანაზღაურების ოდენობაც არ არის დამოკიდებული შესრულებული სამუშაოების თვითდირებულებაზე. ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს

მენარდეს შეთანხმებული საზღაური. პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებასაც, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №... და №... ხელშეკრულებებში არ არის მითითებული იმის შესახებ, რომ საბოლოო ანგარიშსწორებისას განეული მომსახურების ლირებულება უნდა ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად განეული დანახარჯების მიხედვით და არა – ხელშეკრულებით დადგენილი ფასის შესაბამისად.

9.5. კანონშეუსაბამოდ ვერ მიიჩნევა ასევე შპს „მ-ის“ მიერ ფორმა №...-ებში გეგმიური დაგროვების მაჩვენებლად 8%-ის მითითება, მიუხედავად იმისა, რომ „მ-ის“ რეალურად უფრო მეტი მოგება მიიღო, ვინაიდან შპს „მ-ს“ არც ხელშეკრულებით და არც რაიმე ნორმატიული აქტით არ ეკისრებოდა ვალდებულება, 8%-იანი ზღვრის ზევით მიღებული მოგების თანხა დაებრუნებინა შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №... ბრძანებას „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც დადგინდა გეგმური მოგების ზღვრული 8%-იანი მაჩვენებელი, პალატა მიუთითებს, რომ ამავე ბრძანების მე-2 პუნქტის მიხედვით: „ამ ბრძანების მოქმედება არ ვრცელდება ამა წლის ივლისამდე აღიარებულ სამუშაოებზე“. შესაბამისად, დადგენილი გეგმური მოგების ზღვრული 8%-იანი მაჩვენებელი გავრცელდა 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ აღიარებულ სამუშაოებზე და არა იმ დროზე, როდესაც შედგა შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები და აღიარებულ იქნა შპს „მ-ის“ მიერ შესრულებული სამუშაოები.

9.6. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდების მხარემ ვერ მიუთითა ისეთ სამართლებრივ აქტზე, რომელიც შპს „მ-ს“ ავალდებულებდა, სამუშაოთა შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებში მიეთითებინა მის მიერ მასალებში ფაქტობრივად გადახდილი ლირებულება, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ განეული ხარჯების უსაფუძვლოდ გაზრდის გზით უ. ღ-ამ მართლსანინაალმდეგოდ მიითვისა სახელმწიფოს კუთვნილი ქონება.

9.7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უ. ღ. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (№... ხელშეკრულების ეპიზოდი) ნარდგენილ ბრალ-

დებებში და უნდა გამართლდეს.

10. ამასთან, საკასაციო პალატა გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ უ. ღ-ამ №№... ხელშეკრულების საფუძველზე ჭის მ-სათვის შესრულებულ სამუშაოთა ჩაბარებისას გააყალბა შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი (ე.წ. ფორმა №...), კერძოდ: 2011 წლის 14 დეკემბრის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის მე-14 გრაფაში მიუთითა, რომ, თითქოსდა სამუშაოები შეასრულა 50X50 მმ დიამეტრის ზომის ბადით, მაშინ, როდესაც სამუშაოები შესრულებული იყო 80X100 მმ დიამეტრის ზომის ბადით და მიუთითებს, რომ ბრალდების ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებს უ. ღ-ას ჩვენებას, რომ თითქოს მან გვერდებიდან გაზომა ბადე და მიიჩნია, რომ 50X50-ში იგულისხმებოდა გვერდების ზომები, შემდეგ გარემოებათა გამო:

10.1. ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის №... დასკვნით (რომლის სისწორეც სასამართლოში დაადასტურა ექსპერტმა მ. ტ-ემ) დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, კლიფიდან ქვათაცვენის სანინააღმდეგო და შემაჩერებელი ლი-თონის ექვსკუთხა (ექვსგვერდიანი) ბადის გვერდების საშუალო ზომებია: ოთხი გრძელი გვერდის სიგრძეა – 63 მმ+/-2 მმ, ხოლო ორი მოკლე გვერდის სიგრძეა – 33 მმ+/-2 მმ. ხსენებული დასკვნის შესაბამისად, უ. ღ-ას განმარტება, რომ ბადე გვერდებიდან აზომა და ამიტომ შეცდა, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან არც გვერდების ზომაა 50X50.

10.2. უ. ღ-ამ რომ განზრას შეადგინა და სამუშაოთა მიღება-ჩაბარებისას, 2011 წლის 14 დეკემბერს, ...-ის მ-ს წარუდგინა ყალბი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი (ფორმა №..., სადაც მიუთითა, რომ ...-ის მ-ს მიაწოდა და სამუშაოები შესარულა პროექტის შესაბამისად – 50x50 მმ დიამეტრის ბადით, მაშინ, როდესაც მან შპს „კ-გან“ შეიძინა სხვაგვარი – დ-3 80X100 მმ დიამეტრის ბადე, დასტურდება იმითაც, რომ შპს „კ-გან“ შექნილი დ-3 80X100 მმ დიამეტრის ბადის ნაწილი უ. ღ-ამ გამოიყენა №...-ე ხელშეკრულების ფარგლებში, მე-3 სექტორზე ჩატარებული ქვათაცვენის სალიკვიდაციო სამუშაოების დროსაც, სადაც მიღება-ჩაბარების აქტზე თანდართული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტში (ფორმა №...) მიუთითებს დ-3 80X100 მმ დიამეტრის ბადეზე. ამდენად, იმავე პარამეტრის მქონე ბადის შესახებ სხვადასხვა აქტში განსხვავებული მონაცემის მითითება სარწმუნოდ მიუთითებს უ. ღ-ას განმარტების არადამაჯერებლობაზე, რომ ის სრულყოფლად ვერ გაერკევა პროექტში მითითებული ბადის პარამეტრების საკითხში და ტექნიკური შეც-

დომა დაუშვა.

10.3. თავად უ. ღ-ას განმარტებაც, რომ მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო პროექტში მითითებული პარამეტრის ბადის მოძიება, რადგან ასეთი ბადე რეალურად არსად მზადდებოდა, მიუთითებს იმაზე, რომ მან დანამდვილებით იცოდა, თუ რა პარამეტრის ბადე უნდა გამოეყენებინა სამუშაოებისათვის და თუკი ობიექტურად შეუძლებელი გახდა პროექტში მითითებული ბადის მოძიება, მას შეეძლო, წინადადებით მიემართა დამკვეთისათვის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით, რაც განზრახ არ შეასრულა იმ მოტივით, რომ თავიდან აერიდებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც შესაძლოა, ...-ის მ-ს მიერ ბადის შექენაზე უარის თქმის საფუძველი და, ამასთანავე, შპს „მ-ის“ მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციების ამოქმედების საფუძველი გამხდარიყო.

11. ამდენად, საკასაციო პალატა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულად მიიჩნევს, რომ უ. ღ-ამ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (№... ხელშეკრულების ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაული – ყალბი დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, რაც გამოიხატა მის მიერ ყალბი სახარჯთაღრიცხვით დოკუმენტის შედგენასა (რომელიც განზრახ მიუთითა, რომ ...-ის მ-ს მიაწოდა და სამუშაოები შეასრულა პროექტის შესაბამისად – 50X50 მმ დიამეტრის ბადით, მაშინ, როდესაც რეალურად სამუშაოები შეასრულა დ-3 80X100 მმ დიამეტრის ბადით) და 2011 წლის 14 დეკემბერს ...-ის მ-თვის წარდგენაში.

12. სასჯელის განსაზღვრისას საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ უ. ღ-ას არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოებები, მის მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის, არაძალადობრივი ხასიათის დანაშაული, რის გამოც სამართლიანი იქნება მისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული არასაპატიმრო სანქციის – ჯარიმის გამოყენება იმ ოდენობით, რაც დამაფიქრებელი იქნება მსჯავრდებულისთვის და უზრუნველყოფს შემდგომში დანაშაულებრივი ქმედებისგან თავის შეკავებას.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ უ. ღ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს წანი-

ლობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის განაჩენში შევი-დეს ცვლილება:

3. უ. ღ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს სა-ქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, მე-3 ნაწი-ლის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (№... ხელშეკრულების ეპიზო-დი) ნარდგენილ ბრალდებაში.

4. უ. ღ. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს სა-ქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, მე-3 ნაწი-ლის „ბ“ ქვეპუნქტებით (№... ხელშეკრულების ეპიზოდი) ნარ-დგენილ ბრალდებაში.

5. უ. ღ-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მეო-რე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან (№... ხელშეკრულების ეპიზო-დი) გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის პირველ ნაწილზე. უ. ღ. ცნობილ იქნეს დამნაშვერდ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხ-ლის 1-ლი ნაწილით (№... ხელშეკრულების ეპიზოდი) და სასჯე-ლის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 20 000 ლარი, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით შეუმცირდეს და საბოლოოდ განესაზღვროს ჯარიმა – 15 000 ლარი.

6. უ. ღ. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდო-მის დარბაზიდან.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 12 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნა-წილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

10. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ

მოვალის მიერ აღსრულების ეროვნული
პიროვნეულის კანონით გათვალისწინებული
ქონების ცესის წარუდგენლობა

განაჩენი

№628აპ.-15

5 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. გვენეტაძე,
პ. სილაგაძე

განიხილა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკუ-
რორ გ. სახიაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელა-
ციონ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016
წლის 16 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით დ. ვ-ს, – ნასამარ-
თლობის არმქონეს, – ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 377¹-
ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა მოვალის მიერ აღსრულების ეროვ-
ნული ბიუროსათვის კანონით გათვალისწინებული ქონებრივი
ნუსხის წარუდგენლობა, რაც გამოიხატა შემდეგში:
2. 2015 წლის 21 აგვისტოს №... სააღსრულებო წარმოების
ფარგლებში თ-ოს რაიონის მ-ში, მ. წ-ის ქუჩის №...-ში მცხოვრებ
დ. ვ-ს „ს. ფ-ის“ კურიერის – ა. ლ-ის მეშვეობით ზემომითითე-
ბულ მისამართზე ჩაპარდა აღმასრულებლის მოთხოვნა ქონებ-
რივი ნუსხის წარდგენის შესახებ და ამასთან, გააფრხილეს აღ-
ნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოსალოდ-
ნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მი-
უხედავად ამისა, მან არ წარადგინა ქონებრივი ნუსხა აღმას-
რულებელთან.

3. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აპ-
რილის განაჩენით დ. ვ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამარ-
თლდა საქართველოს სსკ-ის 377¹-ე მუხლით წარდგენილ ბრალ-
დებაში; მასვე განემარტა, რომ უფლება აქვს, საქართველოს

სსსკ-ის 92-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. გაუქმდა დ. ვ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. სახიაშვილმა. მან მოითხოვა თეთრიწყვაროს რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აპრილის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება, დ. ვ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 377^ე მუხლით და მისთვის სამართლიანი და კანონიერი სასჯელის განსაზღვრა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – პროკურორი გ. სახიაშვილი საკასაციო საჩივრში აღნიშნავს, რომ თვითონ დანაშაული და არა – მისი თითოეული კომპონენტი დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით, ამიტომ დ. ვ. ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 377^ე მუხლით და განესაზღვროს შესაბამისი სასჯელი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს დ. ვ-ის უდანაშაულობის თაობაზე და მიაჩინა, რომ კანონის მოთხოვნათა დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით არ დასტურდება დ. ვ-ის მიერ დანაშაულის ჩადენა.

3. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება ნარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალ-

დებების საფუძველზე.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის მიხედვით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

ამავე კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

5. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

6. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმის შესახებ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377¹-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების (ქონებრივი ნუსხის წარუდგენლობა) შემადგენლობისათვის აუცილებელია სავალდებულო სუბიექტის (მოვალის) არსებობა. ამასთან, სავალდებულო სუბიექტი (მოვალე) სათანადო წესის დაცვით უნდა იყოს გაფრთხილებული ქონების ნუსხის წარდგენის ვალდებულების და ასეთის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ.

7. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის სასამართლო განხილებისას ბრალდების მხარეებ სასამართლოს ვერ წარუდგინა უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა დ. ვ-ის მიერ დანაშაულის ჩადენას, კერძოდ, საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება, რომ დ. ვ. სათანადო წესის დაცვით გააფრთხილეს ქონების ნუსხის წარდგენის ვალდებულების და ასეთის შეუსრულებლობის შემთხვევების თაობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, საქმეშია ურთიერთსაწინააღმდეგო მასალები, რომლებიც სავარაუდო ხასიათისაა. ვარაუდი კი გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველი ვერ გახდება. ამის თაობაზე საკმაოდ ვრცლად იმსჯელა სააპელაციო სასამართლომ, რომლის მიერ გამოტანილ დასკვნას საკასაციო პალატაც ეთანხმება.

8. პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე თბილისის საა-

პელაციო სასამართლოს მიერ დ. ვ-ის მიმართ დადგენილი გამა-
მართლებელი განაჩენი არის კანონიერი და არ არსებობს მისი
გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სასსკ-
ის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხ-
ლის მესამე ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. სა-
ხიაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 სექტემბრის განაჩენი დ.
ვ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქითხელი

1. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გაუფრთხებლობით	3
2. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ გაუპატიურება, ჩადენილი იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი გაუპატიურება	16 36
3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ თავისუფლების უკანონო აღკვეთა	43
4. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ ქურდობის მცდელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქმედების გადაკვალიფიცირება ქურდობიდან ძარცვაზე ყაჩალობა თაღლითობა	61 71 80 87
5. დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ	106
6. დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცივი იარაღის ტარება	112 123
7. ნარკოტიკული დანაშაული ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული	130
პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება	145

8. სამოხელეო დანაშაული	
სამსახურებრივი გულგრილობა	149
9. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ	
ყალბი დოკუმენტის დამზადება და გამოყენება	157
10. დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ	
მოვალის მიერ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის კანონით გათვალისწინებული ქონებრივი წუსხის წარუდგენლობა	180

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 299 71 34
www.supremecourt.ge